


K192.393  
3

სამართლი  
საქართველო

სიუზნი მაკალეათის

# ქავების გამო



# ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԿԱՌԱՎԱՐՈՒԹՅԱՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ



K 192. 391-3/3

K 219. 177/3

“ԵԱՎԱԾԱԾՈՒՅՈՒՆ”

ԹՎԱՅԼՈՒՄԵԱՆ

1984 թ.

902 . 7 (c41)  
63 . 5 (2Γ)  
902 . 7 (47 . 922)  
8 181


სერგი მაკალათას მიერ საქართველოს სხვადასხვა  
კუთხის ისტორიაულ-ეთნოგრაფიულ კოფაზე დაწერილი  
წიგნებიდან მკათხველმა უკმი მიიღო „თუშეთი“. ამგე-  
რად „ნაკადული“ გთავაზობთ მეორე წაგნს ისტორიკო-  
სის ძღვანდარი მეცნიერული მექანიზმებიდან.

რელატური აღმასი შინგარაული

ଓଡ଼ିଆ ପାଇଁ ପାଇଁ

© „ნაკადული“, 1984

70803 — 32  
M — 128 — 84  
M-603(08) — 84



## რ ა ღ ა ძ თ მ რ ი ს ა ბ ა ნ

საქართველო ეთნიკურადაც მრავალფეროვანი ქვეყნაა: ქართლი, კახეთი, საინგილი, თუშეთი, ხევსურეთი, უშავი, მთიულეთი, ხევი, იმერეთი, რაჭა, ლეჩემი, სვანეთი, სამეგრელო, აჭარა, გურია, ქვემის ხავაბეთი და ჯავახეთი ისეთი ერთენოვანი ეთნიკური ერთეულებია, რომელთაც საერთო ქართულთან ერთად მრავალი რამ განსხვავებული და თავისებური აქტების ერთეულებაშიაც, ხასიათშიაც, ცხოვრების წესშიაც, ჩატა-დახურვაშიაც, ისტორიულ ტრადიციებშიაც და სულიერი კულტურის მონაპოვრებშიაც.

ეს მრავალსახეობა ჩვენი ღამაზი ქვეყნისა ოდიოგანვე იქცევდა შინაურ და უცხოულ მკელევარ-მეცნიერთა ჯურალებას. კვლევის პროცესში გაირკვა, რომ ჩამოთვლილ კუთხეთაგან თათოველი მათგანი ცალკე შესწავლის, მონოგრაფიულად შესწავლის დირსია, რომ მხილოდ ასეთი შესწავლით შევეძლდა შევქმნათ საქართველოს მთლიანი და უნაკლი ეთნოგრაფიული სურათი.

ხევსურეთი ერთ-ერთი ყველაზე ძველი ტრადიციების მქონე და, თუნდაც ამიტომ, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო კუთხე გახლავთ. ამან განაპირობა მკვლევართა დიდი ინტერესი ხევსურეთისადმი.

ძმების – ნიკო და სერგი მაკალათიების სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მათ საპატიო ადგილი დაიმკვიდრეს ხევსურეთის (და საერთოდ საქართველოს) ეთნოგრაფის შემსწავლელ მეცნიერთა შორის.

წინამდებარე მონოგრაფიას წარ უსწორებდა ს. მაკალათის შრომები: „მთის რატა“ (1930), „მთიულეთი“ (1930), „თუშეთი“ (1933), „უშავი“ (1934), „ხევი“ (1934); „ხევსურეთს“ მოპევა: „მესხეთ-ჯავახეთი“ (1938), „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“ (1941), „ატენის ხეობა“ (1957), „ბორჯომის ხეობა“ (1957), „თებამის ხეობა“ (1959), „ქავთურას ხეობა“ (1960), „ძამის ხეობა“ (1961), „ფრონის ხეობა“ (1968), „ლაზეთ ხეობა“ (1971).



წინამდებარე ნაშრომში არა აქვს ხევსურეთის ამონტურაგად შიბულიშვილის  
შესწავლის პრეტერზია. ეს გახდავთ ეთნოგრაფიული ნაკველება,  
რომელიც მოცემულია ძირითადა ცრობები ხევსურეთის შე-  
სახებ. ნაშრომი ასახვს ნახევარი საუკუნის წინანდელ დონეს  
ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერებისას, მაგრამ მისი ხელ-  
მეორედ გამოცემა გამართლებულია იმით, რომ ასეთი მონაგრა-  
ფიება ჩვენა უთხებას შესახებ, ხამშურავოდ, ჯერ კადეც არ  
მოგვეპოვება.

ნაშრომი იქნება პირვანდული ხახით. ჩასწორდა ხევსუ-  
რული ტექსტების ენა და პუნქტუაცია, გასწორდა კორექტორუ-  
ლი მეცდომები.

აქვე მივუთავებთ ზოგ უწუსტობაზე, რომელთა ტექსტში  
ჩასწორებისაგან ჩვენ თავი შევიტავთ:

გვ. 83: ჩალხურისშევილი აბა პირიქითელი კი არა, პირა-  
ქათელი ხახალბო გმირბ იყო, ლიქოკველი, ხოფ. ქარწაულთადან.

გვ. 84: და შემდეგ: ავტორი ხანჯლით ჩხებს „კეჭაობას“  
უძახს; ეს ტერმინი ხევსურებმა არ იციან, იგი ბარილან არის  
შეტანილი.

გვ. 229: არ არას გასახახარებელი აზრი, რომ გუდა || ღუდა,  
კაჭმატა და სხვ. წარმართეულ ლეთაებათა სახელებია. ეს ხახე-  
ლება ადგალის სახელება: გუდანი-გუდანის-ჯვარი, კაჭმატი-  
კაჭმატას-ჯვარი, ანატორი - ანატორის-ჯვარი.

გვ. 28, 31: დასახუსტებელია ზურაბ ერისთავის ხევსურეთზე  
ლაშტრობების მარშრუტები და სხვ.

პარელ გამოცემაში დაბეჭდილი ზოგი ფოტო-სურათის ნე-  
გატივე აკტორის არქივში არ აღმოჩნდა და წიგნი ხევსურე-  
თის ბუნებისა და ყოფის ამსახველი სხვა ფოტო-მასალებით  
შეიიტო.

ფალოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი  
ა. ჭინ ჭარალ ლ ი

## ა ი ნ ა ს ი ტ ჰ ვ ა რ ბ ა

ხევსურეთი თავისი ყოფა-ცხოვრების პრიმიტივობით და ნივთა-ერი კულტურის არქაული ფორმებით კავკასიისა და, ქერძოდ, სა-ქართველოს მთიელებში წარმოადგენს წრიად საინტერესო კუთხებს. ამიტომ ხევსურეთის გაცნობა, მისი შესწავლის მიზნით, დაიწყო ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან და ეს ინტერესი დღემდე არ შენელებულა.

სოციოლოგები და ეთნოგრაფები ხევსურეთში ეძებდნენ კავკასი-ური კულტურის „პრიმატებს“ და ადამიანის საზოგადოებრივი გან-ვითარების პირველადი ფორმაციის გადანაშთებს.

მოგზაურები ხევსურეთს ეტანებოდნენ, როგორც ეგზოტიკურ სა-ნახაობას, და აქ ეძებდნენ ჯვაროსანთა წინაპრებს.

ხევსურეთის ბუნებისა და ყოფის თავისებურებანი გამოწვეული იყო მისივე განსაკუთრებული სოციალ-ეკონომიკური პირობებით. ის საუკუნეობით ეწეოდა კარჩაკეტილ ნატურალურ მეურნეობას და თე-მურ ცხოვრებას. ხევსურეთის ასეთ უძრაობას და სოციალურ ჩა-მორჩენას, სხვათა შორის, ხელს უწყობდა მისი გეოგრაფიული პი-რობებიც. ხევსურეთი მომწყვდებულია კავკასიონის ბუმბერაზ მთებ-ში და უგზობისა გამო ის საქართველოს სხვა კუთხეებს მოწყვეტი-ლი იყო.

ამიტომ ისტორიულ წარსულში ხევსურეთს არ ჰქონდა ხელშემ-წყობი პირობები, რომ ის დამდგარიყო კულტურულ-ეკონომიკური დაწინაურების გზაზე.

რესერტის თვითმშერობელობა ხევსურეთს უცქეროდა როგორც „ველურების კოლონიას“. თვითმშერობელობის უხეშმა ძალამ ხევ-სურები დააფრთხო და ისინიც თავიანთ მთებში ჩაიკეტნენ. მეფის ხელისუფლება აქ არავითარ კულტურულ მუშაობას არ ეწეოდა. ხევსურეთი ბედის ანაბარა იყო მიტოვებული და უვიცობის წყვდე-ადში იხრჩობოდა, სამაგიეროდ, კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგე-ნი ხაზოგადოება ხევსურეთში აგზავნიდა „ურწმუნო“ ხევსურების გასაქრისტიანებლად სამდვდელოებას და ეპლესიებსაც აშენებდა.



სამღვდელოებას მოჰყვა მეფის ერთგული მოხელეები: ზიმფრამათიანი  
ნი, რადღე, უვაროვები და სხვა, რომლებიც ხევსურეთის გამოკვლე-  
ვის მიზნით პოლიციის თანხლებით ხევსურეთში შედიოდნენ და  
მოსახლეობას აფორიაქებდნენ. ამასთანავე, ხევსურეთში უცხო-  
ეთის მუშაუმებისათვის აგროვებდენ ნივთიერი კულტურის ნაშ-  
თებს, ძარცვადნენ ხატ-სამღლოცველოებს, რადგანაც „ველურ“ ხევ-  
სურებს ასეთი განხეულის ღირსად არ სთვლიდნენ და ამ ეგზოტი-  
კური ხასიათის ნივთებით სურდათ განათლებული ევროპელების  
ცნობისმოყვარეობის დაქმაყოფილება.

ხევსურეთზე შრომებიც იწერებოდა, რასაკვირველია, ხევსურე-  
ბისათვის გაუგებარ უცხო ენებზე და ასეთი შრომები მიზნად არ  
ისახავდნენ ხევსურეთის დაწინაურებას და მის კულტურულ-ეკონო-  
მიურ გარდაქმნას. პირიქით, ეს კომპილატური შრომები ხევსურე-  
თის შესახებ სენსაციურსა და ყალბ ცნობებს ავრცელებდნენ და  
ამტკიცებდნენ, რომ ხევსურეთი გადავარების გზაზე შემდგარი,  
რომ მას არ შეუძლია მაღალი კულტურის შეთვისება და, მაშასა-  
დამე, ის უკვე განწირულია.

ამიტომ მეფის ხელისუფლება ხევსურეთზე არ ზრუნავდა და,  
როცა ჩვენში დიდი მთავრები და ახალი მეფისნაცვლები ჩამოდი-  
ოდნენ, ქართველ თავად-აზნაურობას ხევსურები მაშინ მოაგონდე-  
ბოდათ და აღლუმის დასამშვენებლად, როგორც უცხო სანახაობა,  
დაჯავშნილი ხევსურები გამოჰყავდათ.

არც ქართველ მოწინავე ინტელიგენციას შეუწეხებია თავი ხევ-  
სურეთის მხარეთცოდნური შესწავლით და ისიც მშობლიურ ენაზე-  
ასეთი შესწავლა ხელს შეუწყობდა ადგილობრივი მოსახლეობის  
თვითგამორკვევის საქმეს, ეს კი მეფის ხელისუფლების მიერ აქრძა-  
ლული იყო. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს განსვენებული  
ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, რომელმაც გაჩ. „ივერიის“ უურცლებზე მოგვცა  
ხევსურეთის ყოფა-ცხოვრებიდან ფრიად საყურადღებო ნარკვევები.  
მხოლოდ ურბნელის წყალობით შეეძლო იმ დროს რესულის არ-  
მცოდნებს ხევსურეთის ყოფა-ცხოვრებას გასცნობოდა.

სამწუხაროდ, ხევსურეთის ყოფა და მისი ჭირ-ვარამი არც რე-  
ვოლუციის წინა პერიოდის მხატვრულ მწერლობაში ასახულა, თუ  
არ მივიღებთ მხედველობაში ვა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა ს ზოგიერთ პო-  
ემას, მაგალითად, „გველის მჭამელს“ და „აღუდა ქეთელაურს“,  
სადაც ერთი პატარა ეპიზოდია ხევსურეთის ყოფიდან მოცემული  
და ისიც ფშავრ ფორმაში.

თვით ხევსურეთს თავისი ობიექტური პირობების გამო არ შე-  
ეძლო მოეცა ვ ა ჟ ა ს ა და ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ფ ა ზ ბ ე გ ი ს მავ-  
ვარი მწერალი, რომელსაც შეეძლებოდა ხევსურეთის ყოფის მხატ-  
ვრულ ლიტერატურაში ასახვა.

ამიტომ ხევსურეთს საქართველოს მშრომელი საზოგადოება არ იცნობდა და ამ ჩამორჩენილი მთიელების კულტურულ-ეკონომიკურ დაწინაურებაზე არავინ ფიქრობდა.

რევოლუციის შემდეგ ხევსურეთის გაცნობისა და მისი შესწავლის საქმე ჩვენში გაცხოველდა და საბჭოთა ხელისუფლება და საზოგადოებრიობა დღეს დაინტერესებულია ხევსურეთში და, საზოგადოდ, ჩვენს მთიელებში ჩაატაროს გეგმიანი მშენებლობა. ამისათვის, ბირველ ყოვლისა, საჭიროა ხევსურეთის ბუნებისა და ყოფის ყოველმხრივ და მთლიანი შესწავლა, რომ წარმოებული მუშაობა იყოს მიზანშეწონილი და ნაყოფიერი. ასეთი შესწავლა ჩვენში დღეს სტიქიურად მიმდინარეობს და ჩვენ გვაქეს ხევსურეთის ყოფის გამომედავნების რამდენიმე ცდა: მ. ჯ. ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს „თერთი საყელო“, პროფ. ა. კ. შანიძი ი ს „ხევსურული პოეზია“, გ. თ ე-ლ ი რ ა ძ ი ს „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში“, საქართველოს მუზეუმის „ხევსურეთის ეთნოგრაფიული გამოფენა“ და სხვა. მაგრამ ხევსურეთის შესწავლისათვის ეს არ კარა და ამით ეს მხარე არ ამოიწურება. საჭიროა ხევსურეთის ბუნების, შრომისა და ყოფის კომპლექსური შესწავლა, რომ ჩვენ გვქონდეს მათზე მთლიანი და სწორი წარმოდგენა. განსაკუთრებით დღეს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებას ხევსურეთში გზა გყავს, არსდება ქვერაიონი, შენდება სკოლები, საავადმყოფოები და სხვა.

ამასთანავე, აქ წარმოებს პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავს ძველი თემური ხევსურეთის ახალ სოციალისტურ ყოფაზე გარდაქმნას. ასეთ მომენტში საჭიროა ამ ძველისა და წარმავლის აღნუსხვა და შესწავლა, რომ ისტორიას არ დაეკარგოს ხევსურეთის თემობრიობის ფაქტიური მასალები, რომლის აღდგენა შემდეგში ძნელი იქნება. მით უმეტეს, ხევსურეთის მაგალითზე ჩვენ სამუალება გვეძლევა, დაკვირვება ვაწარმოოთ იმ ისტორიულ ნახტომზე, რომელიც რევოლუციური გზით შესაძლებლად ქმნის თემური წყობილებიდან სოციალისტურზე გადასვლას.

ამ მხრივ, უკველია, დღევანდელი ხევსურეთი საინტერესო იბიექტს წარმოადგენს და ეს გარემოება მოითხოვს მისი საზოგადოებრივი ყოფის მთლიანსა და ყოველმხრივ შესწავლას.

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება ასეთ მიზანს ისახავდა, როდესაც ის შეუდგა ხევსურეთის ყოფა-ცხოვრების შესწავლის საქმეს და ამ მიზნით ჩემი ხელმძღვანელობით 1933 წლის ზაფხულში გეოგრაფიული საზოგადოების კუონომ-გეოგრაფიულმა ხელიამ გაგზავნა ხევსურების ყოფა-ცხოვრების შემსწავლელი ექსპედიცია. მუშაობა წარმოებდა პირიქით და პირაქეთ ხევსურეთში. ექსპედიციამ შეაგროვა ხევსურეთის ყოფის დამახასიათებელი მასალები, ჩაიხატა და აღიწერა ნივთიერი კულტურის საგნება, ფოტო-



გრაფიულად გადაღებულ იქნა შრომის პროცესები, გართობები, ტი-  
პები და სხვა.

გეოგრაფიული საზოგადოების დახმარებით და ხელის შეწყობით  
გველა ეს მასალა დამუშავდა და ამ შრომის სახით იძეჭდება.

რასაკვირველია, ჩვენი ეს შრომა არ არის სრულქმნილი და ამით  
ხევსურეთის მრავალფეროვანი ყოფა არ ამოიწურება, რაც მო-  
ითხოვს კიდევ ხანგრძლივ საქანკედიციო მუშაობას. მაგრამ იმედი  
უნდა ვიქთნიოთ, რომ გეოგრაფიული საზოგადოების მიერ წამოწევ-  
ბულ საქმეს სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც ხელს შეუწყო-  
ბენ და შეერთებული ძალით ხევსურეთის ბუნება და ყოფა საბოლო-  
ოდ შესწავლილი და ამოწურული იქნება.

დასასრულ, ამ მუშაობის დროს ადგილზე ხელის შეწყობისა და  
მასალების მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებ: თათარა  
ჭირა რა ულ ს (ბარისახო), მგელა ჭირა ჭირა ულ ს (მა-  
ტილი), ლელა, ნათელა და მელანია ბალიაურებს (არხოტი); ექსპედიციის წევრს ალექსი ოჩიაურ ს და ბა-  
რისახოს ექიმს ერასტი ბალიაურ ს გულწრფელი დახმა-  
რებისათვის მადლობას მოვახსენებ.

ხევსურეთის ექსპედიციის მოწყობაში და მასალის დამუშავებაში  
დიდი ამაგი მიუძღვით საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების  
თავმჯდომარის მოადგილეს აკაკი გაჭახიძე ს და საზოგა-  
დოების მდივანს კაკო მარს, რომლებსაც მადლობას ვუცხა-  
დებ.

### სერგი მაკალათია.

P. S. მთის შესწავლას წარსულში ნაკლები ყურადღება ექცეოდა და  
ზოგადო მთიკლების შესახებ ლიტერატურა არც კი არსებობდა, განსაკუთ-  
რებით, ქართულ ენაში. ამ დიდი ხარევეზის შესავსებად ჩვენ განვიხრახეთ აღ-  
მოსავლეთ საქართველოს მთიკლების მხარეთცოდნური შესწავლა და ამ მიზ-  
ნით 1928 წ. დავაწევთ გეგმანან ექსპედიციების მოწყობა: 1928—29 წ. მთი-  
ულეთში, 1930 წ. ხევში, 1931 წ. თუშეთში, 1932 წ. ფშავში და 1933 წელს  
ეს მუშაობა დაგამოარეთ ხევსურეთის შესწავლით.

მძიმე იყო ეს მუშაობა, რომელსაც თან ახლდა მრავალი დაბრკოლება.  
მაგრამ კვება შესრულებულია და ეს ჩვენ გვამხვევებს, რომ შემდეგში ასეთი-  
ვე მუშაობა ჩავტარით: ხავატარით: ხავატარით, თხეთში და კავკასიონის გაღმა მთიკლებში: ქისტეთში, დაღუეთში და სხვა, რომელთა შესახებ მხარეთცოდნური ლიტე-  
რატურა ქართულ ენაშე ერთობ მცირეა.

წიგნში მოთავსებულია ფოტოსურათები გადაღებულია ჩემ მიერ.

ნახატები და ნახახები შეასრულებ მხატვრებმა: ღ. წილი სანმა და  
ღ. ხუციშვილ მა.

## 1. გეოგრაფიული მდებარეობა


ხევსურეთი მდებარეობს კავკასიონის ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხარეზე: ჩრდილოეთის განედის  $42^{\circ}27'$ — $42^{\circ}58'$  და ომისავლეთის გრძედის  $62^{\circ}28'$ — $62^{\circ}55'$  შუა. მას უჭირავს დასხლოებით 1050 კვ. კილომეტრის სიბრტყე. კავკასიონის ქედი ხევსურეთის ყოფს ორ ნაწილად: ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარე, ანუ პირაქითი ხევსურეთი და სამხრეთ-დასავლეთის მხარე, ანუ პირაქეთი ხევსურეთი ხევსურეთისაგან: არდოტისა, შატილისა და არხოტისა, პირაქეთი ხევსურეთი კი არაგვის ხეობისაგან.

აღმოსავლეთით ხევსურეთს საზღვრავს ჩაჩნეთი და თუშეთი, დასავლეთით ხევი და მთიულეთ-გუდამყარი, ჩრდილოეთით ქისტეთი (ლილო), ხოლო სამხრეთით ფშავი. ქისტეთ-ჩაჩნეთისაგან ხევსურეთს ჰყოფს მითხოსა და მაისტის მაღალი მთები, რომლებიც მიემართებიან ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, ბისნის მთიდან დაწყებული თებულოს მთამდის. ხევსურეთისა და ფშავის გამყოფი საზღვარი იწყება მცირე ბორბალოდან და ლიქოის მთით მიჯის აკუშოს წყლის სათავემდის და შემდეგ ბეტის ჩრდილზე და კიშხევზე გადადის.

ხევსურეთი მაღალმთიანი ქვეყანაა, რომელიც ღრმა ხევებით არის დაღრული. მისი გეოგრაფიული სახელწოდებაც „ხევ-ურეთი“ უკველია ქედან არის წარმომდგარი და ნიშნავს ღრმა ხევებიან ადგილს.

ხევსურეთის არაგვის სათავეები გამომდინარეობენ არხოტის თავისა და ანატორის მთებიდან. პირიქითი და პირაქეთი ხევსურეთის წყალგამყოფი არხოტის თავია (3050 მ), რომელზედაც გაღდადის არხოტ-როშკის გადასავლელი ბილიკი. ამ გადასავალს არხოტელები როშკის გადასავალს უწოდებენ, როშკელები — არხოტისას.

არაგვის სათავე შედგება როშკა-ქმოსტისა, ბლოსა და გორგელ-  
 მის წყლის შეხაკადებისაგან, რომელსაც გზაზე ერთვის: ხახმატის  
 წყალი, ოხერხევი, ბუჩქურეთისა და ლიქოვის წყალი, დათვისის  
 წყალი და აკუშის ხევი. ჩრდილოეთიდან სამხრეთით მიმდინარე  
 ხევსურეთის ამ არაგვს სოფ. მოწმოვოსთან ერთვის ფშავის ხევის  
 არაგვი და ამ აღგილსაც ორწყალი ეწოდება. ორწყლიდან (1154 მ)  
 ფშავ-ხევსურეთის არაგვი მიდის ჟინვალის მიმართულებით, სადაც  
 მას უერთდება მთიულეთის (თეთრი და შავი) არაგვი, და ეს გერ-  
 თიანებული არაგვი მცხეთასთან მტკვარს უერთდება. ორწყლიდან



### ჸ ი უ ხ ი

იწყება ხევსურეთის ტერიტორია და ამ არაგვის ხეობაშია მოქ-  
 ცეული პირაქეთი ხევსურეთი (ბარისახოსა და ბაცალიგოს თემი).

არხოტის ხეობა შემოზღუდულია მაღალი მთებით და მყინვარ-  
 წვერებით, რომელთა სიმაღლე 3000—4000 მეტრამდის აღწევს. ამ  
 მწვერვალებიდან ჩამონახეთქი წყლები იწურებიან არხოტის ხე-



ობაში, რომელსაც აგრეთვე არაგვს უწოდებენ. არხოტის წყლის სათავე შედგება კავკასიონიდან გამომდინარე ცირცლოვანისა და კიმლის წყლებისაგან, რომელიც სოფ. ახიელიდან ჩრდილოეთი-საქენ მიემართება და მას ერთვის: კალოთანის წყალი, ტანის წყალი, ბისნის წყალი, ტერლის წყალი და თაოელის წყალი. ახიელ-ამლიდან 25 კილომეტრის დაშორებით ეს მდინარე შედის ქისტეთ-ში და სოფ. „ფ ე უ“-დან, ხევსურულად „გ ო შ ტ ი გ ა უ რ ი“-დან არაგვის ნაცვლად მას ასა ეწოდება. აქვეა არხოტისა და ქისტეთის საზღვარი სახარის მაღალი. არხოტის ამ ხეობაში მოქცეულ პირიქით ხევსურებს არხოტიონებს უწოდებენ.

შატილის ან არაგვის წყლის სათავე იწყება დათვისჯვრის მთი-დან. ეს პირიქითი და პირაქეთი ხევსურეთის წყალგამყოფი ქე-დია, რომელზედაც გადადის ბარისახო-შატილის გზა. შატილის წყალი, რომელსაც აგრეთვე არაგვსაც უწოდებენ, შედგება წუბ-როვანისა და გურის წყლის შენაკადისაგან. სათავიდან შატილის წყალი ჩრდილოეთისაკენ მიმდინარეობს, მას ერთვის: შატილის-ხევის წყალი და მითხულის-წყალი.


არდოტის ხეობის სათავე ანდაქისა და არჭილოს მწვერვალები-დან მომდინარე წყლებისაგან შედგება. ფშავ-ხევსურეთის წყალ-გამყოფი ანდაქის ქედია (2745 მ), რომელზედაც გზა გადადის ფშა-ვიდან შატილში. არდოტის წყალს უერთდება ანგელოზა და ჭანჭა-ხის წყალი, შატილისა და არდოტის ეს ორივე მდინარე ადგილ ანატორთან ერთდება და მდინარე არღუნის სახელწოდებით შედის ჩაჩნეთში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ხევსურები მხოლოდ პირაქეთ ნა-წილს, არაგვის ხეობაში მოქცეულ თემებს (ბაცალიგო-ბარისახოს) უწოდებენ ხევსურეთს, პირიქითელები კი შატილიონებად და არ-ხოტიონებად (არხევატიონი) იწოდებიან.

გეოგრაფი ვახუ შტი ძველ ხევსურეთს ასე აგვიწერს: „ამ უინვანს ზეით და ხარჭაშოს ზეით მოერთვის თეთრს-არაგვს ხევსურეთის წყალი. გამოსდის ესე ძურძუქსა და ამას შორის მთას კავკასის, მოდის ჩრდილოდიმ სამხრით. ამას მოერთვის ხევი იმიერ და ამიერ და განპყოფს ხევსურეთს: აღმოსავლით, კავკა-სიდამ ჩამოსული მთა სამხრეთად, ამასა და ფშავს შორისი; სამხ-რით, ფშავის საზღვარი; ჩრდილოთ, კავკასი იმასა და ძურძუქს

შორისი. დასავლით, კავკასიიდამ ჩამოსული სამხრეთად მთა, ან გუდამაყარს შორისი<sup>1</sup>!

თავისი გეომორფოლოგიური აგებულებით ხევსურეთის უმეტესი სივრცე უჭირავს პალეოზოის ფილაქნებსა და ქვაქვიშებს, რომლებიც ქმნიან ამ მხარის უმაღლეს და მიუღიომელ ქედებს. პირიქით მხარეს უფრო მაღალი მდებარეობა უჭირავს. ის შემო-



ნახშატის ციხე

ზღუდულია: კიდევანაის (4213 მ), ცროლის (3950 მ), ვახის (3875 მ) და ამუღო-თებულოს (4.507 მ) ყინვარებიანი ქედებით. ამ ძირითად პალეოზოის თიხოვანი ფიქალების გარდა ხევსურეთის ქედის გაღმითმა და გაღმოღმა საზღვარზე გვხვდება აგრეთვე ქვემო იურას ფიქალები და ქვიშები. პალეოზოის ეს შავი ფიქალები დახუთებილ-დაბზარულია და ადვილად იშლება. ამ ფიქალებს ხევსურები საღმშენებლო მასალად იყენებენ. ხევსურეთის არაგვის ხეობას ახასიათებს აგრეთვე ყინვარობის ნაშები. ჩოჩლებიც მოცემულია

<sup>1</sup> გახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, ტურისი, 1904 წ., გვ. 138—139.

უზარმაშარი ლოდების სახით და მიმოფანტულია ჭაუხისა (3852 კმ)  
და როშის მიდამოში<sup>1</sup>.

ხევსურეთი გეოლოგიურად შესწავლილი და გამოკვლეული არ  
არის და ამიტომ ჩვენ არ ვიცით, თუ რა ბუნებრივ სიძლიდრეთა  
შეცველია მისი ბუნებრაზი მთები. მხოლოდ ზოგიერთ ადგილას  
გვხდება მცირე რაოდენობით მარმარილო (კარატის წვერი), სპი-  
ლენი, ანთიმონის ბუდობი, მთის ბროლი (ჭუთა-როშე) და სხვა.

ხევსურეთის ბუნებრივ სიძლიდრეთა ექსპლოატაციის ერთგვარი  
ცდა 1890 წელს მოახდინა ნ. ფილავა ი ჩ. რომელსაც  
არხოტელებთან ხელშეკრულებაც კი დაუდგინა, რომ ნება დაერ-  
თოთ მისთვის, ეწარმოებინა არხოტის ხეობაში ვერცხლის, სპილენ-  
ძისა და ოქროს ძიება და დამუშავება<sup>2</sup>. ხევსურეთში მოიპოვება  
მინერალური წყლებიც, რომელსაც ვეძას ეძახიან. მათ შორის  
ცნობილია ლიქოპის ვეძა, გუდანის წყარო, ნაღირხევის ვეძა, ხახ-  
მატის და ლულის ვეძა. ამ მუავე წყლებს შორის სჭარბობს ტუტე-  
მარილვანი წყაროები<sup>3</sup>, რომელთა ქიმიურ გამოკვლევას აწარ-  
მოებდა რ. კუპისი 1928 წ.

ჰავა და კლიმატური პირობები ხევსურეთის სამივე ხეობაში  
ერთგვარი არ არის. ხევსურეთის ჩრდილოეთის მხარე (არხოტ-შა-  
ტილ-არდოტი) სამხრეთან (არაგვის ხეობა) შედარებით უფრო  
ცივი და სუსტიანია. პირიქითი ხევსურეთის სიმაღლე ზღვის დო-  
ნიდან 2.800—4.500 მ აღწევს და ეკუთვნის ალპიური ჰავის ზოლს.  
აქ მთელი წლის განმავლობაში ცივ ამინდებია (წყლის საშუალო  
ტემპერატურა +5°-ია). ზამთარი სუსტიანია და თოვლ-ყინვებიანი.  
იანვრის ტემპერატურა —12°-დან —18°-დე აღწევს. გაზაფხული  
გვიან დგება. შემოღომა ადრე. ზაფხული გრილია (ივლისის ტემ-  
პერატურა +10°-დან +14°-დეა), მოკლე და ნესტიანი. ატმოსფე-  
როს დანალექის წლიური რაოდენობა აღწევს 1000 მილიმეტრს და  
უმთავრესად მოდის თოვლის სახით.

<sup>1</sup> С. Симонович, Геологич. наблюдение в области бассейна Главной или Мтиульской Арагвы в пред. Душет. уезд. Тиф. Губ. (Мат. по геол. Кавказа, серия 3, кн. 2, გვ. 101—114); ალ. ჯავახიშვილი, საქარ. გეოგრაფია, ტ. I, გეომორფოლოგია, ტფილისი, 1929 წ., გვ. 94—110.

<sup>2</sup> ამ ხელშეკრულების დედანი ინახება ექ. ერასტი ბალიაურთან (ბარისახ).  
მისი რესული ტექსტი დაბეჭდილია ი. უამარაულის ნარკვევში (Хевсурин, Очерки, Тифлис, 1926 წ., გვ. 41—44).

<sup>3</sup> რ. კუპისის ანალიზის ოქმები № 158—160, 215, 216, 303—304, 306,  
308—310 (იხ. А. Камарули, Хевсурин, Тифлис, 1929 წ., გვ. 24—40).

პირაქეთ ხევსურეთში კი, განსაკუთრებით ბარისახოსა და გუდანის ნაწილი ჰავის მხრივ უნდა მიეკუთვნოს მთის ტყეების ჰავის ზოლს (650—2000 მ), სადაც ზომიერად ცივა და წლის საშუალო ტემპერატურა ქვემო საფეხურზე  $+11^{\circ}$ -ია, ხოლო ზემოთ  $+5^{\circ}$ -დებით ჩამოდის. ზაფული აქ თბილია, შემოდგომა კი მზიანი. ატმოსფეროს ნალექის წლიური რაოდენობა საშუალოდ 1000 და 1200 მმ-დება. წვიმიანი და ნისლიანი ამინდები აქ უფრო ზაფხულობით იცის.

ხევსურეთის მთების კალთები შემოსილია ფოთლოვანი ტყით. ტყით უფრო მდიდარია პირაქეთი ხევსურეთი, სადაც შედარებით თბილა და კაკლის ხეც კი იზრდება (ბარისახო). პირაქეთ ხევსურეთში იზრდება: მუხა, ვერხვი, წიფელი, დგნალი, ტირიფი, მურყანი, არყი, ცაცხვი, ცირცელი, მსხალი, ვაშლი, ტყემალი, თხილი, ბალი, ბელა, ღვია, ფიჭვი და უთხოვარი (დათვისში).

პირიქითი ხევსურეთი ტყით შედარებით ღარიბია. არხოტის მთებზე ტყე გვხვდება „ხატის ტყეების“ სახით. მაღლობზე აქ იზრდება ფიჭვი და არყი, დაბლობებში კი: ცაცხვი, ცირცელი, დგნალი, თელა, კირცხილა, ქორაფი, იფანი, ლექი, ღვია, დეკა, ტირიფი და მურყანი. შატილის მხარეში სჭარბობს წიწვიანი ტყე, უმეტესად იზრდება ფიჭვი და არყი.

სამაგიეროდ, პირიქითი ხევსურეთი მდიდარია სუბალპური და ალპიური მდელოთი. სუბალპების მაღალი ბალახოვანი მდელო მდიდარია სხვადასხვა სახეებით და იძლევა კარგი თვისების თივას. მთის მწვერვალების დავაკებულ ფერდობებზე გაშლილია ალპების ხალი. ეს ფერდობები აქრელებულია მრავალნაირი ყვავილოვანი მცენარით!, რომელიც წარმოადგენს საუცხოო საკვებ იალაღებს და ხელს უწყობს მესაქონლეობის განვითარებას.

პირაქეთი ხევსურეთის ტყიანი ბუნება ასეთ ალპიურ იალაღებს მოკლებულია და იგი საქონლის საჭვების საგრძნობ სიმცირეს განცდის.

ხევსურეთის ტყე-კლდეებში ბუდობენ ფრინველები: არწივი, სვავი, ყაჯირი და ბორა (მომთაბარეა), იხვი, მტრედი, შაშვი, ჩხიჯვი, ოფოფი, ყვავი, ბუ, მერცხალი, ქეროზა, პრანწია, მალულიერა, კუდიტრისა, მწყერი, ტოროლა, როჭო, შურთხი, კაკაბი, ძერა, ორბი, სამურია, კუდბეჭედა.

ნაღირი: მგელი, დავვი, ტურა, კურდლელი, კვერნა, მაჩვი,

<sup>1</sup> Н. А. Буш, По горам и ущельям Хевсурин и Тушетий, СПБ, 1904 г.

ტყის კატა, ციცვი, კინდოლი, ავაზი (barcs), ფსიტი, ჭიხვი და შური  
(დედალი ჭიხვი). ბევრია განსაკუთრებით არხოტისა და შატილის  
ძლდებში.

ქვემოთ მაღალ ნი: გველი, თაგვი, ბაყაყი, ფსვენი (ხვლი-  
კი) და ლოკონინა.

თევზებში ბევრია: კალმახი, გვხვდება ფიჩხული და მურწაც-  
ხევსურეთის მოსახლეობა, როგორც აღნიშნეთ, ბუნებრივი პი-  
რობების მიხედვით სამ ხეობად იყოფა: არხოტისა, შატილ-არლო-  
ტისა და არაგვისა. მოსახლეობის რაოდენობა ამ სამივე ხეობაში  
თანაბარი არ არის: პირაქეთი ხევსურეთის მოსახლეობა თითქმის  
ორჯერ სჭარბობს პირიქითისას; თემსაბჭოების მიხედვით ხევსუ-  
რეთი ასე იყოფა: არხოტისა და შატილის (პირიქითი), ბარისახო-  
სა და ბაცალიგონის (პირაქეთი).

ხევსურეთის ცენტრად დღეს ბარისახო ითვლება. აღმინისტრა-  
ციულად ხევსურეთი ეკუთვნის დუშეთის რაიონს. რომელიც მას  
უწევს პოლიტიკურ-კულტურულ ხელმძღვანელობას.

1926 წლის სტატისტიკური აღწერის მიხედვით<sup>1</sup> ხევსურეთის  
მოსახლეობის რაოდენობა ასეთია:

#### გარისახოს თავი

რიცხვი	სოფლები	უმცირესი რიცხვი	გამაჟღა- რი	უმცირესი რიცხვი	ე	სუ	მთავარი გვარი
1	აქტო	22	33	58	91		ლიქოკელი
2	აქე	13	27	24	51		ლიქოკელი
3	ბარისახო	28	48	67	115		არაბული, ჭინჭარაული
4	ბოქტილო	13	32	33	65		ლიქოკელი
5	ბურექუთა	10	19	25	44		გოგოჭური
6	გვილეთი	20	45	41	86		არაბული
7	დათვისი	28	50	64	114		არაბული
8	ძოშმოთ	23	40	47	87		არაბული,
9	ოხტ-ხევი	10	24	20	44		ფიცხელაური,
10	საბერწე	6	9	16	25		ფიცხელაური
11	უკანახო	30	62	64	126		ბურდული
12	ქობულო	13	27	23	50		ჭინჭარაული
13	ჩირდილი	15	33	37	70		ლიქოკელი
14	ჭალის სოფელი	10	18	20	38		არაბული
		241	467	539	1011		ლიქოკელი

<sup>1</sup> იხ. მოსახლეობის სტატისტიკური აღწერა 1926 წ. ტფილის, 1929 წელი.

## გადაღიბოს თავი

რიცხვი	სოფლები	მუნიციპალიტეტი	კუთხი	ფართი	ერთ	მთავარი გვარი
1	ატაბე	12	27	20	47	გოგოშვილი
2	აყნელი	10	23	20	43	არაბული
3	ბაცალიგო	18	30	33	63	არაბული
4	ბისო	20	31	34	74	ქეთელური
5	ბლო	28	55	56	111	გიგაშვილი
6	გუდანი	19	32	36	68	მინიარაული
7	ზეისტეხო	13	21	33	54	არაბული
8	როშეა	30	66	71	137	წილაური
9	ქმოსტი	19	33	44	77	ბერლული
10	ლელის ვაკე	15	21	31	62	ბერლული
11	ლელი	17	30	39	69	ქისტაური
12	ნიკება და მო- სახო	8	19	17	36	არაბული
13	ძეძეურთა	9	17	21	38	ჭინჭარაული
14	წინ ხალუ	6	15	18	33	არაბული
15	ჭირ	9	14	14	28	ჭინჭარაული
16	ჭორმეშვილი	11	17	24	41	გოგოშვილი
17	ხახმატი	16	35	34	69	ალექსანდრი
18	ხიტალე	7	17	20	37	არაბული
19	უკანა ხალუ	23	44	65	109	არაბული
		290	547	630	1196	
გ ა ტ ი ლ ი ს თ ა ვ ი						
1	ანდაქი	10	25	24	49	ზეიადაური
2	არღოტი	25	65	59	124	ზეიადაური
3	არჭილო	8	34	39	73	ზეიადაური
4	გიორგი წმინდა	39	71	105	176	გოგოშვილი
5	გური	5	6	14	20	გოგოშვილი
6	ლებაის კარი	12	23	23	46	ჭინჭარაული
7	მუცუ	31	73	65	148	დაბური
8	ქისტანი	9	10	14	24	ჭინჭარაული
9	შატილი	50	108	10 <sup>c</sup>	213	ჭინჭარაური, ხახიაური,
10	ხახიაბო	26	70	67	137	ხოსიაური
11	ხონის ჭალა	11	23	31	64	შეთეკაური
12	ხონე	6	20	16	36	ბორჩაძე და მოსეგაშვი- ლი (ჭისტია)
		232	531	562	1110	

რიცხვი	სოფლები	შეკრულ რიცხვები	გვერდი	შეკრულ რიცხვები	ე რა	მთავარი გვარი
1	ამღა	28	48	48	96	ჭიქლაური, ჭოლოქაური
2	ახიელი	22	41	45	86	თიაური,
3	ჭიმღა	28	34	40	74	ნაროზაული ცისყარაული ჯაბუური, გიგაური, თეთრაული
		70	123	133	256	

ამ აღწერის მიხედვით ხევსურეთის მოსახლეობის საერთო რიცხვი არ აღმატება 3.472 სულს, და თუ ამ რიცხვს ჩვენ შევადარებთ 1873 წლის ხევსურეთის სტატისტიკურ აღწერას<sup>1</sup>, სადაც ნაჩვენებია 4.867 სული, მაშინ გამოირკვევა, რომ ხევსურეთის მოსახლეობა თითქმის 25%-ით შემცირებულია. ეს გარემოება საბაბს ძლიერდა ზოგიერთ შევლევას ემტკოცებია, რომ ხევსურეთი გადაგვარების გზაზეა შემდგარი და მას მოელის ფიზიკური განადგურება. ასეთი შეხედულება დაუსაბუთებელია და შემცდარი. ხევსურეთის მოსახლეობის შემცირება გამოწვეულია უმთავრესად მოსაზღვრე რაიონებში, განსაკუთრებით კახეთის მხარეში გადასახლებით. ასეთი გადასახლება ადგილის სიმცირისა და ეკონომიკური პირობებით არის გამოწვეული და დაიწყო მე-19 საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან.

ხევსურების სოფლებია: გუდამიაყარში (საკერპო და გორული), ხევში (ჭუთა და ართხმო), კახეთის მხარეს: გომბორი, ყუდრო,

1. M. B. Machabeli. Экономический быт государствен. крестьян Тионет, уезда Тифлис, губ. (Мат. Экономич. быта Государ. крестьян, т. V, Тиф., 1887 г., гл. 338—339).

2. ს. მაკალათია

ფიშვიანი, ივრის სათავე, ბაჩალი, საჭურე და სხვა. ეს პრიცესი დღესაც გრძელდება, რადგანაც ხევსურები კარგად გრძნობენ, რომ მათ მიწაწყალს შეუძლია გამოკვებოს მოსახლეობის მხოლოდ გარკვეული რაოდენობა და ამიტომ ნამრავლი იძულებულია სხვაგან გადასახლდეს და თავისი სარჩო იქ მოიპოვოს.

ამით აიხსნება ხევსურეთში მოსახლეობის კომლობრივი და რიცხობრივი შემცირება; მაგრამ ხევსურთა საერთო რიცხვი არ მცირდება და, თუ ხევსურეთის დღევანდელ მოსახლეობას ჩვენ მიუუმატებთ გადასახლებულ ხევსურთა რიცხვს, მაშინ ხევსურების საერთო რიცხვი 6.000 სულსაც გადააჭირდებს.

- გ ზ ე ბ ი: ხევსურეთი უგზო ქვეყანაა, საღაც მხოლოდ საცალფეხო ბილიკებია და ისიც ზამთრობით გაუვალი. უგზოობის გამო ხევსურეთის თემები ერთმანეთისაგან მოწყვეტილია და თავიანთ ხეობებში ჩაკეტილი. გზა ხევსურეთის მტკიცნეული საკითხია, რომელზედაც დამოკიდებულია ამ კუთხის კულტურულ-პოლიტიკური გარდაქმნის საქმეც. 1930 წლიდან დაიწყო ფშავ-ხევსურეთის გზის მშენებლობა; 1934 წლის 25 ნოემბერს ბარისახოში მოხდა ამ გზის საზეიმო გახსნა და ხევსურეთში პირველად ავიდა ათი ავტომანქანი. ამ გზის გაყვანა განხრახულია ხახმატამდის და აქედან შემდეგ შატილამდის; ფშავ-ხევსურეთის გზის მანძილი 94 კილომეტრი იქნება და ის საქართველოს დაუკავშირებს ქისტეთს და გროზენს. ეს გზა დუშეთიდან გადის არაგვის ხეობით, გაივლის უინგალს და მაღაროს-კარს, ორწყალთან უხვევს ხევსურეთის არაგვის ხეობაში და ბარისახოში შედის.

მეორე საცალფეხო გზა მიღის ფასანაურიდან გუდამაყრის ხეობით. ეს გზა გასდევს შავი არაგვის ხეობას, შემდეგ ის უხვევს ბაკურხევისაკენ და გადადის ფხიტუს ლელეს გადასავალზე, საიდანაც უკანა-ახო — ბუჩქურთით ბარისახოში ჩადის.

მესამე გზა ხევსურეთში მიღის ხევიდან (ყაზბეგი) სნოს ხეობით ჭუთამდის; აქ ეს ბილიკი ერთის მხრით გადადის ქისტეთში შიბულელეს გადასავალზე (3447 მ), მეორეს მხრით კი არხოტში ცირცლოვანსა და სამთრეხლოზე გადადის და შემდეგ ჩადის კვირიწმინ-

და-ახიელში. ამას გარდა არის აგრეთვე ხევსურეთ-უკანაფშავის გადასასვლელი ბილიკი მათურისა (3.167 მ) და ანდაქის გადასავლით. ხევსურეთ-თუშეთის გზა გადადის აწუნტის (3.570 მ) გადა-სავალზე.

ჩრდილოეთის მიმართულებით ხევსურეთიდან გზები გადადის არხოტიდან და შატილ-არდოტიდან ქისტეთ-ჩაჩნეთის ტერიტორი-აზე, საიდანაც შეიძლება ჩრდილო კავკასიის სხვადასხვა რაიონებ-ში მიმოსვლა.

შიგ ხევსურეთში არის ორი სამიმოსვლო გზა, რომლითაც ყვე-ლი თემი სარგებლობს. ასეთია არხოტისა და შატილ-არდოტის გზა.

არხოტის გზა ცირცლოვანის ხეობით გადადის არხოტის თავზე, რომელის ხორხზე და რომელ-ღელისვაკით ბარისახოში ჩადის.

შატილ-არდოტის გზა არაგვის ხეობით მიდის ბარისახო-ღული-დან გუდანამდე. აქ გზა უსვევს ხახმატის ხეობაში, სოფ. ბისო-ხახ-მატით გადადის დათვისჯერის გადასავალზე და ჩადის წუბროვანის ხეობაში. აქედან ლებაისკარსა და გურიოზე გავლით გზა შატილში მიდის.

## 2. ისტორიული მიმოხილვა

ისტორიულ-არქეოლოგიურად, ხევსურეთი ჭერ შეუსწავლელია და ამიტომ ძნელია ამ კუთხის სრული ისტორიული მიმოხილვის მოცემა. მაგრამ იმ მცირეოდენი და ნაწყვეტი ცნობების მიხედვით, რომლებიც მოიპოვება ქართულ საისტორიო წყაროებში, ჩვენ მა-ინც შევეცდებით აღვადგინოთ ხევსურეთის ისტორიული წარსუ-ლის მკრთალი სურათი.

ხევსურეთში არქეოლოგიური კვლევა-ძიება არავის უწარმო-ებია, მაგრამ შემთხვევით აღმოჩენილი ნივთების მიხედვით მაინც ირკვევა, რომ პრეისტორიულ ხანაში იდამიანს დღევანდელი ხევ-სურეთის მიდამოში უცხოერია. ამას მოწმობს აქ აღმოჩენილი ბრინჯაოს ხანის ნივთები და სამკაულები.

ამ ნივთებს შორის აღსანიშნავია ბრინჯაოს ზალტეები, ზრჩხ-  
ჯაოს ქიხტისთავი და ბრინჯაოს მრგვალი ბალთები<sup>1</sup>. რაც შეეხება  
ხევსურეთზე ისტორიულ ცნობებს, უნდა აღნიშნოთ, რომ ქართულ  
საისტორიო წყაროებში ეს კუთხე ხევსურეთის სახელწოდებით  
XV საუკუნეების არ იხსენიება. ეს გარემოება საბაბს აძლევდა  
ზოგიერთს მკვლევარს ეფიქრა, რომ ხევსურეთი დასახლებულია  
საშუალო საუკუნეების მიწურულშით. აქ ვითმოც-და მოემწყვდენ  
ცრახვი ჯვაროსნები და ხევსურებისაც ამ უცხო ენისა და ტომის  
ჯვაროსნების ნაშთად სთვლიდნენ. ამას უმთავრესად იმითაც ასა-  
ბუთებდნენ, რომ ჯვაროსნებივით ხევსურები ტანისამოსს ჯვრებით  
იმპობენ და ატარებენ საშუალო საუკუნეების ჯვშან-იარაღს, რო-  
ელთა შორის გვხვდება ჯვაროსნობის ღროის ხმლები<sup>2</sup>.

ჩვენ აქ არ შევუდგებით ზისერმანისა და სხვათა ამ  
უსაფუძვლო ჰიპოთეზის განხილვას ხევსურების წარმოშობის შე-  
სახებ; ეს ჰიპოთეზი მხოლოდ გარეგანი ნიშნების შემთხვევით მსგავ-  
სებაზეა დამყარებული; მაგრამ, სამწუხაროდ, ხევსურებზე ეს ყალ-  
ბი წარმოდგენა დღემდის გავრცელებულია რუსეთისა და უცხო-  
ეთის ლიტერატურაში.

ძველ ქართულ მატიანეში ხევსურეთი და ფშავი ერთად იხსენი-  
ება „ფ ხოვი“-ს სახელწოდებით, თვით ხევსურები და ფშავლე-  
ბი კი „ფ ხოვე ლე ბა დ“ იწოდებიან. ამას მოწმობს გეოგრაფ  
ვასუ შტის ცნობაც; იგი ჰერეთ-კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ  
მხარის აღწერაში ამბობს:

„...არამედ აწ უწოდებენ ფშავ-ხევსურსა, რომელთა პირველ  
ეწოდათ ფხოელნი“. (იხ. მისი გეოგრაფია, გვ. 127). შემდეგ ვა-  
ხუშტი ამასვე იმეორებს ფშავის აღწერაშიც: „არამედ ძევლად  
ეწოდა ამ ორთა ხეობათა (ფშავ-ხევსურეთს) ფხოელნი და აწ უწო-  
დებენ ესრეთ“, ე. ი. ფშავ-ხევსურეთს (იქვე, გვ. 140).

<sup>1</sup> ეს ნივთები დაცულია საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიურ განყოფი-  
ლებაში (იხ. Коллекции Кавказского музея, Тиф., 1902 г., გვ. 38, №№ 919—  
928).

<sup>2</sup> А. Л. Зисерман, Двадцать пять лет на Кавказе (1842—1867),  
часть I, СПБ, 1879 г., გვ. 253.



აღსანიშნავია, რომ ხევსურეთის მოსაზღვრე ქისტები ხევსურეთის რეგიონის დღესაც „ფხ ხია“-ს ან „ფხ ხაე“-ს<sup>1</sup> უწოდებენ, რაიც იგივე ფხოელს ნიშნავს<sup>2</sup>. რომ ისტორიული ფხოეთის ქვეშ ფშავ-ხევსურეთი იგულისხმება, ეს მისი ისტორიულ-გეოგრაფიულ აღწერიდანაც სჩამს: „გუდამაყრის ხეობის აღმოსავლეთით ფხოელთა მთაზე იყო ფხოეთი, რომელსაც აღმოსავლეთით „დიღოეთი“ (ლეკეთი), ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით „თოშეთი“ (თუშეთი) საზღვრავდა“-ო<sup>3</sup>.

ერთი სიტყვით, საისტორიო წყაროების მიხედვით „ფხოვი“-ს სახელწოდებით ჩვენ გვაქვს მოცემული ფშავ-ხევსურეთი, რომელიც გეოგრაფიულად და კულტურულ-ისტორიულად, როგორც დღეს, წინათაც ერთ მთლიანობას წარმოადგენდა. ამიტომ ისტორიული წარსული და თავგადასავალი ამ ორივე კუთხისა ერთვარია.

პირველად ფხოველნი იხსენიება „მოქცევად ქართლისახ“-ში, სადაც აღწერილია იძერიდების მოქცევა ქრისტიანობაზე (337 წ.). და წმ. ნინოს მოღვაწეობა.

„... და წარვიდა ნინო და ეპისკოპოსი იოვანე, და მათ თანა წარატანა მცდემან ერისთავი ერთი. მივიდეს და დადგეს წობენს, და მიუწოდეს მაეულთა, პირუტყუთა სახეთა მათ კაცთა, ჭართალელთა, ფხოელთა, წილკანელთა და გუდამაყრელთა. და უქადაგეს მათ სჯული ქრისტიანობაზე ჰეშმარიტი, მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ. ხოლო მათ არა ინებეს ნათლისღება. მაშინ ერისთავმა მეფისამნ მცირედ წარმართა მახვილი მათ ზედა, და ძლევით შემუსრნა კერპნი მათნი.

გარდამოვიდეს მუნით და დადგეს უალეთს, და უქადაგეს ერწოთანელთა. ხოლო მათ შეიწყნარეს და ნათელ-იღეს. ხოლო ფხოელთა დაუტევეს ქვეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთს. და

<sup>1</sup> А. Шаниძე, Отчет о летней командировке 1913 г. в Душетский и Тионетский уезды Тиф. Губ. для изучения Груз. говоров (Изв. И. А. Наук, серия VI, № 18, СПБ., 1913 г., гл. 1072).

<sup>2</sup> Н. Я. Марр, Кавказские племенные названия и местные параллели, Петроград, 1922, гл. 4—5.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, ტფილისი, 1914 წ., გვ. 301.

სხუანიცა მთეულნი უმრავლესნი არა მოიქცეს, არამედ დაუშძიმა მათ მეფებან ხარკი, ოდეს არა ინგებეს ნათლის ღება. ამისთვის წარკრბეს იგინი და შესცეს, და რომელნიმე უკანასკნელ მოაქციონა აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსმან და რომელნიმე მათგანნი დარჩეს წარმართობასავა შინა დღეს-აქამდე<sup>1</sup>.

მემატიანეს ამ მოკლე ცნობიდან იჩქვევა, რომ ფხოეთი IV საუკუნეში დასახლებული ყოფილა და წარმართ ფხოელებს, ე. ი. ფშაველებსა და ხევსურებს, ქრისტიანობა არ მიუღიათ და, ეტყობა, მათი ერთი ნაწილი თუშეთში და კავკასიონის მიღმა მხარეში გადახვეწილა. მაგრამ ამავე ცნობის მიხედვით მოსახლეობა ფხოეთში (ხევსურეთი) უფრო ადრე უნდა ვიგულოთ, ყოველ შემთხვევაში, არა უვიანეს I საუკუნისა; ამ დროიდან დღემდის მოსახლეობა ამ კუთხეში უწყვეტია.

შემდეგ საუკუნეებში ფხოელნი იხსენიება კახეთის ქორიკოზის კვირიკე II დიდის დროს (1014 წ.) როდესაც კვირიკე II კახეთი ხელმეორედ დაიპყრო და ახალი საერისთაოები დააწესა, მათ შორის მოხსენიებულია ფხოელთა ქვეყანა: „მეორე (ერისთავი) დასვა კვეტერისა და მისცა უჯარმას ზემოთ ორთა მთათა შორის, რომელ არიან კახეთსა და კუხეთისა ვიდრე კავკასიამდე და გარდაღმად. ეს არს ერწო-თიანეთი, ფხოელნი, ძურძუკი (ჩაჩნები) და ღლილვი“-თ (ინგუშები ან ქისტები)<sup>2</sup>.

ამგვარად, XI საუკუნეში ხევსურეთი (ფხოვი) ქისტ-ჩაჩნებთან ერთად (ღლილვი და ძურძუკი) აღმინისტრაციულად შედიოდა კახეთში და ექვემდებარებოდა კვეტერის საერისთაოს.

თამარის მეფობის უკანასკნელ წლებში დაახლოებით 1212 წელს, ფხოველებმა და დიდოელებმა ამბოხება მოაწყეს და მათ წინააღმდეგ თამარმა ლაშქარი გაგზავნა ივანე მხარგრძელის სარდლობით:

„მათ უკუე ჟამთა იწყეს მთეულთა განდგომად, კაცთა ფხოველთა და დიდოთა. დიდონი უკუე ბუნებითა მშთვართა და უხარშავსა ჭამენ, და მრავალნი ძმანი ერთსა დედაკაცსა მიიყვანებენ

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხეჩიშვილის მიერ. ტ. I, 1955, გვ. 125—126.

<sup>2</sup> ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ტფილისი, 1913, გვ. 151.



ცოლად; რომელი უჩინარსა რასამე ეშმაკსა თაყუანისცემენ დაიგვარობით, ზოგი უნაშნოსა შვესა ძალლსა, და ამას ჰყოფენ. ხოლო ფხო-ელი ჯუარის მსახური არიან და ქრისტიანობასა იჩემებენ. ამათ იწყეს რბევად და კოცად და ტყუეობად, ცხადად და ღამით.

მოუწოდა მეფემან ათაბაგსა და ყოველთა მთეულთა: დვალთა, ცხრაზმელთა, მოკევეთა, კადელთა, ცხავატელთა, ჭართალთა, ერწო-თიანელთა, მისცა ივანე ათაბაგსა და წარავლინა მათ ზედა. ხოლო ივანე გონიერად ყო: ალვიდა მთასა კადისას და წარელო წუერი მთისა, წარდგა მთასა ფხოველთასა და დიდოთასა, რომე-ლი არავის ექმნა, არცა პირველ, არცა შემდგომად, რამეთუ ერთ-ერთო დაურჩა დურძულებით და ერთ-კერძო დიდოეთი და ფხოეთი.

ცნეს რა მისლვა ათაბაგისა, მოვიდეს ძლუენითა მეფენი დურ-ძუკთანი, მოსცეს ლაშქარი და დაუდგეს გვერდსა. და იწყეს ზე-იდალმან ბრძოლად, და რბევად, და კლვად, და ტყუეობად და დაწუად; მოსწყვლეს ურიცხვ კაცი დიდო და ფხოვი. და დაყვნეს სამინი თუნი: ივნისი, ივლისი და აგვისტოსი. მაშინ შეიწრებულთა ათაბაგისათა მოსცეს მძევლები და აღუთქუეს მსახურება და ხა-რაჯა, და პირი სიმტკიცისა აღუთქუეს. წამოასხეს მძევლები, ქმნეს ზავნი. და ესრეთ გამარჯუებითა მოვიდა ივანე მეფეს წინაშე და რქუა: „ძლიერო მეფეო! იქმნა ბრძანება შენი, მოვაოკრენ ურჩნი შენი დიდოეთი და ფხოეთი“. ხოლო მეფემან დიდად დაიმადლა და უაღრესსა პატივსა აღიყვანა. და იყო ყოველგან მშვიდობა“-ო<sup>1</sup>.

სამწუხაროდ, მემატიანეს მოხსენიებული არა აქვს, თუ რა პოლიტიკურ-ეკონომიური მიზეზით უნდა ყოფილიყო ეს ამბები გამოწვეული. მაგრამ, ცხადია, ამბოხება ძლიერი და ამასთან საში-შიც ყოფილა, რომ თამარი იძულებული გამხდარა მის ჩასაქრო-ბად გაეგზავნა თვისი დიდი სარდალი ივანე მხარერძელი. მეფის ლაშქარი გადასულა კავკასიონის ქედზე და ისე შემოუვლია მეამ-ბოხეთა მხარე. სამი თვის ბრძოლის შემდეგ დამარცხებულ ფხოვე-ლებს ათაბაგისთვის შერიგება უთხოვით და მორჩილების ნიშნად მძევლები და ხარაჯა მიუციათ. ამ დროიდან XV საუკუნეების სა-ისტორიო მწერლობაში ფხოვის შესახებ ცნობები არ მოგვეპო-ვება. არ ისხენიება თვით სახელი ფხოვიც, რომლის ნაცვლად უკვე ფშავ-ხევსურეთია მიღებული.

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. 2. 1959, გვ. 111—112.

XV საუკუნეში ფეოდალური მონარქიის დაცემისა და ტკმლიშვილის ხანაში ფშავ-ხევსურეთი და თუშეთი ისევ გადამდგარიან და კახეთის მეფეს გიორგი I დავითის ძეს (1471—1492 წწ.) არ ემორჩილებოდნენ თუშეთი და ფშავ-ხევსურნი, არამედ დიდოეთი ერთგულებისათვის დავითისა ერთგულობდნენ ამათ და მსახურობდნენ“—თ 1.

ამ გარემოებისათვის ყურადღება მიუქცევია კახთ მეფეს ლევან II (1520—1574 წწ.), რომელსაც განუზრახავს ხევსურეთისა და ფშავ-თუშეთის შემორიგება და ოლუთქვამს მათვის საძოვრების დათმობა:

„არამედ ამას წინათა კახთა მეფეთა არღა-რა მორჩილებდნენ ფშავ-ხევსურნი და თუშეთი და ამან ლევან დაიპყრნა არა ძალითა, არამედ ოლუთქვა, რათა ცხოვარნი მათნი უვნოდ მძოვარ-იყუნენ კახეთს და მისცა შეწირულობა ლაშას ჯუარსა თიანეთს შინა და მიერით-გან მისცემენ ლაშქარსა და ბეგარასა“ (იხ. იქვე, ქართ. ცხოვრ. ნაწ. II, გვ. 107).

რასაკვირველია, კახეთის სამეფოსათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხევსურეთის შემომტკიცებას. ეს პროვინცია მას ჩრდილოეთიდან საზღვარს დარაჯობდა, საიდანაც კახეთს მუდამ ჩრდილოეთის ტომები ემუქრებოდნენ. ამასთანავე, ხევსურეთი იხდიდა ბეგარას და სალაშქროდაც გადიოდა, მაგრამ მეფეებთან ბატონ-ყმურ დამოკიდებულებაში არ ყოფილა.

საზოგადოდ, მთა სახასო იყო, ის მხოლოდ მეფეს ემორჩილებოდა და იქ კერძო მებატონეს ხელი არ ჰქონდა. მთის გამგებლობა ქსნისა და არაგვის ერისთავებს ჰქონდათ ჩაბარებული. გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დების მიხედვით ერისთავებს ექვეძებარებოდნენ: გამგებელი ანუ მოურავი, ხევისთავი, ხევისბერი და ციხისთავი 1. ხევსურეთი კახეთის სამოურაოში შედიოდა. მაგრამ ფაქტოურად მას ხევისბერები განაცებდნენ თემური ადათების მიხედვით. და თუ ამ თემურ თავისუფლებას მეფის ხელისუფლებისაგან რაიმე საფრთხე მოელოდა, ის მზად იყო განდგომისა და ამბოხებისათვის.

ხევსურეთის თემების თავშესაფარი და მთავარი ადგილი იყო

1 ს. მაკალათია, მთიულეთი, 1930 წ., გვ. 16—27.

გუდანი, სადაც გუდანის წმ. გიორგის ჯვარი და დროშა ესვეტჩა აქვთ იხდილენ ხევსურები სამღვთოს, აქვე იყო გუდანის-ჯვარის ქადაგი, რომელიც ხალხს ამცნობდა გუდანის-ჯვრის ბრძანებას ლაშებრიბისა თუ ზავის შესახებ. გუდანის-ჯვარი ლაშერის სარდალი იყო და მისი ბორაყი ლაშეარს მუდამ წინ მიუძღვდა.

მაგრამ თემური ხევსურეთის ამ თავისუფლებას ფეოდალებისაგან მუდამ საფრთხე მოელოდა, განსაკუთრებით, მეფის ხელისუფლების შესუსტების დროს. და მაშინ გაძლიერებული არაგვის ერისთავები ცდილობდენ სხვა მთიელებთან ერთად ხევსურეთის დაპყრობასაც. ამ მხრივ ცნობილია ზურაბ არაგვის ერისთავის (1619—1629 წწ.) ხევსურეთში გალაშერება, რომლის შესახებ გალექსილი ეპიზოდები და ხევსურეთის გმირული თავგადასავალი ხალხში დღემდის შემონახულია.

ზურაბს ხევსურეთისაკენ პირველად ორშულით გაულაშერია, სადაც ფშავ-ხევსურეთის არაგვი ერთდება:

„ფშავის ორშუალში ჩაეიდათ,  
მანდ ომი მოგვიხდებისა,  
მანდ მოვლენ ფშავნი, ხევსურნი,  
ზურაბიც მაშავდებისა“.

ზურაბს აქ ფშაველები შებრძოლებიან და ის ამ გზით ხევსურეთში ვერ შესულა. მაშინ ზურაბის ლაშეარს მთიულეთით შემოუვლია, გუდამაყრის ხეობით გადასულა ხევსურეთში და ლიქოების ხეობაში შეჭრილა:

„ერისთავ შაპურის ლაშეარსა,  
კანჭის ქედს დაგროვდებისა,  
სახევსურეთოდ ჰგულავის,  
არაგვწედ შაბაღგებისა.  
აკუშოს წინ-წინ მავიდა,  
ხმა ლიქოებს გავარდებისა“.

ლიქოების ვიწრო და მაგარი ხეობა ზურაბს დიდხანს ვერ გაუტეხია და ლიქოელებსაც ამ ბრძოლაში გულაღობა და ვაჟკაცობა გამოუჩენიათ:

„იანგარ წოწეოლაური,  
მშვილდ ძალზე გეზიდებისა,  
ელიზბარ ფოცხვერიშვილი

„ხმალ, გაძერ!“ გეუბნებისა.  
 ერისთვის აზნაურებსა  
 ყორნებ პწელით ეზიდებისა!

გიხოცავთ აზნაურები  
 დაბლა, აქუშოს წყალზედა,  
 უხიდოდ არ გაივალის,  
 მაგ სისხლის ალაზანზედა!

ზალხური თქმულებით ზურაბს ლიქოის ხეობა დიდხანს ვერ გაუტეხია. მაშინ გაბრაზებულ ზურაბს განუზრახავს ლიქოელების სალოცავზე „ე მ ა ლ ა ხ ა ტ ზ ე“ მდგარი აღვის ხის მოჭრა<sup>1</sup>, რომ ამით ლიქოელებზე შური ეძია. ეს ხმალა ხატი ყოფილა ლიქოის ხეობის მისავალში ბარისახოს ვაკეზე. აღვის ხეს მირნი სდიოდაო და ამით ხალხს ნათლაგდნენო. ზურაბის ლაშქარს ხე ვერ მოუჭრია, რადგან ყოველ ცულის დარტყმაზე ხე უფრო მაგრდებოდაო. მაშინ ერთ ღულელ არიშაულს ზურაბისათვის უსწავლებია, აღვის ხეს კატის სისხლი წაუსვით და მაშინვე წაიქცევაო.

ზურაბიც ასე მოქცეულა და აღვის ხეც მოუჭრიათ. ამის შემდეგ ლიქოის ხეობას აღვილის ანგელოზი განშორდა და ზურაბმაც ახალშელიწად დღეს ლიქოის ხეობაც აიღო. მხოლოდ სოფ. აქუშო ზურაბს მაინც ვერ გაუტეხია:

... სომეხასა და მინდოდას წინ ვერენ დაუდგებისა...  
 აქუშოს რად მოხვიდოდი, ზურაბ, არ იყავ ჰკვიანი,  
 ახლო მოხვდავ ქუდნისლა, საძახებელა ტიალი,  
 მოგდიეს ვანექვამდა, მშეილდნი მოგჭებდეს რქიანი,  
 მოგდევდეს, მოგაწუხებდეს, ხმალი მოგწებდეს ფხიანი.

ზურაბს ხევსურეთის დასაპყრობად მესამედაც გაულაშერია. იგი ხევსურეთში ხევის გზით გადასულა და სოფ. როშქაში შექრილა:

„როშქას ატირდეს ციხენი,  
 ბლოს სახლნი ქვითირისანი;  
 როშქის ხორხს ზურაბ ჩამოგდა,  
 შუქნ ჩამოუშვნა მზისანი“.

1 ასეთივე თქმულება გავრცელებულია ფშავშიც, სადაც ლაშარის ტმელ გორაზე მდგარა ბერმუხა და ის ზურაბის ლაშქარს ვერ მოუჭრია. მაშინ ერთ უქანა-ფაველს, გვარად აცდიაურს, ზურაბისათვის უთქვამს, ბერმუხას კატის სისხლი წაუსვი და წაიქცევაო. ამის შემდეგ ზურაბს მუხა ადვილად მოუჭრია და მას შუხის ანგელოზი განშორებიაო (იხ. ს. მაკალათია, ფშავი, 1934 წ., გვ. 20—22).

ზურაბის ეს გამოლაშქრება მოულოდნელი ყოფილა და ხელშეკრიცვალი, სურებს მასთან პირდაპირ შებრძოლება ვერ გაუბედნიათ. ხევსურებს ზურაბისათვის ელჩები მიუგზავნიათ, შერიგება უთხოვიათ და ბეგარაც შეუძლევიათ:

„სანეს დაგროვდეს ხევსურნი;  
„პატრონნ ვართ ოდგილისანი,  
ზურაბო, დაჭვ, დაგვეხსენ,  
ნარჩიმნ ვართ შენის ხმლისანი,  
თორემ ჩვენც შამოგეცდებით,  
ხოჯეგნ ქარს გვიღვან ლვოისანი,  
მოგვივლენ მთასიქითელნი,  
ნაპირის ადგილისანი“—ო.

მაგრამ ზურაბი ბეგარის შეძლევით არ დაკმაყოფილებულა და ხევსურეთისათვის ყმობა მოუთხოვია. ხევსურებს ყმობა არ მიუღიათ და გუდანის-ჯრის ბრძანებით ზურაბზე გაულაშქრიათ. ბრძოლა მომხდარა სოფ. გუდანთან, ბეგენთ-გორთან, სადაც დიდი გმირობა გამოუჩენია ხევსურ მამუკა ქალანდაურს:

„თან მოჰყვეს ქალანდაურსა  
მამუკას შუქენი მზისანი,  
ბეგენ-გორს ჩამოეწია,  
ქარნი ჭრნა ზურაბისანი“.

ამ ბრძოლაში ზურაბი დამარცხებულა, მისი ლაშქარი განახევ-რებულა და დახოცილთა სისხლით ღულის წყალი წითლად შეღ-ბილა:

„ღულის ძირს წისქვილნ დაბრუნდეს  
ზურაბის სისხლის წყლისანი“.

ამ გამარჯვების აღსანიშნავად ქალანდაურს ბეგენთ-გორში სამანი ჩაუდგამს:

„ამანდით ამაბრუნდების,  
სამანნ ჩაპყუდნა, ქვისანი,  
«იმას ვინც გადამიცილდას, —  
ცოდვან ახეიდნა ხმლისანი; —  
ვაჟ ვინაც იყვას, ესრე ქნას,  
გუდანს ვინც ლახნა ქვიშანი»“.

ამ ბეგენთ-გორში დღეს ერთი დიდი ლოდი დევს, რომლის უკეთეს, ხალხური თქმულებით, თვით მამუკა ქალანდაური ასაფლავია. ეს ადგილი წმინდა ადგილად ითვლება. ექვენოსანი ხევსური ჩამოხტება და ფეხით გაივლის. ზოგი ამ ლოდზე სანთელსაც ანთებს და ლოცულობს.

ხალხური თქმულებით, ზურაბი ხევსურეთში ლაშქრობით რომ ვერას გამხდარა, მას ღალატის ათვის მიუმართოვს და ამ მიზნით ხევსურეთის თავკაცები თრუსოში დაუბარებია, ვითომც საქმეზე მოსალაპარაკებლად. ზურაბმა ხევსურები ნადიმზე მოიწვია და დანდობით მათ იარაღი აახსნევინაო.

„ხმლებს ნუ დაიხსნით, ხევსურნო, ზურაბ არ დაინდობათ“.

მაგრამ ცამიერ ზურაბს სტუმარ-მასპინძლობის ეს ადათი დაურღვევია და უიარაღონ ხევსურები ნადიმზე ვერაგულად დაუხოცია. გადარჩენილა მხოლოდ ერთი ხევსური ალუდა ალექსაური, რომელსაც ზურაბის მეღვინე მოუკლავს და გამოქცეულა. ამ ამბავს ხალხი დღესაც სიმწარით იგონებს:

„ზურაბო ერისთვის შვილო,  
სისხლისიმც დაგლევს წყალია!  
თრუსოს აწიენ ხევსურნი,  
ღალატით დასჭერ თვია“<sup>1</sup>.

ამგვარად, თემობრივი ხევსურეთის ეს ბრძოლა მებატონე ზურაბის დამარცხებით დამთავრდა; თავისი გამარჯვება ხალხს ასე გაულექსია:

„ხევსურეთშია, ზურაბო,  
ვერ იქამ ერისთობასა,  
გაგიშვრილდება კისერი,  
ვერ შესძლებ ქვეითობასა...“

მე წინავ გითხარ, ზურაბო,  
ხევსური კაცი უტია,  
ქალანდურის ფრანგულმა,  
ხმალმ შექი გამოუტია“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ა. შანიძე, ხალხური პოეზია, 1, ხევსურული, სახელგამი, 1913 წ., გვ. 6, 9, ლექსი 18, 19.

<sup>2</sup> ნ. ურბნელი, ისტორიული კვალი სახალხო პოეზია, ზურაბ არაგვის ერისთავი (გან. ივერია, 1888 წ., № 238, 241).

მაგრამ ძლიერი ზურაბი ხევსურეთისათვის მაინც საშიშროებები წარმოადგენდა და, როდესაც 1629 წელს თეიმურაზ I-მა ზურაბ ერისთავი ლალატით მოკველევინა, ამას მთაში დიდი სიხარული გამოუწვევია; ეს ამბავი ხალხს ასე გაულექსია:

„ზურაბ, თან გახლენ მსახურნი, ერთხან რო დაიბადეო,  
გაითქვი ისპანამდენა, ყევენთან გაზიარდეო.  
სადაც წაასხი ლაშქარი, სულ ყველგან გაიმარჯვეო,  
აშენებული ოცეთი, ხარ-ცხენი ამოლალეო,  
შაგიქეს სოსლონის შვილი, წახვედ, ეგიცა ნახეო,  
სოსლონის შვილის ლურჯი სიმამრსა გაუგზავნეო.  
ზურაბ გიბარებს სიმამრი: სიძევ, საფურცლეს მნახეო,  
ლალატ ჩემ გაგიძედავის, ლალატ ჩემიც ნახეო.  
მოართვეს ხილი საჭმელად: სიძევ, შეექცე ხილსაო“.  
ჯერ ხილი კამა ზურაბმა, მემრ პირი წახყვა ლხინსაო,  
თავს აღდან მედალატენი, მომსხდარნ ხყვნ ყურის პირსაო.  
ლალატ შაუტყა ზურაბმა, აჩქარდა, ზურნას ხსნისაო.  
თუშეთ მოურავის ხანგალმა, ზურაბ, გიწვდინა ცრუსაო.  
ხმლითა სცა ყვიჩიხარიძემ: „დაპჰარით კაბბის შვილსაო!“  
ბარამს უბოძე, ბატონო, ზურაბის ცხენი საღარი.  
ტყავ-ჯაბა — საგინიშვილისა, ზედ ოთალანი მაღალი;  
კაცი წალალეთ ხევსურეთ, ფშავ-ხევსურეთის ჩაფარი;  
უთხროდით ხევსურათ შვილებსა, ტანთ აიყარან აბჯარი.  
დაწევან ლოგინშე უშიშრად, ძილ დაძინონ მაგარი.  
მოქლეს ზურაბი საფურცლეს, ალარ მოგივათ ლაშქარი.

მე-17 საუკუნეში ხევსურებმა მონაწილეობა მიიღეს ბახტრიონის აღებაში. 1658 წელს კახეთის მმართველმა სელიმ-ხანმა ბახტრიონისა და ალავერდში თათრები დაასახლა. ამასთანავე ის ხელს უწყობდა ლექების თარეშს და ამით გათამამებული ლექებიც თუშების ცხვარ-საქონელს იტაცებდნენ. თუშებმა დახმარება სოხოვის ფშავ-ხევსურეთს. ამ მოწოდებას ხევსურეთი გამოეხმაურა, რაღვან თათრებისა და ლექების გაძლიერება საფრთხეს უმზადებდა თვით ხევსურეთსაც, რომელსაც მუდმივი ბრძოლა ჰქონდა ჩრდილოეთის ამ მოსაზღვრე ტომებთან. ხევსურები გუდანის დროშით ბახტრიონისაკენ სალაშქროდ წასულან:

„როშკით მოვიდნენ ხევსურნი:  
სუმელჯაურნი ცხრანია,  
ამღითა — ბათავის ძენი,  
ჭინჭიარაულნი მმანია,

გუდანელთ ჩამოსძოლია  
 ხოშარეული ხარია,  
 ხევსურთ, რო ზეავმა მოისამა,  
 წინ მაიმდლვარეს ქარია,  
 კორმეშელთ, ჭილო ბიჭებსა  
 ღულულებიცა სტანია,  
 ხახიარელთ ცხენის ფეხის წმამ  
 შააზრიალა მთანია”.

(ვაშა-ფშაველა, ბახტორინი).

ფშავ-თუშ-ხევსურეთის ეს ლაშქარი შეუერთდა ზაალ ერისთავის მხედრობას და 1659 წელს მათ ბახტორიონი აიღეს, ხოლო დამარცხებული სელიმ-ხანი გაიქცა:

„ზაალ ერისთავმა შემოიფიცა საყმონი თვისნი და ფშავ-ხევსურ-თუში, წარუძღვანა ძე თვისი და მიუხდეს პირველად ბახტორიონს, მოსრინეს და მოსწვიტეს თათარნი, მერმე ალავერდს და შემდგომად ყოვლსა კახეთსა“—ო. (ვახუ შტი, საქარ. ცხოვრება, გვ. 189).

საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ მე-17 საუკუნის დასაწყისიდან მთაში პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა გართულდა, განსაკუთრებით თეიმურაზ I მეფობის დროს, როდესაც სპარსეთის მბრძანებლის შაჰ აბასის მთელი პოლიტიკა მიმართული იყო ქართლ-კახეთის დაპყრობისკენ. ამ მიზნით შაჰ-აბასი ამხედრებდა ჩრდილო-კავკასიაში მობინადრე მთიელებს, განსაკუთრებით, ქისტ-ჩაჩნებსა და ლექებს, რათა მათში შეესუსტებინა საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული გავლენა და, ამავე დროს, შეეკრა დილოეთ-ქისტეთით რუსეთისაკენ მიმავალი გზები, საიდანაც ქართლ-კახეთის მეფეები მოსკოვის მეფესთან დიპლომატიურ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ. ამიტომ შაჰ აბასი სხვადასხვა ხერხებით ცდილობდა, ქისტ-ლექებში შეექმნა საქართველოსადმი მტრული განწყობილება.

წინათ კი VII—XVI საუკ. მანძილზე ქისტ-ჩაჩნები და ლექები საქართველოსთან მეგობრულ კავშირში იყვნენ და აღმინისტრაციულად ფშავ-ხევსურეთთან ერთად ისინი შედიოდნენ ხუნდახისა და პანჯის-კვეტერის სამოურაოში (იხ. ვახუ შტი, საქართვ. ცხოვრება, გვ. 151, 158).

ამასთანავე, ქისტეთ-ლექეთი იმყოფებოდა საქართველოს კულტურული და სარწმუნოებრივი გაულენის ქვეშ. ამას მოწმობს ძველ



ძურმუტეთ-ღლილვეთში (დღევანდელი ქისტეთ-ჩაჩნეთში) არსებული ქართული სტილის ძველი ტაძრი, რომელიც დაცულია ასას ხეობაში და ცნობილია თხაბა-ერდის სახელწოდებით. ტაძრი შემკულია ასომთავრული ქართული წარწერით და IX საუკ. არის დათარიღებული<sup>1</sup>. ამავე ტაძარშია ნაპოვნი ქართული ფსალმუნის XI—XII საუკ. ხელნაწერი<sup>2</sup>.

დაღესტანში კი ცნობილია ხუნძახის ქართული წარწერა<sup>3</sup> და „დათუნია“-ს ნიში.

რომ ისტორიულ წარსულში ჩაჩნეთ-დაღესტანი და ყოფილი ზაქათალის ოლქის და ნუხის მაზრის მოსახლეობა სარწმუნოებრივად საქართველოს ეკლესიას ეძველებარებოდა. ამას, სხვათაშორის, მოწმობს მაღალაშვილის სახარების მე-14 საუკუნის ერთი მინაწერი, საიდანაც ჩანს, რომ ეს მხარე შედიოდა ქერმუხის მთავარი ეპისკოპოსის სამწყსოში:

„ქ. ოდეს სანატრელმან მან პატრიარქმან ჩუენმან ექთიმე მოიხილა კახეთს ანწუხისა საეფისკოპოზო და მიერითგან გარდამოვიდა წახურს, კავ-ელისენს და მოვლო საყდარნი... ხუნძა, ნახთა, თოშეთისა, ნეკრესისა, ლაგოეთისა, ბელაქანისა, მაჭ-ფიფინეთისა, ფერიჯან-მუხას-მამრეხისა, და ყოვლისა კაჯისა, ესე იგი არს; ძუელისა მოვაწისა, ელისენისა, ვერხვიანით ზეგანით გამო ვიდრე ივრის მდინარის ჩისართავამდე ალასანსა. და ამან სანატრელმან ექთიმე გიბრძინა ქურმუხისა მთავარ ეფისკოპოსსა და ყოვლისა მთეულისა წინამდღარსა კირილე დონაურსა გარდაწერინებად სახარებისა და წარგზავნად თუითეულისა თვს ექლესიისა...“ და სხვა<sup>4</sup>.

<sup>1</sup> თხაბა-ერდის ეს ეკლესია პირველად აღწერა შრედერმა (იხ. მისი Cagebuch einer Reise die im Jahr 1871 von der granzfestug Mosdok nach dem innern Caucasus mit ernommen worden, st Petersburg.

1797, გვ. 38—40); В. Миллер, Археологич. наблюдения в области Чеченцев (Мат. по археологии Кавказа, вып. I, Москва, 1889 г., т. XII, გვ. 8—24; Д. Бакрадзе, Мат. по археологии Кавказа, Москва, 1909 г., т. XII, გვ. 25; Г. К. Мартirosian, Нагорная Ингушетия (Изв. ингуш. научно-исслед. института краеведения, Владик., 1928 г., გვ. 46—48); მ. ჯანაშვილი, შეხეხიშვილი, ივერია, 1895 წ., № 132.

<sup>2</sup> Вертепов, Терский Сборник, т. VI, Владик., 1903 г., გვ. 118.

<sup>3</sup> Е. Такайшвили, Груз. надписи на археол. предметах, хранящихся в кавк. Музее в Тифлисе (Изв. Кав. отд. Моск. археол. О-ва, вып. I, Тифлис, 1904 г., გვ. 63).

<sup>4</sup> გ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, ტფილისი, 1895 წ., გვ. 205.

ამასთანავე ძლიერი იყო ქართული მატერიალური კულტურისა და ენის გავლენა ქისტ-ჩაჩნებ-ლეკებზე<sup>1</sup>. საყურადღებოა აგრეთვე ისტორიკოს თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობაც, რომელიც ამბობს:

„ქისტი, ღლილვნი და ძურმუკნი პირველ იყვნენ ენითა ქართულითა მომზრახნი და ქრისტიანენი... ლეკნი იყვნენ ქრისტიანენი და სცვეიდენ ენასა ქართულსა ვიდრე თემურ-ლაგამდე (მე-14 საუკ.), რომელმანაც დაიძყრნა იგინი, მოაქცივნა მრავლისა ტანჯუთა, ლიქნითა და წყალობითა; დაუდგინნა არაბნი მოლანი და განუწესა მათ, რათა ასწავებდენ ყრმათა მათთა წერილსა არაბულისი ენისასა. მისცა შათ ბრძანება ფიცხნი არღარა კითხვად და არცაღა სწავლად ქართულისა წიგნისა რათა, არცაღა ენა ქართული იზრახვებოდეს მათ შორის. მხოლოდ დაშთა ენა ქართული ლექთა შორის ანწუხელთა, რომელნიც დღეინდელად დღემდე ზრახვენ ქართულსა ენასა... არიან ლეკთა შორის ძევლად ნაშენები ეკლესიანი და მონასტერნი — რომელნიმე სრულიად თლილითა ქვითა ნაშენი, განა აწ რომელნიმე დარღვეულნი და სხვნი უქმად, რომელნიმე მიზგიდებად (მეჩეთებად) მათდა შეცვალებულნი...“

XVI—XVII საუკუნეებში, როგორც ჩვენ აღვნიშნეთ, სპარსეთის პოლიტიკის წყალობით, ქისტეთ-ჩაჩნეთ-ლეკეთი საქართველოს სარწმუნოებრივად გამოეთიშა და იქ მაპმადიანობა შეიქრა: სარწმუნოებრივი ანტაგონიზმის გაჩაღება ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა, რომ სპარსეთის შაჰებს საქართველოს წინააღმდეგ ლეკები აემხედრებინათ. ამით წათამამებულმა ლეკებმა თეიმურაზ I მეფორბისას დაიწყეს ქახეთის აშერა მტრობა და თეიმურაზი იძულებული იყო, მათ დასაპყრობად ჭარი გაეგზავნა:

„არამედ უკეთუ მტრობდენ ლეკნი, ამისათვის წარავლინა თეიმურაზ ომანიშვილი ქაიხოსრო: ესე შევიდა დაღისტანსა შინა და დასდგა მთასა ზედა, უწყო რბევა, სრვა და ოხრება, და ვითარ ვერ ვინ წინააღმდეგნენ, ითხოვა ბუკი თეიმურაზისა-გან, რამეთუ მოში-შარ იქნებიან უფროსად“ (იხ. ვახუშტი, საქართ. ცხოვრება, გვ. 175).

<sup>1</sup> А. Н. Генко, Из культурного прошлого Ингушей (Записки кол. восстоковедов при Азиатском Музее Академии Наук СССР Республики, т. V, Ленинград, 1930 г., гл. 738—741).

შაგრამ ლექები თეიმურაზს მაინც არ უსვენებდნენ. შაჲ აბასი მოსყიდვითა და სხვადასხვა დაპირებებით ლექებს ქვეზებდა კახეთის დასარბევად:

„ხოლო შაპაბაზ მოვიდა კახეთს და მუნიდან ტფილისს ქრკ. ტდ. (304)=1616 წ. ეზრახა ლექთა: „რამეთუ მნებავ მოწყვეტა კახეთი-სა და რომელნი შემოვიდნენ თქვენ-კერძთა მთათა შინა, თქვენ მოსრენით და ტყვე-უვენით იგინი და აღგავსე მეცა ნიჭითა“; მსმენელთა მათ სიხარულით აღუთქვეს, მაშინ შაპ-ბაზ წარმოავლინა ტფილისიდამ სპანი დიდნი ხერქსა და ერწო-თიანეთსა ზედა... მოსრნა, მოსტყვევნა და მოახსრნა, განძარცვნა ეკლესიანი... გარნა ვიეთნიმე მორჩენენ ფშავს, ხევსურეთს, თუშეთს და სიმაგრეთა... არამედ ლექთაცა უყვეს ეგრეთ, ვითარცა აღუთქვეს შაპ-აბაზს“ (იხ. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 178-179).

ლექები განსაკუთრებით მტრობდნენ მათ მოსაზღვრე თუშ-ფშავ-ხევსურებს, სძარცვავდნენ და ოხრებდნენ მათ სოფლებს და აქედან სათარეშოდ კახეთში გადადიოდნენ. დაღესტნის აშლალობის საფრთხეს თეიმურაზ I კარგად გრძნობდა და ლექების და-სამორჩილებლად და რუსეთის გზის გახსნის მიზნით ახლა თვით თეიმურაზმა გაილაშქრა დიდოეთში:

„განიზრახა თეიმურაზ შესვლად დიდოეთს, რათა მოაქციოს კერპობისა-გან და ჰყოსცა გზა რუსეთისა და შეიწიოს იგი. შემოკრებულითა კახითა შეუხდა და შემუსრნა რაოდენიმე კოშკი და მოსწვა დაბნები. არამედ დიდოთა მოიმწნეს ლექნი და დაუწყეს ბრძოლა ისრითა და საგორავებთა, მოკლეს რუსთველი წინაშე მეფისა, და მასვე უამსა ცხენი თეიმურაზისა და მოწყვიტნეს მრავალნი კანი; ივლტოდნენ და მოვიდა თეიმურაზ კახეთს მტირალი და მეტყველი: „ვაი დარბაისელ ეპისკოპოს მოწყვეტილსა“. ქრკ. ტც (328)=1640 წ.

ამგარად, თეიმურაზი აქ დამარცხდა, დიდოეთი კახეთს საბოლოოდ ჩიმოშორდა და ამ მიმართულებით თეიმურაზს რუსეთის გზაც დაეხშო.

ამის შემდეგ თეიმურაზი იძულებული იყო რუსეთისაკენ გზა ქისტეთ-ჩაჩნეთის მიმართულებით გახსნა და 1638 წელს მას იქ გაულაშქრია. თეიმურაზს ქისტ-ჩაჩნები დაუმორჩილებდა და რუ-



სეთ-კახეთის გზა მას გაუხსნია<sup>1</sup> ხევსურეთ-ფშავ-თუშეთის მოსკოვის მეფესთან დიპლომატიურ მიმოწერას აწარმოებდა.

ხევსურები მონაწილეობას იღებენ აგრეთვე თეიმურაზ I და მოსკოვის მეფის ალექსი მიხეილის ძის შორის დიპლომატიურ მოლაპარაკებაში და 1657 წელს თუშებთან და ფშავლებთან ერთად თავიანთ წარმომადგენელ ხევისბერებსაც აგზავნიან მოსკოვში და სთხოვენ ალექსი მიხეილის ძეს ქვეშვერდომობას და მფარველობას.

ჩვენ აქ მოვიყვანთ ამ 1657 წლის დოკუმენტის ტექსტს:

„ქ. დიდო და ყოვლის მპყრობელო ბატონო, დიდო მეფევ და ყოვლო ქრისტიანეთ ხელმწიფევი, ალექსი მიხეილის შეილო! ყოვლისა მპყრობელო! შენის ბრძანებითა ჩვენს დედოფლალს და ბატონის შეილსა კაცი ებოძა, და ჩვენი ქვეყნის კაცი დაებარებინა, რომე ჩვენც ამ დიდოს ხელმწიფის ხელთა ვართო, და თქვენც ამისი ყმანი შეიძენით და თქვენც ამის დაუკარით თავიო, აწე... ხელმწიფევი, ჩვენი ხელმწიფევიც თქვენი... არის და ჩვენც თუშეთის და ხევსურეთის და ფშავის ქვეყანითა სამთა ქრისთიანთ ქვეყანასა პირობა გვიქნი და ზურგი მოგვიბამს ერთმანეთისათვინ და ელჩები გამოგვიგზავნია. ხევისბერი სოზიმე მაქსიმინი და გრიგოლ სილორინი, და პავლე ივანინი და შენ ყმანი შევემნილვართ და თავი დაკვირავს. როგორც თქვენი ბრძანება იქნება, ჩვენ იმის მქენენი ვართ: ჩვენა ერთი ღმერთი ვიცით და მეორე ხელმწიფე თეიმურაზ. ჩვენ მაგარს ალაგს ვართ და არას კაცს შევებოვებით. იმდენ ხანი არის, საქართველოს ყაენი ებრძეის და ჩვენ არც შემოგვაშვი ყაენის კაცი, და სადაც მოგვიხულება, მოგვიკლავს და მისი სარდარი გაგირცევაა და ლაშქარი გავიზუვეტია; აშე, დიდო ხელმწიფევი, ჩვენი ხელმწიფე ყაენმა წააზიანა და ზურგი აღარ საით გვერდდა, და მღვთისაგან ველოდებოდით, რომე ერთი

<sup>1</sup> ამ გალაშქრების შესახებ თეიმურაზი სწერს მოსკოვში მეფეს: „Сам я с боярами и войском отправился ради великой любви к Царскому Вашему Величеству; пошел и открыл дорогу через туския горы, по Псавским, Клегудским, Хевсурским и Кистинским, по которой дороге ни посол, ни древние Иверские цари не проходили в эти горы. А с Божиего силою и милостью в ц. в. (житии) всех этих гор мне подчинились и принесли мне свои старые записи и я их скрепил, и многие крестились, и теперь еще стоят церкви, иконы и колокола. Там, в Кисте мы встретились с послами в. ц. величества, но я еще более трудился, целых два месяца, пока (открыл) очистил дорогу в г., и божиего силою и милостью т. ц. величества подчинил горцев, так что они сделались моими рабами, так то и сперва было во время Льва (ლევაბი ჯანთის ბერი, 1520—1574 წწ.).

М. Броссе, Переписка на иностранных языках. Груз. царей с Российской Государями от 1639 по 1770 г., СПБ, 1861 წ., გვ. 29.



შენი ბრძანება და კაცი მოგვსვლიყო; აწე მოგვივიდა შენი ბრძანებაცა ფუნქციების და მოვლენის კაციცა, და თქვენ ბრძანება გაგვითავებია, და შენ შე-მოხვეწინვართ, და შესხვის თავი დაგვირჩას, გვიმსახურე და ვილაშერე. ამ დღეისთვის შენი შევქმნილვართ”<sup>1</sup>.

ხელშურებმა ასეთივე დიპლომატიური ხასიათის შერილი გაუგ-ხავნეს 1658 წელს მოსკოვში მეფე ალექსი მიხეილის ძეს:

„დიდო და ყოვლისძპრობელო ხელმწიფე, ყაველი ქრისტიანეთ რწუ-ლის დამამტკიცებულო, სრულებ საქრისტიანოს საჭერა მპყრობელო და ყო-ველო ურჯულოთ გამაქარებულო, დიდის მოსკოვის ტახტზე ჭრომილო და სრულ საქრისტიანოს ზურგო და სიქადულო, დიდებულო ხელმწიფე, ღვთივ გვირგვინოსანო, მეფეთ შეცვე, დიდო მეცვე, ბატონო ალექსი მიხაილის შეილო: თქვენმა მონღლობილმა ქვეყანამა თუშეთმა, ხევსურმ და უშავება სრულ ერთობილთა თავი დაგვირჩას და თქვენს ნაღობს მიწას კონტენილვართ: იგრეთვე ამას წინათაც, დიდო ხელმწიფე, ჩვენი ელჩე-ბი გახელით და სრულად ერთობილთა თავი დაგიარით და ასრუ მო-გახსნეთ, რომ ჩვენ ერთი ღმერთი ვიციოთ და მეორე საქართველოს ხელ-მწიფე, მეცვე თეომურან და ჩვენ სხვას ურჯულოს კაცის ხელშევით არა კონფილვართ თუ არ ქრისტიანის ხელმწიფის კუმანი კუოფილვართ და გვიმსახურებია და ახლა ჩვენს ხელმწიფესა ურჯულომ კუმნია დახსლივი და რაღაც ჩვენი ხელმწიფე თქვენ ხელო ქვეშ არის, დიდო ხელმწიფე, ჩვენც თქვენს ხელო ქვეშ შევიწერით და არც უსაივლილოდ ურჯულოს კა-ცის კუმბა არ შეგვიძლიან, თუ არ ქრისტიანის ხელმწიფის და ახლა, მაღალო ხელმწიფე, ჩვენი ელჩები გამობრუნებულ იყო, და ჩვენის ბატონის რძლის კაცი ივანე მაქსიმეს შეილი და თერგზე რომ მოსულ იყუნეს, ჩვენი ხელ-მწიფე წინ შემოპყროლა, და ერთი ჩვენი ელჩი იქ დაეჭირა და ორი კი-დევ გმოუშო და ერთი თავისი კაცი ივანე მაქსიმეს შეილი და ასრუ ებრძნა ჩვენს ხელმწიფესა ჩვენთვის, რომე ერთი ღმერთი იცოდეთო, და მეორე, ეს დიდი ხელმწიფეო. როგორც ამისმა ბრძანებამ დაგარიგოსთ, ისრე ქენითო, და სხვას კაცისათვის არმც თავი მოგაიდრეკიათთ, ან სხვა კაცი თქვენს ქვეყანაში შემოგამვითო. მოვიდა ჩვენი ელჩებიც და ჩვენის ხელმწიფის გმოგზავნილი კაციცა და ჩვენთვის ბრძალი წყალობა გებრძა-ნებინა და მაგათი ბედნიერი ხელი დაუდებია, ასრუ გებრძნა: ჩემი კუმ-ნი შეიქენით და მემასხურეთო და გისაც გამტერ, უმტერეთო, თუ რამ დაგვირდეს, შემატყობინეთო და ლაშქარს მოგაშეველებთო, და თუ ჩემი ლაშქარი გმომუძახო, ან სხვაგნით, თქვენ მზას იყვენითო, რა ჩემი ბრძანება მოვიციდეს, შეიყრენით და ჩემს ლაშქარში გაერთივნითო და მილაშერეთო და სხვა მრავალი წყალობა გებრძნა ჩვენთვინა: დმერთ-მან ბედნიერის ხელმწიფის კირის სანცვალონი გვამყოფოს, და მაგათა დღე ერთი ათასაღ იქნას: ჩვენ არა ღირს ვიყვენით, რომ ბედნარს ხელ-მწიფეს ჩვენთვინ წყალობა ექნა: ახლა კიდევ ელჩები ვაახელით დიდს ხელმწიფესა და რვა კაცი: ნაუბ ივანეს შეილი, პეტრო ნაუმის შეილი, ალექსანდრე აბრამის შეილი, მიხაილ გრიგოლის შეილი, გრიგოლ მიხაილის

<sup>1</sup> Б р о с с е , Переписка Грузинских царей с Российскими Государями от 1630 по 1770 г., СПБ, 1861 г., гл. 74—75.



შვილი, ივანე ივანეს შვილი, სვიმონ ზაქარიას შვილი, კუჩა ცემდნის შვილი გამოვევგზავნია და შევიტყვეთ, რომ ჩევნი ხელმწიფე თქვენთან წამოსულა და როგორაც თქვენი ბრძანება მამივა, ისრე ვიქ, და ისრე გამისახურებთ (იხ. M. Brocse, გვ. 229).

რასაკვირველია, ორივე ეს წერილი ნაკარნახევი იყო თეიმურაზ მეფისაგან, რომელიც ფშავ-ხევსურეთში იყო განიზნული და მოსკოვის მეფის დახმარებით სცდილობდა კახეთიდან სპარსელების განდევნას და თავისი ტახტის დაბრუნებას. ამისათვის საჭირო იყო ფშავ-ხევსურეთის დიპლომატიური ენით ამერიკელება

მე-18 საუკუნეში, თეიმურაზ II (1744—1760 წწ.) მეფობის უკანასკნელ წლებში, „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, ხევსურეთი კახთ მეფისაგან გამდგარა და მას წინანდებურად თურმე არ ემორჩილებოდა:

„ქრონიკონს უმგ (443)= 1755 წ. ამა ხანთა შინა ხევსურის ქვეყანა აღარ დამორჩილდა კახს ბატონს და პირველისამებრ აღარ მონებდნენ. ჩამომარძანდა კახეთიდამ კახი ბატონი ერეკლე ქალაქს და მოსთხოვა ფარგვანი მამასა თვისსა ქართველ ბატონს მეფეს თეიმურაზს, ინება ხევსურეთისა დალაშქრვა. გაისტუმრა მამამან ცხებულმან ძეი თვისი მეფე ერეკლე და გასცა ბრძანება თავადთა ქართლისათა, რათა იახლნენ თან: მიბრძანდა მეფე ერეკლე ანანურს, შემოეყარნენ იქ ქართველნი ამორჩევით დიდებულთა შვილი და აზნაურ-შვილი, ზემო ქართლისანი და ერისთავები ორივე დავით და კიმშერ, წაბრძანდა ანანურიდამ, მიბანდა თიანეთს, იქ შემოეყარნენ ჯარი კახეთისა. ზამთარი იყო, თოვლი დიდი და გზა საკირო, დაიქვეითეს ყოველთა, თვინიერ მეფისა და იმანცა ბევრ-ჯერ იარის ქვეითად, მივიღნენ, ფშავნი მოეგებენ, ფშაველნი დახვდნენ, რაც იმ ქვეყანას გაეწყობოდა მოართვეს მოსართმევი, ენებად იქიდამ გადასვლა ქვეყანასა ხევსურისასა: რა შეიტყვეს ხევსურთ, შემოეხვეწნენ ხევსურნი და ითხოვეს დანაშაულისა მიტოვება, შეუნდო ცდომა მათი და შემოიჩიგა, იახლნენ უფროსნი კაცნი და მოართვეს ჯორნი, ძროხანი და ცხვარნი ფეშქაშად და დაიღვეს თავს სამსახური, რაცა ძველთაგან კახ ბატონებისაგან სდებოდათ, გამოართო ბატონმა მძევლები და განუტევა ხევსურნი მშვიდობით“-ო<sup>1</sup>.

<sup>1</sup> საქართველოს ცხოვრება პაპუნა ორბელიანისა. ტფილისი, 1913 წ., გვ. 218.



ამ ცნობილან ირკვევა, რომ ხევსურეთი თეიმურაზისაგან გამჟღავნებული გარდა, მაგრამ მემატიანეს ამის მიზეზი აღნიშნული არა აქვს. ხევსურები, ერყობა, ბეგარას არ იხდიდნენ და მათ დასამორჩილებლად ხევსურეთში თვით ბატონიშვილს ერეკლეს გაულაშერია. ხევსურებს წინააღმდეგობა ვერ გაუბედნიათ და ერეკლესათვის მორჩილება განუცხადებიათ და ფეშაშიც მიურომევიათ. ერეკლეს ხევსურეთი შემოურიგებია, მათვის დაუდგია სამეფო ბეგარა და ამის სიმტკიცის ნიშნად მძევლებიც წამოუყენია. ამის შემდეგ ერეკლესა და ხევსურებს შორის კეთილი განწყობილება დამყარებულა.

ერეკლეს აქ ყოფნა ხევსურებს დღესაც ახსოვთ. გადმოცემით, ერეკლე გუდანში მისულა, გზად ლულის ვაკეზე გაუვლია და აქ შეუსვენია ორი მუხის ქვეშ, რომლებსაც ახლა უჩვენებენ. გუდანში ერეკლე ხატში შესულა და უთქვამს: მე გუდანის-ჯერის მოძმევარო. ამიტომ ერეკლე თურმე თავისუფლად შედიოდა ხატის დარბაზში, საღაც სხვას შესვლა ეკრძალებოდა. დარბაზში ერეკლე სმამალლა დაიწყებდა ლაპარაქსო, ვითომც გუდანის-ჯვარს ესაუბრებოდათ. შემდეგ მეფე დარბაზიდან გამოლიოდა და ხევსურებს ამცნობდა გუდანის-ჯერის ბრძანებას ლაშერობის შესახებო. ხევის-ბერები მაშინვე აიღებდნენ გუდანის-[ჯვრის] ღროშის და სალაშეროდ ქუდზე კაცი გადიოდათ. ამას ეს ხალხური ლექსიც მოწმობს:

„აფარდა ერთი ურკულო, ნეიფი თათრის ხანიო,  
ერეკლე გუდან მოგვიგა, შემოიხვინა ყმანიო.  
თავ-თავ ხევსურსა იყითხება: «ხევსურთ ვინა გავავთ თავიო?»  
ხევსურნ იმედას მოუგლენ: «ბერლის გაგვილო ქარიო,  
გამოგვიბრძანენ დროშანი, სამივ აგვიბი ზარიო,  
ხევსურებ დაგვიმწყალობნე, წყრომით არ გაძყვეს ჯვარიო,  
დაუჭერინ ურუშა საქალაქონი გზანიო» და სხვა.

ამგვარად, გუდანის-ჯერის კმები — ხევსურები მისივე მოძმის — ერეკლეს ყმებიც გამხდარან და ხევსურეთიც მუდამ მზად ყოფილა ერეკლეს სამსახურისათვის. ხევსურეთის შემომტკიცების მიზნაც ერეკლეს ამასთანავე იქ მოუნათლია ორმოცდაოთხი ბავშვიც და ნათლიაც თვითონვე ყოფილათ.

ერთი სიტყვით, ერეკლეს მეფობაში (1760—1798 წწ.) ხევსურები ერთგულად ემსახურებოდნენ კახეთის სამეფოს. ისინი იყვნენ



მეფის ამალაში და მონაწილეობას იღებდნენ ერეკლეს სხვადასტურება  
ბრძოლებში. ასეთი დაახლოება გამოწვეული იყო იმდროინდელი  
პოლიტიკურ-ისტორიული ვითარებით, განსაკუთრებით, ქისტეთ-  
ჩაჩნეთისა და ლექეთის აშლილობის შიშით. მათი თარეშით აკლე-  
ბული იყო კახეთის სამეფო. ამ მხრივ ხევსურეთს, როგორც მათ  
მოსაზღვრე კუთხეს, უაღრესი მნიშვნელობა ეძლეოდა ჩრდილო-  
ეთის საზღვრების დასაცავად. და როდესაც ერეკლე II ლექების  
თარეშის ასალაგმაგად მორიგი ლაშქრობა დაწესა<sup>1</sup>, მან ამ ბეგარი-  
საგან ფშავ-თუშ-ხევსურნი გაათავისუფლა<sup>2</sup>, რადგანაც მათ ისე-  
დაც ევალებოდათ ქისტეთ-ლექეთის საზღვრების დაცვა. თვით ხევ-  
სურეთიც დანტერესებული იყო მეფის დახმარებით, რადგან ამ  
კუთხეს ქისტეთ-ლექებთან დაუსრულებელი მტრობა ჰქონდა და  
ხევსურები თავდაცვისათვის მუდამ მზად უნდა ყოფილიყვნენ.  
ქისტეჩაჩნები და ლექები სარგებლობდნენ კახეთის სამეფოს და-  
სუსტებით, გადადიოდნენ ხევსურეთში და იტაცებდნენ: საქონელს,  
სარჩოს, მიყავდათ ტყვეები და სხვა. მათ წინააღმდეგ საჭირო იყო  
ძალა და დახმარებისათვის ხევსურეთს მეფისათვის უნდა მი-  
ემართა.

ამასთანავე საყურადღებოა, რომ შატილის მხარე სადედოფლო  
ყოფილი და ის დედოფლის გამგებლობაში შედიოდა. ამას მოწ-  
მობს დასტულამალის ერთი ვარიანტის მინაწერი, სადაც ნათქეა-  
მია: „მე ალექსის ძე დავით მისს უგანათლებულესობას ჩემს ხელ-  
მწიფეს და ხელმწიფას. ძეს ბატონიშვილს დავითს ფშავსა და ხევ-  
სურეთს გახლდი. დიდად შეუვალ[ი] და საჭირ[ო] გზა ყოფილია  
კაცთათვის სავალად. მუნ ყოფასა ჩემსა, რაოდენიც ფშავსა ანუ  
სრულიად ხევსურეთსა შინა სოფელნი თვალითა ჩემითა ვიხილე,  
მათ სოფელთა სახელი თვითეულად ამას უკუე დასტულამისა ბო-  
ლოსა აღვწერე. ქ. ხევსურეთის სოფელნი ესენი არიან. ქ. სადე-  
დოფლო სოფლები:

- ქ. ქისტანი — სადედოფლო,
- ქ. გური — სადედოფლო,
- ქ. შატილი — სადედოფლო,
- ქ. ხახაბო — სადედოფლო
- ქ. მიცუ — სადედოფლო.

<sup>1</sup> მორიგი ლაშქრის განჩინება (კრემული I, ტფილისი, 1871 წ., გვ. 141—142).

<sup>2</sup> Б у т к о в, Материалы для Истории Кавказа, т. I, СПБ, 1859 г.  
გვ. 288.

შემდეგ ჩამოთვლილია ხევსურეთის დანარჩენი / არა სადედოფ-  
ლო / სოფლები და ბოლოს აზის თარიღი: „აღიწერა სექდემბერს  
კვ (26). წელსა ჩრპთ (1789 წ.). [დავით].

ხევსურები უშუალოდ მეფეს ემორჩილებოდნენ და მეფის კრ-  
თან დაახლოვებული იყვნენ. საქმისათვის ერეკლეს პირადად მი-  
მართავდნენ და სთხოვდნენ დახმარებასა და წყალობას. ამის სა-  
ილუსტრაციოდ ჩვენ აქ მოვიყვანთ ერეკლესადმი მიმართვის ხევ-  
სურის ერთ არზას:

„ქ: ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მისცეს არხოტი-  
ონელს თქვენს ყმას გაბუურს ალუდაურს და მის ძმას ივანეს: ჩვე-  
ნი მეზობელი ამღიონელი გარდამექიდა დაუნაშავებელი, სასიკვდი-  
ლოთა მდევს, ხევსურისა არც რჯული დაიჭერა და არც სამართა-  
ლი. მე იმას ვერ მოვრჩები, სამი წელიწადი არც მანევრინა და  
არც დამათხვევინა. ამ წყალობას გვევდრებით: ჯუთა ერთი ვერანა  
ადგილია, თქვენი მამულია, ის ადგილი მიბოძეთ, იქ დაგსახლდე  
დმერთი გაგიმარჯვებს. მარტის ४ (8) ქსკ უმა (461)=1773 წ.

იმ დღეს რომ ვეტენი მოგართვი, მე ის ვარ, თუ წყალობა და  
მემართებოდეს ერთი ოქმი მიბოძეთ“.

ამ საბუთზე წარწერილია მეფის ასეთი ბრძანება:

„ქ. ბატონო არაგვის მოურავო — ქაიხოსრო ამ არზის პატ-  
რონს: არხოტიონელს კაცს ამ არზით რომელი ადგილიც უთხოვა  
იმ ადგილზე დააყენე. მარტს იმ (18) ქსკ ყმა (462)=1774 წ“. აზის  
ბეჭედი ერეკლე“<sup>1</sup>.

ერთი სიტყვით, ერეკლე მეფისა და ხევსურეთის ასეთი დაახ-  
ლოვება და მეგობრული კავშირი გამოწვეული იყო თავდაცვის  
საერთო ინტერესით, რომ გაერთიანებული ძალით მოეგრძებინათ  
ქისტ-ლეგების შემოტევა და ხევსურებიც ერეკლეს მოწოდებისთა-  
ნავე მუდამ მზად იყვნენ ხელში გუდანის-[ჭვრის] დროშით მტერზე  
გასალაშქრებლად:

<sup>1</sup> ეს საბუთი ინახებოდა სოფ. ჭიმლაში და ეკუთვნოდა ბესარიონ გაბუურის  
ოჯახს. საბუთი დღეს უკვე დაკარგულა. მისი ფოტო სურათი გადაღებული  
იქნა მიზან სუჭიშვილს, ფოტოს მოწოდებისათვის მის მაღლობას მო-  
გახსენებ.

„ამბავ მოვიდა ბარადა: დაიძრა თათრის ჯვარით;  
 გაცი მაღლა ბატონშა: თავი დამჭირდა ყმისაო,  
 ხევსურებ ჩამომივიდან, თორ ქალაქ წამერთმისაო.  
 სანეს შეყრილან ხევსურნი, ნაჩქევნი, თემ-თემისაო,  
 დასვეს ბელლის-კარს ქადაგი, ლალის გუდანის-ჯერისაო,  
 ადგნენ წავიდენ ხევსურნი, ერთმანეთს არ უცდისაო,  
 ირავზე ჩიმააშუვიან ჭარ თეთრის ხირიმისაო.

ჩავიდეს ქუდასხდელასა, ელვა დგას ჩიჩქნებისაო,  
 ჰეხით მთართეს სალმი ერეკლეს მეფის შეილსაო,  
 ერეკლემ ხეითხა შვიდობა, მზე ეფინების პირსაო.  
 გახყიდრა კახთ თავადები, ერთ ხევსურ კარგად ცდისაო,  
 «ეგ ნითელიძე იქნებისა», ერეკლე იცნისაო”.

ხევსურებს მონაწილეობა მიუღიათ ასპინძის ომში (1770 წ.),  
 სადაც დიდი გულადობა გამოუჩენია მეფის ამალაში მყოფ შვიდ  
 ხევსურს. ამის შესახებ მემატანე ასე მოვკითხრობს: „ოდეს ინი-  
 ლა მეფემან ირაქლი ეს ჯარები (ოსმალ-ლეკები) მიწევნილი, მაშინ-  
 ვე თვით გამობრუნდა რაოდენითმე ჩინებულითა და შინა-უმითა  
 თვისითა და შვიდითა ხევსურითა. განპსწირა თავი თვისი და ეკვე-  
 თა ფიცხლად, ვიდრე სიყვდილამდე და იყვნენ ყოველნი მეფისთა-  
 ნა მყოფნი ქართველ-კახნი მხედედ და უმეტეს შეიდნი იგი ხევსურ-  
 ნი“-ო 1.

ასპინძის ამ ომის ამბავი და ლექის ბელადის კოხტას მოკვლა  
 გალექსილია და მას ხევსურები დღესაც მღერიან 2:

„ერეკლე ბატონიშვილი ტახტეით გარმამხდარია,  
 იარალები აუსამ, ბაბლიას გაღმმჭდარია;  
 კაცი ხევსურებ წალალი: «თავ დამჭირდება ყმისაო».  
 ქალაქს მიუა ბატონსა ჭოგი ლეგისა მგლისაო;  
 სურამი გადაიარეს, აწყვერსაც მიუდგებისა,  
 აწყვერის სიმაგრეჩია ლეკაბი ჩაუდგებისა.  
 ბატონიშვილი შეწუხდა «ჭარ რაით გმილშედებისა!»  
 ხევსურებ მაახსენებრი: «დღეს ჩეენი გადაგეხდებისა!»  
 ჩამერიჩივნენ ხევსურნი, ერეკლე ჩამოპყვებისა,  
 ლოხაურიშვილ სუმბატი ხელიან კაცთ წინ უძლვებისა,  
 ერეკლე ბატონიშვილსა პირზე მზეი ეფინებისა,  
 მოუკლავ კოხტა ბელადი, გლეხი არ ეკადრებისა».

1 თბან ხერხე ულიძე, საქართველოს ცხოვრება, ტფილისი, 1913 წ., გვ. 265.

2 რ. ერისთავი, ასპინძის ომი, ტფილისი, 1870 წ.; მისივე, ქართული  
 ხალხური პოეზია, კრებული, 1888 წ.; ა. შანიძე, ხალხური პოეზია, I,  
 ხევსურული, ტფილისი, 1931 წ., გვ. 19.

ხევსურები იბრძოდნენ აგრეთვე კრწანისის ველზე აღა-მამია ქართველი მართლიანობის სახით 1795 წელს. ხევსურებს ეს ისტორიული აბავი ახლაც ახსოვთ და, როდესაც არაგვის ერისთავს ქაიხოსროს ერეკლეს ბრძანებით ხევსურეთი სალაშქროდ გამოუწვევია, შეიარაღებული ხევსურები მაშინვე მეფის კარზე გამოცხადებულან. ერეკლეს მათთვის სალამი მიუკია და უთქვამს:

„მიშველუთ, ჩემნო ხევსურნო,  
უნჯრი ყმანი ხართ ჩემნია,  
ფულს მოგცემთ მაგოდენასა,  
რო არ ზიღევდას ცხენია“.

მეფისაგან ფულის შეძლევა ხევსურებს სწყენიათ და ასე უპასუხნიათ:

„თავს ვერ გაგიხრით ხევსურნი,  
უნჯრი ყმანი ვართ შენნია;  
თეთრს ვინც აიღებს ხევსური,  
ვინაც მახქიდას ხელია,  
გაუწყრას, ნეფევ ერეკლევ,  
ის სალოცავი ჩვენია!“

ამის შემდეგ მეფის ბრძანებით ხევსურებს კრწანისისაკენ გაულაშქრიათ:

„დევემზადენით, ხევსურნო,  
ჩაჩქენებ დაიდგით თავჭედა,  
თათრების მალოდინი გვოქვ,  
გან ესხედვართ ლუდის სმახედა?  
გაგვიძგელ; ნეფე ერეკლევ,  
წავდგათ კრწანისის გზაზედა!“

კრწანისის ბრძოლაში ერეკლეს ცხენი წაქცევია და მეფეს მოსაკლავად თათრის ლაშქარი მიხვევია, მაგრამ ხევსურებს მტრები ხმლებით გაურეკიათ და მეფეც სიკვდილისაგან დაუხსნიათ<sup>1</sup>.

კრწანისის ველზე დამარცხებას ჩქარა მოპყვა თვით ერეკლეს სიკვდილი. ხევსურებმა ერეკლე ასე დაიტირეს:

<sup>1</sup> ბეს. გაბურია, ხევსურული მასალები, ქარ. საენათმეც. სწა. რუს. წელიწლი 1—II, 1923—1924 წ., ტფილისი, 1925 წ., გვ. 163.

„ვერ გაიგეთა, ქართველნო,  
 შეგეხსნათ ჩეინის კარია:  
 აღარა გყავთ ნეფე ერეკლე,  
 არც მისი საომარია,  
 დამდგრა ბაირახები,  
 აღარ უეხს ზარბაზანია!  
 მცხეთას დგას თეთრი საყდარი,  
 გვერდზე ჩაუდის მტკვარია,  
 შიგა დგას ოქროს ლოვინია,  
 შიგ ნათობს კელაპტარია,  
 შიგა დგას კუბო ოქროსი,  
 გამოსახული ჭვარია“.

მაგრამ ერეკლეს სიკედილის შემდეგაც არ დაუკარგავს ხევსუ-  
 რეთს თავისი პოლიტიკური მნიშვნელობა და ის მე-19 საუკუნის  
 ისტორიაშიც მონაწილეობს.

დიდი პოლიტიკური გართულება კავკასიაში და, კერძოდ, სა-  
 ქართველოში მოჰყვა რუსეთთან შეერთებას (1801 წ.), რომელმაც  
 გამოიწვია მთიულეთის ამბოხება, ალექსანდრე ბატონიშვილის გან-  
 დვოშა და შამილის ბრძოლები.

დარიალის ხეობით შემოჭრილმა თვითმპყრობელური რუსეთის  
 დამპყრობელმა ჯარებმა და კაპიტან-ისპრავნიკებმა სხვადასხვა ბე-  
 გარით მეტად შეავიწროვეს სამხედრო გზაზე მცხოვრები მოხევე-  
 ები და მთიულები. მეფის მოხელეებს ეს მთიელები იძულებით სა-  
 მუშაოზე გაპყავდათ. ავიწროებდნენ ბეგარით, ართმევდნენ სარ-  
 ჩოს და ურჩიობისათვის სასტიკ ფიზიკურ სასჯელს აყენებდნენ. ბოლოს მთიელებმა მოთმინება დაქარგეს და ამბოხების დროშა  
 1804 წ. პირველად მოხევეებმა და მთიულებმა ააფრიალეს!. მთი-  
 ულებსა და რუსის ჯარს შორის დაიწყო სასტიკი შეტაკება. ფშავ-  
 ხევსურეთი ჯერ განშე იღვა, მაგრამ დელავდა და მზად იყო მო-  
 ნაწილეობის მისაღებად. ხევსურეთის ეს თავშეკავება იმით აის-  
 ნებოდა, რომ ამბოხების ფრონტი მოშორებით იყო და რუსეთისა-  
 გან ხევსურეთს ჯერ-ჯერობით საშიშროება არ მოელოდა. მაგრამ  
 ხევსურები იმასაც კარგად გრძნობდნენ, რომ მთიულ-მოხევეთა  
 დამარცხების შემდეგ მათ თავისუფლებასაც საფრთხე მოელოდა.

1 ა. ფრონტელი, მთიულეთი, 1804 წ., ტფილისი, 1896 წ.; ს. შავა-  
 ლი ათია, მთიულეთი, სახელგამი, 1930 წ.



მეამბოხე მთიულები ფშავ-ხევსურეთს დახმარებას სთხოვდნენ ფშავ-ხევსურეთის მიმდროინდელი ბოქაული ჩოლოყაშვილი სწრა-და საქართველოს გამგებელს ვოლკონსკის: „ხევსურები და ფშავ-ლები აჯანყებას აპირებენ, არ მიგონებენ და არ ვიცი, როგორ მოვიტცო“<sup>1</sup>.

ბოლოს, 11 ივლისს, ხევსურებმა გადაწყვიტეს ამბოხებაში მონაწილეობა მიეროთ და დაადგინეს, პირველად ექლოთ დუშეთი და იქ მყოფი რუსის ჭარი ამოეწყვიტათ. ამ კრებას დასწრებია 800 ხევსური, მათში 300 კაცს თავი შეუკავებია და მთავრობის ერთგული დარჩენილი, 500 კაცი კი აჯანყებაში ჩარეულა (АКТЫ, Т. II, გვ. 320), მაგრამ მეამბოხენი ხევსურების ამ მცირე რიცხვით არ ქმაყოფილდებოდნენ და მოითხოვდნენ, ამბოხებაში მთელ ხევსურეთს მიეღო მონაწილეობა. ხევსურეთი ცნობილი იყო თავისი გულადობით და მეამბოხენი ფიქრობდნენ ხევსურების მომხრობით რუსის ჭარის დამარცხებას. ამიტომ მთიულ-მოხევეებმა ხევსურეთში მოციქულები ისევ გაგზავნეს და სთხოვეს, მთელ ხევსურეთს მიეღო მონაწილეობა. ამაზე ხევსურეთი ყოყმანობდა და გადაჭრილ პასუხს არ იძლეოდა (АКТЫ, Т. II, გვ. 322; ფრონელი, გვ. 159).

ეს ამბავი რომ გაიგო გაბრიელ ყაზბეგმა, რომელიც მონარქიული რუსეთის დიდ ერთგულებას იჩენდა, მაშინვე თავისი კაცები აფრინა ხევსურეთში, რომ ხევსურეთი ამბოხებაში არ ჩარეულიყო. ხევის მოურავ გაბრიელ ყაზბეგს, როგორც მთის ძლიერ მებატონეს, ხევსურებში დიდი გავლენა ჰქონია და მათი თავშეკავებაც უურო გაბრიელის პატივისცემით იყო გამოწვეული. გაბრიელის მოციქულები ხევსურეთში ხელცარიელი არ მისულან. საჩუქრად მიუტანიათ კარგი ძღვენი და ფული და გაბრიელის პირით უთხვიათ, ამბოხებაში მონაწილეობა არ მიეღოთ. ეტყობა, ქრთამს გაუჭრია, სალაშქროდ გამზადებული ხევსურები დაშლილან და ყაზბეგისათვის ფიციც მიუციათ, აჯანყებაში მონაწილეობას არ მივიღებთო. ამის სიმტკიცის ნიშნად გაბრიელისათვის ხევსურებს თავიანთი დროშაც კი გაუგზავნიათ (იხ. ფრონელი, გვ. 160).

მაგრამ 13 ივლისს, როდესაც მეამბოხეებმა გადაწყვიტეს ყაზ-

<sup>1</sup> Акты собранные Кавказской Археографической Комиссией, Тифлис, 1868 г., т. II, გვ. 321.

ბეგის ციხე-დარბაზში შეხიზნული რუსის რაზმის ამოწყვეტილი შემთხვევაში მომდინარე საწილეობის მისაღებად 700 ხევსური გადმოსულა და მდინარე სნოს პირას დაბანაკებულა. ხევსურების მოსკლას მეამბოხეები გაუპირენებია და ისინიც ციხის გარემოცვას შესდგომიან. გაბრიელს ხევსურების მეთაურებისათვის ახლაც საჩუქრები გაუგზავნია და უთხოვია: „ნუ გასტეხავთ ერთგულების ფიცს და ჩემს მტრებს ნუ მიემხრობით“. ამის გამო ხევსურები თავს იყავებდნენ და ნეიტრალობას იჩენდნენ.

ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, 17 ივლისს, ხევსურები მეამბოხეებთან შეთანხმებულან და მოუთხოვიათ: „ციხეში მოპოვებული ქონება მონაწილეთა შორის თანაბრად გაეყოთ, მხოლოდ რუსებს ნუ დავხოცავთო“. ხევსურებს გაბრიელთან საქმის გამწვავებისა შინებიათ და ამიტომ მოითხოვდნენ რუსის სამხედრო ტკივებისათვის სიცოცხლის შენარჩუნებას.

მეამბოხეებმა ხევსურებთან ერთად ციხე ჩქარა აიღეს და რუსები დაატყვევეს. მოპოვებული ნადავლიც პირობისამებრ გაიყვეს. ხევსურების საქმეში ჩარევამ მეტად დააფიქრა გაბრიელ ყაზბეგი და საქართველოს გამგებელი ვოლკონსკი, რაღვანაც მოსალოდნელი იყო მთელი ხევსურეთის ამბოხებაც. მით უმეტეს, მოხევეები და ხევსურთა ერთი ნაწილი ანაურის აქლებას აპირებდნენ და შემდეგ ქსნის ხეობით ქართლში შეჭრას.

ეს გარემოება საფრთხეს უმზადებდა თვით რუსეთის ბატონობას ჩვენში. ამან მეტად შეაშფოთა მეფის ხელისუფლება, რომელიც ახლა ცდილობდა მეამბოხეთა ბანაყიდან ფშავ-ხევსურეთი როგორმე გამოეთიშა. ამ მიზნით ვოლკონსკიდ ძღვნითა და საჩუქრებით ფშავ-ხევსურეთში გაგზავნა ალექსანდრე მაყაშვილი და დავით ქობულაშვილი. ვოლკონსკის ამ ელჩების დიპლომატობას, ქრთამს და საჩუქრებს ეტყობა ჩქარა გუჭრია და ხევსურეთის თემებს 1804 წლის 29 ივნისს იმპერატორის ერთგულებაზე წერილობითი პირობა დაუდვიათ:

„ჩვენ გუდანის, ღულის და ბლოს ხევსურნი ვიქნებით ერთგულნი ყოვლად მოწყვალე ხელმწიფისა, როგორც ვართ ერთგულნი ხუენის ხატის გუდანის-ჯვრისა. თავდებად გაძლევთ გუდანის-ჯვარსა, წმინდა გიორგის ხატსა და კაცთაგან — ნათესავთა ჩვენთა, თიანეთის მცხოვრებთ ხახმაძეებსა და მათურელებსა, რომ მეამბო

кіо з тиму лілієბіс архієпископом біт да архієпископом біт містивис, да  
рівнозначно гаєдже н монолітіїні ხელმწიფე იმპеріаціоніса, ჩვენ  
гєзені გуллюдіа амогвіріе ცხіа-ო- ასეთივე წერілопом біт то პირом біа  
გаражіа ვеніа т ხახმატу лілієბіс да ბიсопе лілієბіс аც ვოლკონіს კისა თვის  
(іс. Акти, II, გვ. 325).

ეს ხელშეკრულება არ იყო გულწრფელი და ხევსურეთის ნე-  
ბის ფის გამომხატველი, არამედ ნაკარნახევი უნდა ყოფილიყო  
ვოლკონის ქრისტიანი მოსყიდული გუდანისა და ხახმატის ხევის-  
ბერებისა გან, რომლებიც ვოლკონის ერთგულებაზე ხევსურებს  
გუდანის-ჯვარზე აფიცებდნენ. ამგვარად, ვოლკონის თავის მი-  
ზანს მიაღწია და ხევსურეთის ჩამოშორებით შეასუსტა მეამბოხეთა  
ბახავი.

როდესაც მეამბოხეთა სათავეში ტახტის მაძიებელი ბატონიშვი-  
ლები იულონი და ფარნაოზი მოექცნენ, ახლა მათ მოუწოდეს  
ფავ-ხევსურეთს რუსების წინააღმდეგ გასალაშერებლად. ბოლოს  
თვით ფარნაოზი გადავიდა ხევსურეთში და სთხოვდა რუსებთან  
ბრძოლაში დახმარებას, მაგრამ ხევსურები, ეტყობა, ბატონიშვი-  
ლის საქმეს წაგებულად სთვლიდნენ, ვოლკონის შიშით ვერ ბე-  
დავდნენ პირობის დარღვევას და უარზე იდგნენ (іс. Акты, II,  
გვ. 143).

ასეთივე მოწოდების ფირმანს უგზავნიდა ხევსურებს სპარსეთ-  
ში გადახვეწილი ალექსანდრე ბატონიშვილი. ჩვენ აქ მოვიყვანთ  
ალექსანდრეს ამ ფირმანის ტექსტს:

ქ. ჩვენ მაგიერად ერთობლივ ხევსურთ ასე ეუწყოთ: მერე ჩვენი ან-  
სავი ესრეთ იუწყოთ: ჩვენს მოწყალეს ხელმწიფეს როდესაც ვიახელით  
და ჩვენი საჩივარი მოვახსენეთ, ხელმწიფემ მაშინვე თვისის ურიცხვის  
ჰიწყალებით მთელს ერანში ბრძანებები გასცა და საქართველოში წა-  
მობრძანების თადარიქში შევიდა. სხვა რიგთაც მრავალი წყალობები მო-  
იღო ჩვენზედა და ჩვენთან მყოფს თავადებზედა თეთრით, ხალათებით,  
ცხენებით, იარაღებით თუ სხვა წყალოებაებით. ასეთი წყალობები მოიღო  
ჩვენზედ და ასეთი პატივი მოგვცა, რომ ირა ერანის ხელმწიფეს ჩვენ მამა-  
ბაპაზედ ამისთანა წყალობა არ მიუღია და არც ამისთანა პატივი მიუღიათ  
და არც სხვის დროს სხვის ხელმწიფისაგან თავადებს ამისთანა წყალობა არ  
მიუღიათ, როგორითაც ჩვენთან მყოფთ წყალობაები მიიღეს, ყოვლის აღ-  
გილებიდამ თრმოცის დღის ნავროზს წინათ ჭარები მოიყვანეს და ჭარების  
ხანი ნახა ხელმწიფემ და თავის უფროს შეიღს აბაზ მირზას დიდოვანია

ჭარები უბოძა და ჩვენც თან გვახსლა და მარტის ოცდა-წევს თევებინიდან  
 გამოვიდით და მანდეტყენ წამოვედით. ჩვიმზეტს დღეს უკან თითონ ხელ-  
 შწიფეც დიდროვანის თავისის ზღვისებრის მღელვარის ჭარებით მანდეტყენ  
 წამობრინდება. ჩვენ ამას გწერთ, რომ რადგანაც ხელმწიფებ ურიცხვი მო-  
 წყალება მოიღო და ჩვენის ოჯახის ამამგდებლის მანდედი გაყრა ინება,  
 თქვენ არამც და არამც ასეთი საქმე ჰქინათ, რომ დიდებულის ხელმწიფის  
 რისხვა თქვენს თავზედ მოასწორ და საქართველოს წახდენის მიზეზი  
 შეიძინა და ა თქვენი ცოლი და შეკილ დატყველოთ. ათას სამასი წელშა-  
 დი არის, რომ ჩვენი ოჯახი საქართველოს მეფები ყოფილან და ერანის  
 ხელმწიფის ყმანი, თქვენის მაგათა და პაპათ ყოველთვის ჩვენი ოჯახისათვის  
 და ჩვენის მამაპაპათ წინ სისხლი დაუღრიათ თქვენს მამაპაპას. თქვენ  
 ასეთი საქმე არა ქნათ, რომ თქვენი ოჯახიც დაღუპოთ და თქვენი ნამსა-  
 ხურობაც და სისხლის დაღურაც ჩაატაროთ, ესენი ლევები ხომ არ არიან:  
 ხუთი ათასი კაცი არ არის, ათი ათასი და რცი ათასი; ყანდარი და ყან-  
 დაპ ზევით მთელი ერანი მანდ მოდის. ღმერთმა ხომ იცის, რომ ან უნდა  
 მანდ ამოწყდენ და ან მანდედმ რუსები გარეკონ. თქვენ ახლავ ყველანი  
 ჩვენთან წამოდით და მოგვევებით. ორბირად მოდის ჭარები, ერთს გარში  
 ყევინი ბრძანდება და მეორეს ჭარში შაპხადა; ერთი ყარაბალის გზაზედ  
 მოვა და ერთი გოგჩაზედ. ჩვენც იმ ღროს ან ყევნთან ვენებით ან შა-  
 ზადისთან; რომელიც გზა გვახლოებოდესთ და ამჟობნოთ, იმ გზაზე წა-  
 მოდით და წინ მოგვევებენით. ხელმწიფის ფარვანიც მოგვიათ ხატი ჭა-  
 მობისა და დრო ეს არის, წამოდით. ხელმწიფის წყალობაც დიდი დაგე-  
 მართებათ და, როგორაცაც რომ თქვენი მამა პაპანი ერთგული ყოფილან.  
 უმეტესად ერთგულად აღმოჩნდებით. თუ ამ ჩვენს რჩევს დასჭირდებით  
 და მოხვალთ ხომ კარგია, თუ არადა თქვენ იცით, ღმერთმა ხომ იცის, რაც  
 ამ წიგნში მოგვიწერია სწორე და კეშმარიტია, ყოველივე თითო იმასი ბირი  
 ჭართლსა და კახეთში ყველასათვის მიგვიწერია და ჩვენი ვალი აგვისდია  
 და ახლა თქვენ იცით. მარტის 3 (6) ქვს უქ (492=1804 წ.). აზის ბეჭედი  
 (ალექსანდრე).

მეფის ქ თემიტურაზ სიყვარულით მოგიყითხავთ; თუ ჩვენს ანბავს იყა-  
 თხვეთ, ჩვენც ამათს უმაღლესობას ბიძა ჩვენსა ვახსლავარ და ხელმწიფი-  
 საგან ასეთი მოწყალება მიაღდა ბიძა ჩვენსა, რომ არას ჩვენს მამა პაპას  
 ხელმწიფის ასეთი წყალობა არ მისდგომიათ. ახლა თუ ჩემს რჩევას და-  
 იჭერებთ, ახლავ ამათს უმაღლესობას იახლით. ღმერთმან ხომ იცის ხელ-  
 მწიფისაგანაც და მამის ჩვენისაგანაც დიდ წყალობა დაგემართებათ, და  
 თუ ამ ჩვენს რჩევასა არ დაიგერებთ და არ მოხვალთ, საუკუნოთ თქვენს  
 ოჯახს დააქცევთ, და ახლა თქვენ იცით. აზის ბეჭედი ქ. მეფის ქ თე-  
 მიტურაზ<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ეს საბუთი ინახება საქართველოს ცენტრ. არქივში (იხ. მასალები ილექსან-  
დრე ბატონიშვილისა № 145).

1804 წლის ოქტომბერში მთიულეთის ამბოხება დამარცხდა. რუსეთის თვითმპყრობელობის მხედრობამ გაიმარჯვა. მხოლოდ სპარსეთში გადაიზნული ალექსანდრე ბატონიშვილი ტახტის დაბრუნების მიედს მაინც არ კარგავდა და სპარსეთის დახმარებით ცდილობდა, ამბოხების ნაპერწკლები საქართველოში არ ჩაეფერდლა. ამ შიზნით ალექსანდრე განავრძობდა საიდუმლო მიმოწერას მთიელებთან და კახეთის მეამბოხე ჯგუფებთან.

1812 წელს დაიწყო კახეთის მმართვება და მეამბონებმა ალექ-  
სანდრეს თხოვეს მეთაურობა. თავისი მაღალი ერევნიდან ალექ-  
სანდრე კახეთში გადმოვიდა, მას მიემსრო თვითმპყრობელობით  
უკმაყოფილო თავად-აზნაურობის ერთი ნაწილი, ალექსანდრეს მი-  
ემსრნენ აგრეთვე ფშავ-ხევსურები, ქისტ-ჩაჩნები და ლეკები,  
რომელთა დახმარებით ის სამხედრო გზის ხელში ჩაგდებას ცდი-  
ლობდა, რომ ეს გზა რუსეთის მხედრობისათვის დაეხშო. დაიწყო  
ბრძოლები, მაგრამ რამდენიმე შეტაკების შემდეგ დამარცხებული  
ალექსანდრე იძულებული იყო კახეთი დაეტოვებინა და ერთგულ  
ხევსურეთს შეხიზნებოდა. ხევსურეთში ალექსანდრე შატრილში  
დაბინავდა და ძევდან ცდილობდა რუსებზე ხელახალ შეტაკებას. შა-  
ტრილი თავისი მდებარეობით ბუნებრივ სიმაგრეს წარმოადგენდა,  
იგი აგრეთვე გამაგრებული იყო მრავალსართულიანი ქვიტკირე-  
ბით. თვით ხევსურებიც ალექსანდრეს ერთგულად იცავდნენ.

ამასთანავე შატილი ქისტ-ლეგების საზღვარზე იყო, საიდანაც ალექსანდრეს მიმწერა პერნდა ჩრდილო-კავკასიის მთიელებთან, ერევნის ხანებთან და სპარსეთთან, რომლებსაც სთხოვდა ლაშქ-რითა და იარაღით დახმარებას. შატილში გამაგრებული ალექსან-დრე კახეთსაც ამბოხებისაკენ მოუწოდებდა. ამიტომ კავკასიის იმდროინდელმა მთავარმართობელმა რტიშევმა გადაწყვიტა ხევ-სურეთისაკენ გალაშქრება და შატილიდან ალექსანდრეს გაძევება, რომ ამით ბოლო მოელო ყოველგვარი ამბოხებისათვის.

ამ ძნელი ლაშქრობის ხელმძღვანელობა მიენდო გენერალ-მაიორ სიმონ ვიჩის და ისიც სამზადისს შეუდგა. რათა ფშავლები ხევსურებს არ მიმხრობოდნენ და ხევსურეთში მიმავალი რუსების ჯარისათვის გზა არ შეეკრათ, მთავარმართებლის ბრძანებით კანეთში დაბინავებული ფშავლების ცვალი ამანათში გარეკეს და ფშავლებს აუკრძალეს მარილის ბარში ყიდვა და ფშავში გადაზიდ-

ვა. ამით ფშავლები დაფრთხნენ და იძულებული გახდნენ რუსების მხედრობა ფშავში უვნებლად გაეტარებინათ. 1813 წლის 23 მაისს რუსის ჯარი სიმონოვიჩის, ტიხონოვსკის, სტალისა და ორბელიანის საჩდლობით ხევსურეთისაკენ დაიძრა, 30 მაისს ჯარი ლეგაისეკარით არღოტის ხეობაში გადავიდა.

რუსის ჯარს გზადაგზა ძლიერი შეტაქება უხდებოდა ხევსურებისა და ქისტების ასზმებთან, ხევსურები თავიანთ ვიწრო ხეობებში მამაცად იბრძოდნენ და რუსის ჯარს წინსვლა უძნელდებოდა. ლეგაისეკარიდან სიმონოვიჩიმა ალექსანდრეს წერილი მისწერა, რომ ის რუსეთის მხედრობას დანებებოდა, მაგრამ ხევსურებმა გაგზავნილი ეღწი გზაში მოჰკველს და ამ წერილზე ალექსანდრემ სიმონოვიჩს პასუხიც არ გასცა. ამაზე გიბრაზებული გვნერალი შატილისაკენ დაიძრა. სოფ. გურიოში მოხდა დიდი ბრძოლა ხევსურებსა და რუსის ჯარს შორის. ხევსურებმა გურის ვიწრო ხეობა გაამაგრეს და მოზღვავებული რუსის ჯარს, რომელსაც თთხი სარდალი ხელმძღვანელობდა, მამაცურად შეებრძოლნენ. ხევსურებს აქ ქისტის ლაშქარიც მიეშველა და მათ რუსის ჯარს დიდი ზარალი მიაყენეს; მაგრამ რუსის ჯარის სიმრავლემ და უკეთესად შეიარაღებამ მცირერიცხოვან მთიელებს სძლია; გამარჯვებულმა სიმონოვიჩმა გურიოლებზე შური იძია, სოფელი გური რუსის ჯარმა გაანადგურა და მიწასთან გაასწორა.

სიმონოვიჩი ახლა შატილისაკენ გაემართა. ალექსანდრე თავისი ამალით მაშინვე ქისტებში გადავიდა და აქედან ერევნისაკენ გაეშურა. შეტაქების შემდეგ შატილიც იძულებულ გახდა ქედი მოეხარა სიმონოვიჩის ჯარის წინაშე და ამაყმა ხევსურეთმა პირველად იგრძნო დამარცხებისა და იმედის გაცრუების მთელი ტრაგედია. მან თვითმპურობელობას მორჩილება განუცხადა<sup>1</sup>.

ხევსურებს ეს ამბავი დღესაც ახსოვთ და მას გურიოლები და შატილინები მწუხარებით იგონებენ.

შატილში ალექსანდრეს უცხოვრია ბაბლია ჭინჭარაულის ქვიტკირში. ეს სახლი დღესაც დაცულია, მას მხოლოდ წინაკედელი ექვს მორდვეული. ალექსანდრეს შატილში ერთგული სამსახური-

<sup>1</sup> Акты археографической комиссии, т. V, 632, გვ. 531—537; Потто, Утверждение Русского владычества на Кавказе, т. II, Тифлис, 1901 г., глава XXI, გვ. 405—426.



სათვის ზოგიერთი ოჯახისათვის წყალობის წერილი უბოძებია. სკონტაციული ფელ შატილში ნანაის დე თოთია ს დე ჭინჭარაული ლის ოჯახში ახლაც ინახება ერთი ასეთი წერილი, რომელშიც წერია:

„ქ. ჩვენ ს-დ საქართველოს მეფის ძემ ალექსანდრე ეს წყალობის წერილი გიბოძეთ შენ განას შვილს განას და შვილა შენსა ბათაკას და აბულეთს, ასე რომ ჩვენა ხევსურეთს შადილს (შატილს) ყოფნაში დიდად ერთგულად გვემსახურე. ამისათვის ჩვენც ეს წყალობის წერილი გიბოძეთ. ღთით ჩვენს ქვეყანაში რომ შესვლა გველირება, მაშინ სამს ლიტრას გაკეთებულს სპილენძს ყოველ წელიწადს გიბოძებონ და სუთს ტანს ფართალს; და ჩვენს საბრძანებელში ყველგან გველებოდეს ქართლში, კახეთში და ქალაქში რჯულიანში და ურჯულოში რომ ვერავინ დაგიშალოს და ვერ-ცავინ გისაყველუროს და არც შენის სავაჭროს ბაჟი გეთხვებოდეს, გქონდეს და ღ თნ ჩვენს ერთგულობაში მოგახმაროს. თებერვალს კე (25) ქქს ფა (501)=1813 წ. აზის ბეჭედი [ა ლ ე ქ-ს ა ნ დ რ ე] <sup>1</sup>.

ასეთივე წერილი ალექსანდრეს უბოძებია შატილში ხირჩლა და ვაჟია ჭინჭარაულებისათვის და მასში სხვათა შორის წერებულა: გვიბოძებია სამი ლიტრა გაკეთებული სპილენძი, თავ-ფეხამ-ზე ტალავარი, მარილი და ტყვია-წამალიო. ეს წყალობის წერილი დღეს უკვე დაკარგულია. ალექსანდრეს წყალობის წერილი უბოძებია აგრეთვე ხახმატელებისათვის: აი ამ წყალობის ტექსტიც:

„ჩვენ საქართველოს მეფის ძემ ალექსანდრემ ეს წყალობის წერილი გიბოძეთ თქვენ ერთობით ხახმატელთ. ასე რომ ჩვენს ხევსურეთს ყოფაში დიდად ერთგულად გვემსახურეთ, თქვენც ამისათვის ეს წყალობის წერილი გიბოძეთ. როდესაც ლ-თჩვენს აღ-გილს მისულას გვალირებს, თქვენ ქალაქსაც გველებოდესთ ქართლ-შიაც და კახეთშიც და თქვენი დამშლელი არავინ იყოს და კიდევაც ჩვენგანაც წყალობა დაგვემართება და კიდეც გათარხნებთ. იანვარს ივ (15) ქრქს ფა (501)=1813 წ.

აზის ბეჭედი ა ლ ე ქ-ს ა ნ დ რ ე <sup>2</sup>.

<sup>1</sup> ეს წერილი ახლა დაცულია საქართ. მუზეუმის ხელნაწერთა განცოფილებაში.

<sup>2</sup> ეს წერილი დაცულია საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

შატილელებს მონაწილეობა მიუღიათ აგრეთვე შაშმელური ბრძოლებში. 1843 წელს შატილში გადმოსულა თავისი ლაშქრით შამილის თანამებრძოლი ცნობილი ახვერდ ი-მ ა ჰ მ ა დ ი (ხევ-სურულად ა ჰ მ ე დ - ა ჰ მ ე დ ი) და შატილისათვის მორჩილება მოუთხოვია. შატილელებს ამაზე უარი უთქვამთ და თავიანთ ქვიტკირებში გამაგრებულან. ლეკებთან ბრძოლა სამი დღე-ლამე გაგრძელებულა. ბოლოს ხევსურებს ქვიტკირის სარკმლიდან ნიშან-ში ამოუღიათ თვით ახვერდი-მაჭმადი და მოუკლავთ.

ამის შემდეგ დამარცხებული ლეკის ჯარი უკანვე გაბრუნებულა. ამ გამარჯვებისათვის შატილელებს საჩუქრად მეფის მთავრობისაგან მიუღიათ ჯვარ-მედლები, რამდენიმე ფუთი პური და თოფის წამალი. გამარჯვების აღსანიშნავად მთავრობის განკარგულებით აქვე აუგიათ პატარა ეკლესია, რომლის კედელში ჩაუსვამთ ქვა ასეთი რუსული და ქართული წარწერით: „უმაღლესისა ბრძანებისამებრ ჯილდოდ შატილელთად დამარცხებისათვის ახვერდი მახამედის და მისთა შეყრილთა ჯართასა ჩყმგ (1843 წ.) წელსა შინა, ოღშენებულ არს ჩყმთ (1849) წელსა განკარგულებითა კნიაზის ნამესტნიკისათა“. ეს წარწერა დღეს დატანებულია კერძო პირის სახლის კედელში.

მე-19 საუკუნის სამოცაან წლებში დამთავრდა კავკასიის გმირული ბრძოლების ეპოქეა და ჩეენში დამყარდა მონარქიული რუსეთის ბიუროკრატიული რეჟიმი. ამასთანავე რუსეთის კაპიტალის შემოჭრამ ხელი შეუშუო ახალი სოციალური ჯგუფების წარმოშობას და საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნას.

საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ამ განვითარებას ჩამორჩა ხევსურეთი, რომელიც მომწყვლეული იყო კავკასიონის მთებში და უგზონობის გამო ის დღემდის მოკლებული იყო კულტურულ ცხოვრებას.

### ვ. ეპონომიკური მდგრადირობა

ხევსურეთი ეკონომიკურად ჩამორჩენილი კუთხეა, სადაც ნატურალური მეურნეობა ჯერ კიდევ არ მომსპარა. ხევსურები უმთავრესად მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევენ, მაგრამ

სოფლის მეურნეობის ორივე მნიშვნელოვანი დარგი, არახელსაყრდნო რელი ბუნებრივი პირობების გამო, განსაზღვრულია და ძალაურ მცირერიცხოვან მოსახლეობასაც ვერ იქმაყოფილებს.

ხევსურეთი მაღალმთიანი და ცივი ქვეყანაა და მისი კლიმატური პირობები ხელს არ უწყობს მიწათმოქმედების განვითარებას, მით უმეტეს, იმ პრიმიტიული იარაღებითა და საშუალებებით, რომლებითაც ხევსურები დღემდის მუშაობდნენ. ამასთანავე, საყარელ ვარგისი მიწა ერთობ მცირეა: ხევსურეთის ფართობის ნახევარზე მეტი კლდებსა და მყინვარებს უჭირავს.

მაგრამ, სანამ შევუდგებოდეთ ხევსურეთის ცალკეული მეურნეობის დახასიათებას, საჭიროა გავეცნოთ მის მიწათმფლობელობის სისტემას.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ხევსურები წარსულში თემურ წყობილებას არ გასცილებიან და მათი ეკონომიკური ცხოვრება დაფუძნებული იყო თემურ მიწათმფლობელობაზე. წინათ თვითეული თემი ფლობდა ხევსურეთის განსაზღვრულ ნაწილს, რომელიც მის საკუთრებას შეადგენდა. თემში შემავალი გვარები და მეკომურები მას თავისი სისხლით იცავდნენ. სათემო მიწა თემის საზოგადო საკუთრება იყო, იგი საერთო შრომით მუშავდებოდა და სარჩისაც მეკომურები თანაბრად ინაწილებდნენ. მაგრამ მოსახლეობის ზრდასთან ერთად ეს თემური მყუდროება ხევსურეთში იძლევოდა, მომრავლებული თემი თავის მოთხოვნილებას ვერ იქმაყოფილებდა და, სარჩის მოპოვების მიზნით, იძულებული იყო თემის მამული გაეფართოებინა, ან ნამრავლი აქვდან სხვაგან გასახლებულიყო.

ორივე ამ პროცესს ხევსურეთის ისტორიულ წარსულში ადგილი ჰქონია. მე-18 საუკუნეში ხევსურები ერეკლე მეფეს სთხოვდნენ ჯუთაში და ართხმოში გადასახლების ნებართვას. ამავე დროს, ხევსურეთის თემებს, მამულის მოპოვების მიზნით, განუწყვეტილი შულლი და ბრძოლა ჰქონიათ ფულავლებთან. ამ ბრძოლას ხევისბრები მეთაურობდნენ. ისინი მას რელიგიურ ხასიათს აძლევდნენ და თემისა და ხატის სახელით ხალხს სალაშქროდ მოუწოდებდნენ. ამ შემთხვევაში ხევსურები გუდანის-ჯვრის სახელით იბრძოდნენ, ფულავლები კი — ლაშარის-ჯვრის სახელით. მათ შორის ასეთი ბრძოლის საგნად მე-18 საუკუნეში ყოფილა სოფ. აკუშო, რომლის შესახებ დასტურლამალის ერთ მინაშერში ნათქვამია: „ქ: აგ-

რეთვე ფშავესა და ხევსურეთს შუა არის სოფელი: ფშავნი და შეკვეთის სურნი ორივ ცილობენ: არა ჩვენია, არა ჩვენიო, სახელად ეწოდების: ქ: „აკუშო“.

არდორში დღესაც იგონებენ, თუ როგორ წართვეს გუდანელებმა იმ სამასი წლის წინათ მათ ანდაქის იალაღის ნახევარი და აიაულეს გუდანის-ჭვრის მეგანძურთ, მათთვის საბალახო ეძლიათ. თეური მიწების ტაციობაში ქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ხატის მსახურნი, რომლებიც ხატის სახელით ისაკუთრებდნენ თემის საუკეთესო მიწებს; ამრიგად, ხევსურეთის ჭვარ-სამლოცველოები მსხვილ მესაკუთრებად იქცნენ.

თემის აშლილობას თან სდევდა მისი შინაგანი რღვევის პროცესები და ხევსურეთის სათემო მიწებიც თანდათანობით გადაიქცა საოჯახო და კერძო საკუთრებად.

მე-19 საუკუნის ოთხმოციან წლებში ხევსურეთში მიწათმფლობელობის კერძო ინდივიდუალური სისტემა იყო გაბატონებული და ზოგიერთ თემში კარისპირისა და საყანე მიწის გარდა ტყე და სათიბიც კი ჰქონიათ შეკლებულ მეკომურებს თავიანთ კერძო საკუთრებად<sup>2</sup>. ამგვარად, სათემო მიწების საუკეთესო ნაწილი ხატებს დაუსაკუთრებიათ, დანარჩენი თემში შემავალ ოჯახებს გაუნაწილებიათ; თვითულ შეკომუნის თავისუფლად შეეძლო თავისი მამულის ძმათაშვილებზე გაყიდვა. ამით სარგებლობდნენ შეძლებული მეკომურები, რომლებიც ყიდვით თუ იჯარით ინარჩუნებდნენ გაღალიერებულ ძმათა შვილების მამულებს. ღარიბი და უმამულო გლეხობა ამაზე უკმაყოფილებას აცხადებდა, მაგრამ თემისა და ხატის „შიშით აქარა ბრძოლას ვერ ბედივდა. ბოლოს გლეხობის გაღატაკებულმა ნაწილმა მოითხოვა მიწათმფლობელობის თემური სისტემის იღდგენა და იმის მიხედვით მიწების მეკომურთა შორის პერიოდული განაწილება. ხევსურეთში იმ მოძრაობას ებრძოდა შეძლებულთა ჭვუფი, რომელიც ჭვარ-ხატების რისხით ცდილობდა ხალხის დაშინებას.

<sup>2</sup> М. В. Мачабели, Экономический быт государственных крестьян Тионетского уезда, Тифлис. Губ (Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского Края, т. V, Тифлис, 1887 г., гл. 373—374).

1855 წლის 22 ოგვისტოს ახიელის თემის გლეხობამ მიიღო ასეთი დანართი:

„ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერმა ახიელის საზოგადოების სახაზინო გლეხობამ ქრებაზე ვიქონიეთ მსჯელობა ჩვენი სათემო მიწების გაყოფაზე, ვინაიდან მიწები მექომურთა შორის თანაბრად ას არის განაწილებული და ზოგიერთ მექომურს იმდენი მიწა აქვს, რომ თავისი საკმაო ჭირანხულიც მოპყავს და ზედმეტს მეზობელს იჯარით აძლევს. იმავე დროს სხვებს იმდენი მმულიც არა აქვს, რომ თავისი ოჯახი გამოკვებოს და გადასახადიც იხადოს. მიწის იჯარით გაცემა და მისი ყიდვა-გაყიდვა დიდ უსიამოვნებას იწვევს, აბრკოლებს მიწების წესიერ დამუშავებას და მშვიდობიან ცხოვრებას ხელს უშლის. რომ ეს აღიკვეთოს, ჩვენ ერთმანეთთან შეთანხმებით დავადგინეთ შემდეგი: ჩვენი სასოფლო მიწები უნდა გაიყოს სამ ჯგუფად; პირველში შევა ახიელის, ჭიმლისა და კვირი-ჭმინდის მიწები, მეორეში სოფ. ამლისა და მესამეში სოფ. კალოთანისა. პირველი ჯგუფის სოფლებმა ყველა სახნავი და სათიბი მიწები ისე უნდა გაიყონ, რომ თვითონეულმა სოფელმა მათში შემავალ მექომურთა რაოდენობის მიხედვით თანაბრაზე წილი მიიღოს. აგრეთვე სოფ. ამლიმა და კალოთანმა თავიანთი ყველა სახნავი და სათიბი მიწები თანაბრად უნდა გაანაწილონ მათში მოსახლე მექომურთა შორის. საძოვაზე და ტყე თვითეულ სოფელში საერთო სარგებლობაში უნდა დარჩეს და თვითეულ კომლს უნდა ჰქონდეს ტყითა და საძოვრით სარგებლობის უფლება. სასოფლო ყრალობის ნებადაურთველად ტყის მოჭრა ყველას ექრძალება. დამნაშავე ჯარიმდება 5 მანეთით.

იმ მექომურთ, რომლებიც ამ სოფლებში არ სცხოვრობენ და არც გადასახადებს იხდიან, მიწა არ უნდა მიეცეს, მაგრამ თვითეულმა სოფელმა უნდა გამოყოს განსაზღვრული რაოდენობის სახნავი მიწა იმათთვის, ვინც გასახლებულია და შეიძლება უკავებრუნდება. მათ დაბრუნებამდე ამ მიწების შემოსავლით სასოფლო გადასახადი დაიფარება. ამოწყვეტილ მექომურთა მარტლი სოფლის სარგებლობაში გადადის და არა მათ ნათესაობაზე. მიწის გადაყოფისათვის სოფ. ახიელი, ამლა და ჭიმლა ვალდებული არიან ხუთ-ხუთი კაცი ისრჩიონ, კალოთანი და კვირი-ჭმინდა — სამ-სამი კაცი. ამ ამორჩეულმა პირებმა სოფლის ყრილობის წინაშე ფიცა



უნდა მთლიან და შემდეგ მიწების გაყოფას შეუდნენ. მიწების უნდა გაიყოს სამ ნაწილად: 1. კარის პირი, 2. ბარის მიწა და 3. მთა. ამ სამივე ადგილიდან თვითეული კომლი იღებს მიწის თანაბარ ნაკვეთს. ყველა გადასახადიც განაწილდება მიწის ამ პასი მიხედვით. ეს გადაყოფა 18 წლით განისაზღვროს და ამ ვადის შემდეგ, ე. ი. 1903 წელს, მიწების ხელ-ახალი გაყოფა უნდა ჩატარდეს. დღემდის ზოგიერთმა მექომურმა თავისი მიწის ნაკვეთი გაყიდა; ეს ნაყიდი ნაკვეთები მიწების გადაყოფის დროს ჩამორთმეული იქნება და, იმიტომ, მიენდოს იმავე ამორჩეულ პირებს, გამოარვიონ ამასთან დაკავშირებული ყველა გაუგებრობანი. ის შეკომურნი, რომლებმაც მიწები იყიდეს ხუთი წლის წინათ (1880 წლამდის), არავითარი საზღაური მათ არ მიეცემათ; ვისაც კი ამ ხუთ წელში მიწა უყიდია, ამორჩეულებმა ის პირი უნდა დააკმაყოფილონ და მიწის გამყიდველმა მას ფულით თუ საქონლით საფასე უნდა აუნაზღაუროს. იმ შემთხვევაში, თუ მიწის გამყიდველს ამის შესაძლებლობა არ ექნება, მაშინ ვალის ანგარიშში მას შეუძლია გაყოფის დროს მიღებული მიწის პაი განსაზღვრული წლის ვადაში მევალეს დაუთმოს. თითოეულ მექომურს ნება ეძლევა თავისი ნაკვეთი მიწა ხელახლა გაყოფამდის თავის მეზობელს დაუვირაოს. ყველა მექომურზე, რომლებმაც მიწის ნორმა მიიღეს, უნდა შესდგუს სია მიწის რაოდენობისა და სახელშოდების აღნიშვნით“!

არხოტის საზოგადოების ამ განაჩენიდან აშკარაა, თუ როგორ გამწვავებული ყოფილა მიწის საკითხი ხევსურეთში; სადაც შეეძლებულების წინააღმდეგ იპროცედა გალატაკებული გლეხობა. იგი მოითხოვდა თემური მიწათმფლობელობის სისტემის აღდგენას და მამულების მექომურთა შორის თანაბარ განაწილებას. ამ გამწვავებულ პროცედაში მეფის ხელისუფლებაც ჩარეცულა, რადგანაც გლეხობის შეუძლო ნაწილი სახელმწიფო გადასახადებზე უარს აცხადებდა, თუ მიწათმფლობელობის საქმე მათ სასარგებლოდ არ გადაწყდებოდა.

გადასახადებით დაინტერესებული მეფის ხელისუფლება შეეცადა, ხევსურეთში მიწების პერიოდული გაყოფის სისტემა გაეტა-



რებინა, მაგრამ ამაოდ, რადგანაც კაპიტალისტურ წყობილებაში შეუძლებელი იყო თემური მიწათმფლობელობის სისტემის განახლება და მთელი ეს მოძრაობა ხევსურეთში დამარცხდა.

მიწის კერძო საკუთრების სისტემა წინათ ხევსურული აღათით მტკიცედ იყო დაცული, განსაკუთრებით არაგვის ხეობაში, სადაც სახნავი მიწა, სათიბი და ტყე კერძო საკუთრებას შეაღენდა. მიწების ყიდვა-გაყიდვა, იჯარით თუ საზიაროდ გაცემა ხევსურული აღათით დაკანონებული იყო და იგი ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. მიწაც აქ შედარებით ძვირად ფასობდა, მაგრამ ხევსური მის შესაძენად საფასურს არ იშურებდა. „საჭნაური“ მიწა ხევსურეთში ძნის საფასურით იზომებოდა და 70 ძნის მოსავლიანი მიწა, რომელიც დაახლოებით ბარის ნახევარ დღიურს უდრიოდ, აქ ერთ ძროხად ფასობდა. „კარის პირის“ მიწა კა, რომელიც ხუთჯერ მეტ მოსავალს იძლეოდა, ხუთ ძროხად ფასობდა. სათიბიც იყიდებოდა და ათი ტვირთის სათიბი ღირდა ერთი ფეხითი ძროხა. ტყე თუ იყო კლდიანი, იგი ნაკლებად ფასობდა, თუ საახოო იყო, უფრო ძვირად ფასობდა.

მიწის ყიდვის დროს საფასურს აძლევდნენ ფეხით, ე. ა. ძროხებს და „კელით“, ე. ი. სპილენძს, ფარდაგს, ვერცხლეულს და იარაღს დანაფასობის მიხედვით. შეძლებულს ან „შენებულს“, როგორც მას ხევსურები უწოდებენ, ჰქონდა 10—12 დღიურამდის მიწა, ღარიბს, „მდარეს“ კი 3 დღიური. ღარიბი გლეხი საზიაროდ იღებდა შეძლებულის მიწას და ღალაში მას აძლევდა მოსავლის ნახევარს.

მიწა ხევსურეთში ოჯახის საკუთრების შეაღენდა და იგი ოჯახის წევრებს შორის თანაბრად იყოფოდა. ქალს მამულში წილი არ ჰქონდა და მას არაფერს აძლევდნენ. ამოწყვეტილის მამულს მათაშვილები იყოფდნენ. მამულის იჯარით გაცემა და ყიდვა-გაყიდვაც ხევსურული ადათით სწარმოებდა. მამულს ყიდდა ის, ვინც მესისხლეობის გამო იძულებული იყო ხევსურეთიდან გახიზნულიყო და აგრეთვე კახეთში გასახლებული მექომურები. ხევსურული ადათით, ხევსურს მამული ჯერ თავისი ძმათაშვილებისათვის უნდა შეეძლია და, თუ ისინი მამულს ვერ იყიდდნენ, მაშინ ხევსურს შეეძლო იგი სხვებზე გაეყიდა. მაგრამ ამ შემთხვევაში ხშირად




საქმეს ფული სწყვეტდა და, ვინც მეტ სათასურს შეაძლევ ჭრა-მისკორა  
მულსაც ის იძნდა.

მაგრამ ხშირად ბარში გასახლებულ ხევსურებს არ სურდათ  
თავისი მამულის გაყიდვა. მაშინ იგი მიწას იჯარით აძლევდა ძმა-  
თაშვილებს ან მეზობელ-მოკეთეს. იჯარა გარიგებაზე იყო დამკი-  
დებული და მოიჯარადრეს ყოველწლიურად პატრონისათვის უნდა  
ჩაებარებინა გარევეული რაოდენობის ჭირნახული ან მისი ღირე-  
ბულების ერბო თუ ძროხა. ზოგჯერ მამულის პატრონი ვინმეს ჩა-  
ასახლებდა, რამდენიმე წელიწადს მისგან იჯარას იღებდა და ბო-  
ლოს მამულსაც მას მიჰყიდდა. ამგვარად, წინათ ბარში გადასაწ-  
ლებული ხევსური თავის მამულს იჯარით ბიძაშვილებს აძლევდა  
და ღალასაც იღებდა. ზოგჯერ ეს იჯარა ნახევარ საუკუნეზე მეტ-  
საც გრძელდებოდა და მოიჯარადრე ხევსური იძულებული იყო  
ამ ხნის განმავლობაში ყოველწლიურად მეპატრონისათვის ეძლია  
ღალა, წინააღმდეგ შემთხვევაში იჯარა მას ერთმეოდა და ახლა  
სხვა მოიჯარადრეს ეძლეოდა. იყო შემთხვევები, როდესაც მამუ-  
ლის დასაკუთრების ნიადაგზე ხევსურეთში მკვლელობაც კი მომზ-  
დარა. ამ მხრივ ცნობილია მოწმოველების ბრძოლა ბათირა არა-  
ბულის წინააღმდეგ.

ბათირა არაბული თავის ძმათაშვილებს თურმე სახნავ-სათიბს  
ედავებოდა და ის კიდევაც დაუნარჩუნებია. შემდეგ ბათირას გა-  
ნუზრახავს ერთი სასოფლო მთის დასაკუთრება და იქ მოწმოველებს  
არ უშვებდა თურმე. გაძლიერებული ბათირა თავისი მოქმედებით  
ხალხს აწესებდა. ბოლოს მოთმინებადაკარგული მოწმოველები ბა-  
თირას თავს დასხმიან და ის მისი ოჯახით გაუნადგურებიათ. მოწ-  
მოელებს ჭირისუფლისათვის ბათირას და მისი ცოლ-შვილის და-  
საფლავების ნებაც არ მიუციათ. ბათირას მოწმოელები დღესაც  
ზიზლით იგონებენ.

მამულზე შეცილების გამო ასეთივე შემთხვევას ადგილი ჰქონ-  
და სოფ. ბისოშიც. ამ სოფლიდან კახეთში გადასახლდა ერთი ქე-  
თელაური, რომელმაც თავისი მამული იჯარით გადასცა მამუკა  
ქეთელაურს (იგივე ჩოდრიშვილი). მამუკას ამ იჯარაზე მისი ბიძა-  
შვილები ტუჩა და აღუა ქეთელაურები შეეცილნენ, მაგრამ მამუ-  
კამ მეპატრონეს მეტი ღალა შეაძლია და იჯარა დაინარჩუნა. ტუ-  
ჩამ და აღუამ სთხოვეს მამუკას ერთი სახნავი მიწის დათმობა, მაგ-

რამ მამუკამ უარი უთხრა. მშინ ტუჩამ მიწა ძალით მოხნა დასავალით ამას მოჰყევა მკვლელობა. მამუკამ მოჰკლა ძმები ტუჩა და გიორგი, მათი მესამე ძმა აღუა კი დაჭრა. ერთი სიტყვით, მიწის საკითხი ხევსურეთში გამწვავებული იყო და შეძლებულ და ღარიბ მექო-მურთა შორის მიწის დაუფლების ნიადაგზე შეტაცება არა ერთხელ მომხდარა.



ხევსურული საწვიელი

როგორც უკვე აღნიშნეთ, ხევსურეთში ერთობ მცირეა „საკ-ნაური“ მიწა. იგი პატარა ნაკვეთებად მთებშია გაფანტული. თავისი ადგილის მიხედვით „საკნაური“ მიწები იყოფა: კარისპირის, ბარის და სამთო მიწებად. მათ შორის ღირსებისა და დაფა-სების მხრივ არსებითი განსხვავებაა. კარისპირის მიწა სახლთან ახლოს მდებარეობს და სასუქით ხშირად ნოყიერდება, კარგ ჭირ-ნახელსაც იძლევა. ბარის მიწა მთის დავაკებაზეა მოთავსებული, შედარებით ახლოს არის და დასამუშავებლადაც ღიღ სიძნელეს არ წარმოადგენს. ბარის მიწას სასუქით ანოყიერებენ. სამთო მიწები მაღალ მთებშია გაფანტული, შორსაა და ძნელი მისავალია.

მიწა ხევსურეთში საზოგადოდ უვარებისია, ნიადაგი ჭვალორი-ანია და უნაყოფო, ამიტომ ის მოითხოვს ბევრ სასუქს. ხევსურები საქონლის ნეხვს ჭინებით ეზიდებიან და საყანე მიწებს ისე ანოყი-ერებენ. კარისპირის მიწას აქ თითქმის ყოველ მეორე წელიწადს ანოყიერებენ, ბარისა და მთისას კი — მესამე თუ მეოთხე წელი-წადს: ამ მიზნით ზაფხულობით საქონელს აყენებენ. თუ ეს მო-

უხერხებელია, მაშინ სამთო მიწების მეორე ან მესამე წელიწადზე ასვენებენ.

საქნაურ მიწებსაც ხევსურეთში თავიანთი სახელები აქვთ: გაფს ყანა, კვირაის ყანა, სათიბე, ეშმარუა, ამლისკულა, გორიყანა და სხვა (არჩოტში); გაკეითა, ზულა, კარათე, ბატების-თავი, ფერა, მიცუსჭალა, მზის-პირისა, ჩრდილისა და სხვა (შატილში); ჭვარისაკე, ნაფეტვარი, გუდელა, ლეკიანი, წისქვილთ-გორი და სხვა (ბარისახოში).

შინდვრის მუშაობა ხევსურეთში მოგვიანებით იწყება. პირა-  
შეთ ხევსურეთში ყანები აპრილში ითესება, პირიქითში კი მაის-  
ში. ხევსურები მიწას ხნავენ უბრალო ხის საკვნიელით, რო-  
მელიაც შებმულია ერთი უღელი ხარი. საკვნიელს აქვს საკვნი-  
ებმცელი და ხნავს არა უღრმეს 10 სანტიმეტრისა. საკვნიელს ხევ-  
სური ოსტატები ამზადებენ. მთელი თავისი გამართულობით საკვ-  
ნელი ფასობს ორი ლიტრა ერბო (8 კილო).

შოთა გარეული თესლი ითესება და შემდეგ ის  
წელიანი ფარცხით იფარცხება. ხევსურეთში ითესება ორგვარი  
ქერი: ჩარათი და ფიცარა. ფიცარა ქერი ორფხიანია,  
ჩარათი კი ოთხფხიანი. სვილიც აქ ორგვარი ითესება: სთვლის  
(წემოდგომის) და გაზაფხულის სვილი. უკეთესია სთვლის სვილი,  
რომელიც მეტ მოსავალს იძლევა. იყვალი (წმინდა) აქ ითესე-  
ბა კრისტიანის მიწაზე შედარებით ცოტა, რაღაც ხევსურეთის პი-  
რობებში ის ძნელად ხარობს, კრუმა (კრუპა) ხევსურეთში  
ხშირად ითესება.

ბარისახოში სიმინდიც მოჰყავთ და, თუ კარგი ამინდები დაუდგა, ის კარგ ტაროებსაც იქეთებს. არხოტში შვრია ითესება და კარგადაც მოღის. ამ ბოლო ხანებში ხევსურეთში კარტოფილიც მოჰყავთ. ამ პურეულთა შორის ხევსურეთში ყველაზე მეტი ითესება ჩარიათ ქერი, რომელიც ფიცარ ქერზე მეტ მოსავალს ძლევა. მეორე ადგილი უჭირავს სვილს, რომელიც ხევსურეთის პირობებში კარგად ხარობს. ნათესს ხევსურეთში კარგად უვლიან, შშირად სინჯავენ და, თუ სარეველა მცენარეები — ლვარძლი, დიფხა, ლაგი და სხვა გამოერია, მათ ხელით გლევენ.

კირნახულის მომწიფება ამინდზეა დამოკიდებული. თუ ზა-  
ფხული ცივია და ნესტიანი, ნათესი გვიან მწიფდება და მოსავალიც



მცირეა. ზოგჯერ სეტყვა აქაურ მოსაფალს სრულიად ანადგურებს, კარითავია, თბილსა და ზომიერ ამინდში ჭირნახული პირაქეთ ხეგსურეთში აგვისტოში მწიფდება, პირიქითში კი — სუშტემბერში.

პირველად აქ სვილი გაიჭრება, შემდეგ კი ქერი. სვილს ნამდობით მკიან, ქერს კი ხელით გლეჭენ, ძნას ულოთი კრავენ და სამეულად აწყობენ. სამეულებს აყენებენ წერილი რომელ-შიაც შვიდი სამეული, ე. ი. 21 ძნა ჩადის. სამკალში ქალი და კაცი ერთად მუშაობენ. ვისაც მომეტებული სამკალი აქვს, ის იყვანს მუშას, რომელსაც ქირაში ქერი ან ერბო ეძღვება. არაგვის ხეგსურეთში სამკალში ქირით მუშაობენ მთიულები და გუდამიყრელები. სამკალში ნაღიც იციან. ნაღის შეყრა უფრო ნაკვეთ დღეებში — შაბათსა და ორშაბათს იციან.

ნაღს საკლავს დაუკლავენ და კარგად უმასპინძლდებიან. ნაღს შესვეური ყანის მოჭრისას ასე დაილოცება:

„დალოცვილო ღმერთო, მშვიდობით მონენულ-მოთესული მშვიდობით შეგვაჭმივე, სამშვიდობოსა, სამშვიდობოსა, ქორწილ-მშვიდობაში პატრიონს მოახმარე“. მკის დროს ნადური სიმღერა არ იციან, როდესაც მკის მორჩებიან, ასე დაილოცებიან:

„არული, მარული, ყანა მთური, ბარული, ზენური, ქვენური, მიღმური, მოღმური დაიჭირე ულოშია, გაუტიე კალოშია, პატ-რონს მშვიდობაში მოახმარე“. ამაზე ყველანი შესძახებენ: გაუმარ-კოსო.

ძნებს მთებიდან ზურგით და ცხენ-ჯორით ეზიდებიან. დავაკებაზე კი ხმარობენ სათრულს, რომელიც ერთად შეკრული თრი ჯოხისაგან შესდგება: მას საბელს მოაბამენ და ძნებს ისე ჩამოათრევენ; სადაც მარხილი მიუდგება, იქ მარხილსაც იშველიებენ. ძნებს სახლის კარზე ან ბანზე ააგებენ და მას სერკვი ეწოდება. სერკვი შესდგება 2—3 წერილისაგან, ე. ი. 42—63 ძნისა-გან.

მინდვრის მუშაობის შემდეგ შეუდგებიან ჭირნახულის ლეწვას. სვილს სიპზე ხელით სცემენ და ისე ბერტყავენ, ქერი კი კალოზე იღეწება. ხევსურეთში კალო ჭერხოს ბანზეა გამართული და გადმოხურულია. ძნებს კალოზე შლიან და ზედ ხარებს ატარებენ. გალეჭილ ჭირნახულს ანიავებენ და ტაპკავენ, ე. ი. მიწასა და კუნ-



ჭიბულს აცლიან. გარჩეულ ჭირნახულს კოდებად არწყავენ. ჭირნახული რული კოდი 12 ლიტრაა, ერთი ლიტრი ან „ნასამაღლი“, როგორც მას ორთოში უწოდებენ, 4 კილოს უდრის. ჭირნახულს ხევსურები მოწნულ გოდრებში ინახავენ.

როგორც აღნიშნული იყო, ჭირნახულის მოსავალი ხევსურეთში უმთავრესიდ მიწის განკყიერებაზე და ამინდზეა დამოკიდებული, მაგრამ საშუალოდ აქაურ ერთ დღიურზე დათესილი 2 ფუთი სვილი იძლევა 12 ფუთ მოსავალს; ქერი დღიურზე ითესება 3 ფუთი და იძლევა 12 ფუთს. ორთოში კი (პირიქითი ხევსურეთი) დღიურზე ორი ფუთი ქერი ითესება და ის ბარის მიწაზე იძლევა 10 ფუთს, მთაში კი 5 ფუთს.

ჭირნახულის დაბინავებისთანავე ხევსურეთში ზამთრის სარჩეოს დაფქვას შეუდგებიან, რაღაც თოვლ-ყინვებში ძნელია საფქვავის გაღაზიდვა და ხშირად წისქვილებიც არ მუშაობენ. აქ პატარა და ერთთვალიანი წისქვილები იციან. ზოგიერთ მექომურს საკუთარი წისქვილი აქვს, ზოგს კი საწილოდ. საფქვავს ეზიდებიან ზურგით ან ჭორით; აქაურ წისქვილში ერთ უამში (დღე-ლამეში) იფქვის ორ-ნახევარი ფუთი ქერი. მინდის ილება ხევსურეთში არ იციან. ვისაც წისქვილში წილი არ უდევს, ის წლიურად იზღის ლიტრა ერბოს (4 კილო) და მას შეუძლია რამდენიც სურს, იმდენი დაფქვას.

ხევსურეთის მოსახლეობას ჭირნახული თითქმის ყოფნის. მცხოვრებთა 70%-ს ჭირნახული წლის ბოლომდე ყოფნის, 20%-ს ზედმეტიც აქვს: მათში ზოგიერთს ორი-სამი წლის სარჩოც აქვს შეხახული. მხოლოდ მოსახლეობის 10%-ს არ ყოფნის თავისი ჭირნახული, მაგრამ ესენიც ცდილობენ სარჩო ხევსურეთშივე იშოვნონ და სხვაგან იშვიათად გავლენ ჭირნახულის საყიდლად. ვისაც საქმაო სარჩო არ მოუდის, ის ყიდულობს და სამ ფუთ ქერში აძლევს ლიტრა ერბოს, ან სხვის ყანაში მუშაობს და დღეში ილებს ერთ ფუთ ქერს.

სარჩოს დაკლება და ოჯახის დამშევა ხევსურეთში დიდ სირცხვილად ითვლება, ამიტომ ხევსური ცდილობს ჭირნახული დროზე მოიმარავოს, თანაც დიდ მომჭირნეობას ეწევა, რომ სარჩო წლის ბოლომდე იმყოფინოს.

ზედმეტ ჭირნახულს ხევსურები ზაფხულობით ყიდიან მოხევე-

გუდამაყრელებზე, რომლებიც სარჩის სინაკლულეს განიცდიან და ზაფხულობით ზურგით თუ ცხენით ხევსურეთიდან ქერსა და სვილს ეზიდებიან.

ხევსურეთში ქირნახულს სცვლიან უმთავრესად სპილენძსა, ხალიჩა-ფარდაგსა და იარაღზე. ამ საგნებზე აქ დიდი მოთხოვნილელებაა და ხევსური ცდილობს ზედმეტი ჭინრახულით ესენი შეიძინოს და ამით თემში პატივი და გავლენა მოიპოვოს.

მიწათმოქმედებასთან ერთად ხევსურეთში მესაქონლეობასაც მისდევენ, განსაკუთრებით მეძროხეობას. ამას ხელს უწყობს აქაური საზაფხულო საძოვრები და ფართო სათიბები, განსაკუთრებით პირიქით ხეობაში, სადაც სათიბ-საძოვრებს დიდი ფართობი უჭირავს. საძოვრები ხევსურეთში სასოფლოა და იყოფა: საძროხედ, საჯაროვნედ და ყორულად (სათიბი). საძროხეზე საზაფხულო ქოხებია გამართული, იქ ქალები ძროხებს მწყემსავენ, წველიან და ერბო-ყველს ამზადებენ. პირიქით ხეობაში ხევსურებს ჰყავთ ცხვარიც, რომელსაც უფრო მატყლისათვის ინახავენ.

მესაქონლეობა ხევსურეთში განსაზღვრულია და მოსახლეობა არ მისდევს მეურნეობის ამ დარგის გაფართოებას. მართალია, საზაფხულო საძოვრები ხევსურეთში ბევრია, მაგრამ ზამთრის საკვების სიმცირის შიშით მოსახლეობა ვერ ბედავს საქონლის მომრავლებას. ზამთარი აქ მყაცრია და ხანგრძლივი და ბოსელში 7—8 თვე დამწყვდეულ საქონელს ბევრი საკვები სჭირია. სათიბი აქ ბევრია, მაგრამ ძნელია მოთიბვა და გადმოზიდვა.

თიბვა ხევსურეთში ივლისის მიწურულში იწყება. თიბავენ კაცები ცელებით, ხოლო ქალები ნამგლებით. მოთიბულ თივის ნამკრევი ეწოდება. მას საფარცხვლით მოხვეტენ და ამას კოლნაბოს უწოდებენ. კოლნაბოს ერთად მოაქუჩებენ ტვირთის თივად, რომელშიაც ორი კოლნაბო აეგება. თივის ხევსურები ზურგით ეზიდებიან, აგრეთვე ცხენ-ჭორით და სათრულით ან ორხლით. ამ ზურგით ნაზიდი თივით, რასაკვირველია, ხევსური ვერ შესძლებს მთელი ზამთრის მანძილზე საქონელი გამოკვებოს და ამის გამო იძულებულია საქონლის რიცხვი შეამციროს.

მსხვილფეხა საქონელში აქ უფრო ძროხები ჰყავთ, ხარი კა

ნაკლებად. ხევსურული ძროხა მომცრო ტანისაა<sup>1</sup>, მაგრამ ჭიშკარი და კარგი მეწველი. იქაური ძროხების სახელებია: ჭერემა, ზაფურა, ღებილა, დედოფალა, ნიშა, აწადა, დობილა და სხვა. ხარების სახელია: ნიკორა, ჯორელა, შარუმა, კედელა, კვირისა, პირქუშა, კურეტა, წიქარა, გოშელა და სხვა.

ძროხა და მისი ნაწარმოები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ხევსურეთის ეკონომიკაში და ამიტომ მეძროხეობის გარეშე ძნელია ხევსურის ოჯახის არსებობა. ღარიბ მექომურს ხევსურეთში 2—4 ძროხა ჰყავს, საშუალო გლეხს 8—10, შეძლებულს კი 15—20. ზამთარში ხევსურებს ძროხები ბოსლებში უყვენიათ და თივით კვებავენ. თუ საკვები შემოაკლდათ, ტყეში მიდიან და იქ ნეკერს აგროვებენ და იმას აჭმევენ. ზაფხულში ძროხები საძოვრებზეა და მწყემსები უვლიან. ხევსური სხვის მწყემსად ქირით არ წავა, ამიტომ შეძლებული მწყემსად იყვანს მთიულს ან გუდამაყრელს, რომელსაც ქირაში იძლევს ერბო-ყველს ან ჭირნახულს. საშუალო და ღარიბი ხევსურები საქონელს ერთად შეყრიან და მწყემსად მორიგეობით მიდან.

საძროხეზე ქოხებია აშენებული და აქ დედაკაცები დილა-სალამოს ძროხებს წველიან. რე იწურება „ს ა რ ც ხ ა“-თი და შეს ბაკანზე აყენებენ. ორ დღეში რე ნაღებს მოიგდებს. ნაღებს კას-რებზი ან ქილებში აგროვებენ. შემდეგ ვარიაში ჩაასხამენ, ცოტა ცხელ წყალსაც დაუმატებენ და დღვებენ. ზაფხულში რე ვარიაში იღლვიბება, ზამთარში კი კასრში (ჩხუტი). ვარიას საბელით ჩამოჰკიდებენ და ხელით ან ფეხით არწევენ; კასრში კი რე იღლვიბება „ბ ი რ ნ ე ლ ი თ“, რომელიც მდღვებავს ხელში უჭირავს და ისე დღვებავს. ერთი საათის დღვების შემდეგ ის კარაქს მოიგდებს. კარაქს ხელით ამოილებენ და ჩასდებენ ქვაბზი, რომელსაც შემდეგ ცეცხლზე შესდგამენ და აღუღებენ. დუღილის ღროს მას ორმუქა წმინდას (იფქლის ფქვილი) მოუკიდებენ და აღუღებენ, სანამ ერბო არ დაიწმინდება; როდესაც ერბო ბუშტის ძიძიბებს მოიყრის, გე-მოთი სინგავენ და, თუ დადუღებულია, ერბოიან ქვაბს ცეცხლი-დან გადმოსდგამენ. ცხელ ერბოს ჭამებში გადაიღებენ და კასრებ-ში ჩაასხამენ, თავსაც მაგრად მოუკრავენ.

<sup>1</sup> ნ. ი თ ს ე ლ ი ა ნ ი, მასალები ხევსურული ფურის ოსტეოლოგიისათვეის, საქართ. მუზეუმის მოამბე, ტ. IV, 1928 წ., გვ. 73.



ხევსურეთში ერბო კარგად მზადდება და დიდხანს ინახება, იგი ესოდება ჩვენში ცნობილია თავისი კარგი ღირსებით. ხევსურის ქალები ერბოს დამზადებაში დახელოვნებული არიან და პრიმიტიული დარალებისა და წესების მიუხედვად, საუცხოო ერბოს აკეთებენ.

ნაღებმოხდილი რძისაგან ხევსურები ყველს აკეთებენ. რძის შესადედებლად ჩაასხამენ ხსნარს „წამალას“, რომელსაც ხბოს კუპნაწლავისაგან ამზადებენ. შედედებულ რძეს ხელით ჭყლეტენ, „კუს“-ს ამრგვალებენ, შემდეგ მას ამოიღებენ და ჩასდებენ ქილაში, სადაც ის იწურება. ყველის ამოღების შემდეგ ქვაბში რჩება „ტები (ლ) ს ვ ე ლ ი“ და ახლა მას ცეცხლზე შესდგამენ და წამოადგებენ ტებილსველი მოიგდებს კალტს, რომელსაც ტილის პარკში ჩაუშვებენ გასაწურავად. გაწურულ კალტს მარილში ზელავენ, კვერებად აკეთებენ და ლასტზე აშრობენ.

ხევსურული „კუ ს ი“ (ყველი) ნაღებმოხდილია და ღირსებით შდარეა. ერბოსა და ყველს ხევსურეთში „ს ტილით“ სწონიან. ხევსურული სტილი ორ კვერცხს იწონის და იგი უდრის 200 გრამს. 2 სტილი 4 კვერცხია, ლიტრა 20 სტილი (4 კილო).

რძის ნაწარმებში ხევსურეთში ყველაზე მეტად ერბო ფასობს. საშუალო ღირსების ხევსურული ძროხა წლიურად იძლევა 12 კოლო ერბოს. ერბო ხევსურეთში ფულის მაგივრობას ასრულებს და აღებმიცემობაში საქონლის ღირებულებას ერბოს მიხედვით ანგარიშობენ, შემდეგ კი იგი გადაქვთ ჭირნახულზე, სპილენძზე და სხვა.

ძროხებთან ერთად პირიქით ხევსურეთში ცხვარიც ჰყავთ. აქ ფართე ალბიური საძოვრებია, მაგრამ ცხვრის მოშენება-მომრავლებას არხოტელები და შატილელები არ მისდევენ. ცხვარს აქ უმთავრესად მატყლისათვის ინახავენ, აქ მოსახლეობა დღესაც მატყლის ქსოვილით იმსება. მიტომ თითოეული მეკომური ცდილობს იმდენი ცხვარი იყოლიოს, რამდენიც აუცილებელია ოჯახის შესამოსავად.

წინათ ცხვარი პირიქითში მეტი ყოფილა. 1880 წ. ხევსურეთში სულ 8.340 ცხვარი ჰყოლიათ<sup>1</sup>. მაგრამ მეცხვარეობის მხრივ ხევსურებს ფშავ-თუშებისათვის არ მიუბაძიათ და მეურნეობის ეს

<sup>1</sup> М. Мачабели, (сб. Экономический быт крестьян, гл. 460).



მნიშვნელოვანი დარგი ფართედ არ უწარმოებიათ. ხევსურები უწყება  
სად ცხვარში არ მიღის და მწყემსებად ქისტებს იყვანენ. ხევსურე-  
თის ცხვარი ზამთრის საძოვარზე (შირაქში) არ მიღის და ბოსლებ-  
ში უყენიათ. ხევსურეთის სუსხიან ხანგრძლივ ზამთრის პირო-  
ბებში ძნელია დამწყვდეული ცხვრის ზურგით ნაზიდი თივით გა-  
მოკვება. ამის გამო პირიქითელებს ცხვარი ხშირად სიცივისა და  
შიმშილისაგან ეროვნება.

რაც შეეხება ზაფხულის საძოვრებს, პირიქითში ბევრია, ასე-  
თია არხოტში ტანიეს იალალი და შატილში ანდაქისა, მაგრამ ამით  
ხევსურები ვერ სარგებლობდნ.

ამის გარდა ხევსურეთში მეცხვარეობის შეზღუდვას და ჩამორ-  
ჩენას თავისი ისტორიული მიხედვებიც უნდა ჰქონონდა. მთავარი  
უზა კოფილიყო პირიქითი ხევსურეთის უგზოობა. ეს მხარე მომ-  
წვდეულია კავკასიონის მაღალ მთებში და წინათ იგი გარშემორ-  
ტული იყო მტრულად განწყობილი მეზობლებით.

ხევსურეთის ცხვარს არ შეეძლო ამ გზით ზამთრის საძოვრებში  
უზიფათოდ გავლა და ის ზამთარში შინვე რჩებოდა. კახეთის ზამ-  
თრის საძოვრებისაეკნ ხევსურებს უჭირდათ კავკასიონის ქედზე  
ცხვრის გადარევა და აქაც ლეკების შიშით ვერ ბედავდნენ მგზავ-  
რობას. ამასთანავე ქისტებისა და ლეკების შიშით პირიქითელებს  
არ შეეძლოთ სახლ-კარის ხანგრძლივად დატოვება და ცხვარში  
წასვლა.

ასეთი პირობების გამო ხევსურეთი მოემწყვდა კავკასიონის  
ვიწრო ხევში და ის ვერ ბედავდა მეცხვარეობის გაფართოებით  
თავისი საარსებო ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას.

ხევსურეთში ცხენი და ჭორი თითქმის ყველასა ჰყავს. უცხენოდ  
არსებობა ხევსურეთში ძნელია. მიმოსვლა თუ ტვირთის გადაზიდ-  
ვა აქ მხოლოდ ცხენითა და ჭორით წარმოებს. ხევსურული ცხენი  
ცნობილია თავისი ჯიშიანობით, იგი ტანით საშუალოა, ფეხმარ-  
დია და გამძლე. ცხენის სახელებია: ნიკორა, ლურჯა, კვალია, თამა-  
შა, წითლა, შავრა და სხვა. მაგრამ ხევსურეთის პირობებში ყვე-  
ლაზე გამძლე და ამტანი ჭორია. ხევსურული ჭორი ნაქებია. ჭორი  
აქ ცხენზე მეტს ფასობს. მძიმე ტვირთის გადაზიდვა და შორი  
მგზავრობა წარმოებს ჭორებით, რომლებიც შეჩერებული არიან პი-  
რობებს და მძიმე შრომისაც იტანენ.



ძაღის დაზოვა

არაგვის ხეობის ხევსურეთში ფუტკარიც ჰყავთ. ფუტკარს ხოკერში ათავსებენ. ხოკერს თვალი აქვს გამოჭრილი, საიდანაც ფუტკარი ხოკერში შედის და გამოდის. ფუტკარი ჭერხოს დერეფანშია მოთავსებული. ხოკრიდან თაფლი შემოდგომით გამოაქვთ ბარბაროსული წესით. აიღებენ ხოკერს და წყალში ჩაყუდებენ ან ყარტის ცეცხლზე დაამხობენ: ამგვარად ფუტკარს ხოცავენ და თაფლს ისე იღებენ.

ხელოსნობას ხევსურები არ მისდევენ და ხელოსნებად აქ უფრო გუდამაყრელები და მთიულები მუშაობენ. წინათ ხევსურეთში ყოფილან აქრომჭედლებიც, რომლებიც ამზადებდნენ: ყაწიმებს,  
5. ს. მაკალათია



ბალთებს, ხმლის ქარქაშებს, ფარებს, ჩანჩანს და სხვა. დღიული ხელოსნობა დაცემულია, რადგანაც ყველა ამ იარაღ-სამკაულზე ნაკლები მოთხოვნილებაა და, ვისაც სჭირია, ქალაქებში ყიდულობს და იქიდან ეზიდება.

ხევსურის ქალები ქსოვენ შალს (ტოლს), რომლითაც ოჯახი იმოსება. ტოლის ქსოვას ხევსურეთში არა აქვს ფართო მოხმარების ხასიათი. ის მხოლოდ ოჯახს ხმარდება და ბაზარზე გასაყიდად არ გააქვთ. არაგვის ხევსურეთში მატყლი არა აქვთ და მას ფშავიდან, გუდამაყრიდან და ხევიდან ეზიდებიან. მატყლი დღეს აქ ძეირად ფასობს და შოვნაც ძნელია. ფუთი მატყლი ხევსურეთში ფუთ ერბოდ ფასობს. სატოლე მატყლი ჯერ ირეცხება, შემდეგ სავარცხალზე ქაბილუ ად იჩეჩება. ქაბილუს (ფოთილა) ნამტენად (ფარტენა) აქცევენ. ნამტენას ტარზე ართავენ და ეს ტარი სახრელზე ტრადლებს. ტარზე ნაგრეხ ძაფს უწოდებენ ნასთს, მას ორ ლოლად ჯარაზე დასძახენ და თხორად ახვევენ.


გამზადებულ თხორს საქსოვ ყდაზე გააბამენ, მქსოველი ცხემლის აიღებს და ამით საზედოს აქსოვს, რომელსაც ბეჭით ბეჭნიან. ქსოვის პროცესში მქსოველი ფხინით გარას ასწევ-დასწევს და თხორს წიწუ-თი ასწორებს.

ხევსურეთში ორგვარი ტოლი იქსოვება — ერთშიანი (უბრალი) და ორშიანი (საღიაცო). ერთშიანი იოლი საქსოვია და დღეს აქ უფრო ერთშიანი ტოლი იქსოვება. ორშიანი კი უფრო რთული მოსაქსოვია, ნაქსოვი კარგია და მტკიცე, მაგრამ მას იხლა იშვიოთად ქსოვენ.

ტოლი აქ ადლობით იზომება (ნახევარი მეტრია). ხევსურეთში იქსოვება 10—15 ადლიანი ტოლი. კარგი მქსოველი ქალი აქ დღეში მოქსოვს 5—7 ადლ ტოლს, რომლის მოქსოვა 6 კილო ერბოდ ფასობს.


ხევსურული ტოლის ბუნებრივი ფერებია: თეთრი, შავი, ლეგა და წითელი. ამ ფერის ტოლის მოსაქსოვად ფერად მატყლს შეაჩევენ და იმისდამიხდვით იღებენ სასურველი ფერის ტოლს. მაგრამ ამასთანავე იციან ტოლის შეღებვაც. ამისათვის ხმარობენ ბუნებრივსა და ქიმიურ საღებავებს.

შავი ფერი იღებება ძაღისა და მურყნის ქერქის ნადულ-



ში: სისვის ფერს კი ტუტისა, ლებისა (მიწაა) და წერთხა-  
ლის წვენში ღებავენ.

წითელი ფერი იღებება მუხის ქერქში და ლებში. ეს ფერი  
ავრეთვე ენდროში იღებება. ლურჯ ფერს ლილაში ღებავენ,  
ყვითელს წერთხალაში და შაბში. მწვანე ფერი იღ-



საქსოვი იარაღები



### ტოლის ქსოვა

ბება წერთხალისა და ლების წვენში. სხვა ფერებს კი ქალაქიდან შემოტანილი ქიმიური საღებავებით ღებულობენ.

ხალიჩა-ფარდაგები და ხურჯინები ხევსურეთში არ იქსოვება. აქაურმა ქალებმა მათი ქსოვა არც კი იციან. ამავე დროს აქ დიდი მოთხოვნილებაა საფენებზე და ხურჯინებზე, რომლებიც უმეტესად ფშავიდან და კახეთიდან შემოაქვთ.


ხევსურეთში ქსოვენ აგრეთვე წინდებსა და თათებს. წინდას ჩხირებით ქსოვენ. წინდა იციან სადა და ყელიანი. თათი ყელიანი ფეხსაცმელია. ის ჯერ იქსოვება და შემდეგ ფერადი სახეებით იში-

ბება. დაშიბული თათი ირეცხება, მას საფართზე წამოაცმევენ და გამოაქრიცენ და ისე აცვამენ. ეს ამოკერებული თათი თბილია და ხევსურის ჩვეულებრივი ფეხსაცმელია. თათი აჭრელებენ ფერადი გეომეტრიული სახეებით და ჯვრებით. იგი აგრეთვე შემკულია ფერადი მძივებით და ლილებით.

ხევსურეთში გავრცელებულია მუშის (საბელის) გრეხა. მუშს ამზადებენ ცაცხვის ქერქისაგან, რომელსაც ჭერ წყალში ალპობენ, შემდეგ დახსნიან და გრეხენ საბლის საბრუნებელი ჭონით. საბელს აგრეთვე კანაფისა და თხის ბეწვისაგან ამზადებენ.

ხევსური სამუშაოდ სხვაგან არ მიღის, მაგრამ მოუსავლიანობის წლებში ზოგი ხევსური იძულებულია კახეთში გავიდეს და იქ მუშაობით ოჯახი გამოკვებოს. ბარში ხევსური შეშას სჭრის, ტვირთს ეზიდება, ხის ჭურჭელს ამზადებს და სხვა.

ვაჭრობასა და აღებ-მიცემობას ხევსურები არც წინათ მისდევდნენ და არც ეხლა ეწევიან. ხევსურეთის ეკონომიკა დამყარებუ-





ლი იყო ნატურალურ მეურნეობაზე. გაცვლის საგანი აქ კუთხით და დროხაა, მათი მიხედვით ხდება კველა ღირებულებათა შეფასება. ძროხა ხევსურეთში წინათ 5 მანეთად ფასობდა. ერთი ლიტრი ერბო (4 კილო) თორმეტ აბაზად (ოქროთი) და ამ ძროხისა და ერბოს კვალობაზე იყო დაფუძნებული ხევსურეთის გაცვლითი მეურნეობა.

ფულს ხევსური მაშინვე საქონლად აქცევს და უმთავრესად იძენს: სპილენძის, ვერცხლის, იარაღს და საფეხს.

ხევსურს თანამედროვე ბაზართან სუსტი კავშირი აქვს და მისგან იგი ნაკლებად არის დამოკიდებული. ხევსურეთი კმაყოფილდება თავისი პურით, საქონლით, ერბოთი და ტანისამოსით, ამიტომ ქალაქის ნაწარმოებზე აქ ნაკლები მოთხოვნილებაა.

	შიჩა		თავნახარა კვერა
	ცვერცაა		გარფულება
	ღავავეჭყადა		ღავავეჭყადა
	გაგაფა აკამა		გაგაფა აკამა
	კვერა		კვერა
	ცერა კვერა		ცერა კვერა
	პეპედა		თავგრავნიღი ხაფი
	მგზავრა		მგზავრა
	კმიდა		კმიდა
	ჩქამოხრიდა		ჩქამოხრიდა
	თავნახარა		თავნახარა
	ანავირა		ანავირა
	ფორხა		ფორხა
	კება		კება

ქსოვილის ელემენტები

ხევსურეთი ეკონომიკურად ჩამორჩენილი კუთხეა, სადაც მიწა მცირება და უგარესის, მიწათმოქმედება და მესაქონლეობა კი განუვითარებელია. ამიტომ ხევსურეთის ნამრავლი იძულებულია აქტუან გადასახლდეს. მაგრამ მთას შეჩვეულ ხევსურს ეძნელება ბარად ჩასვლა და ის აქ ყოველგვარ მომჭირნეობას ეწევა; იზოგაც სარჩის და შვილებსაც ორი-სამის მეტს არ იჩენს. ხევსური ამასთანავე გამძლეა, იტანს მძიმე პირობებს და, თუ არა უკიდურესი შემთხვევა, ბარში არ ჩაია.

ხევსურებმა სამშობლოდან გადასახლება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყეს და ეს გადასახლება დღემდის გრძელდება. ხევსურების სოფლები დღეს კახეთში ბევრია, განსაკუთრებით გომბორზე. გადასახლებულთა საერთო რიცხვი 3000 სულს აღმატება. ხევსურეთის ამ კულტურულ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის წინააღმდეგ საბჭოთა ხელისუფლების მიერ დღეს მიღებულია გადამწვეტი ზომები: ჩქარი ტემპით მიღის ფშავ-ხევსურეთის გზის მშენებლობა, სოფლის მეურნეობაში პრიმიტიულ იარაღებს ცვლიან რკინის გუთნები და სალეჭი მანქანები, ითესება გაუმჯობესებული ჯიშის პურეული და სხვა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მესაქონლეობის განვითარებას და რძის ნაწარმის დამზადების გაუმჯობესებას. აქ ეწყობა საცდელი ფერმები, სადაც ჯიშიანი ძროხების მოვლა-მოშენებასთან გაუმჯობესებული იარაღებით მზადდება: ერბო, კარაქი და ყველი.

მეურნეობის ამ დარგის ხევსურეთის სინამდვილეში განვითარებას ხელს უწყობს აქაური ჰავა და ალპიური საძოვრების სიუხვე.

#### 4. საზოგადოებრივი ზოფა

ხევსურეთის საზოგადოებრიობა წარსულში თემურ წყობილებას არ გასცილებია. ამ თემობრივობის დამახასიათებელ ზოგიერთ მოვლენას დღემდის მოუღწევია. ამ მხრივ ხევსურეთი შესწავლის საინტერესო ობიექტს წარმოადგენს და ჩვენ აქ შევეცდებით მისი ზოგიერთი მხარეები გვარეკვიოთ.

ხევსურეთში მოსახლეობა გვარებად არის დაყოფილი. თვითე-



ულ გვარს აქ ერთი ხეობა ან სოფელი უჭირავს. ხევსურეთში უკე-  
ლაზე დიდი და მრავალრიცხვონი გვარი არ აბული და  
ჯინჭარაულია და ორივე ეს გვარი ითვლება ხევსურეთის  
ძირეულ და თავდაპირველ მოსახლეობად. ამ ორ გვარს უჭირავს  
უმთავრესი პირაქეთი ხევსურეთი (არაგვის ხეობა).

ხალხური გადმოცემით ორაბულისა და ჭინჭარაულის წინაპარი  
ფშავეთიდან წარმოსდგება. თქმულების ერთი ვარიანტით ის გად-  
მოსულა შუაფხოდან, მეორე ვარიანტით კი აფშოდან. ის მონადი-  
რე ყოფილა, შუაფხოდან ხევსურეთის არაგვის ხეობაში სანადი-  
როდ წამოსულა, აქ კუდანის მახლობლად გარეული თხა მოუკლავს  
და ნანადირევი შინ მიუტანია.

მამას გავირვებია თხის სიმსუქნე და შვილისათვის გამოუყი-  
თხავს ნადირობის ადგილი. მამას უთქვამს: ის ადგილი, სადაც ასეთი  
მსუქანი ნადირია, ნოყიერი და მოსავლიანი იქნებაო, ჩენი კუთხე კი  
მწირია და უნაყოფო; ამიტომ წადი, ამ თხის ბუშტი ხორბლით  
გაავხე და სადაც ნადირი მოგიყლავს, იქ დათესეო. მონადირეც ასე  
მოქცეულა და გუდანის მახლობლად ეს ხორბალი დაუთესია.  
ამოსულა მშენიერი ჭეკილი; შემოღომაზე მონადირეს მოუმქია  
ერთი გუდა ქირნახული და წაულია. ამის შემდეგ მამა-შვილი  
დარწმუნებულან ადგილის ნაყოფიერებაში, შუაფხოდან აქ გადმო-  
სახლებულან და ადგილსაც გუდანი დარქმევიაო. ამაზეა ნათქვამი:

„ერთმა ვერძისა ქისამა  
გედა შექმნა და გუდანა“-ო.

მონადირეს აქ ორი ვაჟი გასჩენია: არაბა და ჭინჭარა და ამ ორი  
ძმისაგან ხევსურეთი მოშენებულაო. ეს საყურადღებო თქმულებაა,  
რომელიც ისტორიული სინამდვილის ამსახველიც უნდა იყოს.

გუდანი მოთავსებულია ხახმატის წყლისა და არაგვის შესარ-  
თავთან. ადგილი დავაკებულია და ტყიანი. აქვს სათიბ-სახნავი  
ადგილებიც. გუდან-ხახმატის ხეობა ხევსურეთის პირობებში ყვე-  
ლაზე უკეთესია და ხევსურეთის მოსახლეობაც პირველად აქ უნდა  
გაჩენილიყო. ამას ისიც მოწმობს, რომ გუდან-ხახმატშია მოთავ-  
სებული არაბულისა და ჭინჭარაულის ორი დიდ ხატი: გუდანისა  
და ხახმატის-ჭვარი, რომელსაც მთელი ხევსურეთი თაყვანსა სცემ-  
და. აქვე იმართებოდა სათემო ბჭობა და წყდებოდა ლაშქრობისა

და ზავის საკითხები. ერთი სიტყვით, ხევსურეთის პოლიტიკურ-რელიგიური ცენტრი ისტორიულ წარსულში გუდანი იყო, სადაც „ბრძანებლობდნენ“ გუდანის-ჯვარი, ჭინჭარაულისა და არაბულის გვარის ხევისძერები.

ამასთანავე ისიც აღსანიშნავია, რომ თქმულებით არაბულისა და ჭინჭარაულის წინაპარი შუაფხოდან (ძველი ფხოვი) გადმოსულა და ეს გარემოება ერთხელ კიდევ ადასტურებს ისტორიულ ცნობას ფშავ-ხევსურეთის (ფხოვის) მოსახლეობის ერთიანობის შესახებ.

ამგვარად, თქმულებისა და ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლის მიხედვით ირკვევა, რომ ხევსურეთში მოსახლეობა ფშავის ჩევილან (ფხოვილან) გადმოსულა და პირველად გუდანში დასახლებულა. ქედან არაბულისა და ჭინჭარაულის გვარის ნამრავლს არაგვის ხეობა დაუკავებია და შემდეგ შატილშიც გადასულა.

ჭინჭარაულები და არაბულები იყოფიან შინუბად (ძმათაშვილები) და თვითეული მეკომური ატარებს მაშად (მამის) სახელებს. არაბულების შინშია ფიცხელაური. ეს გვარი წარმოშობილია სახელი ფიცხელასაგან, რომელიც გვარად არაბული ყოფილა, ამიტომ ფიცხელაურები დღეს ორმაგ გვარს ატარებენ, მოკლეს — ფიცხელაურს და გრძელს — არაბულს.

მამად არაბულები იყოფიან: თემროზაულად, დავითაურად, მანგიურანად, იდიანად და სხვა. ჭინჭარაულები კი: უთურგაულად, გილაკაურად, ანატორელად და სხვა.

ამ ორ მთავარ და ძირეულ გვარს გარდა არაგვის ხევსურეთში მცირერიცხოვანი გვარებიც არიან: ლიქოკელი, ალუდაური, გოგო-ჰური, ბურდული...

ლიქოკელებს უჭირავს ლიქოის ვიწრო ხეობა. გადმოცემით მათი წინაპარი ყოფილა ქისტი სანაგი, რომელსაც ჭინთეთში კაცი მოუკლავს და ხევსურეთში გამოხიზნულა. სანაგი პირველად ბარი-სახოში დასახლებულა, მაგრამ აქ მამულს ჭინჭარაულები შედაცებიან და ის ლიქოის ხეობაში გადასულა.

ლიქოკელები მამადად იყოფიან: ჩალხურნი, ხახიკაურნი, კუნჩალენი და სხვა. გოგოჰურის გვარი იყოფა: ბაჩაყაური, მინდიკაური, ხახიაური, დაიაური, სუიკაური, ბათაყანი და სხვა. მეკომურის დასახლების დროს იტყვიან: გეჭურა გიორგისძე ბა-

ჩაყაური გოგოჭური, იწერება მოკლე გვარი ბაჩაყაური, გრძელი  
დი გოგოჭური. ეს გვარები გავრცელებულია არაგვისა და შატი-  
ლის ხევსურეთში და სრულიად არ გვხვდება არხოტის თემში,  
საღაც სულ სხვა გვარები მოსახლეობენ.

არხოტში ცხოვრობენ: წიკლაური, ოჩიაური, ბალიაური, გა-  
ბუური და მათი ძმათაშვილები. ოჩიაური, ნაროზაული და ცისკა-  
რაული ძმათაშვილებია, და მათი წინაპარი ყოფილა აბა ჭურჭი-  
აული, რომელიც გარბანიდან (ხევი) არხოტში გადმოსახლებულა.  
თქმულებით, აბა მონადირე ყოფილა და ჯიხვებზე დევნის დროს  
შემთხვევით არხოტში გადასულა, იდგილი ცარიელი ყოფილა და  
მას ერეკლე მეფისათვის უთხოვია აქ დასახლების ნებართვა. მეფე-  
საც ადგილი უბოძებია; აბა ახიერში დასახლებულა და ციხეც  
აუგია „კარათ-ციხე“ წოდებული.

ეს გვარები მამად იყოფიან, ოჩიაურნი: ქალიელნი და  
ალუდიყანი: ცისკარაული: ქარანი და თათიანი; ნარო-  
ზაულნი: ჩაბაყაურნი, თახიანი, თამარისძენი და ქავთარანი.

ჯაბუშანურის გვარი თათარი (ქისტი) ყოფილა და თავდაპირ-  
ველად არხოტში ამ გვარის ხალხს უცხოვრია. შემდეგ ჯაბუ-  
შანური აქედან აყრილა და სათათრეთში გადასულაო, დარჩენილა  
გხოლოდ ერთი კოჭლი და მისგან ეს გვარი მომრავლებულა. ჩხუბის  
დროს ჯაბუშანურებს ხევსურები დღესაც წასძახებენ: „თქვე თათ-  
რებო“—ო. ამ გვარს სასაფლაოც ცალკე აქვს. ჯაბუშანური სამ მა-  
მად იყოფა: ბაჯანი, კეცანი და ალაანი.

ამღაში ცხოვრობენ წიკლაური, ჭოლიკაური და ბასილაური.  
პირველად ამღაში უცხოვრია ჭოლიკაურსა და ორბელს, რომლე-  
ბიც ძმათაშვილები ყოფილია. მაგრამ ხალხური თქმულებით, ბაგრა-  
ტიონ მეფეს ისინი უნათლავს და, ვისაც ქრისტიანობა არ მიუღია,  
აქედან აყრილია და თათრებში გადასულან. ამაზეა ნათქვამი:

„ადგეს, წავიდეს ორბელნი,  
იმერეთს! წყალსა გახდესა,  
იმას კი ვერავინ იტყვის:  
„არ იყვნეს, იმით წახდესა“.

<sup>1</sup> იმერეთში აქ იგულისხმება ჩრდილოეთ ქავკასიოს მხარე და არა დასიუ-  
ლეთ საქართველოს იმერეთი.

ამ ორბელთ ნასოფლარი „ორბელთა ოჩწყალთანა“ აქ დღესაც არის. ჭოლიკაური და ბასილაური იწერება წილაურის გვარზე. წილაურის წინაპარი ყოფილა თურმანი, რომელსაც თავადები მტრობდნენ თურმე და უინგანიდან არხოტში გახიზნულა. ამაზეა ნათქვამი:

„თურმან ვარ ფაფარენელი,  
კითხვა რად გინდა გვარისა?  
ხორხი დავწევი და მაღარო,  
უინგან ჯაერი მაქვს თრისა,  
თიანეთ — ჰავვავაძისა,  
გაუმაძლარის ლორისა“-ო.

ერთი სიტყვით, გვარების ამ ზეპირი ისტორიიდან ირკვევა, რომ ხევსურეთის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა საქართველოს სხევადასხევა კუთხიდან არის გამოხიზნული, მცირე ნაწილი კი, განსაკუთრებით არხოტის თემში, უცხო ტომის მთიელებიც არიან გადმოსული და შემოხიზნული.

ხევსურეთში გახიზვნას ხელს უწყობდა ბატონყმური საქართველოს სოციალ-ეკონომიკური პირობები. მთა საბატონო არ ყოფილა. ის მეფის განკარგულებაში იყო და ამიტომ მებატონისაგან დევნილი ყმა მთაში იხიზნებოდა, საღაც ადგილი მიუვალი და თავისუფალი იყო. ამას ემატებოდნენ მესისხლეობით დევნილი პირები, რომელებიც კავკასიონის მიუვალ ხევებში იხიზნებოდნენ.

მაგრამ თემი არც ისე ადვილად იღებდა შემოხიზნულს, რომლისთვისაც არსებობდა ადათით გამომუშავებული წესი კარით შე ყრა. ამ მიზნით ხიზანი თემში სთხოვდა რომელიმე გვარს დამძმობილებას და მფარველობას. შემდეგ ის ხატში საკლავს მიიყვანდა და ძმობაზე დაიფიცებდა, პირობას სდებდა, რომ თემისა და ხატისათვის არ ეღალატნა; ფიცის სიმტკიცის ნიშნად ხატში სამანს (ქვას) ჩასვამდნენ, ხარს დაკლავდნენ და სისხლს ზედ სამანზე დაღვრიდნენ. ამის შემდეგ ხიზანი ითვლებოდა თემის სრულუფლებიან წევრად, ხშირად იგი გვარს იცვლიდა და ატარებდა შემობილებულის გვარს.

მაგალითად, ქმოსტელი ბურდულები ახილის თემთან იყვნენ ხარით შეყრილნი და ერთმანეთს ჰირში თუ ლხინში იცავდნენ. მაგრამ, თუ შემდეგ ძმად შეფიცული ხიზანი ცუდი და მავნე გამოდ-



### ხევსური არხოტიდან

გებოდა, ხდებოდა ძმობის გაყრა და მას მოიკვეთდნენ: საწყევარ სამანს ჩასვამდნენ და შემდეგ გაყიცხულს შეეძლო სადაც სურდა, იქ წასულიყო და გვარიც გამოეცვალა.

ამგვარად, ხევსურული გვარები წარმოშობილია ოჯახის უფროსისა და მეკომურის სახელიდან და ძმათაშვილებიც იწერებიან მოკლე (ახალი) და გრძელ (ძველი) გვარებად. ეს პროცესი დღესაც გრძელდებოდა. მაგრამ ხევსურეთის გვარებს შორის უფლებ-

რივი და ქონებრივი ძლიერება და გაელენა ერთგვარი არ ყოფილი. ყველაზე მრავალრიცხვენი და ძლიერი გვარი იქ არაბული და ჭინჭარაული იყო. მათ ხელში ეჭირათ გუდანის ძლიერი ჭვარის დროშა და თავიანთი გვარის ხევისბერების დახმარებით ცდილობდნენ მთელი ხევსურეთი თავიანთ ყმად ექციათ. ამ მიზნით არაბული და ჭინჭარაული ხევისბერები გუდანის-ჭვარის სახელით ბეგრავნენ შატილისა და არხოტის თემებს. ვინც ყოველწლიურად დადებულ ბეგარას არ გაიღებდა, მას გუდანის მეგანძურები (ყმები) ბეგარას ძალით ართმევდნენ. შატილ-არდოტს ბეგარაში უნდა ეტლია 100 ცხვარი, ახელს კი 80 ცხვარი.

არხოტი ხშირად ურჩობდა თურმე და ბეგარას არ იძლეოდა. გუდანის ჭვრის მეგანძური არაბულები და ჭინჭარაულები იქ ლაშერიბას აწყობდნენ, მაგრამ არამდენიმეჭერ დამარცხების შემდეგ, არხოტელებისათვის თავი მიუნებებიათ:

„ქადაგობს გაიდაური: „ბრძანებს გუდანის-ჭვარიო:  
 საათენგენოდ გაგიძლვან სამის ბატონის ყმანიო;  
 სამი ააბან დროშაი, სამსაჟ შააბან ზარიო;  
 ქევსურებ დამწყალობნან, უკუღმ არ გათყვას ჭვრიო;  
 გაბეგრონ არხოტივნები, კვამლზე აილან ცხვარიო.“

არაბულების მძლავრობის ასალაგმავად უბრძოლიათ აგრეთვე ქეთელაურებს, გოგოჭურებს და ალუდაურებს. ამ სამ გვარს პირი შეუკრავთ და ხახმატის ხატის „ხელთან“ გაფიცულან, რომ შეერთებული ძალით ბოლო მოელოთ არაბულების თავგასულობისათვის.

ხევსურეთის თემებს მუდმივი შულლი და მტრობა ჰქონდა მეზობელ მთიელებთან, განსაკუთრებით, ქისტებთან და ფშავლებთან.

ეს შულლი გამოწვეული იყო თემური წყობილების სოციალურობის პირობებით და უმთავრეს მიზნად ისახავდა ნადავლის მოპოვებას. გაძლიერებული თემი ცდილობდა მეზობელი თემების დაბეგვრას და თავის გავლენის ქვეშ მოქცევას. ურჩობისათვის თემის შეძლებული ჯგუფები მათ წინააღმდეგ ლაშერიბას აწყობდნენ, არბევდნენ მოსახლეობას, იტაცებდნენ სარჩო-საქონელს და ბრუნდებოდნენ ნადავლით, რომელსაც თემის მესვეურები იყოფდნენ.

ერთმანეთის დარბევა მეზობლებს შორის იწვევდა შურისძების საშინელ გრძნობებს. ამ მიზნით მტერს მარჯვენასაც აჭრიღნენ და თავიანთი ციხის კედლებზე აქრავდნენ.

მტრის მარჯვენა ხელის მოჭრა თემური ადათით ვაჟა-ცისათვის სავალდებულო იყო და სახელოვანი გმირი მათი რაოდენობის მიხედვით ფასდებოდა. ვინც ამ ადათს დაარღვევდა, მტრისადმი შებრალებასა და გულჩვილობას გამოიჩენდა, მას აღუ და ჭე-თე ლაშ რი ის ბედი ეწეოდა (ი. ვაჟა-ფშაველა, ალუდა ქეთე-ლაური). ასეთ პირს თემი ხატში არისხებდა და მოიკვეთდა.

ამასთანავე, ხევსურები ნადავლის მოპოვების მიზნით სამეკობროდაც ხშირად მიღიოდნენ. მეკობრეთა ბელადად გულად მეომარს ირჩევდნენ. სამეკობროდ ხევსურები მიღიოდნენ ქისტებში, ფშავში, ხევში და სხვა. ნადავლს მეკობრები სამ წილად ყოფდნენ: ერთ წილს ხატს სწირავდნენ, მეორეს მოურავს უგზავნიდნენ და მესამეს თვითონ მეკობრები ინაწილებდნენ. მეკობრეთა ლაშქრობას მეთაურობდა შეძლებულთა ჯგუფი, რომელსაც კაშირი ჰქონდა გუდანის ხატის მეგანძურთან. ხატში ქადაგს დასვამდნენ და ეს ქადაგი გუდანის-ჯერის სახელით ხალხს სამეკობროდ მოუწოდებდა. აქვე ირჩევდნენ მეკობრეთა ბელადსაც. გამარჯვება და ნადავლის მოპოვება მეკობრეთა გულადობაზე იყო დამოკიდებული და ვაჟა-ცისაც თემში დიდად ფასობდა. სახელოვან მეკობრეს საგმირო ლექსებს უძლევნიდნენ და ხევსურული საგმირო პოეზიაც ამგვარი ლექსებით მდიდარია!

ამ მეკობრეთა შორის ხევსურეთში ცნობილია მუცუელი თორლვა, რომელიც ქისტების დახმარებით თუშეთსა და ფშავს იკლებდა თურმე. ხალხური გადმოცემით, თორლვა ბაგრატიონის ნაბიჭვარი ყოფილი და მას მუცუში მაგარი ციხე აუშენებია. ეს ციხე მუცუში დღესაც დაცულია და იმაყად გასცერის არდოტის ბუმბერაზ ხეობას. ბოლოს თორლვა ისე გათავხედებულა, რომ მას ფშავლებისათვის თითო ცხვართან ერთად ბეგარაში მოუთხოვია აგრეთვე კომლზე ტომარა ნაცარი თოვლიანი გზის ასამშრალებლად, ხოლო ისრისათვის ბორაის თითო ფრთა. ამაზე ფშავლები ამხედრებულან და თორლვაც ფშაველ ჩოთას მოუკლავს:

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, ტფილისი, 1931 წ., გვ. 1—129.

„ანდაქით ამოემართხეს მონაღირენი რეანიო,  
მობუბუნებდა თორლვაი, როგორც მანძილა კარიო,  
— სადა-რა იყავ, თორლვაო, სად-რა აუშვი ალიო?“  
— „ემანდ სამ ვიყავ მუცუსა, ბეგარას მაუმატეო.  
თქვენც უზრა მატცეთ, ფშავლებო, თითო შიშვი ცხვარიო,  
თითო ტომარა ნაცარი, თითო ბორაის მეარიო!“  
— „სამჯერ გეხვეწე, თორლვაო, სამჯერ დაგიალ ცხვარიო,  
მეოთხედ შემოგეხვეწე — თეთრი ქორაი კარიო,  
ვინც ხუთჯერ მოგცეს ბეგარა, მათ უძალდეს მკედარიო!“  
გაღმააჩინნა ჩოთამა ისარნა მშვარდლინნიო,  
წყალს გაღმა მშვილდა მასწია, წყალს გამოღმ იქნეს ჩქამნიო.  
ხელიც შეგრჩება, მსროლელო, რა კარგი შეიც ძალიო  
ერთის ნასროლით გაცერიტე ჩოხა, პერანგი, ფაქიო!  
— „გაღვირდი, მუცუს განდილო, თორლვაო, გამცივარიო!“

ხევსურ მეკობრეთა თარეში იწვევდა ქისტების და ლექების ამ-  
ხედრებას და ისინიც თავიანთ მხრივ უფრო დიდ თარეშს აწყობდ-  
ნენ ხევსურეთის სოფლებზე, იტაცებდნენ სარჩოსა და საქონელს,  
მიჰყავდათ ტყვეები და მათ დასახსნელად დიდ სასყიდელს მო-  
ითხოვდნენ. ამიტომ ხევსურეთის თემები მუდამ მზად უნდა ყოფი-  
ლიყვნენ მტერთან საბძოლველად:

„კისტანს მოვიდა ლაშქარი ლეიისა ავაიძიაო,  
აბულეთაურთ ციხესა კარ არ შეხვნან ხისაო!  
კაცი ხევსურეთს გააგლეს: „გვიშეულეთ“ ეძანისაო,  
წინ-წინ კამატით მოვიდეს, ეტლ მოხყვა გიორგისაო;  
„გაგვიგებეთ გუდანსა“, ბრალ მისწევდა მამისძმისაო;  
ბაცალიგოელთ ვაეკბას იმედ ქეც ცხენებისაო:  
მოუქრეს წინ-კადულელთა მოკლე საყელო მთისაო;  
სალაშქროს ჭალას ჩაგროვდეს, ელვა დგას ჩანწებისაო.“

ხევსურეთს მუდმივი შუღლი ჰქონდა უფრო ქისტებთან, რომელიც მას ჩრდილოეთით საზღვრავდნენ. ქისტები არბევდნენ შატრილისა და არხოტის თემებს. ქისტებთან ბრძოლაში პირიქით ხევსურეთში განთქმულია ოლუდაური გაბური, კირჩლა ნისლაურისებ, აბა ჩალხურის შვილი, უშიშა ოჩიაური და სხვა. ქისტი და ხევსური ერთმანეთს სისხლსა და ნაძარცვს არ შეარჩენენ, ამიტომ მათ შორის შუღლი და მტრობა თაობით გრძელდება. 1924 წელს არხოტელებმა ქისტებს ცხვარ-საქონელი წაართვეს. ქისტებმა მო-

ითხოვეს საქონლის დაბრუნება, მაგრამ არხოტელებმა შარი მოსდეს და არ მისცეს. მაშინ იმავე წლის სექტემბერში ქისტები გადმოსულიან არხოტში, აუფორიაქებიათ მოსახლეობა და თავიანთ საქონელთან ერთად არხოტელების ცხვარ-ძროხაც გაურკვიათ. ბოლოს ამ საქმეში ხელისუფლება ჩარეულა და ქისტებს ხევსური ტყვევიბი და მათი საქონელი დაუბრუნებიათ.

ამის შესახებ ეს ლექსია გამოთქმული:

„სამშაბათს გათენებადა ღიღი დგას ცოდო-ბრალია;  
 იხევის დედამიწა, ცოდვით ჩამოდნეს ქვანია,  
 ცაჲ აყენებს მასკვლავთა არხოტიგნების ბრალია;  
 სიბრალულისგან ქრებოდა ცისკარი მიომკლარია.  
 ორს თემს დაეცა თაგზედა შთელი ურჯულოს ჭარია.  
 გათენდა, მაში გაიგეს: „ურჯულომ დაგვცნა ცანია!“  
 შეერა ყარაულებსა ველთ გასვალნი გზანია,  
 სრუ დაეცერავ სოფელი, შეარეს სიმაგრის კარია,  
 ხელა დაეცნეს იმასა, დილა თენების ხანია;  
 დახივლეს ქისტის შეილებმა, კუელამ დალვერდა გვარია.  
 თოვის ხმა, ელვა-ქუხილი, სრუ უერდა მთა და ბარია.  
 წაედით, ურჯულოებო, ჩაელილთაც დაგლევსთ წყალია!  
 ისწავლე, ელიმარძაო, არხვატით წანატანია,  
 მიხვალ, მივიდის ტყვევები, მაგიდის ჭარავანია.  
 იცოდე, არ შეგრჩებოდა არხოტიგნების ვალია,  
 წინავაც გვიცდესთ უღმეტოდ, როსაც არ გედვათ ბრალია.  
 გავსონსთა საამღოშით გამაგილალესთ ცხვარია,  
 წყემსიც ქვიშაში გაწირეს, ტყვიამ დანაყა ძვალია.“

არხოტელების და ქისტების შულლი ჭერ კიდევ საბოლოოდ აღმოფხვრილი არ არის, მაგრამ ხევსურეთის საზოგადოებრივი ყოფის გარდაქმნასთან ერთად თემური მეშულლეობის ეს გადმონაშთები ჩქარა მოისპობა და ხევსურებსა და ქისტებს შორის დამყარდება მეგობრული კავშირი.

ხევსურეთის საზოგადოებრიობას დღესაც ახასიათებს სისხლის აღების ადათი. აქ საბჭოთა სამართლის ორგანოები სუსტად მუშაობენ და სამართლის საქმეებს ჭერ კიდევ განაგებენ ძველი ბჭეები.

საყურადღებოა, რომ ხევსურული რჯული და შისი ადათები ეხლაც სრულდება და წარსულის ცოცხალ გადმონაშთებს წარმო-ადგენს, ამიტომ თემური სამართლის შესწავლისათვის ხევსურულ

რჯულს უაღრესი მნიშვნელობა ეძლევა. მით უშეტეს, ხევსურულ რჯულს და მის აღათებს გიორგი ბრწყინვალისა<sup>1</sup> და ვახტანგ მეფის სამართლის აშვარა გავლენა ეტყობა. ამ მხრივ საინტერესოა მათი შედარებითი შესწავლა, ეს კი მოითხოვს საკითხის სპეციალურ დამუშავებას, რაც აქ ჩვენს ამოცანას არ შეადგენს.

აღამიანის მოკვლა ხევსურეთში დიდ დანაშაულად ითვლება: მკვლელზე ძმებმა და ბიძაშეილებმა შური უნდა იძიონ და სისხ-



### ხევსურები (ტიპები)

ლი იილონ. ეს აღათი ხევსურს ძვალ-რბილში აქვს გამჭდარი; „ხევსურული რჯულით“ სისხლის აუღებლობა თემში, უდიდესი სირცხვილია და მოკლულის სულიც, მათი წარმოდგენით. საიქი-

<sup>1</sup> ძეგლის დაღება შეუკთ მეფის გიორგის მიერ (იბ. ს. მაკალათია, მთიულეთი, გვ. 16); სამართლი ბატონიშვილისა ვახტანგისა (იბ. ჩუბინიშვილის ქართული ქრისტომია, 1846 წ., გვ. 394—450).



პირიქითელი ხევსურები.

ოში იტანქება. ამიტომ ხევსური თავისი ძმათაშვილის სისხლს არა-  
გის შეარჩენს, სანამ მოსისხლეთა გვარი არ ამოწყდება.

მკვლელობის გამომწვევი მიზეზები აქ მრავალია: მშობლის  
შეგინება და შეურაცხყოფა, სიმთვრალე ხატში და ქორწილში,  
მამულზე დავა და სხვა. მკვლელობა ზოგჯერ სრულიად უმნიშვნე-  
ლო საქმეზე მომხდარა. მაგალითად, ორ ზეისტეხოელს გზაში  
უპოვნიათ მათრახი, ამაზე ცილობა მოსვლიათ. ჩხუბში ერთი არა-  
ბული მოუკლავთ, ამაზე გაჩაღებულა შურისძიება და დღემდე

ოთხი კაცია მოკლული. ერთ შატილელს მგელა ჭინჭარაულს მუ-  
ცოელი ხევსურისთვის 6 ტყვიად თივა მიუყიდია. მუცოელს ექვ-  
სის ნაცვლად ხუთი უძლევია და ერთ ტყვიაზე ჩხუბი მოსვლიათ;  
შატილელს მუცოელი მოუკლავს. გაჩაღებულა მტრობა და დღემ-  
დე 4 კაცია მოკლული. შურისძიება გრძელდება.

ხევსურული რჯულით სისხლი მოეთხოვება მევლელსა და მის  
ოჯახს. მტრობენ აგრეთვე მკვლელის დედის ძმებს და ბიძებს,  
რომლებსაც შურის მაძიებელი ვერ მოკლავს, მაგრამ დასჭრის.

მოხდება თუ არა მკვლელობა, მეკავე და მისი ოჯახი მა-  
ჭინვე იხიზნება. მაგრამ, რათა მოკლულის პატრონმა მექელეს  
ოჯახი არ დაარბიოს, ირჩევენ შუაკაცებს, რომლებიც დასარბევად  
წამოსულებს წინ მიაგებებენ კურატს, ცხვარს, სამ „ჩარექ რგალს“  
(სპილენძის) და ეტყვიან: „შუაკაცები გეახლათ, რაც ვალია, ინე-  
ბეთონ“. ცხვარს იქვე დაკლავენ მევლრის სულის ასახსნელია, მაგ-  
რამ ხორცის არ შეჭამენ, ვინმე იქ დამსწრეს აჩუქებენ, ტყავს კი  
შუაკაცები აიღებენ. კარს მეშულლები წაიყვანენ. ამის შემდეგ  
რჯულით მეშულლეს ნება არა აქვს, მექელეს ოჯახი დაარბიოს.

მოკლულის დასაფლავების დღეს მექელე შუაკაცების ხელით  
ჭირისუფალს უგზავნის მიწად შასვლის საკლავს. ამ  
საკლავს მიცვალებულის ოჯახში მიიყვანენ, იქ დაპკლავენ და შენ-  
დობას ეტყვიან.

ამას უნდა მოჰყევს საგვარო, რომელიც მექელემ ფულით  
ან საკლავით უნდა გადაიხადოს. საკლავს დაკლავენ და მოკლუ-  
ლის სულს მოიხსენიებენ; ამით მექელისა და მოკლულის გვარი  
რიგდება, რის შემდეგ მკვდრის პატრონს საქმე აქვს მექელესთან  
და მის ძმისთან და ბიძებთან.

დაიწყება რიგის ყენება და, თუ ამ დროის განმავ-  
ლობაში მექელე და მოკლულის პატრონი ერთმანეთს გზაში შეხვ-  
დებიან, მკვლელი მაშინვე ქუდს მოიხდის, გზაზე დააგდებს და გა-  
იქცევა. თუ მტერმა ვერ მოითმინა და გაქცეულს დაედევნა, ეს  
სირცვილია. თუ მკვლელისა და მოკლულის ნათესავები ერთმა-  
ნეთს შეხვდებიან, ქუდი პირველად მექელეს ნათესავმა უნდა მო-  
იხადოს.

რიგის ყენების ადათით მექელემ მოკლულის დებს სადო  
9 ცხვარი უნდა მისცეს, ამდენივე ეძლევა მამიდას სამამიდაო,

დედის ძმებს ეძღვევა სადედო ხუთი ძროხა. შემდეგ შეკელეს ბიძაშვილებმა მოკლულის გვარს საძმო უნდა გადაუხადოს, რადგანაც ისინი მკვლელის ახლობლები არიან და ბრალი მათაც ედებათ. წინათ ბიძაშვილებს მეშაბათე ებს ეძანდნენ და მეშაბათეობა მეშვიდე თაობამდე გრძელდებოდა. თუ მეშაბათე სისხლის ჭარიმას არ გადაიხდიდა, მას გზა ჰქონდა შეკრული და მკვდრის სოფელში ვერ გაივლიდა. წინათ სისხლი იყოფოდა სამ ნაწილად: ორი წილი იყო საგვარეულო და ერთი მკვდრის პატ-რონისა. მაგრამ მეშაბათეები გვარეულობაზე მაღლა იდგნენ და სა-ერთო ორი წილიდან თითოეულ მეშაბათეს „საბიძაშვილო“ ერთი ცხვარი მეტი ერგებოდა. ამასთანავე, მეშაბათეს ჭურუმიდანაც მეტი წილი მიქვენდა.

სამმო ხუთი ძროხაა. თუ გვარი 10 კომლია, კომლი ორ ცხვარს გაიღებს, თუ 20 კომლია — თითო ცხვარს ან ამის ღირებულ მიწას. ამის შემდეგ ისინი რიგდებიან და მეკელე უბრუნდება თავის ოჯახს, მაგრამ შრომა-საქმიანობის ნებართვა მან მოკლულის ოჯახისაგან უნდა გამოითხოვოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, რაც რიგის ყენებაში მიუცია, ყველაფერი ბათილდება და შულლი ისევ განახლდება. ამიტომ მეკელემ მოკლულის ოჯახს წყალ-წისქვიალის სამქსნელო საქლავი უნდა გაუგზავნოს და შემდეგ შეუძლია სულადი (საფქვავი) დაფქვას, მანამდე კი სხვა სოფელში მიაქვს და იქ ფქვავს.

საქმის სამკესნელო ეგზავნება კიდევ ერთი საქლავი და შინ დაბრუნებულ მეკელეს შეუძლია ოჯახში საქმიანობა. ხარ-გუთნის გაბმის წინ მეკელე უგზავნის მიწა-წყალის სამკსნელო კიდევ ერთ საქლავს და ამის შემდეგ მეკელეს ნება ეძლევა მამული მოხნას. თიბვის დაწყებამდე მეკელემ თიბადგას ვლის საქლავი უნდა გაუგზავნოს.

საფლავ-სამარხის სამქსნელო: მეკელეს თავის ოჯახის მიცვალებულის დამარხვა არ შეუძლია, სანამ ამის სამქსნელო საქლავის მოკლულის ოჯახს არ გაუგზავნის. ამასთანავე, მეკელე საქლავს აგზავნის, როდესაც მოკლულის დედ-მამა, და-ძმა და ბიძაშვილი მიიცვლება და, თუ ეს მან დროზე არ გაიღო, მას ჭურუმი (ჭარიმა) 5 ძროხა გადახდება.

ამასთანავე, მეკელის სასიძომ მეშულდეს პარივში ერთი

საქლავი უნდა მიართოს, თორემ ვერ დაქორწინდება. მექელე კალდებულია სანთლობას (მიცვალებულის რიგი) მოკლულის ოჯახს სანთელ-საკლავი გაუგზავნოს. თუ სანთლობა და წელთაობა, ე. ი. მიცვალებულის წლისთავი, ერთად ხდება, მაშინ ამ ვალდებულებას მექელე ერთი საკლავით გადაიხდის, თუ სხვადასხვა დროშია, მაშინ „წელთაობას“ მეორე საკლავსაც იგზავნის.

რიგის საკლავი მექელემ მოკლულს ყოველ წელიწადს რიგობის ერთ რომელიმე დღეს — ახალწელიწადს, აღდგომას თუ სხვა დროს საკლავი უნდა დაუკლას და ის შენდობით მოიხსენიოს, თორემ მექელე გაზაფხულზე გუთანს ვერ გაიტანს. ვინც ამ წესს დაარღვევს, მას საჭურუმო ერთი ან ორი ძრობა დაედება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მკვდრის პატრონი მექელეს ისევ მტრობას უცხადებს და შურისძიება განახლდება.

გაიგლის ერთი წელი და დაიშვება შუაკაცების სიარული და მესისხლეთა გარიგებაზე მოლაპარაკება. გარიგება მკვდრის პატ-რონზე დამოქიდებული და ხევსურეთში ეს სამი წლის შემდეგ ხდება, მაგრამ ზოგჯერ 5—20 წლის შემდეგაც ვერ რიგდებიან. არის შემთხვევა, რომ მეორე და მესამე თაობაშდე შუღლი გრძელდება და არ რიგდებიან. და სანამ ეს შერიგება არ მოხდება, მკვდელს ეკრძალება სიმღერა, დაკვრა, ხატში და ქორწილ-ტი-რილში წასვლა.

თუ მექელეს გვარის მხრივ მოკლულის გვარ-ნათესაობა, ყმაწ-ვილი, დიაცი და სხვა გაილანდა, ამისათვის ჭურუმად კურატი უნდა დაუკლას.

მექელეს არ შეუძლია მოკლულის სოფელში უსაქმოდ გაიაროს. თუ ცხენოსანმა მექელემ მოკლულის სოფელში გაიარა, ცხენიდან უნდა ჩამოხტეს და ფეხით გაიაროს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჭურუმად მას კურატი გადახდება. მექელე. მოკლულის ოჯახის ყმად ითვლება, თემში ის დამცირებული და უფლებააყრილი. მექელეს შეშუღლისაგან მუდამ საფრთხე მოელის და უშიშრად მგზავრობა არ შეუძლია. ასეთ პირობებში ხევსურეთში არსებობა მეტად ძნელია და ამიტომ მექელე იძულებულია ხევსურეთიდან გადაიხვეწოს ან არადა მესისხლე შეირიგოს.

ამ მიზნით მექელე შუაკაცების თანხლებით მაღულად მიღის



მოკლულის ხატში, მიჰყავს ქურატი და სამი ცხეარი. მას ანუ მეტად გამოქვება ამას ხატში ტოვებს და უკანვე გამოიპარება. ამას ეწოდება ჯვარში შავ დომა. ეს ხატში ხუცი იხუცებს, საკლავს და ქლავენ და მოკლულის ოჯახს მოიწვევენ. ხუცი მათ ერყვის: „მტერი ჯვარში შემოვიჟდა და შარი-გებას გთხოვს“—ო. ამის შემდეგ მეშუღლეს ადათით არ შეუძლია მექელეს გარიგებაზე უარი უთხრას.

თოფის აღება. ჯვარში შავდომის დღეს მკვდრის პატრონი თოფს დააყენებს და მექელესა და მის ნათესავებს თოფს ვერ ესვრის.

პირშესა მყრელო. გაივლის დრო, მკვლელი დამზადებს ლუდს, საკლავ-სატანს და მოკლულის ხატში გაგზავნის, სადაც მექელე და მკვდრის პატრონი მიღიან შუაყაცებით და ერთმანეთს პირისპირ შეხვდებიან. მკვლელი მორიდებულია და დაიჩრებებს. მოკლულის პატრონი მასთან მივა, ლუდით სავსე თასს შეასმევს და ეტყვის:

„გასცილდები გზაშია, ნება გაქვს ჩვენ სოფელში მოხვიდე, აზძრახდე და აგძრახდებისო“. შემდეგ მკვდრის პატრონი დაიჩრებილ მექელეს მხარზე ხელს წაავლებს და იაყენებს. ამით ორივე მხარე ფაქტიურად რიგდება; თუ შემდეგ მკვლელი და მისი ნათესაობა უდიერად მოექცენ მოკლულის ოჯახს, მათ ქურუმში ხუთი ძროხა ან ცხრა ცხვარი გადახდება.

მაგრამ ეს არის საბოლოო გარიგება და მექელე ვალდებულია პატივითა და მოკრძალებით მოექცეს მოკლულის ოჯახსა და ნათესაობას. მასვე ერთმევა — სასუღარმამკვდაროდ ერთი დღის სახნავი მიწა, რომელიც მკვდრის პატრონს სამუდამოდ რჩება.

საბოლოო შერიგება ხდება თავ-სისხლის გათავების შემდეგ, რომლის დრო წინათ თითქმის განუსაზღვრელი იყო და 7—8 თაობამდე გრძელდებოდა, ამ ხნის განმავლობაში მექელე მტრობისა და სისხლის აღების შიშის ქვეშ უნდა ყოფილიყო, რაც მეტად მძიმე პირობებში იყენებდა მექელესა და მის ოჯახს. ხევსურეთის თემებს ბოლოს შეუგრიათ ასეთი უსაზღვრო ვადის მავნებლობა და ამ 15 წლის წინათ თავ-სისხლის გათავების ვადა განუსაზღვრავთ 80 წლით, რასაც დღესაც მტკიცედ იცავენ. ამ ხნის განმავლობა-

ში მკვლელმა ყოველ წლისთავზე მოქლულის ჭირისუფალს საქ- ან უნდა მიართვას მიცვალებულის სულის მოსახსენებლად.

მეოთხმოცე წელს დაიწვევენ შუაკაცებს და სისხლის საქმის გვევს, რომელთა გადაწყვეტილებით მკვლელს მიჰყავს კურატი და მას იქვე დაპკლავენ, შემდეგ ტაბლას გაშლიან, ხუცები დაილოცებიან და მეშულლებს შეარიგებენ. მკვლელი სისხლის საფასურს 16 ძროხას ან მის ფასს იხდის და ამით თავდება თავ-სისხლის საქ- მეც.

ხევსურული რჩულით კაცის სისხლი შეფასებულია 80 ძრო- ხად, ქალისა კი 30 ძროხად, მაგრამ რიგის გადახდის შემდეგ მკვლელი იხდის 16 ძროხის საფასურს, რაღაც დანარჩენს რი- გის ყენებაში უბრიან.

ცოლის ან შვილის მოკვლისათვის სასისხლო არ არის, დაწესე- ბულია მხოლოდ მცირედი გადასახადი. ქმარმა რომ ცოლი მოკვლას ან მაგრამ შვილი, და დულებს ხუთი ძროხა უნდა მისცეს.

სისხლის საფასური ხევსურეთში ძროხებით არის გამოანგარი- შებული. ეხლანდელ კვალობაზე ერთი ძროხა=1 ლიტრა (9 გირ.) სპილენძს=4 ლიტრა ერბოს. წინათ ერთი ძროხა ფასობდა 5 მან., ფუთი ერბო უდრიდა ერთ ძროხას=1 ლიტრა სპილენძს; ერთი ლიტრა ერბო წინათ=1 ცხვარს; 4 ცხვარი=ერთ ძროხას; ერთი გირგანება ვერცხლი=2 ძროხას. აი, ამის მიხედვით ხდება სისხლის საფასურის გაანგარიშება, და მკვლელმა ეს უნდა გადაიხადოს ან „ფეკით“, ე. ი. ძროხებით და ცხვრებით, ან „ქელით“, ე. ი. სპი- ლენძით და ვერცხლით. შეიძლება ნახევრის „ფეკით“ და ნახევ- რის „ქელით“ გადახდა. ეს ბჟევებთან შეთანხმებაზეა დამოკიდე- ბული.

თუ მკვლელს საწესოები გადახდილი აქვს და თავ-სისხლის გათავებამდე მეშულლებ იგი მაინც მოქლა, მაშინ უკანასკნელს საუკე ნმამკვდარო გადახდება. ამაზე სისხლის საქმის ბჟე- ვებს დასვამენ, სისხლი სისხლში გაიბრება, ხოლო მკვლელს ართ- მევენ მიღებულ ყველა საწესოებს და კიდევ ზეღმეტად საუკენ- მამკვდაროს 5 ძროხას, რაღაც მკვლელობა მოხდა გონებით — (განზარხვით) და არა უგონოთ (შემთხვევით). მაგალითისათვის, თო- თიამ ჩხეუბში უგონოთ მოქლა ნადირას ძმა და ის იხდის საწესოს, ამავე დროს, ნადირამ გონებით შური იძია და მოქლა თოთიას

შმა. ხევსურული რჯულით ნაღირამ მას უნდა უზღოს ყველა წესი ხარჯები და „საუკენემა მკვდარო“ კიდევ 5 ძროხაც მისცეს. თუ მკვლელობა სხვისი იარაღით მოხდა, მაშინ იარაღის პატრონს 5 ძროხა გადახდება.

მაგრამ ხევსურეთში სისხლის აღება უფრო სასახლოა, ვიდრე მისი საფასურის აღება, ამიტომ მეშულლე შერიგებას აქიანურებს და ცდილობს მოკლულის სასახლოდ სისხლი აიღოს. მით უმეტეს, ხევსურის წარმოდგენით მოკლულის სული საიქიოში იტანჯება და ჩივის, თქვენ ვერ მოჰქილით ჩემი მკვლელიო; მისი ტანჯული სული ოჯახს ვნებს. თუ სისხლშე სისხლია აღებული, მოკლულის სული მაშინ კმაყოფილია, ამიტომ მეშულლე ხევსური ცდილობს თავის მტერს მოუკლას სახელოვანი და გულით საყვარელი პირი, რაც თემშიც სასახლოა. ბერივზე და სნეულშე შურისძიება აქ სირცხვილია. ქალებზე და 60 წელს გადაცილებულ მამაკაცზე შურისძიება და მოკვლაც სირცხვილად ითვლება. არც „უნიფერვო“, ე. ი. 12 წლის ქვემოთ ასაკის ვაჟზე შეიძლება სისხლის აღება.

იოგის-თავი: თუ ხევსური მოკლა არა ხევსურმა, ე. ი. ქისტმა, ფშაველმა და სხვამ, მეშულლეს მოკლულის ჭირისუფალი და ემუქრება: „რამდენი იოგიც (სახსარი) პქონდა ჩემს ძმას, იმდენი კაცი უნდა მოუკლა ჩემს მტერსაო“. ხევსურების წარმოდგენით, ადამიანს 12 იოგი აქვს და ამიტომ მან მტერს 12 კაცი უნდა მოუკლას.

მკვდრისად შეწირვა. თუ ხევსური ქისტმა ან ლექმა მოკლა, პატრონმა არ იცის მკვლელი და მას არ შეუძლია მკვლელს რიგის ყენება მოსთხოვოს, მაშინ მოკლავენ რომელიმე ქისტს ან ლექს, რათა იგი მოკლულს საიქიოში ემსახუროს.

მესისხლეობა და მასთან დაკავშირებული მკვლელობა ხევსურეთის სოციალური სენია.

ამ ნიაღაგზე ხევსურეთში მკვლელობა წინათ ხშირად ხდებოდა და იყო შემთხვევები, რომ მესისხლეობით არა ერთი გვარი ამოხოცილა. ეს საფრთხეს უმზადებდა თვით ხევსურეთის ფიზიკურ არსებობასაც. საბჭოთა ხელისუფლების დროს ამ მავნებელი მამაპაპური ადათის წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა.

ამ ადათის მოსასპობად პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გა-



დადგა არხოტის თემში, რომელმაც 1927 წლის 18 ივნისს თავ-მე-აზე-აზე-აზე-აზე-აზე

სისხლეობის შესახებ მიიღო ასეთი დადგენილება:

„ჩვენ, არხოტის თემის ხევსურებმა, მცხოვრებმა სოფ. ახი-ელისა, ამღისა და ჭიმღისამ მოვიყარეთ თავი, რათა გვექნია მსჯელობა ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა საჭირბოროტო საკი-თხებზე.

პირველად დაისვა საყითხი მესისხლეობის შესახებ, რომელმაც გამოიწვია მოსახლეების დიდი დაინტერესება და ამავე დროს შეხლა-შემოხლა და კამათი. იყვნენ როგორც მოწინააღმდეგენი, აგრეთვე მომხრენი თავმესისხლეობის ძველი წესების დარღვევისა და შეძლებისდაგვარად მათი შეკვეცისა. ამ ახალი საქმის მიმართ მოწინააღმდეგობას იჩენდნენ განსაკუთრებით ახალდაზარალებული სისხლის პატრონები. მიუხედავად ყოველივე ამისა, ყრილობამ გამოიტანა დადგენილება, რათა არხოტის თემის სამივე სოფლიდან არჩეულ ყოფილიყო ხალხი, მცოდნენი ხევსურეთის რკულისა და ზნე-ჩვეულებისა და მათ მსჯელობა დავალებოდათ და დადგენილების დასამტკიცებლად წარედგინათ ხალხისათვის საერთო ყრილობაზე.

არჩეულ იქნენ შემდეგი პირები: სოფ. ახიელიდან 1. ალექსი ოჩიაური, 2 თომა ბალიაური, 3. გიორგი ჯაბუშანური, 4. უნცრუა ჯაბუშანური, 5. მინდია ოჩიაური, 6. ხიზანა ნაროზაული, 7. ბა-იქაურ ცისკარაული და 8. ლადო ბალიაური.

სოფ. ამლიდან 1. ბერიკა წიკლაური, 2. თოთა წიკლაური, 3. ხირჩლა წიკლაური, 4. გიორგი წიკლაური და 5. ბაბუტა წიკ-ლაური.

სოფ. ჭიმღიდან 1. გიორგი გაბური, 2. ივანე გაბური, 3. ადუა გაბური, 4. ბაბუა თეთრაული, 5. ბაჭყი გიგაური, 6. გიორგი თეთ-რაული.

ზემო დასახელებულ პირთ იქნიეს მსჯელობა სამი დღე და ღმევ და გამოიტანეს შემდეგი დადგენილება: 1. აღიკვეთოს ყო-ველგვარი დევნა და სისხლის აღება მკვლელის ძმის და გვარეულობის წევრების მიმართ და მხოლოდ მკვლელის ძმა მოვალეა ერთი წლის განმავლობაში ერიდოს მოსისხლეს და არ ატაროს იარაღი, რათა ის არ იქნეს მიჩნეული მკვლელის დამცველად.

ერთი წლის შემდეგ ხდება ძმის პირშესამყრელო ხარით, აგ-

რეთვე შინშიც ნახევარი წლის განმავლობაში უნდა ერიღოს და ზარალებულებს. რაც შეეხება გარეთულ ბიძაშვილებს, ისინი ითვლებიან თითქმის თავისუფლად ამ საქმეში, მხოლოდ უკეთესია, რაც ჩქარა მოისწრებენ პირშესამყრელოს.

2. ისპობა ყოველგვარი ჯურუმი და გადასახადი დრამის სახით.
3. ისპობა ყოველგვარი პატივი და რაიმე ხათრი დაზარალებულისადმი, გარდა მკვლელისა.
4. ისპობა როგორც მკვლელის, აგრეთვე ბიძაშვილების ხიზნის რაიმე სახით დევნა.

5. რაც შეეხება მკვლელს, ის ასრულებს ყველა ძეელ წესს, თავისი სიმკაცრით ამ შემთხვევაში, თუ ის დასჭილი არ იქნება ხელისუფლების მიერ. მოსისხლეობის წესების შესრულება ისპობა მთლიანად მკვლელის სიკვდილის შემდეგ, თუნდაც ის უკანასკნელი არ შეიქმნეს მსხვერპლი შურისძიებისა.

ასლები ამ დადგენილებისა დაცული იყოს ყოველ ხატში. დადგენილების გასამაგრებლად არხოტის ჯვარში დაიკლას ხარი და ჩაერდეს სამანი. ამ საერთო პირის (დადგენილების) დამრღვევი განდევნილ იქნას თავისი ხიზანით არხოტის და ხევსურეთის არემარედან.

მოსახლეობა მთლიანად იწონებს ამორჩეულ პირთა დადგენილებას, მხოლოდ ამ დროს ამორჩეული პირებიდან ერთ-ერთ წევრს თომა ბალიაურს შემოაქვს წინადადება, რომ შემსუბუქდეს შინ-შის (ბიძაშვილის) შევიწროება მკვლელობის შემთხვევაში, არ იყოს მოვალე სოფლიდან დროებით აყრისა.

უმრავლესობის თანხმობით და უმცირესობის წინააღმდეგ ეს წინადადება მიღებულ იქნა.

ამ დადგენილების მიღების შემდეგ ამ უკანასკნელისავე განსამტკიცებლად, მთელი თემის მოსახლეობის თანდასწრებით, არხოტის ჯვარში (ხატში) დაიკლა ხარი და ჩაგდებულ იქნა სამანი.

ყველა ამის შემდეგ თემის მოსახლეობამ მადლობა გადაუხადა თომა ბალიაურს, როგორც ამ საქმის მეთაურს და აგრეთვე სხვა მავნე ზნეჩვეულებათა წინააღმდეგ მებრძოლს მთაში.

ყრილობა აგრეთვე მადლობას უცხადებს მასწავლებელ ალექსი ოჩიაურს, როგორც დამხმარეს და პირის მომწყობს ამ საქმეში. მადლობა გამოეცხადა დანარჩენ ამორჩეულ პირებსაც.



თმის კრეპი.

დადგენილებას ხელს აწერენ: 1. ო. ბალიაური, 2. გ. ჭაბუშანური, 3. ლ. ჭაბუშანური, 4. ა. ოჩიაური, 5. მინდია ოჩიაური, 6. ხიზანა ნაროზაული, 7. ბ. ცისკარაული 8. ლ. ბალიაური, 9. ბეწიკა წიკლაური, 10. თოთა წიკლაური, 11. ხირჩლა წიკლაური, 12. გ. წიკლაური, 13. ბაბუტა წიკლაური, 14. გ. გაბური, 15. ი. გაბური, 16. ადუა გაბური, 17. ბაბუა თეთრაული, 18. ბაჭყი გიგაური, 19. გ. თეთრაული“.

როგორც ვხედავთ, აწ განსვენებულ თომა ბალიაურის ინიციატივით არხოტელებმა მესისხლეობისგან გაანთავისუფლეს



მკვლელის ბიძაშვილები და ნათესაობა. მკვლელობის პასუხისმგებელი ბელია მხოლოდ მკვლელი და მისი ოჯახი. ამასთანავე, შურისძიების წესების ერთი ნაწილი შეკვეცილია, დანარჩენი კი ზოსპობალი. მესისხლეობის ვადაც განსაზღვრულია მკვლელის სიკოცლით, მისი სიკვდილის შემდეგ სისხლიც ისპობა.

ამ დადგენილების სიმტკიცის დასაცავად სოფ. ახიელის მთავარ-ანგელოზის ხატში სამანის ქვა იყულია ასეთი წარწერით: „1927 წ. ივნისის 18 დღეს ეს სამანი ჩაგდებულია არხოტის მთელი მოსახლეობისაგან თავსისხლის შესახებ. პირი დადგენილებისა ინახება ყველა ჭარში. თომა ბალიაური“. და, როცა ამ ხატში საკლავი დაიყვლის, ხუცი სისხლის ამ სამანზე დააჭუვას, რომ ეს დადგენილება არავინ გატეხოს.

ამგვარად, მესისხლეობისა და ხევსურული ჩატულის წინააღმდეგ თვით ხევსურები იბრძეიან და პირველი ნაბიჯიც არხოტელებმა გადადგეს. ხევსურეთის დანარჩენი თემებიც ცდილობენ არხოტელებს მიბაძონ და მათი ეს დადგენილება თავიანთ თემებშიც გაატარონ.

თავსისხლიანობასთან ხევსურეთში შურისძიების უფრო მსუბუქი ფორმაც არსებობს, რომელსაც კეჭნაობას უწოდებენ.

კეჭნაობა ხევსურეთში ჩვეულებრივი მოვლენაა და იშვიათია ხევსური დაუკეჭნავი იყოს და მას თავ-პირი დაშნითა და საცერულით დასერილი არ ჰქონდეს, ამიტომ კეჭნაობაში და იარაღის ხმარებაში ხევსურები პატარაობიდან ვარჯიშობენ, ჭერ ხის დაშნებითა და ფარებით, შემდეგ კი ნამდვილ ხმლებზე და ფარებზე გადადიან.

კეჭნაობაში მთავარია, გავარჯიშებული ხელი და კარგი ხმალი გქონდეს, ისე, რომ ხმლის ერთი მოქნევით მეშულლეს მსუბუქი კრიოლობა მიაყენო, სისხლი გამოადინო და საფოთლეს (საექიმო) გარდა არაფერი გადაგხდეს. მძიმე დაკეჭნა სირცევილია: იტყვიან, მკლავი ვერ დაიმორჩილა და მეშულლეც იმიტომ გასწირა, მძიმედ დაკეჭნაო.

კეჭნაობა ან შულლობა ხდება მიცვალებულის რიგებში, ქორწილში, ხატობაში და სხვა. მიზეზი ამისა მრავალია: პირადი შეურაცხოფა, შური, სიმთვრალე, დედისა და მამის სულის შეგინე-

ბა და სხვა. კეპნაობა ვაჟკაცობად ითვლება და ქალებში კარგზობისა და მოკეპნავე დიდ მოწონებაშია: „ქალისპირა ბიჭს უფრო მაუდის ჩხუბი და კეპნა ქალების სათვალფროდ“—ო. ვინც კეპნაობას გაურბის, მას ზრახავენ, ბერავი და მხდალიაო, მაგრამ კეპნაობაში მარტო პირადი ვაჟკაცობა და გულადობა არ კმარა, საჭიროა აგრეთვე ღრამის გადასახდელად ქონებრივი შესაძლებლობა, რომელიც ყველა ხევსურს არ მოეპოვება.

ამიტომ ღრამის ხევსური კეპნაობისაგან თავს იქავებს, შეძლებული კი სახელს ექცებს, მუდამ შარჩე დგას და დაკეპნილს ეცბნება: „თეთრი ოქროთი აგილესავ მაგ ჭრილობას“ ან „ბაჯალლო ოქროთი შეგიმეობ მაგ ჭრილობასო“.

კეპნაობის სისხლი გვარზედ და თემზე გადადის და, სანამ შერიგება არ მოხდება, შულლი მე-4-5 თაობამდე გრძელდება, ამიტომ მეშულლები ფარ-ხმალით არიან შეირაღებულები და, სადაც ერთმანეთს შეხვდებიან, იქვე კეპნაობა გაიმართება.

კეპნაობაში მთავარია კარგი ხმალი და ხევსურებიც ასეთ ხმალს დიდად აფასებენ. კეპნაობაში ხმარობენ ხევსურულ სწორ ხმალს „ფრანგულ“—ს და რეინის ფარს. მოკეპნავეს ხშირად თითში უკეთია დაკბილული რეინის „დაჯია“. პირველი შეტაკებისთანავე მეშულლები ხმლებს იშიშვლებენ, ფარებს მოიმარჯვებენ და ერთმანეთს კეპნიან. ვინც ამ ღროს მათ შეესწრება, უნდა გააშველოს, გვერდის აქცევა სირცევილია. თუ გამზავებებელს ხმალი მოხვდა და დაიჭრა, ვისიც ხმალია, ღრამა მას გადახდება. ზოგჯერ მოკეპნავეთა შორის ქალი მანდილს შეაგდებს და იტყვის: „ესეთა გეხვეწებით!“ მაშინ უნდა გაშორდნენ, თორემ სირცევილია. მაგრამ კეპნაობის ღროს მეშულლების გამზავებებელი თუ არ შეესწრო, როცა მოიღლებიან, თვითონვე იტყვიან, გვეყოფათ და იარაღს დაყრიან, შემდეგ ერთმანეთს ჭრილობას შეუხვევენ და გაშორდებიან.

კეპნაობის ღროს მეშულლები ცდილობენ ხმალი ისე დაკრან, რომ მეშულლეს მსუბუქი ჭრილობა მიაყენონ, სისხლიც გამოადინონ, მაგრამ ღრამა არ გადახდესთ. ვისიც ხმალი არ ემარჯვება და მხდალია, ის ერთის მოქნევით მეშულლეს მძიმედ დასჭრის და მას ღრამაც დიდი გადახდება.

მეშულლები კეპნაობის შემდეგ ბჭეებს დასვამენ და ხევსურული რჯულით კეპნაობის სისხლს შეაფასებენ. თუ მეშულლე



თავში მსუბუქიდ არის დაჭრილი შუბლის სამი ნაოჭის ზეზარ, ისე, რომ ძვალი არ იყოს დაზიანებული, ხევსურეთში ეს სასახელოდ ითვლება და ასეთი დაკეპვნაც შერიგებით თავდება და დამკპნავსაც დრამა არ გადახდება. ის მხოლოდ მისცემს საფოთლეს ერთ ცხვარს, მიუტანს ცოტა არაყს, კმელ საკლ ა ვ-პ ა ტ ი ვ ს ექვს აბაზს და მეშულლები რიგდებიან. მაგრამ თუ თავის ძვალი გატყდა, მაშინ დაკეპნილის გასასინჯად დოსტიქარს დაიბარებენ და ის თავისი „ხევწით“ — რკინის ან ფოლადის პირიანი საფხექით სინჯავს ჭრილობას; ამის მიხედვით დრამასაც გამოიანგარიშებენ.

დაჭრილს თავში საზეო ძვალი თუ ამოუღეს, დამჭრელს დრამა 5 ძროხა გადახდება, თუ ჩხიმი ამოყა, მაშინ 7 ძროხა. ამ დრამასთან მეშულლეს დაკეპნილის სამეურნალო ხარჯიც გადახდება, რომელიც მძიმე ჭრილობის ღროს 16 ძროხას უდრის.

თავის შემდეგ მძიმე ჭრილობა იწყება შუბლის სამი ნაოჭის ქვემოთ მთელ პირის სახეზე, გარდა ბეჭვით დაფარული ადგილისა. პირისახის „შიშველი“ ადგილის ჭრილობა ქერისა და „წმინდის“ (იფქლი) მარცვლით იზომება. ჭრილობა რომ შეხორცდება, მათ ძაფით გაზომენ და ამ ძაფის სიგრძეზე გაამწერიებენ ქერისა და იფქლის მარცვლებს; შემდეგ მათ დასთვლიან, ერთ მესამედს გამოაკლებენ და, რაც დარჩება, დაკეპნავმა იძღენი ძროხა ან მისი საფასური უნდა გადაიხადოს. მაგალითად, ჭრილობაზე თუ 9 მარცვალი მოთავსდა, მას სამ ცალს გამოაკლებენ და დარჩენილი ექვსი მარცვლის ქვალობაზე ექვს ძროხას ანგარიშობენ. მაგრამ ეისაც პირის სახეზე ჭრილობა არ ჰქონია და პირველად დაიჭრა, მას მარცვალი არ გამოაკლდება და სრულად იანგარიშება. თუ დაკეპნილს პირის სახეზე რამდენიმე ჭრილობა აქვს მიყენებული, ყველა ცალ-ცალკე იზომება, შემდეგ მარცვლებს შეაჭამებენ, ერთ მესამედს გამოაკლებენ და, რაც დარჩება, იმაზე გამოანგარიშებით დაჭრილმა დრამა უნდა გადაიხადოს.

ცხვირის დაჭრაც სამძიმოა და ზოგჯერ მასზე მარცვლები უკლებლივ იანგარიშება. ტანის ჭრილობას ექიმი სინჯავს და, თუ ჭრილობა მსუბუქია, დამჭრელი იხდის „საფოთლეს“ ერთ ცხვარს, გულზე მძიმე ჭრილობის მიყენებისათვის იხდიან საგულეს 4—5 ძროხას, ბეჭზე საბეჭეს 3 ძროხას. წელქვემო დაჭრისათვის ნახევარ ბარქლის ზენაობა და საწელის ქვენაობის არეში



ს აუ პ ატ ი უ რო 5 ძროხა ეძლევა. ფეხისა და ხელის ჭრილო-ერთონია შემთხვევაში, ბაზე, თუ არ დაუშავდა, დრამა არ მიეცემა.

გა ხ ა ი ბ რ ე ბ ა ან ასოს მოკვეთა და დასახიჩრება ხევსუ-  
რული რჯულით მძიმე დანაშაულად ითვლება და ამ შემთხვევაში  
ადამიანის სხეულის თვითეულ ასოს აქვს თავისი სისხლი და ჭა-  
რიბა.

ც ხ ვ ი რ ი ს მოჭრა შეფასებულია 30 ძროხად; მარცხე-  
ნი თვალის გაფუჭება 30 ძროხად; მარჯვენასი კი 5  
ძროხით მეტია, რადგანაც ის სათოფე თვალია, ყური—  
5 ძროხა ღირს, ხელის დაზიანება — 16—20 ძროხა, მარჯვენა  
ხელი მარცხენაზე 2—3 ძროხით მეტად არის შეფასებული, ორი  
ხელის მოჭრა უღრის კაცის მოკვლას და მთელ სისხლად არის შე-  
ფასებული. ხელის თითებიც ასეა შეფასებული ბერი თითი  
5 ძროხა ღირს, სალონკი თითი — 4 ძროხა, შეშუალა — 3  
ძროხა, იმის გვერდა (არათითი) 2 ძროხა, ნიკორი (ნეკი)  
კი — 1 ძროხა.

მუხლის დაჭრა და გახაიბრება 30—35 ძროხად არის შეფასე-  
ბული, მუხლის თავის ერთი ხელის დადების ზემოდ დაკეპნა — 5  
ძროხად, დაკოჭლება — 30—35 ძროხად. ფეხის თითებს ხევსურუ-  
ლი რჯულით სისხლი არ სდის და ჭარიმაც არა აქვს. ქალისა და  
კაცის დაჭრა და გახაიბრება ხევსურული რჯულით ერთგვარად  
არის შეფასებული, მხოლოდ თუ მოკლული ქალი ორსულია, მა  
შინ ჭარიმაც მეტია.

ძმებმა ერთმანეთი გაყრამდის თუ დაჭრეს, ხევსურულ რჯუ-  
ლით, დრამა არ გადახდებათ, გაყრის შემდეგ კი დამჭრელი იხდის  
რჯულის მიხედვით.

შეწირვა. თუ მეშულლემ დაკეპნის დროს თქვა: „უმ-  
როსიმცა ხარ მამიჩემისაო“, ე. ი. მას საიქიოში ემსახურეო, მაშინ  
დამჭრელს ზედმეტი ერთი საკლავი გადახდება.

სამაჟ ნეო. თუ კეპნაობა ენის მიტანით და სხვისი წაქეზე-  
ბით მოხდა და შემდეგ სიცრუე გამოაშკარავდა, მაშინ ენის მმ-  
ტანს სამაენო არბითი 5 ძროხა გადახდება.

მსუბუქად დაკეპნის შემთხვევაში მეშულლები ადვილად რიგ-  
დებიან, მაგრამ მძიმე ჭრილობისა და დასახიჩრების ღროს გარი-  
გება ძნელად ხდება, სანამ სამაგიეროს გადაუხდიან. ამ შემთხვე-  
ვება ძნელად ხდება, სანამ სამაგიეროს გადაუხდიან.



ვაში დამჭრელი დაკეტნილს შუაყაცებს მიუგზავნის და სამოქალაქო  
გარიგების, ბოლოს შეთანხმებაც მოხდება და დამჭრელი ხევსუ-  
რული რჩულის მიხედვით დრამას იხდის.

მაგრამ გარიგება რომ მტკიცე იყოს და შემდეგში დაკეტნას  
მეშულლეთა შორის ადგილი არ ჰქონდეს, სანასკოს სდებენ,  
ამისთვის აიღებენ ბალას ან ბაწარს და გამონასკვავენ. შემდეგ  
მას ისევ გახსნიან, მიწაზე დასლებენ, ზედ ექვს აბაზ თეთრ ფულს  
დაადებენ და ორივე მხრის შუაყაცები ფეხს დაადგამენ. ამის შემ-  
დეგ ნასკვი გახსნილია, მტრობა და კვლავ კეჭნაობა სირცხვილია.

იმ შემთხვევაში, თუ დაკეტნილი გაგრილდა (მიიცვალა),  
შუაყაცებმა და ბჟევებმა უნდა გამოირკვიონ, ჭრილობით მოკვდა  
ის, თუ სხვა სწეულებით. თუ დაღასტურდება, რომ გაგრილება და-  
კეტნის შედეგია დამჭრელს თავისიხლი ემართება და მან რიგის  
ყენების ყველა წესებიც უნდა შეასრულოს. საეჭვო შემთხვევაში  
კი, როდესაც თვით დამჭრელიც ამტკიცებს, რომ დაკეტნილი ჭრი-  
ლობით არ გარდაცვლილა, არამედ თავის დღით მოკვდაო, დამჭ-  
რელმა მკვდრის საფლავზე უნდა დაიფიცოს და ამის საფლავ-  
ზე შეკდომა ეწოდება.

ამისათვის მკვდრის პატრონი საფლავზე გაშლის ტაბლას, რო-  
მელზედაც დააწყობენ ხინკლებს, ხავიწა და ლუდიან სასმისებს.  
არაყის დალევა ამ შემთხვევაში არ შეიძლება, „ეშმაკის სასმე-  
ლიაო“, და არც საკლავი დაიკვლის. ტაბლასთან დადგება სულის  
ხუცი. ბჟევები საფლავს ამოთხრიან ზედ დაბურულ სიბის ქვამდე,  
ბრალდებულს ქამარ-ხანგალს შეხსნიან და საფლავის ნაპირთან და-  
აჩოქებენ, მას გვერდში მისი ნათესავი რვა კაცი დაუდგება. ბჟე-  
ვები წილს ყრიან და ვისაც ერგება, ის დამნაშავეს აფიცებს. სხვე-  
ბი მოშორებით დადგებიან. მკვდრის პატრონიც საფლავთან დად-  
გება. ბჟე აიღებს ეყალს და ყურში უჩხვლეტს ჭერ ბრალდებულს  
და შემდეგ მის ნათესავებს, ისე რომ, მათ სისხლი გამოადინოს და  
ეს სისხლი საფლავში ჩაეწვეთოს, რასაც „ყურის მოჭრა“ ეწო-  
დება. ამ დროს მკვდრის პატრონი იტყვის: „უმცროსიმც ხარ,  
ჯლანსამც უბანდავ, წყალსამც უზიდავ, ცხენსამც უკაზმავ, გახდე-  
ბი იმის მოვალე, რომ არაფრით არ დაალონოვო“. ტყუილი ფიცი-  
სათვის, ხევსურების რწმენით, დამნაშავე საიქიოში მკვდრის ყმა  
და მონა გახდება და ამიტომ ეს ფიციც სამძიმო საქმეა. შემდეგ



ხუცი იძუცებს და ტაბლას აკურთხებს. აიღებს ლუდიან თასს, შეიჭროთ გვერცხლს ჩასთლიან და ორივე მხარეს შეასმევენ. ამით შეშულ-ლენი რიგდებიან.

ყურის მოჭრა ხევსურეთში სამძიმო საქმეა და მას იშვიათად მიმართავენ.

სამთელმკვიდრო. თუ ადამიანი მძიმედ არის დაჭრილი და არ იციან ჭორჩება თუ არა, ზოგჯერ დამკეპნევი, მტრობის თავიდან ასაცილებლად, დაჭრილს მაშინვე შეაძლებს თავსისხლის მთელ საფასურს (60 ძროხას). თუ დაჭრილი მოკვდა, მკვლელი საწესოებს უკვე არ იხდის და ის მესისხლეობისაგან თავისუფალია.

სისხლის აღების და კექწაობის აღათები შეიცავენ ხევსურულ რჯულს, რომლის გამკანონებელი ხევსური ბჟევებია და ამიტომ საყრდენებოა მათი ბჟობის საქმეც. ბჟევებს ამასთანავე ეკითხება ქურდობისა და მრუშობის საქმეც. მამულის და საქონლის დავასაც ბჟევები არჩევენ, თემისათვის მაგნე და გაუსწორებელ პირს ბჟევების დადგენილებით თემი მოიკვეთს, მოკვეთილს თემში არ გაურევენ და არც ხატში მიუშევებენ. მოკვეთილის საქონელსაც კი სასოფლო ნახირში არ გაურევენ და ცალკე ძოვებენ. მოკვეთილის შერიგებაც შეიძლება. ამისათვის მოკვეთილმა სათემო ხატუ უნდა შესწიროს ერთი ქვაბი და ვერცხლის თასი, აგრეთვე უნდა დაუკლას ერთი ხარი და ლუდიც უდალოს.

ხევსურეთის ბჟევე უნდა იყოს „მცოდნარი“ რჯულის საქმისა, მართალი და ხატის მოშიში. ასეთი ბჟევები აქ ყველა თემში ჰყავთ მათ კარგად იციან ხევსურული რჯული, ე. ი. საადათო სამართალი. შეიძლება აგრეთვე ბჟევების სხვა თემიდან მოწვევაც.

ბჟევებს მოდავენი ვერ აირჩევენ და მათ შუაკაცებს უნდა მომართონ. მაგრამ მომჩინან-მოპასუხეებს შუაკაცებად არ შეუძლიათ თავიინთი ნათესავნი აირჩიონ. შუაკაცები უცხონი არიან, მაგრამ სადათ საქმის კარგი მცოდნე და სანდო პირები, ბჟევე არ შეიძლება მოდავეებთან ნათესაურ კავშირში იყოს. ბჟევების რიცხვიც განსაზღვრულია. სამძიმო საქმეში ბჟევები მრავალრიცხოვანია (10—15 კაცამდე), მსუბუქ საქმეში კი, როგორიც არის ქურდობა, ვალის გადახდა და სხვა, მათი რიცხვი 3—5 კაცს არ აღემატება. ბჟევების რიცხვს შუაკაცები სწყვეტენ და, თუ საქმე თავსისხლს ეხება, რომელიც დიდ ჯაფას მოითხოვს, ბჟევებსაც ბევრს დაიწვევენ.

ბჭობას თავისი ხარჯიც აქვს, იგი მოითხოვს კარგ დახვედრობას და წასპინძლობას და აგრეთვე საბჭეო გადასახადის გაღებას. მოდა-  
ვებისათვის უფრო სასურველია ბჭების რიცხვის შემცირება.  
თუ ორი სოფელია მოდავე, ბჭობა ხევსურული ადათით შუა ად-  
გილას უნდა გაიმართოს, რადგანაც მეშულლენი ერთმანეთის სო-  
ფელში ვერ მივლენ და შეიძლება ჩხუბიც გაიმართოს. ერთი და  
იმავე სოფლის მოდავეთა გასამართლება ჩვეულებრივ ხატში ხდე-  
ბა. არავის ხევსურეთში რჯულის საქმე ირჩეოდა ოხერხევის  
წყლის მახლობლად ღულის ჭალასთან, გორის ბოლოს. სათემო  
საქმეების ბჭობის ღროს ხევსურეთის თემების თავშესაყრელი  
ადგილი სანაცის საჯარეში იყო, რომელიც ღულის თავში მდება-  
რეობს და კარგი წყაროც ჩამოუდის.

ბჭობა უფრო ღამით იმართება, რადგან ბჭები დღე ვერ ი-  
ლიან და აგრეთვე მეშულლეთა ერთმანეთთან შეხვედრას ერიდე-  
ბიან. ბჭები მიღიან დანიშნულ ადგილზე, ირჩევენ დავაკებულ  
ადგილს წყლის პირას, სადაც ბჭობა სამი დღე გრძელდება. მომ-  
ჩიგან-მოპასუხეს წილს უყრიან და ვისაც წილით ლაპარაკი ერგე-  
ბა, პირველად მას მოუსმენენ და, როცა ის გაათავებს, ბჭები მას  
გააცილებენ, რომ მომტრეს არ შეახვედრონ. შემდეგ დაიწყება  
მოწმეების ჩვენება; მათ რიგით უსმენენ. თუ მოწმეს „შემწეობა“  
(მიღდომა) შეაჩინიეს, ბჭები მას არ დაკითხავენ. მაგრამ ჩვენების  
სისწორის „შესამოწმებლად ბჭები მოწმეებს აფიცებენ, მხოლოდ  
ყველა მოწმეს „ფიცი არ დაედების“ და აფიცებენ იმას, ვის ჩვენე-  
ბიას ც გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა.

მოწმის ჩვენება და დაფიცება კაცის მოკვლაზე და დაკეპნაზე  
საჭირო არ არის, რადგანაც ამ შემთხვევას აქ არ მალავენ, სხვა  
ბოროტმოქმედების ღროს კი მოწმეების ჩვენება და დაფიცება  
აუცილებელია.

შით უმეტეს ფიცი წყვეტს სადაო საქმეს და ნაფიცი მხარეც  
იგებს.

ხევსურებში მამულზე დაფიცება მძიმე საქმედ ითვლება და  
ის რთული წესებით სრულდება. დაფიცება შეიძლება მხოლოდ  
დიდ მამულზე და მოფიცარმა ხელში ღროშა უნდა აიღოს. მამუ-  
ლის გარდა ღროშით დაფიცება სხვა საქმეზე არ შეიძლება. ფიცის  
წინ მოფიცარი უნდა გაიწმინდოს და ამ მიზნით დილით უნაყრო



წყალში სამჯერ უნდა განიბანოს. შემდეგ ის ქამარ-ხანგალს შეიხესპილობოდა. ნის, საკინძს გაიხესნის და ფეხშიშველი ხელში დროშას აიღებს. ზოგჯერ მოფიცარს ხუცი აიაზმის წყლითაც აპკურებს და შემდეგ ის ამ დროშით სადათ მამულს შემოუვლის. მოფიცარს გვერდით მისდევს კელს მომკიდე ერთია და ის მაფიცარის ნათესავი უნდა იყოს; ისიც აგრეთვე უნდა განიბანოს. მამულის შემოვლისას მოფიცარი ხელში დროშით დაიფიცებს თემის ხატ-ჯვრების სახელით, რომ მამული მისი საკუთრებაა. ფიცს ესწრებიან ბჭენი, მოწმენი და შუაკაცები. ამის შემდეგ სადათ მამული მოფიცარს ეძლევა და ბჭენიც თავიანთი ხელით მამულის მიჯნაზე სამანს ჩასვამენ.

მცირე მამულზე და მიჯნის დავაზე საქმე ცოდვის მოკიდებით თავდებოდა. ამ მიზნით მოდავე ბჭეებთან მიწას აიღებდა, კისერზე დაიყრიდა და იტყოდა: „დედამიწის ცოდვა მქონდას, თუ ტყუილი ვსტევა, ეს მიწა ჩემია“-ო, და მიწაც მას რჩებოდა.

ხატში დაფიცებას მიმართავენ ქურდობისა, ცილისწამებისა, მრუშობისა და სხვა შემთხვევების დროს. მოფიცარმა უნდა მიიყვანოს სამამულიც რო საკლავი, რომელსაც ხუცი ხატში დაკლავს და იხუცებს. მოფიცარისა და მისი კელისმომკიდის განპანა და გაშენდა აქაც საჭიროა. ხატში კელსმომკიდე მოფიცარის ბიძაშვილი უნდა იყოს. მოფიცარი თავისი კელსმომკიდით ხატის ნიშანთან მივა და დადგება. ბჭეები ხატიდან წავლენ. მხოლოდ ხუცის შეუძლია დასწრება და ისიც ყურებში თითს დაიცობს, რომ ფიცი არ გაიგონოს. მოფიცარი ხატს ხელს დაადებს და იტყვის: „თუ მე ვიყო ბრალიანი, გამიწყრეს, თუ არა და ვინც ტყუილად მაფიცებს“. ამ ფიცს ყურს უგდებს ფიცის მაყურებელი, რომელიც ბრალმდებლის ნათესავია და ამ მიზნით არის გამოგზავნილი. ფიცის მაყურებელი მივა და მოდავეს გადასცემს, თუ როგორ დაიფიცა. რაღანაც ფიცს აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა, ზოგჯერ ფიცის მაყურებელთან აგზავნიან აგრეთვე „დამსწრე მაყურებელსაც“, რომ ფიცის სისწორეში დარწმუნდნენ.

საწყევარი. ვისაც ხატში დაფიცება ემძიმება, ბჭეები მას კატის ჩამოხრიობას მიუსჯიან. ბრალდებული კატას მოიყვანს და იტყვის: „ვინც სტყუოდეს, იმის მკვდარის სულისად იყოსო“. დამხრჩალ კატას სოფლის მიჯნაზე გზის პირას ჩამოჰკიდებენ.

ფიცი ხევსურეთში სამძიმო საქმეა და მას უკიდურეს შემზევები გაში მიმართავენ. ამიტომ დაფიცების შემდეგ თუ აღმოჩნდა, რომ დამაშავე სხვა პირია და მას უმართებულოდ დაუფიცია, მაშინ დამფიცებელმა მაფიცარს სამამლიცრო 5 ძროხა უნდა გადაუხადოს.

ქურდობისათვის ჯარიმად დადებულია 5 ძროხა. ქურდმა ხევსურული რჩულით ნაქურდალი შვიდეულად უნდა გადაიხდოს და ჯარიმად კიდევ 5 ძროხა გადახდება.

ბჭიობის გათავების შემდეგ ბჭეებს საბჭოს გადასახადი უნდა შეიცეს. შეძლებულისაგან თვითეული ბჭე იღებს ძროხაზე ოთხ აბაზს, ცხვარზე კი ერთ აბაზს. ღარიბს უფრო მცირეს ართმევენ. კელსმომქიდეს, რამდენიც არ იყოს, ცხრა ცხვარი ეძლევა და ამას თვითონვე იყოფენ. საბჭოსა გადასახადი წინათ ხევსურეთში შეტი ყოფილა. მამულზე მოდავეებს თვითეულ ბჭესათვის ცხრა-ცხრა ცხვარი უნდა მიეცა (ცხვარი ფასობდა ექვსი აბაზი). მოწმეს კი ფე კი ს ჭალა მანი ერგებოდა და დღეში აბაზიც. მოფიცარს სამამლიცრო სამი ცხვარი, კელსმომქიდესაც სამი ცხვარი მიჰყავდა.

მთელი ეს გადასახადი აწევებოდა გამტყუნებულს, რომელსაც ამასთანავე რჩულის დაყანნებული დრამაც უნდა გადაეხდა. შეძლებული ხევსური ყველა ამ გადასახადს აღვილად იხდის, მაგრამ ღარიბსა და შეუძლო ხევსურს უჭირს გალის დროზე გადახდა და ის იძულებულია, თავდები აიყვანოს და დრამაც ის იხადოს.

წინათ ბრალდებულს განაჩენით გადაწყვეტილი დრამის გადახდა თუ არ სურდა ან არ შეეძლო, მაშინ მას მზევალი უნდა ეყვანა. მზევლად, ვინც სურდათ, იმას ირჩევდნენ და ეს სმზევ-ლო პირმა ხშირად არც კი იცოდა. მზევლად არჩევის დროს მზევლობის კანდიდატი შეიძლება არც კი დასწრებოდა, მაგრამ მზევლობაზე მას უარის თქმა არ შეეძლო, რადგანაც ეს დიდი სირცევილი იყო თემში და ასეთ პირს მზევლის დამყენებელი თავის თემ-ხატში არ გაატარებდა.

მზევალის არჩევანში თემსა და გვარს მნიშვნელობა არ ეძლეოდა, მხოლოდ შეძლებული უნდა ყოფილიყო, მაგალითად, არხოტელი ხევსური შატილელს საჩივარს თუ მოუგებდა, არხოტელი მზევლად შატილელს ირჩევდა. მზევალის არჩევა უმჭველად ბჭე-

ების თანდასწრებით უნდა მომხდარიყო, აქ შევლის დამტერი ბეჭედის განვითარებით ამა და ამ კაცს შევლად ვიტერო და მოწერი თქვენა ხართო. ამის შემდეგ თუ დადებულ ჯარიმას ის დროზე არ გადაიხდიდა, მაშინ ეს ჯარიმა მის შევგალს უნდა გადაეხადა. მაგრამ თუ შევგალიც მევალის დრამას (ვალი) დროზე ვერ გადაიხდიდა, მაშინ მას სოფლის ახლოს საწყევარის აუგებდნენ და ამ პატარა კოშკზე რაიმე სიბინძურეს დასდებდნენ. ზოგჯერ შევგალს სოფლის პირზე კატას ჩამოუხრჩობდნენ: „შენის სულისად და შენის მკვდრის სულისად იყოსო“. ამით იდამიანის სულსაც ჩირქი ეცხებოდა, რაც დიდ შეურაცხყოფად ითვლებოდა, და თემშიც სახელი უტყდებოდა, „ციცა ჩამოუხრჩვეს და საწყევარა აუგესო“. ამის შემდეგ შევგალი თემში შერცხვენილი იყო, მას ხატში, მკვდრის რიგზე, ქორწილში და სხვაგანაც ვერ მიესვლებოდა და, სანამ შევგლად დამჭერის ვალს არ გადაიხდიდა, მას ეს საწყევარი არ მოეხსნებოდა; ამ ნიაღაზე ხშირად ყოფილი შულლი და კაცის მკვლელობაც. ამიტომ შევგალი ცდილობდა ვალი დროზე გადაეხადა და მევალეც თავის დამჭერს შემდეგ ამას ორმაგად ახდევინებდა. მაგრამ, თუ შევგალი ამას საწყევრის შემდეგ გადაიხდიდა, მაშინ ერთი ოცად შეიძლებოდა დამჭერისაგან მოეთხოვა, თუ მევალე შევგალს სამშევლოს არ მისცემდა, ახლა ეს შევგალი იმავე წესით სხვა შევგალს იქრდა. შემდეგ მეორე შევგალი მესამეს იქრდა და ამით საქმე თავდებოდა.

სამი შევლის შეტი არ შეიძლებოდა. პირველი შევგალი მეორეს და მესამეს დრამას შვიდეულად ახდევინებდა და ბოლოს ყველაფერი ეს შეუძლო მევალეს გადაიხდებოდა. მზევლობას ხევსურეთში ქისტები ყილულობდნენ თურმე და ხალხს ტყავს აძრობდნენ. მზევლობის წინააღმდეგ ხალხი ამდგარა და ეს წესიც მოუსპიათ, მზევლობის შემსწრე ხევსურეთში დღეს არავინ არის, მაგრამ გადმოცემით ხალხს ეს ამბავი ახლაც ახსოვს.

ფარაგის გამზა მაშინ იციან, როდესაც გარიგება სამიმო საქმეზეა, მექელე მიღის მოკლულის ოჯახში და თან პირშე-სამყრელო ძლვენიც მიაქვს. მექელე ოჯახში შევა თუ არა, მოკლულის დედას ან მამიდას ფარაგზე (კაბის უბეზე) ხელს წავ-ლებს და ეტყვის: „მიშველე, დედა, შამიბრალე და მაპატიეო“ და



შას ხელზე აქოცებს. ქალი ეტყვის, მიპატიებიაო. ფარაგის გაუსურული დროს ზოგჯერ ბრალდებულს გადასახადი დრამის ნაწილსაც აპატიებენ. ოჯახში თუ დედა ან ხანში შესული დედაკაცი არ არის, მაშინ შერიგების მაძიებელი პირი საკიდელს ხელს წაავლებს და იტყვის: შემიბრალეთ და მაპატიეთო და, სანამ ოჯახის უფროსი არ იტყვის, ხელი უშვიო, მას საკიდელი უჭირავს. ამის შემდეგ მტრობა სირცვეილია და ორივე მხარე საბოლოოდ რიგდება.

ყველა ამ წესის შესრულება ხევსურული რჩულით სავალდებულოა. იყო შემთხვევა, რომ მეფის სამართალმა ბოროტმოქმედ ხევსურს მიუსახა ციხე და ციმბირში გადასახლება. ხევსურმა ყველაფერი ეს მოხადა და შინ დაბრუნდა, მაგრამ დაზარალებულმა ხევსურის ოჯახმა მას მოსთხოვა ხევსურული რჩულით გასწორება და დრამის გადახდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მასზე შურს იძიებენ; გადასახლებიდან დაბრუნებული ხევსური იძულებული იყო ხევსურული რჩულით მისთვის დრამა გადახედა.

დრამის აღების მიზნით ზოგმა ხევსურმა შარის მოდებაც იცოდა. ამ მხრივ აქ დღესაც ცნობილია შიშია ქერაულის თინები. შიშია კადუელი ჩარგლელებს (ფშავლებს) ედავებოდა, რომ მის მამა-პაპას ჩარგლში ვითომც მამული, სახლი და წისქვილი ჰქონია, მაგრამ ისინი ჩარგლელებს გამოურეკიათ და მათი მამული და სახლ-კარი თვითონვე დაუჭირიათ. ამაზეა ნათქვამი:

„ევესური ამბობს ღანიშა:  
„კაცი არა მჭობს ბარისა,  
ჩარგალში მამული მაქვის  
სამოცდასაში ჭარისა“.

შიშია მოითხოვდა ჩარგლელებისაგან რჩულით გასწორებას და დრამაზე 60 ძროხას. ჩარგალი ამას არ იძლეოდა. მაშინ შიშიას მიუხარია კადუელები და ჩარგლელებისათვის მტრობა გამოუცადებია. მენშევიების დროს შიშიას უსარგებლია საერთო არეულობით, თავისი გვარისკაცებით შესევია ჩარგალს და მათი საქონელი გაურეკია, მაგრამ ამ საქმეში ხელისუფლება ჩარეულა. შიშიას მოუსწრია მხოლოდ ჩარგლელების სამი ცენის გატაცება. ურთისიტყვით, ხევსურული რჩული მისი თავმესისხლეობით და კეჭნაობის დღათით დღეს მავნე სოციალურ გადანაშთს წარმოადგენს და ხევ-

სურეთის ახალგაზრდობის ჩამორჩენილი ნაწილი მას ფიზიკურად ეწირება. ამ ადათის მავნებლობას საზოგადოების შეგნებული ნაწილი დღეს კარგად გრძნობს და ხელისუფლებასთან ერთად ის მედგარ ბრძოლას აწარმოებს ამ ადათების მოსასპობად. საბჭოთა მართლმსაჯულება აქ უკვე მოქმედებაშია და სამართლის საქმეებს აწარმოებს დუშეთის რაიონის სახალხო სასამართლო.

ხევსურეთში მრავალრიცხოვანი საგვარეულო ხასიათის ოჯახები უკვე არ არის. ხევსურის ოჯახი მცირერიცხოვანია, იგი ხუთებების სულს არ აღმატება. ეს აიხსნება უმთავრესად ხევსურის ოჯახის ეკონომიკური პირობებით, ხევსურეთის სინამდვილეში შეუძლებელია მრავალრიცხოვანი ოჯახის გამოკვება. ამიტომ ძმები დაქორწინდებიან თუ არა, მაშინვე იყრებიან და ცალკე სახლდებიან. გაყოფის დროს ძმები უკველადებს თანაბრად იყოფენ. დედ-მამასა და დებს ცალკე წილი არ ეძლევათ, ქალი თხოვდება და მას მის სათავის აძლევენ, დედ-მამას შვილები მორიგეობით ინახავენ. ერთ ვაჟთან დედა მიდის და მეორესთან მამა განსაზღვრულ ვადამდე და ისე ერთმანეთს ენაცვლებიან. მშობლების ცუდად შენახვა და მოპყრობა ხევსურეთში სირცხვილია.

გაყოფის დროს უფროს ძმას საუფროსოში ერთი ძროხა ან მისი ღირებული ეძლევა: ჩაქანი, ხმალი, სპილენძი თუ სხვა. ოჯახში უფროსობა დედას ან მამას ეყისრება და საოჯახო საქმესაც ისინი განავებენ. მშობლებს შვილები საერთო ხარჯით მარხავენ, თუ არადა სამარხსაც გამოყოფენ და იმ ქმას აძლევენ, რომელიც ამას იყისრებს.

ხევსური ქალი საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეზღუდულია, მაგრამ ქალი ხევსურის საოჯახო შრომა-საქმიანობაში და მის ეკონომიკურ ცხოვრებაში უაღრესად მნიშვნელოვანია. ხევსურის ოჯახის კეთილდღეობა ქალის შრომაზეა დამყარებული. ხევსური ქალი გამრჯელია, მინდვრის მუშაობაშიც იგი მამაკაცს გვერდში უდგას და საოჯახო საქმეებსაც უძლვება. მაგრამ ხევსურის ქალს ოჯახში მამაკაცის დაუკითხავად და ნებადაურთველად არაფრის გაცემა ან განათხოვრება არ შეუძლია. ყველაფერი მამაკაცს ეკითხება. ქალს შეუძლია საოჯახო საქმეებში ჩაერიოს, მსჯელობაში მონაწილეობა მიიღოს, მაგრამ მას ნაკლებად დაეჭრება და მამაკაცი ქალის კუთხით ვერ გაივლის, ეს ხევსურისათვის დიდი სირ-

ცხვილია. უკიდურეს შემთხვევაში, გონიერი ქალი შეიძლება ქმრის მრჩეველი და მოკარნახე იყოს, მაგრამ ფარულად, ამის გამოაშკარავება ქმარს თემში სახელს გაუტეხდა.

ქალს მხოლოდ მამაკაცების. ჩხუბში და კეჭნაობაში შეუძლია ჩარევა მათი გაშველების მიზნით. ამ შემთხვევაში ხევსური პატივსა სცემს ქალს და მის მანდილს და მეშუღლენიც ერთმანეთს შორდებიან. ხევსურის ქალებბა ეს კარგად იციან და, როგორც ჩხუბსა და შუღლს შეესწრებიან, მაშინვე მეშუღლეებს ხელს წაიღლებენ და გააშორებენ, მეშუღლეებიც ქალებს ნებდებიან, რადგანაც გაძალიანება სირცხვილია. თუ მეშუღლეები ხმლებით იბრძვიან, ქალი მივარდება, მანდილს გადაუქნევს და ისე გააშორებს.

ხევსურეთში მამაკაცი ქალს ფეხზე არ აუდგება და პირველად არც სალამის მისცემს. გზაში ხევსურს ქალი უკან მისდევს, დიაცი წინ ვერ წავა, სირცხვილია. ცხენით მიმავალ ხევსურს ქალი ფეხით მისდევს. ქალთან ცხენოსანი ხევსური ფეხით ვერ გაივლის და მას ცხენედაც ვერ შეისვამს, ეს სირცხვილია. გზაში ხევსური უცხოსა და უცნობ ხევსურსაც არ ესალმება. თუ გამელელმა ხევსურს სალამი პირველად მისცა, ხევსური ფიქრობს, ჩემი შეეშინდა და გამარჯვება მითხრაობით ერთმანეთს კაცები ესალმებიან, ქალს გამარჯვება არ ეთქმის, სირცხვილია. ქალებს მისალმებისას ეტყვიან: „მოხველ მშეიღობით“. უპასუხებენ: „ღმერთმა გიშველოს“ და შემდეგ ერთმანეთს კაც-საქონლით მოიკითხავთ:

„ხო კარგა ხართ, ხო არა გიჭირსთ, კაცი, საქონი, ხო ყველა მშეიღობით ხართ, სხო ამბავიოც აღარაი, სხვას ხო აღარავის უჭირს ჩეენ ნაცნობ-მაკეთეს“ და სხვა.

ამაზე უპასუხებენ: „კარგად ორთ, რა კითხვა უნდ ჩეენს ამბავს? ყველაიც კარგად ორთ, არცრა მეზობლებსა, ნაცნობ-მაკეთეთ უჭირს“ და სხვა. შემდეგ დაიწყება დაწვრილებით გამოკითხვა ნადირობაზე, ჩხუბზე და სხვა.

სტუმარ-მასპინძლობის ადათი ხევსურეთში დღესაც დაცულია და სტუმარსაც პატივისცემით იღებენ. შატილში სტუმარი ჯერ მიდის „საფე ხ (ე) ნოში“ (სასუბრო), რომელიც სოფლის მისავალშია გამართული, და იქ დაიცდის. შემდეგ მასთან მასპინძელი მივა და თავის ოჯახში დაიწვევს.

ეს საფეხნო ქვა-ყორით ნაგები დარბაზია და ზედ სიპით არის დახურული. საფეხნო წინ ღიაა და შიგ ქვის სკამებია გამართული. შუაში ძევს კი მუნიციპალიტეტის ტყავი იზილება. საფეხნოში მხოლოდ მამაკაცები იქრიბებიან და დედაკაცს იქ მისვლა არ შეუძლია. შესავალში, საფეხნოს თავში, უფროსებისა და ხატის მსახურთა სკამია გამართული; შატილელები აქ იქრიბებიან კვირა-უქმებში, საქმობენ და თან საუბრობენ; ზოგი მუშას გრეხავს, ზოგი ტყავს ზელავს და სხვა; სასოფლო და რჩულის საქმეებიც აქ იჩინება. საქმის დღეებში კი დილით იქრიბებიან საქმეზე წასვლის წინ და საოარისო, როცა სამუშაოდან ბრუნდებიან.

სტუმარსაც პირველად საფეხნოში მიიღებენ და აქ ერთმანეთს მოიკითხავენ. სტუმარი ოჯახში ხელცარიელი ვერ მივა, მას მიაქვს სასმელად არაყი ან ღუდი. ტუმარს ყველანი ფეხზე უდგებიან და კარგად უმასპინძლდებიან. საპატიო სტუმარს მასპინძელი ზოგჯერ ცალ მუხლზე დაიჩინილი ემსახურება. სტუმრის შეურაცხყოფა ან დაკეცნა არ შეიძლება და ამაზე სამაგიერო პასუხი მასპინძელს მოეთხოვება.

ოჯახში შემოსულ სტუმარს მასპინძელი ასე მიესალმება: „მაგვიხვე მშვიდობით!“ სტუმარი პასუხობს „დამხვდი(თ) მშვიდობით აშენდით! სრუ მუდამ ლხინზედა, მშვიდობაზედამც შეიყრებით“-ო.

როცა სტუმარს სუფრას გაუშლიან, მასპინძელი ლუდს აიღებს და ასე დაილოცება: „ღმერთმა გადლეგრძელას, გამყოფას, მანამ ცა და მშე არსა, მანამდე თავის გალაფთ არ მასმულდება; მანამდე გადლეგრძელას, მანამდე ჭიანჭველა ქალაქში წავა და იქით მარილის ქვას იყიდის, ციხის წვერზე აიღებს. მანამდი გაცოცხლოს, მანამდე ცას ნამ მასდის, მიწას — მწვანილი, მანამდე პერანგის ზიღვა შეგიძლიან“ და სხვა.

ზოგჯერ მასპინძელი სტუმარს „შამლერნებს“, ცალ მუხლზე დაიჩინებს, აიღებს ფანდურს და სტუმარს შეაქებს:

„დგმამც ქნა შავის ლუდისა,  
გათავებაიმც არ იყო  
მასვლა კარგის სტუმრისა,  
შინ წასვლა წესიმც არ იყო  
პური და ლვინო უსტუმროდ  
ვისც უამს, ნუმც ეამებაო,  
შეემც ნუ მოვას უსტუმროდ,  
მოვიდას, ნუმცა დათბებაო“.

ახლა სტუმარი ჩამოართმევს მასპინძელს ფანდურს და დაიმ-  
ღერებს:

„სასტუმროელოდ მზეს ლგვიხართ,  
 ჰასპინძლოდა — მთვარესა,  
 დასატიებლად მტრისადა  
 ქვას ჰგვიხართ მგორიალესა“ და სხვა.

გაჭირვების დროს ხევსურეთში იციან ერთმანეთის დახმარება  
 და ამ მიზნით ონებარას აწყობენ. მოუსავლობით, დაწვით,  
 სიკვდილით თუ სხვა უბედურებით დაზარალებული ხევსური გა-  
 მოხდის არაყს და მიღის მეზობელ სოფელში, სადაც ის უფროს  
 კაცებს შესჩივლებს თავის გასაჭირს და სთხოვს დახმარებას. და-  
 ზარალებული ყველას არაყს შესთავაზებს. ვინც ონჩხარის არაყს  
 შესვამს, ის მას შეეწევა: ქერით, საკლავით ან ფულით, რაც ემ-  
 ტება. ვისაც დახმარების შეძლება არა აქვს, ის არაყს ვერ და-  
 ლევს. შემდეგ უფროსი კაცები ონჩხარის შესაწევარს მოაგროვე-  
 ბენ და დაზარალებულს გადასცემენ.

ფიზიურად ხევსური ჯანსაღია და მაგარი. ამასთანავე ის ამტა-  
 ნია და გამრჯე. ხევსური საშუალო ტანისაა, მხარბეჭიანი და კუნ-  
 თებმაგარი. სახით შავგვრემანია და პირმრგვალი. ცხვირი ხევსურს  
 სწორი მოყვანილობისა აქვს, თვალები დიდი და შავი. ქცევაში  
 დიხვია, მოქმედებაში კი მარღი. გულადობა და გამბედაობა ხევ-  
 სურს არ აკლია და თავისი პიროვნების დასაცავად თავგანშირვამ-  
 დის მიღის. გულზვიადი და თავმოყვარე ხევსური ზნეობრივ შე-  
 ურაცხყოფისა და ფიზიურ სიმახინჯეს ვერ იტანს და თვითმეცვლე-  
 ლობასაც სჩაღის. უცხოსთან ხევსური ამაყია, მას ხევსურობით  
 თავი მოაქვს, უცხოური არ მოსწონს და მას არც ბაძავს. ამასთა-  
 ნავე ხევსური ფრთხილია და იჭირანი. ის ადამიანს ძნელად თუ  
 დაენდობა, მაგრამ დანდობილს ხევსური სამარემდის ჩაჰყვება და  
 არ უღალატებს.

ხევსური ქალი ტანით ჯმუხია და ქცევით დინჯი, მას ქალური  
 სინაზე აკლია და მამაკაცური იერი გადაპერავს. ხევსურ ქალსაც  
 ახასიათებს სიმარტვე და გულადობა, მაგრამ შრომისა და მძიმე  
 სოციალური პირობების გამო ხევსურ ქალს სევდიანი და მოლუ-  
 შული გამომეტყველება აქვს. მრუშობა და გარყვნილება ხევსურს  
 ეფავრება და მას აქ ადგილი არა აქვს.

რაც შეეხება ქურდობას, ხევსურეთში ეს საძრახისი საქმეზე მიღრამ ქურდობის შემთხვევას, როგორც ყველგან, აქაც ადგილი აქვს, მხოლოდ ხევსური ხევსურს იშვიათად თუ რამეს მოპარავს, უცხოს კი არ დაერიდება და, თუ მოხერხებული დრო იხელთა, რამეს მოპარავს ან წაართვევს.

ხევსურები მეტყველებენ ძველ ქართულ კილოზე<sup>1</sup> და საუბრის დროს ხევსურულად უქცევან. ამის სანიმუშოდ ჩვენ აქ მოვიყვანთ ხევსურულ მოკითხვის ბარათს:

„პირველად მრავალს მაკითხვას მაგაქსენებ მზის უწინ სანახველო, საცხად სანატრელო, ჩემო იმედო, ძმაო აბიკავ! ხო კარგად ხარ, ხო არა გიჭირს, ან აოდ ხო არცა იყავ, ან სხო ხო არა გაჭირს? მაგვიყითხბ შენებ ამხანგებდ ღიღი სიყვარულით. ვიცი შენის გულს ამბავი, რო ჩვენს საწყალ ამბავსაც იყითხავ. ჩვენაც, მაღლობა ღმერთს, არა გვიჭირს შენის უნახველობის მეტი. არცვინ აოდ ვყოფაილორთ, დედ-მამანიც კარგად არიან. მე არ მეგონ, თუ შენ სოფლელთ მაგოდნად აჩნიყავ, ისეთ დიდ ინაბარა-აქვ, რო ერთ ყანწ არაყ არ შეის სადღეგრძელო არ ითქვას. ძოლან შენ სამეშველოდ სოფელმ არხოორის ჯვარში საკლავიც კიდე დაკლ. სოფლის სიკეთე კი არ-ა დასაცილები, თუ მშვიდობით მოხვედ კი, სოფელს სიკეთე არ უნდა დაუცილ. სხვა რაიღ მოგწერ? არცვინ გაჩენილა, არცვინ მამკვდარ, არცაღ ვის უშუღლავ, ხალხ გონთ მავიდ თანდათან — თვალივ შავ გიზისავ, ალარავის უთქომ ერთულისად ეემ წელწაღში. სადაც ახალუხალ შაიყრებოდ კი, სრუ შენ თაგი-ხქონდ სასაუბროდ: როს იქნებისავ, რო მავიდასავ თავის სოფელშიაო, ჯვარჯვარის-კარშიავ. ერთ ახალ ლექსიც ას შენდ ნათქვამი, სრუ იმას იმღერენ ან ფანდურიზე ლექსიონ ახალუხალში:

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში, კრებული ვე. ჯავახიშვილის რედაქციით, ტფილისი, 1915 წ., გვ. 185—202; მისივე, სუბიექტური პრეფიქსი შეორენ პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმენბში, ტფილისი, 1920 წ., გვ. 152—172. ხევსურულ კილოზე ჩაწერილი მასალები მოეპოვება ბესარიონის გაბურს თავის „ხევსურულ მასალებში“ (იბ. ქართული საზოგადოების წელიწადეული 1—11, 1923—1924 წწ.; ტფილისი, გვ. 121—203).

„საშაბათს გათენებადა მარტუარ-ორ ქალით.  
 თქვენს დუშმანს აისცთა, მე გვათენე ღამეო.  
 ჩემი ძმობილ მამგონდა, ცრემლი ჩამიდის ცხარეო.  
 ველარცად ვხედავ თვალითა, არც მამდის ნაუბარიო.  
 სად ზარ, არხორიონი, ხუთებრის მთვარე მცხრალიო.  
 სწორფერთან ნამუსანო, მაგრეცის ქალი, ზალიო.  
 მაკეთის საიმედოო, დუშმანთან ნიაღვარიო.  
 ბევრჯელ აწით ჩანარი, აისა სისლის ცვარიო.  
 შელექსეს თურას იყითხავ, შორად ჰევსურის ქალიო“.

შენი კეთილის მესურნე კობა ციხკარაული.

ლექსი ხევსურს უყვარს და ლექსის თქმაც ემარჯვება. მსჯელობის დროს საუბარს ხშირად ლექსით ამთავრებს და თავის ბრძანებით მოკლედ მოსჭრის. ამიტომ მდიდარია ხევსურული ხალხური პოეზიაც<sup>1</sup>.

ხევსურები თვლიან ოცნებით: ერთი ოცი, ორი ოცი, სამი ოცი და სხვა; ერთი ასი, ორი ასი, ხუთი ასი. ათი ასი, თორმეტი ასი, ოცდაერთი ასი და სხვა; ერთი ათი ათასი, ორი ათი ათასი, ხუთი ათი ათასი, ათი ათი ათასი, ამზე ზევით ხევსური ვერა სთვლის.

გაბრაზებისა და ჩხუბის დროს ხევსურის ქალებმა წყვევა იციან, გაცემა კი რის ხევი: „შე შავის ლოდისაო!“ „ჩამაგჩიქ მიწამი!“; „გაგირწყდ წილი!“; „განვეღ შავით!“; „შავხვი შავი დროშაით!“; „გაგიტყდ კეზი, გეერებ კერას!“; „გაგიწყდ ძმის წილი!“, „დასჭედ უთმო-უძმოლ!“, „გამაგაბეს ცხენის პელს!“; „ნურა გამავიდას შენი სამზეოს!“; „განვეღ შავი, გაეხვი შავ ნაბადში!“; „გაგბერტყას უბე-ფარაგით დიღმ ახილის სალოცავში!“; „შე დოლს დასაყენებელო!“; „ხანგარ დაგეგ მუქლს!“ და სხვა.

ხევსურის საფიცარი: „გიცოცხლას მზის საფიცარი!“, „ჩემის ძმის მზემ!“ „დალალულის მზის მაღლმ!“; „დედამიწის მაღლმ!“; „ჩემის ძმის იალობამ!“; „ჩემთ მკვდართ მზემ!“ „ჩემის ძმის ბედიანობამ!“ „მამის მზემ!“ ხევსური დედას და შეილს არ დაიფიცავს, — სირცხვილია.

სწავლა-განათლების მხრივ ხევსურეთი მეტად ჩამორჩენილი ქუთხეა. მართალია, წერა-კითხვის ცოდნას ხევსურეთში ეტანებიან და ხელის მოწერა მამაკაცების უმრავლესობაში იცის, მაგრამ სას-

<sup>1</sup> ა. შანიძე, ხალხური პოეზია, I, ხევსურული, სახელგამი, 1931 წ.

კოლო ცოდნის მიღებას არ მისდევენ. ხელის მოწერას ხევსური შინ სწავლობს. წერაში სიპზე ვარჯიშობენ; ხელში უჭირავს წვეტიანი ბროლი ან ლითონი და ამით ფრაქნიან ასოებს სიბის ქვაზე. ზამთარში კი წერაში კერაზე ვარჯიშობენ. წერას ასწავლის მამა ან ძმა და მამავაცებში 70%-მა თავისი სახელისა და გვარის მოწერა იცის, ქალებმა ხელის მოწერა იშვიათად იციან. ხევსურის აზრით, სწავლით ხევსური ვერ იცხოვრებს და ოჯახს ვერ შეინახავს, ამიტომ ხევსურისათვის საქმაოა ხელის მოწერა და ცოტა-ოდენი ანგარიშის ცოდნაა.

საბჭოთა ხელისუფლებამ ამას სათანადო ყურადღება მიაქცია და 1925 წლიდან ხევსურეთში დაიწყო სასკოლო მშენებლობა; ბარისახოში აშენდა ორსართულიანი დიდი შენობა, რომელშიაც დღეს ინტერნატია მოთავსებული. ინტერნატი ოთხშელიანია და კარგად არის მოწყობილი. აქ ხევსური ბავშვები სახელმწიფო კმაყოფაზეა. მეორე დიდი სასკოლო შენობა აშენებულია ხახმატში და აქაც ოთხშელია მოთავსებული. დაწყებითი სკოლებია აგრეთვე განსილი არხოტში, შატილში და რომელი ახლო მომავალში განზრახულია სასკოლო შენობის აგება შატილში.

ახალგაზრდები დღეს სწავლას ძლიერ ეტანებიან და დაწყებითი სწავლის დამთავრების შემდეგ ხევსური ახალგაზრდობა სწავლის გასაგრძელებლად შედის თელავისა და ტფილისის საშუალო სასწავლებლებში. ხევსურეთს დღეს უკვე ჰყავს თავისი კადრები: უმაღლესი განათლებით ილმურებილი ექიმი, ინჟინერი, პედაგოგი და სხვა.

ხევსურეთში არის აგრეთვე რამდენიმე ქოხ-სამყითხველო: ბარისახოში, შატილში, როშევში და სხვა. აქ კომპერაციაც ფართო მუშაობას ეწევა. ბარისახოში განსილია კომპერატიული მაღაზია, რომელიც მოსახლეობას ამარავებს სამრეწველო საქონლით, ფართლით, შეაქვს სხვადასხვა ფაბრიკატები, ნავთი, მარილი და სხვა.

კვები. ხევსურეთში კვება ცუდია, საჭმელსაც უსუფთაოდ და ცუდად ამზადებენ. ხევსურები დღეში სამჩერ ჭამენ: დილას (სადილი), შუადლისას (სამხარი) და საღამოს ვახშამი. პურს ჭამენ ტაბლაზე, რომელიც ხის დაბალი და მოკლე სუფრაა და ამ ტაბლაზე დისახლისი ყველას თავის კერძს ჩამოურიგებს. პურის

ჭამის დროს ქალები და კაცები ცალკე სხდებიან და თავიანთი ცალკე სუფრა უდგიათ.

პურს აცხობენ და ჭამენ ქერისას, ქერ-სვილისას და იშვიათად იფქლისას. იფქლს ქერ-სვილაში გაურევენ და ისე აცხობენ ხატობასა და ქორწილში. პურს აცხობენ ნაფუარსა (ხაშიანს) და უფუ-



საჭერეთას სახეები.

ას (უხაშოს). ჩვეულებრივ, აცხობენ და ჭამენ უფუარსა და უმარილო ქერის პურს. ასეთი ქერის პური ზინტლია და უგემური. საშინაო პურს არც კი სცრიან. პური აქ ცხვება მრგვალი ფორმისა და ლავაში. მაგრამ ბეღნიერ დღეებში (ქორწილი, სტუმრობა და სხვა) აცხობენ აგრეთვე მრგვალ ხმიადებს, რომლებსაც საჭერეთათ აჭრელებენ, ხოლო მის ნაპირებს ხელით მოჭრე ხენ. საჭერეთა ხისაა, მასზე სხვადასხვა ნიშნებია ამოჭრილი და ყველა ოჯახს თავიანთი ნიშნიანი საჭერეთა აქვს.



მოჭრებილი



ჭიჭიტა



ლავაში

ნამცხვრები.

აცხობენ აგრეთვე ჭიჭიტას, რომელიც მრგვალია (ბუბლიკი) და ნაპირი დაჭრელებული აქვს. მოგრძო ფორმის ლავაშებსაც ხშირად აჭრელებენ. ქადა ცხვება ყველიანი და ხავიშიანი (გულიანი), აცხობენ მრგვალ და თხელ პურს, კეცეულს, რომლის გული ყველითა და მწვანილით არის შეზავებული. კეცეულს ერბოში აწობენ და ისე ჭამენ. ხინკალი იციან ხორცისა. ჭამენ მოხარშული სიმინდის კვერს ღურღურს. მაჭვატა აკეთებენ წმინდა ფქვილისას, რომელსაც რძეში გახსნიან, თხლად ერბოში მოსწვავენ და ერბოთივე ჭამენ.

პურს ხევსურეთში ქვის ღუმელში აცხობენ. ღუმელი მიშენე-



შარილის ნაყვა.

ბულია სახლის სარკმელთან. ის სიბი ქვისაგან არის ნაგები და შუაში დატანებული აქვს ბრტყელი და თხელი სიბი ქვა. ღუმელს ქვეშ ცეცხლს უნთებენ, სიბი ხურდება და შასზე პურის ცოში აწყობენ.

რძის ნაწილები და ან ჭამენ ერბოსა და ნაღებმოხდილ ყველს, აგრეთვე გალტს, კარაქს და ნაღებს არ ჭამენ. რძესაც ზოგი არ სვამს.

ჭამენ კარაქის-ძირს, რომელსაც სიმინდის ფქვილს მოაყრიან და კოვზით ჭამენ.

ხორცეული და ან ჭამენ ხარისა, ძროხისა და ცხვრის ხორცს. ხორცს უფრო მოხარშულსა და მშრალს ჭამენ, წვნიანებიდან ყაურმას აკეთებენ. ნანაღირევიდან ჭამენ უფრო ჯიხვის ხორცს. ჯიხვი ხევსურეთში ბევრია, განსაკუთრებით არხოტისა და შატილის მთებში. ჯიხვზე ნაღირობაში ხევსურები დახელოვნებული არიან და ბლომადაც ხოცავენ. ჯიხვის ტყავს ქურქად იყენებენ და ყიდიან. ჯიხვის ტყავი აქ ერთ ლიტრა ერბოდ იყიდება. ლორსა და

კურდღლელს ხევსური არა ჭამს, ხატი გვიყრძალავსო, ზოგან ქათაშ-  
სა და მის კვერცხსაც არ ჭამენ, — ხატისა გვეშინიათ. თევზს კი  
ჭამენ. ხორცს ხევსურები ახმობენ და ისე ინახავენ.

საჭმელს ხევსურები მარილით აზავებენ, მაგრამ მარილს აქ  
დაზოგვით ხარჯავენ და მარილის მომჭირნეობის მიზნით ხევსუ-  
რები უმარილო პურსაც კი ჭამენ. მარილი ხევსურეთში ძნელი სა-  
შოგარია და მას ბარიდან ჭორებით ეზიდებათ. წინათ პირიქითი  
ხევსურები მარილს ქისტეთიდან ეზიდებოდნენ თურმე. ქისტები  
სოფ. დათეხში „ვეძის მარილს“ ხარშავდნენ და ამ ფხვნილ მა-  
რილს ხევსურები ყიდულობდნენ და ხმარობდნენ.

პირაქეთი ხევსურები მარილს ხორნაულთის მჟავე წყლიდან  
ადუღებდნენ თურავ და ამ მარილს საჭმელში ხმარობდნენ.

ხევსურს მარილის დაკლებისა ეშინია და ოჯახები მარილს წი-  
ნასწარ იძარავებენ. შეძლებულ ოჯახს მარილის ყორე უდგია. მა-  
რილს ხევსურეთში არ ყიდიან, სესხი კი შეიძლება.

ამ საჭმელებში ხევსურის ყოველდღიური საყვები უჩაშო და  
უმარილო ქერის პური და კალტია, ერბო აქ ბევრი აქვთ, მაგრამ  
ისოგავენ, ტედნიერ დღეებში და მიცვალებულის რიგებში კი ერ-  
ბოს უზომოდ ჭამენ, ზოგჯერ გამღნაო ერბოს ჭამებითაც სვამენ. სტუმარს უერბოო საჭმელს არ მიუტანენ, სირცევილია. ერბოს  
ჭამებით ჩამოარიგებენ, შიგ კეცეულს, ხინკალს და სხვა ნამცხვარს  
აწოდენ და ისე ჭამენ. ხევსურეთში ყველაზე მიღებული საჭმელი  
ისიკალი, კეცეული, მაჭეატი და ერბოა, რომლითაც აქ საპატიო  
სტუმარს უმასპინძლდებათ.

ბოსტხეული და ხილი აქ არ გვარობს და ხევსურები ტყისა და  
მინდვრის ხილით იკვებებათ. მხოლოდ ბარისახოს თემში გვხდება  
ზოგი ბოსტხეული და ხილი. ამ ბოლო ხანებში აქ კარტოფილიც  
ითესება და ხევსურები კარტოხას ჭამენ.

შხალს ხევსურეთში ძლიერ ეტანებიან. მხალი მარილწყალში  
იხარშება. შემდეგ მას ერბოში მოშეშავენ და ისე ჭამენ. ფხალად  
იხარშება: თითოვალა, ნაცარქათამა, ჩაღა, ჭინჭარი, გუგლუმა და  
წიწრატი.

უძად ჭამენ: ჭიმას, ცვერცის-წვერას, ღიყს, ლაგს, წერთხალას,  
კუხექშას და შუბყის. შიბუს ძეუვებებს და ისე ჭამენ.

ტყის ხილში ჭამენ: მსხალს, ვაშლს, მარწყვს, უოლოს, ხუნწს,



ორყუნწას, შალშავს (მოცვი), თავებისტომას, მწყურიელის და შემთხვევა  
თელ ხილს.

სასმელი ხევსურეთში ძლიერ უყვალო და დღესასწაულებში და  
მიცვალებულის რიგის სუფრა უსასმლოდ არ გაიშლება. სასმელს  
თვითონვე ამზადებენ — არაყსა და ლუდს.

არაყს ხდან ქერისის, სვილისის და ქერ-სვილისის, აგრეთვე  
ზოგჯერ დიდგულასა და ანწლისაგანაც. ხევსურები სვილისა და  
ანწლის არაყს უფრო ამჯობინებენ, რაღაცაც მას მეტი ძალა აქვს  
და სასმელადაც ჰკეთესიათ.

საარაყე ჭირნახულს ორი დღე წყალში ალბობენ, შემდეგ წუ-  
რავენ და მიწაზე შლიან. ზედ მას ფარდაგს დახურვენ, რომ „და-  
ფ თ რ დ ე ს“. სამი დღის შემდეგ ქერი დაფორდება და მას შეხე  
აშრობენ. გამშრალ ფორს დაფევავენ, ქვაბში ჩაყრიან და ცოტათი  
წამოადულებენ. როცა განედლება, საფუარს ლუდის ჭიჭის  
(ლუდის ქაფი) ჩასხამენ და საძი დღის განმავლობაში ის კოლი  
ფუის. როცა ფუილი დადგება, საარაყე ქვაბში გადაიღებენ და  
ცეცხლზე შედგომენ. საარაყე ქვაბს ზარფუშს დახურვენ და ყელ-  
ში ლულას გაუყრიან. ლულა ჩის გვეჯაშია მოთავსებული და ჩას  
წყაროს წყლით აყიდენ. ლულასთან ჭურჭელს მისდგამენ და ძას-  
ში იწურება ლულიდან გამონაფური არაყი.

პირველი გამონახადი არაყი უკეთესია და მას წვერის  
არაყს უწოდებენ. ძეორედ გამონახადი საშუალო ღირსებისაა,  
მესამე კი დაბალი და მას შამანს უწოდებენ. არყის გამონა-  
ხად ბუყს (ქატოს) საქონელს აჭმევენ.

ლუდი ხევსურეთში საპატიო სასმელია. ლუდი ქერისა და სვი-  
ლისაგან იხარშება. ღირსებით აქ სვილის ლუდს ამჯობინებენ.  
სალუდე ჭირნახულს ქერ ფორად აჭმევენ და შემდეგ მას ტა-  
ფქვავენ. ფევილს წყალში ჩაყრიან და აღულებენ. როცა ის და-  
იდულებს, გასაწურავად ტომჩებში ჩასხამენ, თავებს ჭუჭით მო-  
იდულებს, გასაწურავად ტომჩებში ჩასხამენ, „კედნით“ (ჯოხი) მოუჭერებს: პარეიდან  
უკრავენ და მას ორპაპინ „კედნით“ (ჯოხი) მოუჭერებს: პარეიდან  
ლუდის წვენი ქვაბში იწურება. ტომარაში რჩება მხოლოდ ქატო,  
რომელსაც საქონელს აჭმევენ.

გამონაწურ ლუდის ტკბილს ისევ ქვაბში ჩასხამენ, სვეს (ბა-  
ლახია) ჩატანენ და აღულებენ. როცა ტკბილი დაიღულებს, მას  
ხელშეორედ კარგად გასწურავენ, ლუდს შეანელებენ, შემდეგ  
კოდში ჩაყენებენ და ჭიჭის მისცემენ. ჭიჭი ლუდის წვენს ოთხ  
დღეში დაამჟრებს და მეხუთე დღეს მშუშხავ ლუდს მიირთმევენ.  
ხევსურები ლუდს კარგად აკეთებენ და ბევრსაც სვამენ.

თამბაქოს ხევსურეთში თითქმის ყველა ეწევა. ხშირად ქალები და ოლდებიც თუთუნს აბოლებენ. მოხუცები უფრო ბურნუთს ხმარობენ. გავრცელებულია აგრეთვე თამბაქოსა და კევის (მოცის) ღეჭვია. აქ ორგვარი კევი იღებება, თეთრი (სოჭისა) და შავი (ფისისა).

ჯანმრთელობის განვითარები ხალხია და მათში სიცვლილიანობა ხშირი მოვლენა არ არის. ბევრი ხევსური ღრმა მოხუცებამდე აღწევს და აქ არიან 90 და 100 წლის ბერიქაცები. მართალია, ცხოვრების პირობები ანტიპიგიენურია, ბინა და კვება უვარვისა და მოსახლეობა სისუფთავეს არ მისდევს. წინათ ხევსურები საპონს არ ხმარობდნენ. დღეს კი კონპერაციის საშუალებით საპონი აქაც შესულა, მაგრამ ხელპირს საპნით მხოლოდ ბედნიერ დღეებში იბანენ, ყოველდღიურად კი პირდაუბანელი დადიან: ზოგი პირზე მხოლოდ ცივ წყალს შეისხამს და მას ჩოხის კალთით შეიშრობს. მაგრამ აქაური ხალხის სისალეს ხელს უწყობს ხევსურეთის მაღალი მთის ჰავა და კარგი წყაროების სიუხვე.

ხევსურეთში ინფექციური და გადამდები სნეულება არ არის. ექ მხოლოდ გავრცელებულია კუპნაწლავით დაავადება, რომელიც 60% უდრის. ეს გამოწვეულია უფუარი და ზინტლი ქერის პურის ჭამით, ალკოჰოლით და ზელმეტი ცხიმის ხმარებით. კანით დაივადება უდრის 20%, გავრცელებულია მუნი და მუწუკები. ზელმეტი ჭაფა და ნესტიანი ბინა ხელს უწყობს რევმატიზმის გავრცელებას, რომელიც აქ 10% უდრის. ჭლეჭი და მალარია აქ არ არის. თვალის ანთება—კონიუტივიტი—30% არ იღებატება. გაზაფხულზე ხშირია ფილტვების კრუპოზული ანთება<sup>1</sup>.

ქალებში გავრცელებულია წელის ტკივილი, რასაც მძიმე შრომა და მებოსლეობა იწვევს.

კეპნანის გამო დაჭრა აქ ჩვეულებრივი მოვლენაა და ჭრილობის შემთხვევები 50% აღემატება.

ხევსურეთში ხალხის მკურნალობას სათანადო ყურადღება ექცევა. 1925 წელს ბარისახოში აშენდა საავადმყოფოს მშვენიერი შენობა, სადაც ფშავ-ხევსურეთის საექიმო პუნქტია მოთავსებული. აქ მუშაობს ერთი ექიმი, რომელიც მოსახლეობას მკურნალობით და წამლების მიწოდებით დიდ დახმარებას უწევს. ხევსური

<sup>1</sup> ცნობები მომაწოდა ბარისახოს ექიმმა ერასტი ბალიურმა.

ექიმს აფასებს და მას ხშირად მიმართავს სამკურნალოდ. მაგრამ აქ თავიანთი ექიმბაშებიც ჰყავთ. განსაკუთრებით ცნობილია ხევ-სურეთის დოსტაქრები, რომლებიც დაკეპნილებს შეურახალობებს, დაკეპნილი ხევსური წინათ დოსტაქართან მკურნალობდა, რაღაც ამ უკანასკნელს შეეძლო გამოერკვია ჭრილობის სიმძიმე და ამის მიხედვით ხდებოდა დრამის გამოანგარიშებაც.

წინათ კარგი შემოსავალი ჰქონდა ხევსურეთის დოსტაქარს, რომელიც ზოგიერთ რთულ ოპერაციაში 5—10 ძრობის საფასურს იღებდა. ამიტომ ხევსურეთში ბევრი ეტანებოდა დოსტაქრობას და და მათ შორის იყო გამოჩენილი დოსტაქრებიც, რომლებიც რთულ ოპერაციებსა და თავისეალის ტრეპანაციასაც კი აქეთებდნენ.

დღეს კი დაკეპნელი ხევსური, თუ დაკეპნილი მეშურლე თავში არ არის დაჭრილი, დახმარებისათვის ექიმს მიმართავს, რაღაც მკურნალობაში არაფერი ეხარჯება და არც ხევსურული რჯულით გათვალისწინებული საფოთლე (საექიმო) დრამა გადახდება. მაგრამ, თუ ჭრილობა თავშია, მეშურლეს დაჭრილი გასასინჯად ჯერ დოსტაქართან მიჰყავს და აქ ჭრილობის სიმძიმის მიხედვით მან დრამა უნდა გადაიხდოს. შემდეგ დაჭრილი ექიმთან მკურნალობს, რაც დამჭრელს გაცილებით იაფი უჭდება, ვიდრე ხევსური დოსტაქარი. მაგრამ ესეც შეთანხმებაზეა დამოკიდებული და ზოგჯერ თავში დაკეპნილი ექიმთან არ წავა და დოსტაქართან არჩევს მკურნალობას. ამიტომ თავშე მძიმე ჭრილობის დროს ხევსური დღესაც თავის დოსტაქართან წამლობს. ამ დოსტაქრებს შორის დღეს ცნობილია არხოტელი ალეკა თჩია-ური, ქობულოელი მგელიკა ლიკოკელი და შატილი-ელი გუგუა ჭინარაული.

ჩვენ აქ არ შევუდგებით ამ დოსტაქრების მკურნალობის პროცესების აღწერას. ამის შესახებ ვრცელი აღწერილობა მოიპოვება ექ. გ. თე დორაძის შრომაში<sup>1</sup>. მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ დოსტაქრების პრაქტიკა ხევსურეთში დაკეპნირებულია კეჭნაობასთან, რომელიც დოსტაქრებს კარგ შემოსავალს აძლევს. რაც უფრო რთული და ხანგრძლივია წამლობა, დოსტაქარი მეტ ხელფასს იღებს. ამიტომ დოსტაქარი ძვალს ხევშით ფხევავს, რომ მეტი საფასური მიიღოს. ხშირად თვით ავადმყოფიც ძვალს განგებ

<sup>1</sup> ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფილისი, 1930 წ., გვ. 85—103.

აფხევინებდა, რომ დამჭრელისაგან შეტი დრამა მიეღო და დოსტაური ამოსალებ ძვალს ნამცეცებად ამტვრევდა, ჩიჩქნიდა და ჭრილობას ასე ართულებდა. დაკვეჭნილი ხევსური ამ ბარბაროსულ თაერაციას დღესაც გასაოცარი მოთმინებით იტანს და უბრალო დაკვენესებაც კი მთაში დიდი სირცევილია.

ამ ხევსურულ დოსტაურობაში, რასაკვირველია, არავითარი მეცნიერული გაგება და მკურნალობა არ არის და მთელი ეს ხევსურული მეცნიერი უვიცობაზეა დაფუძნებული. მკურნალობა შემთხვევითი ხასიათისაა და მხოლოდ ხევსურების ჯანსაღი და მაგარი თოვანიზმის წყალობით ზოგი მათგანი მართლაც ინკურნება.

დოსტაურის ხელფასი ასეთია: თავის ჭრილობის ძვლის ამოულებლად მორჩენა ღირს 3 ცხვარი ან ნახევარი ლიტრა სპილენძი; ძვლის ამოღება — 4 ცხვარი; ორი ძვლის ამოღება ჩხიმის ქვეზთ — 2 ძროხა ან ორი ლიტრა სპილენძი; ტვინის ზედა ძვლის ამოღება — 5 ძროხა. ყველაზე მეტად ფასობს ტვინის ქვედა ძვლის ამოღება და მკურნალობა, რომელიც შეფასებულია 16 ძროხად.

დოსტაურის ხელფასს იხდის დამკეპნავი, რომელიც ვალდებულია ყველაფერი ეს დოსტაურს დროზე ჩააბაროს. ზოგჯერ დოსტაური მკურნალობის ხელფასს წინასწარ მოითხოვს და დაჭრილიც მას იძლევს, შემდეგ კი ის დამკეპნავს ამას ორშავად ანთვევისებს.

### 5. ჩოლის დამასასიათეპელი რეალიები

ხევსურეთის მოსახლეობა მოქცეულია ვიწრო და ძნელ გასავლელ ხეობებში, სადაც სოფლები მთის მაღლობებზეა გაშენებული და წესდგება ერთად შეჯგუფებული რამდენიმე მეტობურისაგან.

დასახლებული ხეობა წინათ გამაგრებული იყო ციხე-კოშკით, რომელიც დარაჯობდა და იცავდა ექაურ მოსახლეობას. საგვარეულო წყობილების დროს ციხე იყო გვარის საიმედო თავშესაფარი, ამიტომ ხევსურეთის სოფლებს, რომლებსაც მუდმივი შულლი და ტტრობა ჰქონდათ მეზობელ თემებთან, განსაკუთრებით ქისტებთან და ლეკებთან, არ შეძლოთ უციხოდ არსებობა. ამ მხრივ ყველაზე მძიმე პირობებში პირიქითი ხევსურეთი იყო და აქ, არხო-

ტისა და შატილის თემებში, დღემდის დაცულია ქოხტად ნაგებობის არაგვის სიპედიანი ციხეები. არაგვის ხეობის ხევსურეთში კი ციხეები უკვე დაშლილია და მხოლოდ ლიქონისა და ხახმატის ხეობაში დარჩენილა რამდენიმე თავშორდვეული ციხე.

თავიანთი ქონსტრუქციით და ნაგებობის ტექნიკით პირიქითი (შატილ-არხოტი) და პირაქეთი (არაგვის ხეობა) ხევსურეთის ციხეები განსხვავდებიან. პირიქითი ხევსურეთის ციხეები პირამიდულსახურავიანია და თუშური ტიპისაა, პირაქეთი ხევსურეთისა კი უფრო მთიულურს; წააგავს. ასეთი ციხე შედარებით კარგად არის დაცული სოფ. ხახმატში. ციხე ქვა-კირით არის ნაგები და ოთხეუთხედი ფორმისაა. მას კარი მეორე სართულში აქვს გამოჭრილი. ეს ციხე სამწუხაროდ ჩაქცეულია, სახურავი არა აქვს და ძნელია მისი სართულების გამართულობისა და გეგმის აღდგენა.

პირიქითი ხევსურეთის ციხეები კი თითქმის ყველა კარგად არის დაცული. მათ შორის ჩვენ ავგვეგმეთ და აღწერეთ სოფ. ახილის ციხე, რომელსაც კარათ ციხე ეწოდება. ეს ციხე ეკუთვნის ცისკარაულის გვარს და აუშენებია მათ წინაპარს აბა ჯურჯიაულს, რომელსაც ციხის ამგებ ქისტი ოსტატისათვის 50 ძროხა მიუცია. კარათ-ციხე ქვა-კირით არის ნაგები და თავისი ქონსტრუქციით და არქიტექტურული ფორმით სიმეტრიულია და ლამაზი; მისი საძირკვლის ფართობი უდრის  $5 \times 6$  მეტრს.


პირ კველი სართული ანუ ქვეთვალი წარმოადგენს დახურულ სარდაფს, რომლის სიმაღლე ორმეტრ-ხახვარია. ქვეთვალი ბნელია და შერში გამოჭრილი აქვს ჩასავალი („საკვამი“)  $34 \times 50$  სმ.

მეორე სართული ზეთვალია, მას სამხრეთის მხარეზე გამოჭრილი აქვს შესავალი კარი  $1,18 \times 0,70$  მ, რომელიც კედით იყერება. საკედურის სიღრმე უდრის 50 საატ. ზეთვალი წარმოადგენს ითხეუთხა ოთახს, რომლის კედლები შეკრულია საფეხურის ქვებით. ოთახის ფართობის მოცულობა  $3,14 \times 3,14$  მეტრია. კერი თაღიანია და გუმბათივით არის გამოყვანილი. ოთახის სიმაღლე უდრის 3,40 მ. იატაქზე მრგვალი ხეებია გადებული, ზედ აყრია

1 სერგი მაკალათია, მთიულეთი, ტფილისი, 1930 წ., გვ. 93—96.

დატეპნილი მიწა და მასზე ფიქალი ქვებია დაწყობილი. შუქ რდებული  
ტაქში გამოჭრილია ქვეთვალში ჩასავალი საკვამი.


აღმოსავლეთისა და სამხრეთის კედელში დატანებული აქტს  
თითო სათოფურია. სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში დატანებული  
აქტს მესამე სართულში საძრომი საკვამი. ამ სართულის კედლის  
სისქე 80 სმ უდრის.



ახილის ციხე.


მესამე სართულის ანუ „მესამე თვალი“-ს ფართობი  
2,7×2,70 მეტრია. სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში საკვამია მო-  
თავსებული 55×58 სმ. სამხრეთისა და დასავლეთის კედლებში კი  
თითო სათოფურია დატანებული. ამ სართულის სიმაღლე უდრის  
3,40 მ. კედლის კუთხეები ქვის საფეხურებითაა შეკრული. მიწით  
დატეპნილი იატაკი დაფენილია სიპი ფიქალებით, კედლის სისქე  
70 სმ.

მეოთხე სართული ანუ „მეოთხე თვალი“-ს ფართობი  
2,50×2,50 მ. აღმოსავლეთ-დასავლეთ-ჩრდილოეთის კედლებში



ଓକ୍ତୁମ୍ବରିର ପିନିର ଫାସାଲି ଓ ପ୍ରକଳ୍ପ

სათოფურებია დატანებული, სამხრეთით გამოჭრილი აქვს თაღიანი სარქმელი  $60 \times 40$  სმ. ამ სართულის სიმაღლე 3,30 მ, კედლის სისქე 55 სმ. ჭერის აღმოსავლეთ-სამხრეთის კუთხეში საკვამია გამოჭრილი  $60 \times 50$  სმ, საიდანაც ხის კიბით მეხუთე სართულში აღიან. მეხუთე სართულის ანუ „მეხუთე თვალის“ ფართობი



### ცისის გეგმა

2×2 მ. მას ოთხივე კედელში დატანებული აქვს მაღალთაღიანი და განიერი სარკმელები. ლია თაღის სიმაღლე 1,55 მ, განი 60 სმ. ცისის ჩარდახი წარმოადგენს თავ-ძირლია ყუთს, საიდანც მეცი-ხოვნენი ისროლდენ. ჩარდახის მოცულობა 85×60 სმ. ჩრდილო-ეთის მხარეზე ცისის ორი სათოფური აქვს, სამხრეთით და იღმო-

საცლეთით კი თითო სათოფური. ციხის ჭერი მაღალია და გუმბაზულია თისებრი. სართულის სიმაღლე 5,50 მ, კედლის სისქე 50 სმ.


ციხე კიბურად არის სიპი ქვებით დახურული, რომელსაც სიპე-დი ეწოდება. ეს სიპედიანი სახურავი პირამიდული ფორმისაა და ათი საფეხურისაგან შესდგება. ციხის სამხრეთის კედლის ზემო სართულში ჯვარია გამოსახული.

ამავე ტიპის ციხეა კვირიწმინდაში. იგი მარტია შუქიაურს კუთნებია. ამ ციხის კედელი ჩაზნექილია, მაგრამ ჭერ კიდევ ამაყად დგას და მნახველზე გმირულ შთაბეჭდილებას ტოვებს. ასე-თივე ციხეებია შატილის მხა-რეში: ლებაისკარში, კისტანში და გურიოში.

ლებაისკარის სიპედიანი ცი-ხე ხუთსართულიანია და კარ-გად არის ნაგები. ციხეს სი-პედის წვერზე აზის ქვის კუშ-ტული და მეხუთე სართულის კედლის ზემო ნაპირზე წითე-ლი საღებავით გამოსახულია ჯვარი და აღამიანებისა და ცხოველების პრიმიტიული ფი-გურები.

გუროს ციხე დაზიანებულია, მას ბათაკათ ციხეს უწოდე-ბენ და ეკუთვნის გოგოჭურთ გვარს. ამ ციხეზე მიკრულია ხევსურის მიერ მოჭრილი ქის-ტის მარჯვენა ხელი.

ციხის თვითეული სართული ისტორიულ წარსულში თავის დანიშნულებას ასრულებდა. პირველი სართული საოჯახო ქონების სამაღლვი იყო, ზოგჯერ იქ ტყევებსაც ამწყვდევდნენ. მეორე, მესა-მე და მეოთხე სართულებში მტრიანობის დროს მეკომურები იხილებოდნენ. მეხუთე სართულში მოლაშქრენი იდგნენ, იქიდან



ლებაისკარის ციხე

მტერს ზვერავდნენ და სათოფურებილან თოფებს ესროდნენ; ჩარ-  
დახებიდან კი კარზე მომდგარ მტერს ქვებს უშენდნენ.

რაც შეეხება ამ ციხეების კონსტრუქციის საღაურობის საკითხს  
და მშენებელი ოსტატების ვინაობას, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს  
ხევსურული სიპედიანი ციხეები თავიანთი ნაგებობით იგივეა, რაც  
თუშური ტიპის ციხეები<sup>1</sup> და ხევსურებიც თუშებივით ამ ციხე-  
ების აშენებას ქისტ ოსტატებს მიაწერენ. რასაკვირველია, ამ გად-  
მოცემის გაზიარება ძნელია. ჩვენ ვიცით, რომ ქისტები ხევსურებს  
მტრობდნენ და ძნელი დასაჯარებელია, რომ ქისტებს ხევსურები-  
სათვის ციხეები ეშენებინათ.

ხევსურეთში დღეს ამ ციხეების აგება არავის ახსოვს, მაგრამ  
ექველამ იცის, რომ ასეთივე ტიპის ციხეები ქისტეთშიც ბევრია  
და ამიტომ ხევსურები თავიანთი ციხეების აშენებას ქისტებს მი-  
აწერენ ისე, როგორც ქისტები თავიანთი პირამიდული ციხეების  
მშენებლებად ქართველ ოსტატებს თვლიან<sup>2</sup>. პირიქითი ხევსურე-  
თის ამ ციხეების დათარილებაც ძნელია. წარშერა და თარიღი ცი-  
ხეებს არ შერჩენია, მხოლოდ სათოფურების მიხედვით, რომელიც  
თოვთან ერთად ჩვენში მე-16 საუკუნიდან შემოდის, ამ ციხეების  
წარმოშობის ხანა მე-17—18 საუკუნით უნდა განისაზღვროს.

ხევსურეთის სოფლის მოსახლეობა შეჯგუფებულია. პირიქით  
ხევსურეთში, ახილში და, განსაკუთრებით, შატილ-არდოტში  
დღემდის დაცულია საგვარეულო ტიპის სოფლები. პირაქეთ ხევ-  
სურეთში კი სოფლები უფრო გაფანტულია და მეკომურები ერთ-  
მანეთისაგან მოშორებით სახლდებიან, რათა სათიბ-სახნავი მიწა  
მეტი ექნეთ და საქონლის მომრავლებაც უფრო ადვილი იყოს.

ძველი სოფლები მტრის შიშით მთის მწვერვალზე შენდებოდა,  
დღეს კი ეს სოფლები ცდილობენ დავაკებაზე ჩამოსვლას, სადაც  
მიმოსვლა უფრო იოლია.


ხევსურეთის სოფლის დამახასიათებელია უგზოობა, უგზოობა  
და სიბინძურე. ზოგი ქაური სოფელი ისე მჭიდროდაა შეჯგუ-  
ფული, რომ მეკომურების გარჩევაც კი ძნელია. არხოტში სახლე-

<sup>1</sup> ს. ვაკალათია, თუშეთი, ტფილისი, 1933 წ., გვ. 120—125.


<sup>2</sup> И. П. Шеблыкин, Искусство ингушей в памятниках материальной культуры (изв. Ингуш. Инст. Краеведения, Владикавказ, 1928 г., გვ. 271—277).

008 ბახები გეორგიანულია და ბანიდან ბანზე გადასცლით კაცის მთელ სოფელს მოივლის. სოფლის ვიწრო ორლობეები გავსილია საქონლის ნეხვითა და შარდით ისე, რომ ადამიანს გავლა უძნელდება და აშმორებული სუნით იბნიდება.

ხევსურული სახლი დროთა ვითარებაში უცვლელი არ ყოფილია. ხევსურული ძველი კონსტრუქციის სახლებს, რომლებშიაც მათ მაშაბაბას უცხოვრიათ, აქ ევითერს უწოდებენ. ქვიტკი-



ციხის ჩარდაბი



ციხის იატაკის ნაგებობა

რი საგვარეულო ტიპის სამ-ოთხ სართულიანი სახლია. ქვიტკირები ხევსურეთის სოფლების ძველ უბნებში თითქმის ყველან დაცულია: ბისოში, ხახმატში, ახიელში, ამღალში, ლეგაისკარში და, განსაკუთრებით, შატრილში და არდოტში. რომლებიც დღესაც მხოლოდ ამ ქვიტკირის სახლებისაგან შესდგება.

ქვიტკირის სახლებში დღეს არაგვისა და არხოტის ხევსურეთში არ ცხოვრობენ და ისინი გამარტახებულია. მხოლოდ ამღალში და ახიელშია ერთი-ორი ქვიტკირის სახლი მთლიანად და კარგად დაცული. სამწუხაროდ, ჯერ არავის შეუსწავლია ეს ხევსურული ქვიტკირი, რომელიც თავისი ნაგებობით და დანიშნულებით თუშური ჩარდახიანი სახლის ტიპს ეკუთვნის<sup>1</sup>.

სოფ. ახიელში დაცულია ბაქათ ჭაბუშანურის ქვიტკირი, რომელიც სამსართულიანია და ლამ-კირით არის ნაგები.

<sup>1</sup> ს. მაკალათი, თემეთი, ტფილსი, 1933 წ., გვ. 130—135.

პირველ სართულს უწოდებენ ძირის თვალს (ბისეჭვა),  
რომელსაც აქვს შესავალი კარი; ეს კარი კედით იქმნება. აქედან  
საკომით (ხის კიბით) აღიან მეორე სართულში — შუა  
თვალში, რომელსაც ხის კარი აქვს შებმული და კედით იქმნება. მა სართულში გამოჰრილია სათოფურები, სარკმელი და  
ზეკუნები. მეორე სართულიდან საკომით აღიან მესამე სართულში,  
ზეთა თვალში, სადაც ქადალებში დატანებულია სარკმლები  
და სათოფურები. ეს ქვიტყირი ბანიანია და ზედ დატეპნილი მიწა  
აყრია.

შატილში და ორდოში დაცულია ასეთივე კონსტრუქციის ქვიტყირის მთლიანი და უფრო დიდი სახლები, რომლებშიც ხევ-სურები დღესაც ცხოვრობენ. შატილის ქვიტყირები უფრო დიდებია და ოთხსართულიანი.

მეორე სართული საცხვრეა. კარი მას ჩრდილო-ეთით აქვს  $1,15 \times 0,89$  მ და საკედურით იკეტება. ოთახის ფართობი  $7,50 \times 6$  მ, სიმაღლე 2,80 მ, კედლის სისქეა 75 სმ. ჩრდილო-ეთით დატანებული აქვს ერთი სათოფე, სამხრეთით კი ოთხი სათოფე. ჭერის ჩრდილოეთის კუნძულში საკვამია გამოჭრილი  $1 \times 0,80$  მ, საიდანაც კიბით მესამე სართულში აღიან.

ნეები, რომლის დასავლეთის კუთხეში საკვამია გამოჭრილი 1,50×0,60 მ. აქ აყუდა ხის კიბე და ამით მეოთხე სართულში აღიან. კედლის სისქე 65 სმ.

მეოთხე სართული ზეთასთვილია, რომლის ფართობი  $5,50 \times 6,60$  მ. ამ სართულის სიმაღლე 2 მეტრია, მას კარია არა აქვს და ოთხივე კედელზე სათოფეებიანი ჩარდახია მიშენებული. ჩარდახი ყუთისებურია, თავი და ძირი მას ლაა აქვს, იქიდან კარზე მომდგარ მტერს ქვებს უშენდენ. მაგრამ ეს ჩარდახები შატრილში დღეს ყველა სახლს არ შერჩენა და უმრავლესობას ჩარდახები მოხსნილი ან მორღვეული აქვს.

ამასთანავე შატრილის ქვიტკირებს მიშენებული აქვს მეორე სართულში ასასვლელი ქვის კიბე და აგრეთვე ჩამოკიდებული ხის



ქვიტკირის სახლები სოფ. შატრილში

აიგანი ქარიპანი. აქაური ქვიტკირები ნაგებია მშრალად, ზოგი კი დუღაბ-კირით არის მკვიდრად ნაგები, ქვიტკირის სახურავი კველგან ბანიანია.


საგვარეულო ტიპის ამ ქველ ქვიტკირში წინათ ძმათაშვილები ცხოვრობდნენ და თვითეულ სართულს თავისი დანიშნულება ქვინდა. პირველი სართული საქონლის ბოსლად იყო გამოყენებული, მეორეში და მესამეში ძმათაშვილების ოჯახები ცხოვრობდნენ, მეოთხე კი საომარი იყო, საიდანაც ოჯახი მტერს ებრძოდა და თავდაცვის მიზნით ჩარდახებიდან ქვებს ისროდნენ.

როგორც უკვე აღნიშნეთ, ეს ხევსურული ქვიტკირები თავიანთი ნაგებობის ტექნიკით, გეგმით და დანიშნულებით ეკუთვნიან თუშური ჩარდახიანი სახლის ტიპს; ორივენი თემურ წყობილებაზე იყო აღმოცენებული. მაგრამ შატილივით საგვარეულო ტიპის სოფელი ჩვენში არსად შენახულა და ამ მხრივ ის წარმოადგენს შესწავლის საინტერესო ობიექტს.

ლამაზია შატილის ბუმბერაზი მთები, რომლის კალთები წიწვიანი ტყით არის დაფარული, შატილის ვიწრო ხეობას გადასცემის ცის კამარაზე ატყორცნილი ნასოფლარ ქაჩუს ქვიტკირის ნანგრევები. ქაჩუზე პირველად უცხოვრიათ შატილელების წინაპრებს ჭინჭარაულებს და მტრის შიშის გამო მათ აქ თავიანთი ქვიტკირები აუგიათ, მაგრამ ქისტ-ლეკები და თუშები ჭინჭარაულებს ამ კლდის წვერზედაც არ უსვენებდნენ თურმე და ხშირად თავს ესხმოდნენ. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ თუშის ბელადს ტურა ხოშაქისძეს ქაჩუ გაუტეხია. ხალხური თქმულებით, როდესაც ტურას ქაჩუ იარალით ვერ აუღია, განუზრახავს წყლის დაშრობა. თუშებს უძებნიათ ქაჩუს წყარო, მაგრამ ვერ მოუხელავთ, მაშინ დაუჭერიათ ორი ჯორაკი და მათთვის წყალი მოუწყურებიათ. წყალი განვითარებით განვითარებულ ჯორებს წყაროც ჩარია უპოვიათ და თუშებს ქაჩუ წყარო გადაუგდიათ. ქაჩუ უწყლოდ დარჩენილა და მტერსაც აღვილად გაუტეხია. ამის შემდეგ მოსახლეობა ქაჩუდან აყრილა და შატილში გადასულა.

შატილიც კლდეზეა აშენებული. ქვიტკირის სახლები სვეტები-

<sup>1</sup> თქმულების მეორე ვარიანტით ტურა ლექების ბელადიც ყოფილა, იგი უნდა იყოს თემურაზ I დროს ისტორიაში მოხსენიებული ტურა რამაზაშვილი: „ევალად იყო ტურა რამაზაშვილი, ესე ავაზაკობდა ლექთა შინა... განვიდა ტურა ჭარხა შინა და იშტო მან თაბა ლექთა და კირთება ლაშერობით დახეთს“ და სხვა“ (იხ. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, 203—204).



### ხევსურული სახლი

ვით არიან აჩხირული და შორიდან ადამიანს ერთი დიდი და მთლიანი ციხე ეგონება.

შატილის ქვიტკირები ნაერბია მკვიდრად და ლამაზად. ქვიტკირებს შუა გასასვლელი კიბეებია და ამ კიბეებით ერთი ქვიტკირიდან შეიძლება მეზობელ ქვიტკირში გადასვლა და ასე მთელი სოფლის მოვლა.


ქვიტკირებით შემოზღუდული შატილის აღება მტრისათვის ძნელი იყო, მით უმეტეს, რომ ის გარშემო მაღალი მთებით არის შემორტყმული.

შატილს მხოლოდ სამხრეთით აქვს მისასვლელი გზა და ეს მხარეც გამაგრებულია ოთხსართულიანი ქვიტკირებით. ამ ქვიტკირების აგება აქ დღეს არავის ახსოვს. ქვიტკირი ბნელია და ძნელი საცხოვრებელი. ამას შატილელებიც კარგიდ გრძნობენ და მათ



თავიანთი ქვიტკირები უკვე არ მოსწონთ. მაგრამ შატილში და ლიანის არის, რომ მოსახლეობას შეეძლოს ქვიტკირებიდან გასვლა და თანამედროვე სახლის აგება. ამიტომ ვინც ქვიტკირებს სტო-გებს, ის იძულებულია სხვაგან გადასახლდეს.

არავერდი ხევსურეთში ქვიტკირები უკვე კარგა ხანია დაცლილა და მათში არავინ ცხოვრობს. ბევრი მათგანი მეპატრონეებს დაუშ-




ქვიტკირის ფასადი



ଶାନ୍ତିକାନ୍ତିକା



ხევსური შამაკაცის პერანგი



ხევსური ქალის შანდოლი



ხევსური ქალის სათაურა



ଶ୍ରେଣ୍ଟାବିହାର



ଶାନ୍ତିଗ୍ରେହଣ



ଚୋଳା



ତାତ୍ତ୍ଵବିଦୀ




ლიათ და ახალი სახლები აუგიათ; აქ იშვიათად შეხვდებით დაუშენებული ლელ ქვიტკირის სახლს. მეოთხე ჩ ა რ დ ა ხ ი ა ნ ი სართული აქაურ ქვიტკირებს არსად შერჩენია, ის ყველგან მონაბილია და დარჩენილია ორ- და სამ- სართულიანი ქვიტკირები. მათ შორის აღსანიშნავია სულხან ჭინჭარაულის უკანასკნელი დროის ქვიტკირი სოფ. ბარისაკოში.

სულხან ჭინჭარაულს, რომელსაც ქისტები თურმე მტრობდნენ, ეს ქვიტკირი ან ციხე, როგორც მას ხევსურები უწოდებენ, აუშენებია 1919—1920 წლებში. ქისტებს სულხანის ბიძაშვილი გიგია ბაძიას ქ ჭინჭარაული მოუკლავთ, მისი ცხენ-იარალი გაუტაცნიათ და ამის „საჯარიც“ მოუთხოვიათ. მიცვალებულის ცხენ-იარალის დაუხსნელობა ხევსურეთში ნათესავებისათვის დიდი სირცხვილია. გიგია ობოლი ყოფილა და სულხანის მამას გოგოთურს ქისტებიასთვის სახსარი უნდა მიეცა. გოგოთურს ნათესავები შესწევნა და მას მოუგროვებია „შვილოცი“ თუმანი (1.400 მან). ქისტებს ეს ფული აუღიათ, მაგრამ იარალი და ცხენი მაინც არ დაუბრუნებიათ და კიდევ ზედმეტი სახსარი მოუთხოვიათ. ამაზე სულხანი გახელებულა და გადაუშევეტია, ბიძაშვილის იარალი როგორმე ხელში ჩაეგდო. ამ მიზნით სულხანს ქისტების მოლა მოჟკლავს, მისთვის თავი და მარჯვენა მოუჭრია, გულით ბარისახოში ჩამოუტანია და აქ მიწაში ჩაუფლავს, რომ ქისტებს ახლა ამის სახსარში მისი ბიძაშვილის ქამარ-ხანჯალი დაებრუნებიათ. მაგრამ ქისტებს მოლას თავი არ დაუხსნიათ.

ამ დიდ რევოლუციაში, როდესაც სამოქალაქო ომებმა მთაც შეაჩყია და მთიელებმა დაიწყეს ერთმანეთის დარბევა, სულხანს ქისტების შეშინებია და ბარისახოში დაუწყია ქვიტკირის აგება. მშენებელ ისტატად პყოლია გუდამიყრელი ბეჟია ცხრაძმიანი. ქვიტკირის აგება დამჭვდარა 15 ძროხა; მასალა, ლამ-კირი თვითონ სულხანს უზიდნია. მაგრამ სულხანს ამ ქვიტკირის მოთავება არ დასცლია. მას ქისტის გონებით შატილიონი ძმადნაფიცი შემოჰკვდომია, შატილიონთა მდევარს სოფ. კისტანთან სულხანიც მოჰკვდავს.

შეგიკვრენ, სულხანაურო, მალლა მთას, დაბლა ბარსაო, დაგორიფეს ქისტნის-ტალასა, შეე-მოდენის ხანსაო, ფერ ახკლომია, სულხანავ, შენსა სახლსა და კარსაო, ციხეს ლამ-კირით ნაგებსა, ქვაზე ნადებსა ქვასაო“.



### ქვიტკირის ჭრილი

სულხანაურის ეს თანამედროვე ქვიტკირი თავისი გეგმით და ფორმით ისეთივეა, როგორც ძველი ქვიტკირები, მხოლოდ მას მეოთხე ჩარდახიანი სართული მოხსნილი აქვს და იგი სამსართულიანია.

პირველი სართული დახურული და ბნელია. კარი გამოჭრილია

მეორე სართულში. მეორე და მესამე სართული ჭერ-იატაკით არის გამართული და კედლებში გამოჭრილი აქვს სათოფურები და სარქმლები. ჭერში საკომია გამოჭრილი, იქვე კიბეა მიღმული და ისე აღიან.





ერთი სიტყვით, ეს ხევსურული ქვიტკირის სახლები საგვარეულო წყობილების ნაშთია და თემობრივი წყობილების დაშლასთან ქვიტკირებიც კარგავდნენ თავიანთ პირვანდელ თავდაცვითს მნიშვნელობას; ხევსურებიც თანდათანობით გადავიდნენ მეორე, თანამედროვე ტიპის სახლების მშენებლობაზე.

ხევსურები დღეს აგებენ ორსართულიან ქვის სახლს. ქვემო სართულს აქვს დარიფანი ანუ წინგარდა, საიდანაც შესავალი კარია ამ სართულის დარბაზში. თვით დარბაზი გატიხრულია და ასე იყოფა: პარველი გრძელი და ვიწრო გასავალი, რომლის მარჯვნივ სატალავროა გამართული, სადაც ქალის ტანისამოსია გრძელ ჭოხებზე გადაფენილი, მარცხნივ კი საცხენეა გამართული. აქედან კარი შედის ბოსელში (საძრო ხე). მარჯვნივ სახლია, სადაც ოჯახი ზამთრობით ცხოვრობს. სახლის უკან კიდევ ერთი ოთახია, რომელსაც საცხერეს ან სახროხეს უწოდებენ და სადაც ცხვრებს აყენებენ. ზოგან სახლთან რძის ნაწარმისათვის ცალკე გადატიხრული ოთახიც აქვთ, რომელსაც სენეს უწოდებენ. ამ ქვემო სართულის ან ბოსლის ეს ოთახები გაქვდლილია ლატით, ნაწვლით და ფიცრებით.

მეორე, ზედა სართულს ჭერ ხო ეწოდება. ჭერხოც ოთახებად არის დაქვდლილი: სალოგინე ან სატახტე, სადაც მამაკაცები წვებიან, საჩალე, სადაც საქონლის ჩალას ინახავენ, სარძეულა, სადაც რძის ნაწარმი მზადდება. ზოგან ჭერხოს ბაზე კალცი არის გამართული და ასეთი სახლი სამსართულიანი ხდება. ჩვეულებრივ, კალცს ხევსურები ჭერხოს ერთ კუთხეში მართავენ.

მგვარად, ხევსურული თანამედროვე სახლი ორსართულიანია და ბოსლისა და ჭერხოსაგან შესლება. რაც შეეხება თვითეული ამ სართულის ოთახებად გადატიხერას, ეს მეორობრის შესაძლებლობაზეა დამოკიდებული. ამიტომ შეძლებული ხევსურის სახლი დიდია და ოთახებად დაყოფილი, ლარიბის სახლი კი პატარაა და არც ოთახები აქვს.

ხევსურები აგებენ ქვის სახლს, რომელსაც უნდება 7—8 სუე-



### შეტყობის გეგმა

ნი ქვა. სააღმშენებლო ქვას კლდეში ამტვრევენ და იქიდან მარხილით და ჭინით ეზიღებიან. საუენი ქვა აქ 5 მანეთი ან ნახევარი ძროხა ფასობს. ზოგი ყიდულობს ძველ სანლს, აშლევინებს და საუენში ხუთ მანეთს (ოქროთი) უხდის. ხევსურეთში სახლის ოსტატები უფრო მთიულ-გუდამიყრელები არიან. კედლის აგება ობლად, ე. ი. მშრალად ერთი წყრთა ღირს 60 კაპ. (ძველ ფასობაზე), ქართული აღლი კი მანეთი და ოცი კაპიკი.



ქვის მოზიდვა ხევსურეთის პირობებში სამიმო საქმეა, სახლში მთლად ქვისაგან აგება ძვირი ჭდება და ყველას არ შეუძლია. ამი-  
ტომ ღარიბები სახლის კედლებს ფიცრის ან ლასტისას იკეთებენ  
და შემდეგ თიხა-მიწით გალესავენ.

სასახლის თვითეულ სართულს თავისი შესაგალი კარი აქვს. ბოს-  
ლის დერეფანი დახურულია. სახლის ჭერი მჭიდროდ დალაგებუ-  
ლია, იგი მრგვალი ხეებისაგან შესდგება და დაყრდნობილია კეზის  
ხიდზე. კეზის ხიდი ორია და მას შუაში და თავ-ბოლოში შედგმუ-  
ლი აქვს ყორის ბოძი, კულად წოდებული. სამყოფ სახლის  
ჭერში საკვამია გამოჭრილი, სიიდანაც კიბით ჭერხოში ადი-  
ან და ჩამოდიან. ხევსურული სახლის ბანი დავაკებული და სწო-  
რია. სახლის ჭერზე ჯერ ა დეშ, ფიჩებს და ყარტს დააყრიან,  
შემდეგ ბანის გარშემო სანაპირო სიპებს შემოამჭრივებენ და ზედ  
მიწას დააყრიან. ამ მიწას საზეპელით მაგრად ტკეპნიან, რომ წვი-  
მამ არ გაატანოს. სახლის ეს ბანები ზოგან ხიდებითაც არის გა-  
ერთიანებული და ერთმანეთთან ამ ხიდებით გადაღიან. სახლის  
ბანზე ხევსურები სხდებიან და საქმობენ. აქვე არჩევენ ჭირნახულს  
და მას გასაშრობად ფენენ, ლხინში თუ ჭირში ბანია გამოყენე-  
ბული, იქ ხალხი ჭდება და სტუმარსაც აქვე უმასპინძლდებიან.

როცა სახლი მოთავდება და ჯალაბი შიგ პირველად შევა, სახ-  
ლის ანგელოზის სამღვთოს იხდიან. ამ მიზნით ლუდს მოხარშა-  
ვენ, ცხვარს დაკლავენ და სახლის ინგელოზს ოჯახის ბეღნიერებას  
შეეველრებიან.


კარგად გამართული სახლის აგება იქ უჭდებათ 12—15 ძროხა.  
გაყოფის დროს სახლს უფროს ძმას უთმობენ, მაგრამ სხვების  
წილი მან უნდა გამოისყიდოს, თუ არა და წილს უყრიან და, ვისაც  
ერგება, სახლსაც ის გამოისყიდოს. ზოგჯერ ძმები გაყოფამდე აშე-  
ნებენ მეორე სახლს, შემდეგ წილს ყრიან და ისე იყოფენ. მაგრამ  
ძმამ თუ სახლის საქცევა ფასი გაიღო, მაშინ ის სახლის აგებაში  
ძმას არ შეეშველება.

ხევსურული სახლი ნესტიანა და ბნელი. ქვემო სართულში  
მოთავსებულია ბოსელი და სამყოფი სახლი. სამყოფში შედიან  
ბოსლიდან, რომელიც მიწური და ბნელია. მას მხოლოდ გამოჭ-  
რილი აქვს ერთი საჩქმელი, სიიდანაც კვამლი გაღის და სახლში  
სინათლე შემოდის. სარკმელთან კერაა გამართული. კერა ოთხკუ-

თხია და ჩალრმავებული. ის სიპი ქვებით არის დაგებული და საკიდელი ჰქილა. კერის ხევსურეთში კვერცხ ნ-ს უწოდებენ.

კერის მარჯვენა მხარეზე მხოლოდ კაცები სხდებიან და მას სამამაცო-ს უწოდებენ, მარცხნივ მხარეზე კი ქალები სხდებიან და სადიაცოს უძახიან. სამამაცოზე დედაკაცი ვერ დაჭდება, რადგანაც ხევსურების რწმენით ამ შემთხვევაში მამაკაცს ანგელოზი ახვდება, ე. ი. მოშორდება.

კერაზე შეშის უკეთებენ, ცეცხლს კი ჩრაქვით — არყის ქერქით და კვარით აჩაღებენ. არხოტის თემში ტყე მცირეა და მოსახლეობა შეშის სინაკლინულეს განიცდის, ამიტომ იქ ქურთს ხმარობენ. ქურთს საქონლის ნეხვისაგან ქალები აკეთებენ. ქურთს



სოფ. შატილი

ხელით ზელენ და ბალახის კონით კედელზე აკრავენ. როცა ქურთი გაშრება, მოხსნიან და ერთმანეთზე ილავებენ. გამხმარ ქურთს ღუმელში უკეთებენ და საჭმელს ხარშავენ. კერის გვერდით ქვის ღუმელი გამართული, სადაც პური ცხვება. აქვე დგას დაჭრელებული კიდობნები, რომელზედაც ამოჭრილია გეომეტრილი სახე-

ები და პრიმიტიული ფიგურები. სამყოფოს ერთ კედელზე გრძელი სკამი დგას. აქვეა ქალის საწოლი მოწნული ჩაფი. სახლში უწესრიგოდ მიმოფანტულია ჭურჭელი: ვარცლი, კოდი, თულუნები და სხვა. სახლის ჭერზე ჰყიდია გამხმარი ხორცი, ქონი და სხვა საოჯახო წვრილმანი.



ბოსელში გამართულია საქონლის ბაგა, საღაც ზამთარში საქონელს აყენებენ. ხევსურის ოჯახი ზმითარში ამ სართულში ცხოვრობს, ზაფხულობით კი ჭერხოში აღის, საღაც შედარებით ჰაერი და სინათლე მეტია. ჭერხოშიც კერაა გამართული და ზაფხულში საჭმელს აქ ამზადებენ. ჭერხოში ყველაფერი მიმოფანტულია. სპილენძის ქვაბები, ტაბლა, გოლრები, კასრები, ტაგრუცები, ქოთნები და სხვა. აქვეა გოგოების საწოლი ჩაფი. ჭერხოს ერთ კუთხეში გამართულია შამაცაცის საწოლი ხის ტახტი.

ხევსურის ბინა უსუფთაოა. კერის ცეცხლის ბოლი, საქონლის ნეხვისა და შარდის სუნი ადამიანს სუნთქვას უმძიმებს. თავიანთ ბინის უვარგისობას ხევსურები დღეს კარგად გრძნობენ და ცდალობენ საბინაო პირობების გაუმჯობესებას. ამ მიზნით სარემლების ნაცვლად სახლებში მინიან პატარა ფანჯრებს სვამენ, კერასაც თანდათანობით შლიან და თუნუქის ღუმელებს დგამენ.

არხოტში თითქმის ყველა სახლს აქვს ფანჯრები და ღუმელებიც. ზოგიერთ სახლებში ჭერხო ოთახებად გადაუკეთებიათ და შიგ სუფთა ტახტ-ლოგინები გაუმართავთ: არავის ხევის ხევსურებიც ცდილობენ ამ მხრივ არხოტელებს წაბაძონ და აქაც ხშირია ფანჯრიანი და თუნუქისღუმელიანი სახლები. ამასთანავე, ბარისახოში, ჩირდილში და სხვაგანაც გვხვდება ქალაქური ტიპის სახლი კარ-ფანჯრითა და აივნით გამართული.

ხევსურის ბინის შინამოწყობილობა ძველებურია და აქ იშვიათად შეხვდებით ქალაქურ დგამსა და ავეჯს. სახლის მოწყობილობა ერთფეროვანია, ყველგან უდგიათ ზურგდაჭრელებული გრძელი სკამი და სამჯეხა სკამი ჩიკა. სუფრის მაგივრად ხმარობენ ოთხფეხა დაბალ ხის ტაბლას. წყალს სპილენძის თულუნებით ქალები ეზიდებიან. კაცი წყალს ვერ მოიტანს, — სირცხვილია. ოჯახში უდგიათ ლამაზად ნაჭრელი კარებიანი კიდობანი, რომელშიც საჭმელი ინახება. ჭურჭელს ხისას და სპილენძისას ხმარობენ. ფაიფურისა და მინის ჭურჭელი კოოპერაციის დახმარებით ამ ბოლო

ხანებში აქაც შედის. ჩრაქვისა და კვარის ნაცვლად ზოგიერთ ოჯახებში შუშიანი ლამპებიც უნთიათ. ყველაზე მეტად ხეესურეთში სპილენძის ჭურჭელს ეტანებიან და ზოგიერთი შეძლებული ხევსურის ჭერხოს ნახევარი სპილენძის ქვაბებსა და თულუბრაშებს უჭირავს. ბევრი სპილენძის პატრონი აქ მდიდრად ითვლება და თემშიც მოწონებაშია, მით უმეტეს, რომ აქ სისხლის დრამას სპილენძით იხდიან, ძროხებსაც იძენენ და სხვა. ამიტომ



ხეესურული სახლის ფასადი.

სპილენძი ხეესურეთში ოქროს მაგივრობას ასრულებს და ყველანი სპილენძის შეძენაზე ოცნებობენ.

ლოგინი ხევსურებს არა აქვთ. ქალები წვებიან მოწნულ ჯინში ან ჩაფში, რომელშიც ჩალაა ჩაგებული და ზედ იხურავენ ცეკრის ტყავს, დურატულ ავს ან გულანურს. ქალები ბოსელში წვებიან, კაცები კი ჭერხოში, ქალისა და კაცის ერთ სართულში წოლა სირცხვილია. კაცის საწოლი გამართულია მაღალფეხიან და ჩაღრმავებულ ხის ტახტზე, ზოგი ტახტი დაჭრელებულია. ტახტში ჩაგებულია ჩალა და მასზე გადაფარებულია ხალიჩა. საბნად იხურავენ დურატყავს. რწყილებისაგან თავდაცვის მიზნით ზაფხულ-

ში ამ ტახტს ჭერნოს აივანზე ჩამოკიდებენ და მამაკაცები ისე წვებიან. საყაცო ტახტზე ქალი არ დაწვება, ანგელოზი გაწყრება.


სტუმარს ხევსურეთში ხალიჩაზე აწვენენ და ზედაც ხალიჩას ახურავენ. შეძლებულ ოჯახში ხალიჩები ბლომად მოეპოვებათ. საფენს ხევსურეთში კარგი ფასიც აქვს. ის საგებიც არის და საფასეც, რომელსაც ძროხებზე და სპილენძზე ცვლიან. ხალიჩებით აგრეთვე სისხლის დრამასაც იხდიან.

ამ ბოლო ხანებში აქაც შემოდის შეკერილი საბნები და ზოგიერთ ოჯახში უკვე გვხვდება საბან-ნალით გამართული მამაკაცის საწოლი.

ტანსაც მე ლი. ხევსურული ტანისამოსი ჩვენში ცნობილია თავისი ორიგინალობით, მას ახასიათებს თავისებური გამოჭრილობა და მორთულობა. ამ მხრივ ხევსურები განსხვავდებიან სხვა მთავრელებისაგან, რომელთაც ძველებური ჩაცმა აღარ შერჩენიათ.

ხევსურულ ტანისამოსს ტალავარი შინ მოქსოვილი ტოლისაგან (შალი) იკერება, რომელსაც ხევსური ქალები ამზადებენ.


ტალავრის შეკერვა და მორთვა აქ თითქმის ყველაზ იცის, ამაში ქალებს პატარაობიდან ავარჯიშებენ. ხევსურული ტალავრის შეკერვა მათთვის სიძნელეს არ წარმოადგენს, რაღაც მისი გამოჭრილობა და ფორმა უცვლელია და დიდსა და პატარას ერთნაირი ტალავარი იცვია. ხევსურეთში საკერავი მანქანაც შესულია, მაგრამ ტალავარი მანქანით არ



კილობნის ორნამენტები

იკერება. სატალავრო ტოლი სქელია და მოუხეშავი და მას მანქანის ნემსი ძნელად შეკერავს. ამიტომ მანქანით იკერება ბამბის ქსოვილი, ტალავარს კი ხელით კერავენ.

ქალის ტალავარში მთავარია საღიანი — კაბა, რომელსაც ქალები პირდაპირ ტიტველ ტანზე იცვამენ. საღიაულ შავი ან



ნაჭრელი აკეზე

ლურჯი ტოლისაგინ იყერება. ის მთლიანია და მოკლე. საღიაცოს საყელო წინ ამოღებული აქვს, გულისპირი, ფარაგი კი ფერადი ძაფით არის მოქარგული და მძივ-ღილებით შემქული. ფარაგს აკერია ფერადი შალის ზიკებით და ჭრელანა ზოლებით მოქარგული სამწყვეტლო. სამწყვეტლო და ზიკი ჭერ ცალკე იკერება და იქარგება, შემდეგ მას ფარაგზე აკერებენ.

საღიაცოს ფარაგი გასათხოვარ ქალს მაგრად აქვს შექრული, მისი გახსნა სირცევილია და ეს ქალს უნამუსობაში ჩამოერთმევა. გათხოვებისა და შვილოსნობის შემდეგ ქალს შეუძლია გახსნილი ფარაგი ატაროს. საღიაცოს ქვეშ შემოკერებული აქვს ფერადზოლიანი ქოქომო, ორმელიც უკან ლამაზად არის ასხმულ-დაკეცილი და ეწოდება ნაჩაფი. ეს ნაჩაფი მოძრაობის ღრის იშლება. საღიაცოს წელზე შალის სარტყელს შემოკრავენ, ფარაგის უბეს გაღმოსწევენ და ისე ატარებენ.

საღიაცოზე ქალებს აცვიათ ქოქლო. თავის გამოჭრილობით ქოქლო ქათიბს წაგავს. ქოქლო წელიანია და მოკლე. ის შავი ტო-

ლისაგან იკერება და სახელო გაჭრილი აქვს. ქოქლოს საგულე ზე კალთის ნაპირი შემცულია დაკბილული ფერადი შალის კუწუბებით, ზოგი მოქარგულია, ზურგი და ბეჭები კი ხატებით (ჯვრებით) არის დაჭრელებული; წელზე ქოქლოს აზღოტი აქვს ასხმული. აზღოტი ასხმულია მჭიდროდ და მოძრაობის დროს ლაგაზიად იშლება.

ზამთარში საღიაცოზე ტყავის იცვამენ. ეს ტყავის ქურქი ცხვრის ბეწვჩაბრუნებული ტყავისაგან იკერება. ტყავი წელიანია და მოკლე.



ქალის საწოლი „ჯინი“

ფეხებზე იცვამენ საქალამნე თათს (წინდას) და ნაჭრელ პატიშან რომელსაც ბოლოზე შემოვლებული აქვს წვრილი გრეხილი შალი ფა. წინდაზე ქალამანს იცვამენ, სასტუმროდ კი ამოკერებული თათი მსხვილი ნაქსოვია და ფერადი სახეებით დაშიბული. ამოკერებული თათი ჯერ წყალში ლება, შემდევ მას საფაროზე გაჭიმავენ და ისე აშრობენ. თათს ძირში ტყავს გამოაკერებენ და წვერს მძივ-ლილებით შეუმკობენ.

ხევსურის ქალები დღეს თმაშეკრეჭილები არიან და სათაურა იხურავენ. ეს ხევსურული სათაურა ქართულ ჩიხტს ემსაგავსება, ის ბამბის ნაჭრისაგან იკერება და შემდევ მატყლით იტენება. სათაურა მრგვალია და მას საკუდურით თავზე მჭიდროდ იდგამენ. სათაურას შუბლი გეომეტრიული სახეებითაა ნაკვრი და მძივებით დახიდული. ამ სათაურაზე გათხოვილი ქალები მანდელს იხვევენ.

მანდელი გრძელფესვიანია (ფოჩიანი) და ეს ფესვიანი მხარე ფერადი აბრეშუმის სახეებით არის მოქარგული. გაუთხოვარი

ქალი მანდელს არ იხურავს და სათაურას უმანდელოდ ატარებს. გათხოვდება თუ არა ქალი, მანდელს შემოიხვევს. ახალ პატარძალს უმანდელოდ სიახლული მიმის სახლში შეუძლია, ქმრისას კი სირცევილია. ქალს უფროსთან მანდელის მოხდა არ შეუძლია და არც ქმრის ნათესავებს მიეგებება უმანდელოდ, რაც მას უზრდელობა-ში და უპიტიცემულობაში ჩამოერთმევა.

იმავე დროს მანდელი ხევსურეთში ერთგვარ პატივსა და მოწონებაშია. ჩხების დროს ქალები მეშუღლებს თავიანთ მანდელით აშველებნ და მანდილის შელახვა აქ დიდი სირცხვილია.

ხევსურის ქალებს ღლეს თმა შეკრეჭილი აქვთ და ეს მათში სილამაზედ ითვლება. წინათ კი ნაკაპი ნი ჰერონიათ. ნაჭაპნ წვრილად იწნავდნენ და შუბლზე იხვევდნენ. ზოგი იკეთებდა ს ათ მ ე-ს (დალალი), რომელიც რამდენიმე წვრილი ნაწავისაგან შედგებოდა. ზედ სალტა პერნიათ მოკერებული. მშ სალტიან ნა-


ჭაპნ შუბლზე შემოიკრავდნენ. ნა-ჭაპნებს ყურებზე შემოიხვევდნენ. და ზედ მანდელს იხურავდნენ. ღლეს ნაჭაპნიანი ქალი აქ იშვეიათად გვხვდება.

ნაჭაპნის დროს ხევსურეთში სა-თაურა არ სცოდნიათ. სათაურა ამ სამოციოდე წლის წინათ შემოსულა. სათაურას მაგივრად ჭაპნ ნი კი ის კელსა კოც ს ხმარობდნენ. ეს ხელსახოცი გრძელი და ვიწრო ბამ-ბის ქსოვილი ყოფილა. მას ამკობ-დნენ ფერადი მაუდის ჭვარქვერა სა-ხეებით და მძივ-ღილებით. ჭანჭიერის ხელსახოცის ნაჭრელ შუა გულს შუბლზე და უკან დახვეულ თმაზე მაგრად შემოიკრავდნენ და მის მძი-ვის ქუჩუმებიან ბოლოებს მხრებზე ჩამოუშვებდნენ.

ჭანჭიერის ხელსახოცზე მანდელს ისე შემოიხვევდნენ, რომ ჭან-



ქალის ტალავარი.



## სადიაცო ქაბა (წინილან)

ჭიების ნაჭრელი სახე გამოჩენილიყო. შემდეგ, როდესაც ხევსუ-  
რეთში თმის გაყვითლება მოდად შესულა, ქალებს დაუწყიათ ნა-  
კაპნ-ნაწნავების მოქრა, რადგანაც გრძელი თმის გაყვითლება ძნე-  
ლი იყო. უნაწნავო და თმადაუზვეველ თავზე ჭანჭიერის ხელსახოცა  
ვერ დადგებოდა და ამიტომ შეკრეპილ თმაზე შემოუღიათ მანდე-  
ლის დასამაგრებელი ჩიხტის მაგვარი სათაურა ან თავსაცმელი. ამ  
სათაურაზე გადაუტანიათ ჭანჭიერის ნაჭრელიც და ამ შძივებით და-  
ხიდულ სათაურაზე დაუწყიათ მანდელის შემონვევაც.

ხევსურებს მოსწონთ და აქ ლაპაზიად ითვლება თეთრკანიანი და ყვითელობიანი ქალი. ამტომ გაუთხოვარი ქალები თმას ხელოვნურად იყვითლებენ. ამ მიზნით ნაცარს აღუდებენ, შემდევ მას გასწურავენ და ამ ნაცართვასთ კეირაში ორჩერ მაინც

თავს იბანენ, რომ თმა გაიყვითლონ. ვისაც თმა ძნელად უყვითლდება, ის ნაცართვალით ყოველდღე იბანს და თმას ისე იხუნებს. გათხოვების შემდეგ თმის გაყვითლება სირცხვილია და ხევსურის პატარძალს თმა ისევ უშავდება.

წინათ თმას საქონლის შარდით, „მწურეთი“ იყვითლებდნენ, მაგრამ მწურე თმას თურმე ისე მაღვე და კარგად ვერ აყვითლებდა, როგორც ნაცართვალი.

ხევსურ ქალს სამკაულიც უყვარს და მას გულ-მკერდი შემქობილი აქვს ვერცხლის შიბით, რომელზედაც ასხმულია ვერცხლის ფულები და ჭვრები. შიბი აქ ძვირად ფასობს და მას უფრო შეძლებულები ატარებენ.


მაგაზე ქალები ვერცხლის ზალტევებს იკეთებენ, თითებზე კი ვერცხლის ბეჭდებს. ყურებზე უკეთიათ სამ-სამი ვერცხლის ჩეოლის საყურე (საყური). რამდენადაც მეტია და დიდია საყურე, მით უფრო მოსწონთ. წინათ ატარებდნენ ვერცხლის დიდ საყურეს, რომელიც კუშტიულებითა და ბიბილოებით იყო შემკული.

შამაკაცის ტალავარი. კაცები იცვამენ პერანგს, რომელიც შავი ტოლისაგან იკერება. პერანგი იკვრის მარჯვნივ და მისი საბეჭური ფერადი სახეებითაა მოქარგული. პერანგს წინ ყელი ამოლებული აქვს, კალთის გვერდები კი ჩაჭრილი. მას სამკედლოს ნაპირს შემოვლებული აქვს დაებილული ფერადი შალის არშია.

პერანგის საბეჭური საგანგებოდ იკერება და მამაკაცის პერანგის მოელი შნო და სილამაზე ნაჭრელას მიხედვით ფასდება. ნაჭრელა ორგვარია: აბრაშუნის ნაჭრელა და ნაჭრის ნაჭრელა. აბრეშუმით ნაჭრელი საბეჭური სახით და ფერით უფრო ლამაზია, მაგრამ ძნელი სამუშაო და ძვირად ფასობს. აბრეშუმის საბეჭური ტილოზე იკერება. ამ მიზნით საბეჭურზე ტილოს დაადგებენ და ზედ ნაჭრელის კონტურებს შემობლანდავენ. შემდეგ აიღებენ წმინდა ნემსსა და ფერად აბრეშუმის ძაფს და შეუდგებიან მოქარგვას; გამოყავთ გეომეტრიული სახეები და თავგრაგნილი ჭვრები. ბოლს ამ საბეჭურის ნაჭარებს და პერანგის სახელოს მაჯებს ამკბენ ფაიფურის თეთრი მძიებით და ლილებით. აბრეშუმის ნაჭრელიანი საბეჭური აქ დიდ მოწონებაშია და ძვირადაც ფასობს. რაღანაც ის მოითხოვს ქარგვაში გავარჯიშებულ ოსტატს, დიდ დრო-

სა და შრომის და ამასთანავე აბრეშუმის მასალას, რაც ხევსურეთ-ში არ იშოვება. ამიტომ აბრეშუმის საბეჭური აქ დღეს იშვიათად იქტერება და, ვისაც აქვს, უფროთხილდება და იშვიათად თუ ჩაიცვამს.

აბრეშუმის ნაცვლად საბეჭური დღეს ნაჭრით იკერება. ნაკერი შალის ძაფია და სხვადასხვა ფერად იღებება. ნაჭრიან საბეჭურს ტილოს ქარგი არ სჭირდება და ის პირდაპირ იკერება. მისი



სადიაცო კაბა (ზურგიდან)


ფერადობა და სახე მარტივია. მას ახასიათებს კვერა და ჭვრიანი სახეები, მასაც მძივ-ღილებით ამჟობენ, მაგრამ ნაჭრით ნაკერი აბრეშუმთან შედარებით მოუხეშავია და მდარე.

პერანგის ზურგი შემკულია ღავავკავებული სახეებით, თავგრაგ-ნილი ჭვრებით და მძივ-ღილებით.

ამ პერანგზე კაცები ჩოკას იცვამენ. ჩოკა შავი ან ლურჯი


ტრლისაგან იკერება. ჩოქა გულამოლებულია, რომ პერანგის სახე-  
ჭური კარგად გამოაჩნდეს. ის წელში გამოყვანილია და უკან ასხმუ-  
ლი აქვს ნაკეცი ნაოჭი, რომელსაც აზღოტს უწოდებენ. ჩო-  
ქას ზურგზე და ბეჭებზე სირმის გრეხილით შემკული ჯვრებია გა-  
მოყვანილი.

ମେଘ ପ୍ରାଚୀନ କୋଣିଆ ଶାଖାଗାଲ୍ସ. ମହାଶୁଦ୍ଧିର ଅବସଥା ତୁଳିଗାନ୍ତରୀଣରେ  
ମିଶ୍ରମିତାକାରିତା ଯାହାକୁ ଶାଖାଗାଲ୍ସ



## ფარაგის ნაჭრელის სახეები

მუქასარიანი შარვა-  
ლი, რომელსაც ტოტებზე  
შემოკერდებული აქვს მძივ-  
ლილებით შემკული ფერა-  
დი შალის ბრტყელი არშია.  
მუქასარს მოკლე და გა-  
ნიერი ტოტი აქვს და მას  
ჩაშვებულად ატარებენ. მუ-  
ქასარს ახალგაზრდები არ  
იცვალენ და გრძელ და ჩა-  
ტანებულ შარვალზე ისინა  
პაჭიშვის (ბაჭიში) იჯთებენ.  
პაჭიშვი ტოლისაგან იყერე-  
ბა, მისი ორივე მხარე დაჭ-  
რელებულია ფერადი სახე-  
ებით. პაჭიშის წვივის თავ-  
ზე საწვივეთი იკრა-  
ვენ, რომელიც შემკულია  
მძივის ქუჩუმით და კვერა-  
ნებით. ფეხზე აცვიათ წინ-  
და და ყელიანი ქალამანია  
(კულჩა). აგრეთვე იცვა-  
მენ დაჭრელებულ და გა-  
მოკერდებულ თასს. მამაკა-  
ცები თავზე იხურავენ თუ-  
შურის ფორმის მრგვალ ნაბ-  
ლის ქუდს. ხევსურული ქუ-  
დის საპირე და კუჭი მო-




ქეჭლო (ჭინილი).

ქარგულია შავი გრეხილით (ნაჭრის შიბა) და თეთრი შძივებითაა შემკული.

მამაჭაცი თითს იმკობს გველივით დაწვეული ვერცხლის ბეჭდით, რომელსაც გველის თავს უწოდებენ. ეს ბეჭედი გველის სახისაა და მოსვეადებულია. მეორე ბეჭედს თუშურს უწოდებენ. ესეც ვერცხლის ბეჭედია და მას აზის სევადიანი ვერცხლის ფურიფიტა. ზამთარში ხელებზე იცვამენ დაჭრელებულ შალის ხელთამანს.

წელზე არტყით ქიმარ-ხანჩალი; ვისაც მეშულლე ჰყავს, მას მხარზე ფარ-ხმალი ჰქიდია. ხევსურული ხმლის სამჯარილით შემკულია ყაწიმებით. ხმალი სწორი ფორმისაა, მას ფრანგულს უწოდებენ. ფრანგულს აქვს ხეტარი და ვაღა. ხმლის ქარქაში სალ-

ტითაა შემკული, წვერზე კი ბუნი უკეთია. ხევსურები პრატან ნაცე ჭერ კიდევ ატარებენ თითზე წამოსაცმევ იარაღებს: ღა ჯიას და სათითეს. ღა ჭია რკინისაა და დაქბილულია, მას აქვე აკეთებენ. სათითე სამად დახვეული თითბრის ზეპე-დია. ღაჯიასა და სათითეს ხევსურები ჩხუბის დროს იკეთებენ. ხევ-სურეთში ხატობას, ქორწილში და ტირილში იარაღის აყრა იციან



ქოქლო (ზურგილი)

და, თუ ჩხუბი ატყდა, მაშინ ამ ღაჯიათი და სათითეთი იბრძვიან. ღაჯიასა და სათითეს ღრამა არა აქვს, მაგრამ ღაჯიას ღარტყმით თავის ძვალი თუ გატყდა და ტვინი ღაზიანდა, მაშინ ღრამად თორმე-ტი ძროხაა დადებული.

ხევსურეთში ფარს ზოგიერთი დღესაც ატარებს, რადგან აქ შულლი ჭერ კიდევ მძვინვარებს და მეშულლებიც ერთმანეთს ფარ-ხმლებით ებრძვიან. ხევსურული ფარი რკინისაა და მას აქაური ოსტატები ჰედავენ; აქვს სახელური საბლუჭი და საკიდი.


ფარი აქ ფასობს ხუთ გირვანქა ერბოდ. წინათ ხევსურები ჭაჭვის პერანგსა და ჩაჩქანს ატარებდნენ. ახლა კი ორივე ხმარებიდან გამოსულია, მაგრამ ოჯახებში ჩაჩქანსა და პერანგს მაინც ინახავენ, რაც მათ ესახელებათ. თუ ხევსურს კარგი ჭაჭვის პერანგი საღმე შეხვდება, მას დღესაც ყიდულობს. კარგი ჭაჭვის პერანგი აქ ხუთ ძროხად ფასობდა, ჩაჩქანი — ერთ ძროხად, სამკლავი — ერთ ცხვრად.

აქაურ ხმლებში ყველაზე ძვირფასია:

დავით ფერული, რომელიც 25 ძროხად ფასობს. ეს ხმალი ხევსურეთში სულ რამდენიმე ტალი თუ მოიპოვება. შემდეგ კარგ ხმლებში ითვლება დედოლ რუსული და ფასობს 20—25 ძროხად.

ფრანგული შეფასებულია 10—12 ძროხად. ჭარული 5—6 ძროხად; რუსული 2—3 ძროხად; გორდი 4—5 ძროხად.

თოფებში ყველაზე კარგია და ძვირფასად ითვლებოდა



სათაურას ნაჭრელი

თურმე ისტამული, რომელიც ფასობდა 25 ძროხად. ამ ტალიან თოფს ხევსურები დღესაც ეძებენ.

კირიმი ღირებული 15—16 ძროხა, ახლა კი 2—3 ძროხად ფასობს.

თუ შური წინათ ღირებულა 8—10 ძროხად, ახლა კი 2 ცხვარად ფასობს.

ლეკური 3—4 ძროხად, რუსული თოფი 3—4 ძროხად, კარა თოფი — 5 ძროხად, მაჟარი — 2 ძროხად, სტამბული 4—5 ძროხად, სიათა კი — 3—4 ძროხად ფასობდა.

ყველა ეს იარაღები: თოფები, ხმლები, ჩაჩქნები და გაჭვის პერანგები ხევსურეთში არ კეთდებოდა და გარედან შემოჰქონდათ. აქაური ოქრომჭედლები აკეთებლნენ მხოლოდ ყაწიმებს, ბალთებს, ხმლის ქარქაშებს და ბუნებს. დღეს ეს არც ამას აკეთებენ, რაღაც ამაზე მოთხოვნილება შემცირებულია და მათ ქალაქებში უფრო იაფად იძენენ. აქაურ ოქრომჭედლებში დღეს ცნობილია ზეისტეჩოელი გიორგი არაბული.


ხევსურეთში ჩაცმას და კარგ იარალს ძლიერ ეტანებიან და შეძლებული ხევსური ცდილობს შეიძინოს საუკეთესო ცხენ-იარალი



მანდილის მოხვევა

და ტალავარი, რომელიც აქ საკმაო ძვირად უჭდებათ. ხევსური ქალისა და კაცის ტალავრის შეკერვა 2—3 ლიტრა ერბოდ ფასობს, მამაკაცის პერანგის საბეჭურის მოქარვა კი — 5 გირვანქა ერბოა.

ქალის ტალავარი ერთი თვე იკერება და მას უნდება ათი შეტრი ტოლი. ტალავარს ქალი თითქმის ყოველ წელს იშადებს; იგი




აბრეშუმით ნაკრელი მინდილის სახეები

ძლებს ორ წელიწადს. მდიდარ ქალს აქვს ოცამდე ტალავარი. ხევსუ-  
რი ქალი ტალავარს თავისი შრომით და გარჯილობით იმზადებს,  
თვითონვე ქსოვს, კერავს და ქარგავს. მოსართავსა და სამწაულს  
ძმა ყიდულობს. თუ ქალი ყოჩალი და გამრჯეა, მას ტალავარიც  
ბეკრი აქვს და გასათხოვარი ქალის ავ-ქარგიანობაც ტალავრის რა-  
ოდენობით იზომება.

მამაკაცსაც ტალავარს ქალები ყოველწლიურად უკერავენ. ცო-  
ლს შერთვამდე ვაჟაცს ტალავარს და უმზადებს, დაქორწინების  
შემდეგ კი ცოლია ვალდებული, ქმარს კარგი ტალავარი ჩააცვას.

ქმარს თუ ცუდი ტალავარი აცვია, ეს ცოლისათვის სირცხვი-



„Նայերու” նայերց մանդոլո.


ლია; კარგად ნაჭრელი ტალავირი კი მისთვის სახელია და მას თემში აქებენ.

ხევსურული ტალავარი მოუხეშავია და მძიმე. ზოგი ქალის ტალავარი ერთ ფუთამდე იწონის. ტალავარს ხევსურები ორ თვეში ერთხელ მაინც გარეცხავენ უსაპნო და ცივ წყალში, მაგრამ ამით მას ჭუჭყი და ტანის თებო მაინც არ შორდება.

ხევსურული ტალავრის დამზადება მოითხოვს ბევრ მატყლს და მძიმე შრომას, განსაკუთრებით ძნელია მამაკაცის საბეჭურის მოქარგება; იგი ზოგჯერ თვეობით კეთდება. ამას ხევსურებით დღეს კარგად გრძნობენ და თვითონვე ცდილობენ ტალავრის შემკულობაში მეტი სისადავე შეიტანონ; ამასთანავე, ბამბის ქსოვილსაც ეტანებიან. განსაკუთრებით მამაკაცები უკვე იცვამენ ბამბის შარვალ-ხალათებს და ზოგს მიტკლის საცვლებიც კი აცვია. აქაური ახალგაზრდობა თანდათანობით ეჩვევა ფაბრიკულ ტანისამოსს და, ვისაც ის სცმია, უკვე ვერ იცვამს ხევსურულ ტალავარს.


ხევსურული მამაკაცის ტალავარი ახლა უკვე აჭრელუბულია; ხევსურულ პერანგთან ერთად ხშირად აცვიათ ფშაური ახალუხი, ხალათები, ჩექმა და სხვა. მაგრამ ერთი ხელი ხევსურული ტალავარი ყველას მაინც აქვს შენახული და მას ხატობა-დღესასწაულებში იცვამენ.

რაც შეეხება ქალებს, ისინი ამ მხრივ მეტ ჩამორჩენილობას იჩენენ და ფაბრიკული ქსოვილის ტანისამოსს ნაკლებად ეტანებიან. მართალია, ხევსურელი ქალებიც ატარებენ ფაბრიკულ თავ-შალს, ზოგი სატინის ქოქლოსაც კი იცვამს, მაგრამ საღიაც კაბას არ იცვლიან და შინ და კარში ამ მოუხეშავ ტოლის კაბას ატარებენ.




„ნაჭრით“ ნაჭარგი შანდილის ნიშუშება.


ერთი სიტყვით, ხევსურეთის დღევანდელ საზოგადოებრივ-  
ექონომიური პირობებს უკვე არ შეესაბამება ეს ხევსურული ტა-  
ლავარი, რომელიც დიდ შრომასთან მოიხოვს ბევრ მატყლსა და  
შემკულობას. ამსთანავე, თავისი გამოჭრილობით და სიმძიმით ის  
ხელს უშლის სხეულის თავისუფალ მოძრაობას, განსაკუთრებით  
ზაფხულობით, როდესაც გაოფლიანებული სხეული ტალავრის  
ბუსუსებით დაშეპნილია და გაღიზიანებული. მით უმეტეს, რომ  
გაოფლიანებული და ჭუჭუიანი ტალავარი საპნით არ ირეცხება,



1



2



3



4



5



6

ხევსურული თავხურების ცელა საომიან ვანჭაკის ხელსახლცილან  
სოთავრამდის

მას მხოლოდ ცივ წყალში ამოავლებენ და ისევე იცვამენ. ამიტომ იფლითა და ერბოთი გაპოხილ ხევსურულ ტალავარს არასასიამოვნო სპეციფიური სუნი უდის.

ამასთანავე, სინტერესო გამოვარებით, თუ რაში გამოიხარება ამ ხევსურული ტალავრს ორიგინალობა და რა ცვლილება განუცდია მას დროთა ვითარებაში.


ხევსურული მამაკაცის ტალავარი თავისი გამოჭრილობით ქართულია და ემსგავსება ქართულ პერიოდისა და ჩოხას. მუქასარიანი შარვალი და იგივე ტოტბაბთიანი შარვალია, რომელსაც ჩვენში ქალებიც ატარებდნენ.

რაც შეეხება ქალის ტალავარს, ის თავისი ქსოვილით და გამოჭრილობით ემსგავსება თუშურ ტალავარს. ორივე კი წარმოადგენს ქართული ქალის ქასტუმის ძველ ფორმას. თუ ჩვენ აქ იღწერილ ხევსურულ სადიაცოს თუშურ უბიან კაბას შევადარებთ<sup>1</sup>, დავინახავთ, რომ მათი გამოჭრილობა და მოყვანილობაც ერთია. მხოლოდ ხევსურულ სადიაცოს უკან დაკეცილი ნაჩაფ ნი აქვს. ამასთანავე, ხევსურულ სადიაცოს ნაჭრელი ფარაგი ზედვე აქვს, თუშურის ფარაგი კი ცალკეა, მის გამოსიჩენად კაბის უბე გაჭრილია და გახსნილი. თუშურსა და ხევსურულ ქალის კაბაში ფარაგი მთავარია და მის შემკობასა და მხატვრულ გაფორმებას მთავარი ყურადღება ჰქონია მიქეცეული.

წინათ თუშისა და ხევსურის ქალები ფარაგს ვერცხლის შიბებით და ლილ-ბუზმენტებით იმკობდნენ. შემდეგ, როდესაც რუსეთიდან ჩვენში შემოვიდა ფერადი მაუდი, ქალებს დაუწყიათ ამ მაუდების სკლატის ზიკებით თავიანთი ფარაგებისა და მამაკაცების საბეჭურების დაჭრელება. სკლატის ზიკებით ამკობდნენ აგრეთვე ტალავრის მაჯებსაც. სკლატის ზიკებთან ფერად მაუდისაგან იქრებოდა სხვადასხვა სახის ფიგურები: ირიბი, დაკბილული, მრგვალი, მაფულული, ჯვარი (ხატი), კვერა და სხვა. ამ სკლატის ზიკებს შიგაღაშიგ ამკობდნენ მძივის კვერანებით, მძივ-ღილებით, ვერცხლის ცვარით და ჩაფურასტით (საკინძი).


ასეთი იყო მე-19 საუკუნის ოთხმოციან წლებში ძველი ხევსუ-

<sup>1</sup> სერგი მიკალათია, თუშეთი, ტუილისი, 1933, გვ. 143—150.



ՏԾԻՐԵՑՄՈՒԹ ԽՎԵՐԵԼՈ ՖԵՐԱՆՅՈ.

რული და თუშური კოსტუმი, რომელიც აღწერილი აქვს გ. რა და დაბადების დროის დროის განვითარების განვითარების და თუშის რეაბილიტაციის და თუშური ტალავრის ევოლუციის გზები ერთმანეთს შორდებიან. თუშეთი მეცხვირე-



ნაჭრით ნაჭრელი პერანგი

ობით დაწინაურდა და ის ჩეარა დაადგი კაპიტალისტური განვითარების გზას, რომელსაც მოპყვავ ძველი თუშური ტალავრის ქალაქური ყაიდის ტანისამოსზე შეცვლა. თუშეთს ჩამორჩა ხევსუ-

<sup>1</sup> Радде, Хевсурия и Хевсуры, Тифлис, 1881 г., гл. 110 — 130, гл. I, II, III.

რეთი, რომელიც მოემწუვდა თავის ნატურალურ მეურნეობაში და  
ძველი ტალავარი დღემდე შეინარჩუნა.

ამის შემდეგ არც ხევსურულ ტალავარს განუცდია არსებითი  
ყლილება. მხოლოდ საღიაცო უფრო შემოქლებულა და ფარაგ-  
საბეჭურზე „სკლატის ზიკების“ ნაცვლად შემოუღიათ აბრეშუმის  
ნაჭრელა. სკლატის ზიკები კი დღემდის შერჩენია მამაკაცის პე-  
რანგის მაჯას და მის კალთა-სამჯე-  
ღროს.

აბრეშუმის ნაჭრელას ახასიათებს რთუ-  
ლი გეომეტრიული სახეები. დღეს თანდა-  
თანობით გადადიან უფრო მარტივ ნაჭ-  
რით ნეჭრელზე, რაც ალბათ ჩქარა აქაც  
ფაბრიკულ სახიან ქსოვილზე შეიცვლება.

რაც შეეხება ხევსურულ გამოკერებულ  
თასს, ის იგივე თუშური ყელმაღალი ჩი-  
თაა, რომელსაც თუშის ქალები დღესაც  
ატარებენ. მხოლოდ ფერების შესამებით  
და ნაქსოვის თვისებით ისინი სხვავდე-  
ბიან. ხევსურული თათი მოუხეშავია და  
ღიაჭრელი, თუშური ჩითა კი შემინდა ნაქ-  
სოვია და მუქი ჭრელი.

საზოგადოდ, ხევსურულ ნაქსოვ-ნაჭ-  
რელს ახასიათებს ღია ფერების სიჭარბე  
და ჭვრებისა და გეომეტრიული სახეების  
მრავალგვარი კომპოზიცია. ჭვრის ეს ელე-  
მენტები ხევსურულ ტალავარზე გადა-  
სულა ვერცხლის შიბებიდან, რომლებიც  
ჭვრებითა შემცული. ჭვარი, როგორც  
ქრისტიანობის ემბლემა და ბოროტების

აბრეშუმით ნაკერი  
საბეჭური

დამთრგუნველი ნიშანი, ჩევნში ყველგან გავრცელებული იყო და  
ცრუმორწმუნე ხევსური დღესაც ამ მიზნით იქერებს ჭვრებს თა-  
ვის ტალავარზე. ამასთანავე, ხევსურულ ნაჭრელის ფერადობას  
და მის გეომეტრიულ ელემენტებს კავშირი აქვს ფშავისა და მთი-  
ულეთ-თუშეთის ხალიჩა-ფარდაგების სახეებთან, საიდანაც გაღმო-  
ღებულია ამ ხევსურული აბრეშუმის საბეჭურის მოტივებიც.

## 6. ხალხური ჩვეულებანი

გართობას ახალგაზრდობა ხევსურეთში მოკლებულია, რადგან ქალ-ვაჟების იქ ერთად ყოფნა და მოლხენა საძრახისია. ხატუში, ქორწილში და სხვა გასართობ აღვილებული ქალ-ვაჟი ერთად არ იყრებიან და იგინი განცალკევებით დგებიან. მათ შორის ცელქობა და არშიყობა სასირცხოდ და აღათით აკრძალულია. ბეღნიერ დღეებში მამაკაცები ცალკე სხდებიან და დროს სმაში ატარებენ, ქალები კი მოშორებით დგანან და მათ ისე შესცემერიან.


ხევსურეთში ლხინი და ცეკვა-თამაშიც არ იციან, აქ არ შესვედებით არც მთიულურ ტაშფანდურას და არც ქალ-ვაჟების ცეკვაში გაჯიბრებას: ასეთ მხიარულ გართობას ხევსურეთის ახალგაზრდობა მოკლებულია. ხევსურებს სიმღერა და მუსიკა არ ემარჯვებათ. ხევსური იშვიათად დაიმღერებს, ისიც ხატუში შეზარხო-შებული მამაკაცები ხატიონის ფერჯისას თუ დაიმღერებენ. ხევსურული სიმღერა მონოტონურია, უკილო და სევდიანი. მას არ ახასიათებს ხმების ნაირობა და სიჭრელე და მსმენელზე ის მძიმე და არამუსიკალურ შთაბეჭდილებას ახდენს.

საკრავებში აქ ფანდურს უკრავენ. ფანდური სამღარიანია. ფანდურის გულის ფიცარი ლითონის ცვრებით არის შემკული. ფანდურს ქალები და კაცებიც უკრავენ და საგმირო სიმღერებს დამღერიან. ამ ბოლო ხანებში აქ შემოსულა გარმონიც ბუზი-კანტი, რომელსაც ხევსურულად უკრავენ და დამღერიან.

მხიარულ გართობასთან ერთად ხევსურეთის ახალგაზრდობა მოკლებულია ერთმანეთის ტრფობასა და გამიჯნურების რომანტიკას, რომლის გამომჟღავნება თემური აღათით სასირცხოდ ითვლება და აკრძალულია. ქალ-ვაჟს გამიჯნურება უნამუსობაში ჩაეთვლება და მიჯნურთ თემში აძაგებენ. მაგრამ ერთმანეთის მოტრფიალენი ცდილობენ თავიანთი სიყვარულის გრძნობები დაფარონ სწორფრობის ნებადართული წესებით.

სწორფრთხობა ხევსურეთში გავრცელებული წესია, რომელსაც ძმობილობას აც უწოდებენ. როდესაც ქალ-ვაჟი ასაქში ჩადგებიან, ირჩევენ თავიანთ სწორფერს. არჩევანი პირად მოწოდებაზე და სიყვარულზეა დამოკიდებული. თუ ქალ-ვაჟს ერთმანე-

ତା ମୋହିନୀଙ୍କ, ଯାଏଇ କୁଳର ଦମଦାର ଗ୍ରୈଫିଲ୍ ଦା ଅମିଳ ଶେମଲ୍ଲେଗ ମାତ୍ର  
ଶମରିଲ୍ ଡାଇଫ୍ଯୁବା ଲ୍ଯାନ୍ଟରଫ୍ରାନ୍ଡିଲ୍ ରମାନ୍ତିକ୍ୟା. ଲ୍ଯାନ୍ଟରଫ୍ରେନ୍ଡିଲ୍ ଗ୍ରୋ  
ଟେମିଲ୍ ଦା ଗ୍ରୋର କୁଳ-ଗ୍ରୋର, ବାତେଶାବତା ଶମରିଲ୍ ଲ୍ଯାନ୍ଟରଫ୍ରାନ୍ଡା ଇଶ-  
ଗୋଟିଏ. ଲ୍ଯାନ୍ଟରଫ୍ରେର ଯାଏ ଉନ୍ଦା ଅଶୀଶାବତେବ୍ରାନ୍ୟେ ରାନ୍ଧନ୍ଦିଲ୍ ଦା ବାଦମଦାର



ମହିଜାପିଲ୍ କିନ୍ଦା (ଫିନିଲାଲ)

କୁଳିଲାଲମି ତାଵଦାଲ୍ପରୀବା ଦା ଗ୍ରୋଟଗୁଲ୍ପରୀବା. ଅମିଶତାନ୍ତାବ୍ରେ, ଦମଦିଲ୍ ଉନ୍ଦା  
ପ୍ରାଣ ଶର୍ଦ୍ଦିଲ୍, ରାରିଲ୍ ମାନନ୍ଦି ଦା ସକ୍ଷେଷମରିକ୍ୟାର ତାଵଶ୍ଵରାବ୍ଦୁ-  
ଲା:

କୁଳିଲାଲ ଯାର ଶିଳିଲ୍ପିକୁଳି, ଶିଳିଲାଲ ଯାର ଶିଳିଲ୍ପିକୁଳି,  
କୁଳିଲାଲ କୁଳିଲାଲ କୁଳିଲାଲ, କମା-କୁଳିଲାଲାକୁଳି.  
କୁଳିଲାଲ କୁଳିଲାଲ, କୁଳିଲାଲ କୁଳିଲାଲ କୁଳିଲାଲ.  
କୁଳିଲାଲ କୁଳିଲାଲ କୁଳିଲାଲ କୁଳିଲାଲ କୁଳିଲାଲ.

უნამუსო და წარამარა ძმობილს სწორფერი ქალები გაურბნები  
და აძაგებენ:

„ვერ ამომიხოლ ენითა, ნუ ამეციდე ქალასო!  
ყველა იამბობს მართალსა, არაეინ დაგიმალივსო.  
შენ ხომ არ ინდობ ქალებსო, მეტუშე ფურ თუ ყანასო,  
სიმართლე ხეითხე, კეესურო, თაისა და თალისო;  
ამბობენ დაფოლებულსა შენს ნისწორფრალის ქალასო,  
ჟელდაველ უქსინი ფარაგსა, სწოვლულ ხარ ანაბანასო;  
შაგიშინებავ ქალები, გამბობენ ხათბადლისო;  
გვერდით ნაწოლებ ქალებსა წახეცდებ წარა-მარასო.  
გინდ ძალიან გეწყინას, ხეს გავსთლი შენისთანასო“.

ქალი ეძებს გულადსა და სახელოვან ძმობილს, რომლის რაინ-  
ლობით ის თემ-ჭარში ამაყობს და თავს იქებს:

აბეჩავ, ჩემო გარმონო, ნაოქისთავად ცერიანი,  
დუშმანი კარგებე მალალებს ძმობილის ცხენის დგრიალი-  
ცხენ უნდა გუვანდეს, ძმობილო, იორღა, გულით მერიანი,  
ზედ დღგას კაზმულობია ჭრელი, სრუ ნასევდიანი.  
ზედ თავად შეჯეშ, ულლიავ, პევსურასავით მტრიანი,  
ფერები უზანგაჩია ტრახტებს გაქვონდას წერიალი.  
წელზე გბავ ჟისტისეული, ჭრელი, სუ ნასევდიანი,  
ნალესა ზუმუარზეულა, სამსალასავით უხინი.  
ოქროს არაყო ნალები, ხანგარი ნასევდიანი,  
ომს ეგრე მოგაწიდინებს, მოვრალს რომ ფშაურად ლრიალი.  
რაქელ კრგი ვაეკაცი, ფუშმანიანი, მტრიანი,  
ხან ვაიღონას ქება, ხან სიტყვა გინებიანი.

ძმობილთა ტრფიალი პირველ ხანებში გამოიხატება მოკითხვა-  
საჩუქრებში. სწორფერი ქალი თავის ძმობილს უქსოვს და უქირ-  
გავს საბეჭურს, საწვივეს, სათამბაქოეს და სხვა. ვაუი კი თავის  
ძმობილ ქალს უძღვნის მძივებს, ლილ-ქინძისთავებს, ვერცხლის  
სამკაულს და სხვა.


ამას ჩქარა მოპყვება გამიჯნურებულ სწორფერთა წოლა. წვე-  
ბიან ჭერხოში და ვაუთან ქალი მიღის, რომელსაც ძმობილთან  
ერთი „მინა“ (ბოთლი) არაყიც უბით მიაქვს. ვაუი თავს მოიმძია-  
რებს, ქალი გამოაღვიძებს მას და არაყს შეასმევს:



ମହିଳାଙ୍କ କହଦିରା (ଖୁରଜିଲା)

“ଫଲ୍ଲୋ-ଲାମୀ କନମେଲ୍ଲ ସକଳିବୁ, ବିକ୍ରିବୁ, ମେ ଘ୍ୟାତକୀଙ୍କ ବିମାସା,  
ଲାଙ୍ଗୁଲୀ କର ଯା କ୍ଷେତ୍ରକୁଣ୍ଡଳ ଲାମ୍ବୋ, ଉଗ୍ରପ ଲମ୍ବୋରିଥି ରାଜିକୁଣ୍ଡଳିବୁଳା,  
ରା ରାଙ୍ଗବୁଳୀ ଲାମ୍ବୀର ରାଜିକୁଣ୍ଡଳାରିଦିଲୀ ଶୁଭବରିବୁ ଶାଲାବୁ,  
ଶମଦିଲାନକ ଚାତ୍ରବୁଲାବୁ ଅଦିରବରିବୁ, ମନ୍ଦେଲାଦ, ରାମ ଦାମିଶାଲାବୁ,  
(ବିକ୍ରି) ଦାଙ୍ଗବୁଳୀ କ୍ଷେତ୍ରେଲ ବାଲିକାବୁ, ଦାକିଶୁନ୍ଦିଶୁଲ୍ଲବୁଳୀ ବାଲାବୁ,  
ଶାଲ ମେଙ୍ଗ ବ୍ୟନ୍ଦିରା ବ୍ୟନ୍ଦିତା, ଏହ ଗାନ୍ଧିଜୀମ୍ବେଦି ବାଲାବୁ,  
ଶୁଦ୍ଧେଶି ଶିତଲାବୁ ଶିତଲଗାମିବୁ, ଶାଲାଭୁତା ମନିଷାରାଗୁବୁ:  
ବିକ୍ରି କ୍ଷେତ୍ରା ଦା ଦାଶ୍ଵରିନାଗୁବୁ, ଶଦିନାଙ୍ଗ, ଅତ୍ୟଶ୍ଵରିଶ ଶାଲାବୁ,  
ଶାଲ ଶାନ୍ତି ଗାମନାଲାଙ୍ଗନ୍ଦେବୁଳୀ, ଏହ ଅଲ୍ଲେଶବନ୍ଦେବୁଳୀ ବାନାବୁ,  
ପଦା ରାମ ପଦାବୁ ଗାମନାକାରିଲା, ମେହରିଦିଲ ମେହରିଦିଲ ଦାର୍ଢାଲାବୁ,  
ଏହତାର ଏହିପରିବ୍ରାନ୍ତ କୁରୁକୁଶବୁଳୀ, ବିରିଦିଲାନ ବ୍ୟକ୍ରିଯାବୁଳୀ”

ଅଳ୍ଲାଦ ଶ୍ରେଷ୍ଠରିଲି ସତ୍ୟନାରାତ୍ରି ଏହତମାନ୍ତେତ୍ସ ଦଲିଏର ମନରିଲାଭିତ  
ଶାଲେରିଲେବୀନ. ଶେଷିଲ୍ଲବୀ କାନ୍ଦିନା, କ୍ଷେତ୍ରବୁନ୍ଦା-ଅଲ୍ଲେରିଲି ଲା  
ମିଲାବୀରୀ ପିଲା. ଶୁଲମ୍ବକ୍ରୀରିଲା ସତ୍ୟନାରାତ୍ରିବୀରୀବୁ ଏହତମାନ୍ତେତ୍ସ ଏହିତ  
ମିଳିବୀରୀ



„მუჯასარიანი“ შარგალი.

რული, ფეხები და მუცელი კი მოშორებით უნდა დაიჭირონ. ქალის ფარაგისა და საყელოს ღილის შესხინა არ შეიძლება, რაც ვაჟკაცს უნამუსობაში ჩაეთვლება; ასეთ სწორფერს დანდობილი ქალი მოიძულებს და სათემოდ შეარცხვებს:

„წინ-წინ რა დაეჭვე ქალთანა, მაშინ მოვძიე საყელო,  
შეიშალ-გადაილაგა: „რას სჩა, შე ეირის ნაშენო?“  
კაწრით რად ჩამომიტან სირმით შეარცლი საყელო!“  
ან დედის რა მოვატყუო, ან ბნელზი როგორ დავკერო?  
მეტე გმირვალ, ვიძახებ, მთელს ქვეყანაზე მაგლენო!“  
„ნუ იტყვი, ჩემთ ქალა, ნემს-ნაჭერს მენავ მაგცემო!“

როცა ალერსით დატკბებიან, ერთმანეთს ზურგს შეაქცევენ და ისე დაიძინებენ; ან ვაუი გულალმა დაწვება, ქალი მის გულმკერდზე თავს დასდებს და ისე მიიძინებს; მაგრამ ქალს არ უნდა გაუთვენდეს — სირცხვილია. სწორფერთა წოლა ხევსურეთში შეიძლება

მკაში, მუშაში, ქორწილში და „ახალუხალში“ (ლხინში), საღაც წოლა გათენებამდე გრძელდება, მაგრამ წოლა ისე უნდა მოაწყონ, რომ მოხუცებმა არ დაინახონ, თორემ უზრდელობაში ჩაეთვლებათ.

სწორფერთა წოლა ხატში აკრძალულია. მებოსლე სწორფერთანაც წვებიან, მაგრამ სამრევლოდან მოშორებით, საღმე მინცორჩე წვებიან. სწორფერთან სქესობრივი კავშირის დაჭერა ხევსურულ ადათით აკრძალულია და ამ მხრივ ნაძმობმა ქალზე არავითარი ძალადობა არ უნდა იხმაროს. სწორფრობა, რასაკვირველია, ცთუნებისაგან დაზღვეული არ არის და შესაძლებელია სქესობრივ აქტსაც ჰქონდეს ადგილი, მაგრამ ამას სხადიან სიფრთხილით, უთესლოდ (Coitus interruptus) და დიდის საიღუმლოებით ინახავენ. ძმობილი ქალი თუ დაორსულდა, რაც აქ იშვიათი შემოხვევაა, სწორფერი ყოველგვარ ზომებს მიმართავს, რომ მას მუცელი მოუშალოს და თემის რისხება ამით აიცდინოს. ერთი გვარისა და სოფლის ძმობილის შერთვა სასირცხოდ ითვლება და ხევსურული ადათით აკრძალულია. დამნაშავეს თემი მოიკვეთს და განდევნის.

ზოგჯერ სწორფრებს ცილაობაც კი მოსდით, მაგრამ მათ შორის ჩხუბი და მტრობა იშვიათია და საქმეც დათმობით თავდება:

„დადინჯდი, კევსურის ქალო, თავ დამძიმე თმიანი,  
ძმობილსთან წილი გაყყარათ, ინ რჩთავ გვყანდას ზიარი,  
ინ საქცევ გამომიგზავნე საყური ზინზილიანი“.

გათხოვების შემდეგ ქალს ეკრძალება ძმობილთან წოლა და სწორფრული კავშირის დაჭერა, ვაჟი კი ცოლიანობის დროსაც განაგრძობს გაუთხოვარ ნაღობთან სწორფრობას.

ხევსურეთში საპატიო სტუმარსაც უწვენენ სწორფერს, რომლის მოსაყვანად ელჩის გზავნიან. ხშირად ელჩობას ძმობილიც კისრულობს და სტუმართან აწვენს თავის ძმობილ ქალს, რომლის ნამუსიანობაში და ერთგულობაში ის დარწმუნებულია და რათა ამაში სხვებიც დაარწმუნოს, თავის ძმობილ ქალს გამოსაცდელად უცხოსთან აწვენს.

ვაჟეაცს არ შეუძლია თავის ძმობილს სტუმართან წოლა დაუშალოს, მაშინ იტყვიან, სწორფერს არ იმეტებსო, ეშინია და ირავის უთმობსო. სწორფერის ასეთი შეყვარება სირცხვილია და ეს ვაჟეკაცს უნამუსობაში ჩამოერთმევა.


ელჩობით მიწვეული ძმობილი ქალი სახლიდან ზოგჯერ ერთ ბოთლ არავს წაიღებს და მწოლარე სტუმარს ჩაუწვება. ვაკი თავს იმზინარებს, ქალი მას გამოალვინებს და არაყს შეასმევს. შემდეგ ქალი სტუმარს გაართობს ტკბილი საუბრით და კოცნა-ალერსით. სწორფერი ქალი თავშექავებული უნდა იყოს, უნამუსობა არ ჩაიდინოს და ამით სწორფერი არ შეარცხვინოს:

„სამაღლოს საქმეს ვინ იზამთ ქალ-გაეთად ელჩისთანისა? ელჩი, გულ ნე გაგიტყდების, ქალ მაინც იტყვის „არასა“, კაცსაც რო უთხრა, ისიც კი დაიწყებს წარამარისა, ორთავ თუ ეცინებოდას, მჟარს ქელ გახვიდე ქალასა“.

ჭინათ სწორფერს სტუმარს რომ დაუწვენდნენ, შუაში ხმალს ჩაუდებდნენ; სტუმარს არ შეეძლო ამის შემდეგ რაიმე უნამუსობა ჩაეტინა და ამ აღათის დამრღვევ სტუმარს სიკვდილი მოელოდა. თუ სტუმარს მასთან ნაწოლი სწორფერი მოეწონებოდა, მისი შერთვა შეეძლო.

ხევსურეთში ქალს ერთი სწორფერი ჰყავს, ვაკავს შეიძლება ორიც ჰყავდეს. რამდენიმე სწორფერის ყოლა აქ სირცხვილია და, თუ ქალი სწორფერს ხშირად იცვლის, ასეთ ქალს მწოლე ლამდგომე ლს უწოდებენ. ამგვარ ქალს აქ აძიგებენ და მშობლებიც ეჩხუბებიან, რაღანა ქალს თემში სახელი უტყდება და ოჯახისათვის ეს დიდი სირცხვილია. მაგრამ თუ ახალგაზრდა არ სწორფერობს, მასაც სძრახავენ, იტყვიან: უდღეს მო ანუ მწერე ლტყვე არისო.

სწორფერთა შორის ხშირია სიყვარულის შენელება და გულის



ხელთაოშანი

ცირუება. თავგანებებულ სწორფერს შეუძლია სხვა ნაძმობი ეძიოს და ახლა მასთან განაგრძოს სწორფერული კავშირი.


სწორფრობით გამიჯნურებული ხევსურის ქალი გათხოვებას არ ჩქარობს, ის დედ-მამისა და შუამავლით არჩეულ ვაჟზე გათხოვებას გაურბის, რადგანაც კარგად გრძნობს, რომ უცხო ვაჟზე უსიყვარულო გათხოვება მისთვის მხოლოდ ტანჯვაა. სწორფერი პატარძალიც ხშირად მოსთქვაში თავისი მმობილის დათმობაზე:

„სამშებათ გათხებასა თვალზე მდიოდა ცრემლიო,  
 გამაწირვების ძმობილი, მომაწერიეს გელიო,  
 გული ვერ გამომიცვალეს, ჭავრით იმშეს ბევრიო,  
 თქვენ იყოს ბათირიშვილი, ძმობილ აღარ ას ჩემიო“.


ქალის დანიშვნა. ხევსურეთში სარძლოს შერჩევას და დანიშვნას დიდი ყურადღება ექცევა და ამიტომ ქალ-ვაჟის ჯიშიანობას თუ უჯიშობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. ჯიშიან გვარად აქ ითვლება ფიზიკურად ჯანსაღი და გმირული წარსულის მქონე გვარები, რომელთა წინაპარნი თემ-ჯარში სახელმისამართისა და ჭორებულისა და ჭორებულის მცხოვრებნი), არაბული, ჭინჭარაული, ბურდული და გიგაური.

უჯიშო გვარი კი, ხევსურების თქმით, ფიზიკურად სწორული და დამპალი ყოფილა, მამა-ძეობით ხატისაგინ წამხდარ-დაავადებული, ამასთანავე, ქურდ-ბოზობით თემ-ჯარში შერცხვენილი, რასაც მათ გაჯავრების ღროს დღესაც წასძხებენ: „შე უჯიშოვ, ქურდ-ბოზო!“—ო. უჯიშო გვარად ითვლებიან სოფელ ბაცალიგოს მცხოვრებნი. ბაცალიგოს ხატი მიზეზობსო და აღპობსო, ხალხს ხელპირი ექერცლება, ბალანი სცვივა და ტანი უჩირქდებათ. ამიტომ წინათ ჯიშიანი ოჯახი ეძებდა ჯიშიანს და, რაც უნდა მდიდარი ყოფილიყო უჯიშო ქალი, ჯიშიანი ხევსური მას დაწუნებდა. ჯიშიანი ქალი თუ უჯიშო ხევსურს მისთხოვდებოდა, მას ნათესავები მოიკვეთდნენ, რაგორც „თესლ-ჯილაგის“ შემბლალავს და, ვინც იმას ოჯახში გაატარებდა, იმ ნათესავს კარებზე „კატას“ ჩამოუკიდებდნენ.

ჯიშიანობასთან ქალის დანიშვნის ღროს მთავარი ყურადღება ექცევა ქალ-ვაჟის გვარ-ხატობით კუთვნილებას. ხევსურეთში ერთი გვარისა და ხატის ქალ-ვაჟი ვერ დაქორწინდებიან, რადგანაც




Ներկայութեան օարակցին: 1. Ծալունո տռոց (չորմո), 2. Տաքուսիշմալա, 3. Ֆմալո, 4. Խանչոլո.




1




2




4



3



5



6



7

ხევსურული იარაღები: 1. საფუტარი, 2. სამკლავე, 3—4 ფარი,  
5. შასრები, 6—7. ღავით.

სიინი ერთი ხატის ყმებად და ერთივე გვარის სისხლით ნათესა-  
 ვებად ითვლებიან; ვინც ამას დაარღვევდა, მას წინათ თემი მო-  
 იკვეთდა. მხოლოდ ათიოდე წლის წინათ ეს წესი არაბულებს და-  
 ურღვევიათ. არაბული ხევსურეთში დიდი გვარია, მას თითქმის  
 მთელი არაგვის ხევსურეთი უჭირავს. არაბულებს სხვა გვარში  
 უძნელდებოდათ თურმე სარძლოს შოვნა და ამიტომ დაუდგენიათ,  
 თავიანთ გვარში არ შეერთოთ მხოლოდ ერთი სოფლისა და ხატის  
 ქალები, აგრეთვე რკინაულებიდან, რომლებშიც შედიან  
 სოფ. ჯაფუ, ხიტალე, ჩირდილი და ზეისტეჩო. სხვა სოფლის არა-  
 ბულების ქალის შერთვა ნებადართულია. ამგვარად, ხევსურეთში  
 ნიშნობის პირველი პირობა არის ქალ-ვაჟის ჯიშიანობისა და თემ-  
 ხატის გამორჩევით.

სარძლოს აკვანში დანიშვნის ძველი წესი<sup>1</sup> ხევსურეთ-  
 ში დღემდის შემონახულია. როცა მშობლებს აკვნის ბავშვის და-  
 ნიშვნა სურთ, მაშინ ქალის მოხვივარი ქალისას აგზავნის ვაჟის  
 ბიძას, რომელსაც სანიშნოდ მიაქვს ვერცხლის ფული და ყაწიმიანი  
 ძეწვი. ამ ნიშანს სარძლოს აკვანშე ჩამოკიდებენ. დასანიშნა-  
 ვად ზოგვერ ვაჟის მშობლებიც მიღიან და სანიშნოდ თან მიაქვთ  
 ვერცხლის ფულები და ქსოვილზე დაკერებული ყაწიმიანი ძეწ-  
 ვი, არაყი, პური, საკლავი და სხვა, რასაც ლიშან-სამთხოვი და  
 ეწოდება. ქალისას გაიშლება პატარა სუფრა და ყველანი ახლად  
 დანიშნულების ბედობაზე დაილოცებიან. ამის შემდეგ აკვნის  
 ყმაწვილები დანიშნულებად ითვლებიან და პირობის დარღვევა  
 ხევსურული აღათით არ შეიძლება.

როცა აკვანში დანიშნულები ასაქში ჩაღებიან, მშობლები და-  
 ქორწინების საქმეს შეუდგებიან. აკვანში დანიშვნა ხევსურეთში  
 დღეს იშვიათად ხდება.

ნიშნობა, ჩვეულებრივ, აქ იციან, როდესაც ქალ-ვაჟი 20—25  
 წლისა შეიქნება. ზოგვერ ხევსურის ქალი შეიძლება უფრო გვიან  
 გათხოვდეს და ხშირი შემთხვევაა, როდესაც 30—35 წლისები

<sup>1</sup> აკვანში დანიშვნა ან დაწინცვა წინათ საქართველოში გავრცელებული იყო  
 (იხ. 1103 წ. ძეგლის წერა რუს-ურბნისის კრებისა, თ. ეთრდანია, წ. II,  
 ტფილისი, 1897 წ., გვ. 64, მუხ. ლ.); ივ. ჭავანშვილი, ქართული სამარ-  
 თლის ძარღია, წ. II, ნაკვეთი II, ტფილისი, 1929 წ., გვ. 364—366).

თხოვდებიან. ხევსურ ქალს გათხოვება არ ეშურება, რადგანაც ეროტიულ გრძნობებს ის სწორფრობით იქმიყოფილებს და მამის ქერა და დედის ქალთა მისთვის უფრო ტკბილია, ვიდრე უცხო ქმარი და ახალი ოჯახის მძიმე ტვირთის აყიდება. ქალები ამას კარგად გრძნობენ და მამის სახლში დილხასს ჭოომით ცდილობენ მეტი სათავონც დაიგროვონ და ამით პირადი საკუთრებაც მოიხ-ვეჭონ.

ქალ-ვაჟის დანიშვნის საქმე აქ მხოლოდ მშობლებს ეკითხება და ყველაფერი მათ სურვილზეა დამოკიდებული. ვაჟის მშობლები კი შუაკაცად საჩძლოს ოჯახში აგზავნიან მოკეთეს ან ვაჟის ბიძას. შუაკაცმა საქმე თუ გაარიგა და ქალის მშობლები და მისი ბიძა-ძმები დაითანხმა, მაშინ იციან ლიშვნის მიტანა. ნიშანს მიუტანენ ვაჟის მშობლები და ბიძა-ძალუა, რომლებსაც მოაქვთ ვერცხლის სამკაული და ცოტაოდენი ძღვენი. ქალის ოჯახში გაიშლება პატარა სუფრა, შესვამენ ლუდს და ახლად დანიშნულთა ბეღნიერებაზე დაილოცებიან. ამ დღიდან ქალი დანიშნულად ითვლება. რაც შეეხება ქორწილის დღის დანიშვნას, ეს ქალის მშობლებზეა დამოკიდებული. თუ ოჯახში მუშა ქალი არა ჰყავთ, მაშინ სასიძოს ცდევინებენ, სანამ ჩაძლს არ მოიყვანენ, რადგანაც ხევსურის საოჯახო მეურნეობა უმთავრესად ქალის შრომაზეა დამყარებული. ამიტომ დანიშნული საჩძლო შეიძლება თავის ოჯახში ორ-სამ წელიწადს დარჩეს. ნიშნობის ღროს ქალ-ვაჟს ერთმანეთს არ აჩვენებენ. შეიძლება მათი შეხვედრა ხატში ან ქორწილში, მაგრამ დანიშნულები უცხოდ არიან და ერთმანეთს ვერ დაენახვებიან.

ყოველ წელიწადს დანიშნული საქმროს ძმამ ან მამამ ბერის კვერით უნდა მოიყითხოს და ეს კვერი სულ პატარძალმა უნდა შექამოს.

ჯვრით დალიშვნა იციან ლამისთევაში, როდესაც ხატისა-გან დამიზეზებული რომელიმე ოჯახი მკითხავის ჩრევით ხატონს დაწვევს. ლამისთევაში ხატის ღროშას საკლავს დაუკლავენ, ლუდს აუდულებენ და მეზობლებს დაიწვევენ. ლამისთევაში დასტურ-კელოსნები ერთ დღე-დამეს ჩრებიან, ხოლო ლამის მთეველები ლხინობენ და ღროს გართობაში ატარებენ. მ ლხინში თუ დასტურს ან კელოსას რომელიმე ახალგაზრდა ქალი მოეწონება,

იღებს თეთრ ფულს და სახუცო კოჭობაში (თასში) ჩააგდებს ძმი-  
 სათვის ან შეილისათვის და იტყვის: „აი ხალხნო, ეგ ქალი მე დავ-  
 ლიშნეო“, და იქვე ხატის ჯვრით ქალს დაამწყალობნებს. ამის შემ-  
 დევ ქალსა და მის ჯალაბს, რაც უნდა ცუდი იყოს სასიძო, უარის  
 თქმა ჯვრის შიშით არ შეუძლიათ, რადგანაც, ხალხის რწმენით, ასე-  
 თი პატარძალი სხვა ქმართან ვერ გაიხარებს, ჯვარი მას გაუწყრე-  
 ბა, დახუთავს და მოკლავს.

ჯვრით დანიშვნა წინათ ხევსურეთში გაერცელებული ყოფილა  
 და ამ წესით სარგებლობნენ სასიძოსაგან მოსყიდული ხატის მსა-  
 ხურნი და სარძლოსაც ადვილად იჩჩევდნენ. დღეს „ჯვრით და-  
 ლიშვნა“ აქ იშვიათია.

ნიშნობის შემდეგ მშობლებს არ შეუძლიათ გულის შეცვლა,  
 ნიშნის დარღვევა და ქალის სხვაზე გათხოვება. ვაჟის ოჯახს შეუძ-  
 ლია ამაზე ქალის მშობლებს უმტროს და შური იძინოს. ვაჟის მშობ-  
 ლებს კი ნება იქვთ დანიშნულ შვილს სხვა ქალი შერთონ და ხევ-  
 სურული აღათით დაწუნებული ქალის ოჯახი მას ვერ უმტრობს.

ქალის მოტაცება ხევსურეთში იციან. ზოგჯერ დანიშნულ  
 ქალსაც იტაცებენ. მოტაცება ხდება ხშირად ქალის და ან მისი  
 მშობლების თანხმობით ქალის პატივის დასადებად. მოტაცებული  
 ქალი არ დაიკივლებს და მომტაცებლებსაც იგი არ გაუძალანდება,  
 რადგანაც მას ეშინია ძმები და ბიძაშვილები არ დაედევნონ და  
 შულლი და მტრობა არ ჩამოვარდეს. ხევსურული აღათით მოტაცე-  
 ბული ქალის გაუპატიურება არ შეიძლება და მოტაცებული ქალი  
 აქ უმანკოებას არ კარგავს. ამიტომ მოტაცებულ ქალს შეუძლია  
 სევ უკანე გამობრუნება. მხოლოდ მოტაცების საქმე უნდა დამ-  
 თავერდეს შერიგებით. რომელსაც „ბანზე შეგდომა“-ს უწოდებენ.  
 ამ მიზნით მოვლენ მოტაცებული ქალის ძმა და ბიძაშვილები და  
 მომტაცებლის ბანზე შეკლებიან. ქალის მამას ბანზე შეკლომა არ  
 შეუძლია. ბანზე შემჯდარნი ოჯახს თავს არ დაანებებენ, სანამ  
 მომტაცებლის ოჯახი მათ არ შეურიგდება და ჯარიმად არ მისცემს  
 სამ ჩარექიან ქვაბს და ორი წლის კურატს, თუ არა და ბანზე  
 შემჯდარნი გატაცებულ ქალს უკანე წაიყვანენ.

მაგრამ, თუ ოჯახმა ბანზე შემჯდარნი არ შეირიგა და ქალიც  
 მამის სახლში არ დაბრუნდა, მაშინ ქალს დედ-მამის ოჯახი მოი-  
 კვეთს და ის ერთი წლის განმავლობაში იქ ვერც ფეხს მიღვამს და

ერც სათავოს მიღებს. ბოლოს შერიგება მაინც უნდა მოხდეს და მომტაცებელმა ქალის პატრონს შეუაცები უნდა მიუგზანოს, საქლავი დაკლას და შესამრიგებლო სუფრა გამართოს. ზოგჯერ ბანზე შესაკლომად მიმავალთ გზაზე საკლავით და ქვაბით დახვდებიან და შერიგებას სთხოვენ. ბანზე შემჯდარნი ერთ საკლავს იქვე დაკლავენ, რომელსაც „საღმერთოს“ უწოდებენ, მაგრამ მას ისინი არ შექამენ, მხოლოდ კურატსა და ქვებს თან წაიღებენ. ამ ჯარიმის გაღების შემდეგ მოტაცების საქმე რიგდება და, თუ ქალისა და მისი მშობლების თანხმობაც იქნება, ქალი მომტაცებელს რჩება.

გათხოვილი ქალის მოტაცება ხევსურული რჩულით აკრძალულია და დამნაშავე სიყვდილით დაისჯება. დანიშნულის მოტაცებისათვის ბანზე შეგდომის ჯარიმის გარდა მომტაცებელს კიღვე უნდა 16 ძროხა გადაეხადა. თავისი გვარის ქალის მოტაცებაც არ შეიძლება და დამნაშავეს თემი მოიკვეთს.

ქორწილი. როცა სარძლოს მოყვანის დრო მოახლოვდება, სანეფოს ოჯახიდან დასაკითხა გზავნიან ორ „ენა-პირიან“ კაცს. მათ თან მიაქვთ სასმელი და საკლავად მიპყავთ სამი ცხვარი: ერთი უნდა ღვთისათვის დაიკლას, მეორე იმ სოფლის ან თემის ხატში დაიკვლის, მესამე საკლავით კი პატარძლის მამამ კელ-მჯარი უნდა გაინათლოს. საკლავს ხუცი დაკლავს, ქალის მამა ხელებს სისხლს შეუშვერს და გიბანს. შემდეგ მას ხუცი სისხლს ჭვარულად შუბლზე და მხრებზე წასცებს; ამას კელმხრის განათვლა ეწოდება.

თუ სოფელში ერთი წლის მკვდარია და მისი ტალავარიც გაშლილია, ნეფემ ჭერის დაწერამდე ტალავარზე ერთი აჩშინი ფარჩა და ერთი ბოთლი არაყი უნდა მიიტანოს, ამას ტალავარის ბატივი ეწოდება.

ახალზალს შეუძლია, ვინც სურს, მყოლად (მაყრალ) დაიწვიოს. მეორე დღეს დაიწყება პატარძლის წამოყვანის სამზადისი. გამოაცხობენ ორ ხავიშიან ქადას და გამოგზავნილი კაცები და ქალის მყოლები ნეფის სოფლისაკენ გაემგზავრებიან. წინ ნეფის კაცები და ქალის მყოლები მიღიან, უკან კი პატარძალი ფეხით მიპყვება ერთი ან ორი ქალის თანხლებით. ახალზალის ცხენზე შეკლომა სირცხვილია; მას ნეფისას დაი და ძმაც გაპყვებიან. სოფ-

ლის მიხნამდე პატარძალს აცილებენ ქალები და ბავშვები: გამოშვებისას შევიდობებისას ერთ ხავწიან ქადას გაჭრიან, ყველას ჩიმოური-გებენ და პატარძალს დალოცავენ.

მეორე ქადას ქალის მყოლნი გაჭრიან ნეფის სოფელში შე-სვლისას და იქაც ნეფე-პატარძალის ბეღნიერებაზე დაილოცებიან. როცა ოჯახში მივლენ, პატარძალს ბოსელში შეიყვანენ, კარებთან მას მიეგებებიან იღ ბლიანი ქალი ან დედამთილი და ქალ-რძლები. კარებთან პატარძალს მანდილს გაუშლიან, იმაზე გადა-ახტებიან და ასე დალოცავენ: „ბეღიან-დავლათიანიმც იქნებია, წულიან-ვაჟიანიმც იქნებიო“. შემდეგ დედამთილი პატარძალს მარ-ჯვენა ხელს დაუჭერს და კერის გარშემო სამჯერ წალმა შემოატა-რებს. დედამთილს მარცხენა ხელი საკიდელზე უკიდია და იტყვის:

„ღმერთო, ნურას შაგვანანებ, ბეღიან-დავლათიანი მოგვიჯდინე, მაღალო ღმერთო, მაღალ ცაში მდგომელო, ოქროს ტახტზე მჯდო-მელო, ოქროს ბურთის მსროლელო, ხუთი ვაჟის დედა ქენი და ხა-მისა ქალისა“. მოიტანენ ფქვილს და პატარძალს თავზე გადააყ-რიან: „აგრე თეთრადამც ახყვავდები!“

შემდეგ პატარძალს დასვამენ, კალთაში ვაჟს ჩაუსვამენ, „ვა-უიანიმც“ იქნებიო. პატარძალი უბიდან ქადას ამოილებს და ბალლს აჩუქებს. პატარძალს დედამთილი ქალებს ჩააბარებს. ქალის მაყა-რი ჭერხოში შედის და ნეფის სტუმარს მიიპატიუებს, რაღვანაც ქალი ჩვენ მოგვარეთ, სტუმრების დაპატიუება ჩვენ უნდა გვე-კითხებოდეს.

ნეფე დამალულია ან მეზობლის სახლშია დაწოლილი. ქალის მყოლნი დაიძახებენ, ნეფე უნდა მოვიყვანოთო. გამოითხოვენ ლუდსა და არაყს, ირჩევენ ორ ჭკვიან კაცს, ერთს ქალისა და მე-ორეს ვაჟის მხრივ, და სამი კაცი მეფის საძებრად წავა. ნეფე მით მიესალმება და ხევსურულად მოიყითავს, შესვამენ და დაილო-ცებიან. შემდეგ ნეფე არჩეულ პირებს წამოჰყვება და ჭერხოში შევლენ. ნეფეს დასვამენ ნეფი ითნთ ტაბლასთან, რომელ-ზედაც ალაგია ქადები და ჯვრიანი პური, ხატი ხილითა და ტკბილეულით შემკული. ნეფესთან ქალებს ძლევნი მიაქვთ: მიძიოთ შემკული არყიანი ბოთლი და ქადები. როცა ყველანი შეგროვდე-ბიან, ხუცი შემოვა და ტაბლას აკურთხებს.

საქორწილოდ სამი ქვაბი ლუდი ლულდება: პირველი ქვაბი

ღვთისაა, მეორე მკვდრის შესანდობარი და მესამე ნეფე-დედოფ-ლის სადლეგრძელო. ხუცი მოხსნის ამ ნეფე-დედოფლის სადლეგ-რძელო ღუდს და იტყვის ჯრის წერის დიდებას, რომელსაც უწო-დებენ უ ამის წირვას:

„ღირსა ხსნილობა, ჯვარისა კურთხეულობა, კურთხეულიამც უფალი აწ და მარადი უკუნითი უკუნამდე. შეგვიწყალენ ჩვენ ყო-ველი სანება წმინდანმა, გვაცხოვნა და გვაკურთხინა. გაგება და უძილობა, გევედრება სული ჩვენი. მამაო ჩვენო, მოწყალეო, რო-მელი ხარ ცათაშია, ეგრე ქვეყანათაშია, მოგვიში და მოგვიტიე პური ჩვენი ასსობილთა, ნუ შაგვასხამ განსა ჩვენსა. ხატო, ხატო, მეუფეო, დღესა ამას სჯულისასა, შაგსწიროთა სხვერპლითა, ქე-ბითა, მოხუცებულობითა შენითა, თვალი მაღლა არიან, თვალი მაღლისა ღოთისა, ხოლო კაცთა სიმაღლე დაბლიდგან ამაღლდებიან. კაცთა რა ჟამ მასწევია ცხრომალე, მდინარე ამპარტიონთა, მაშინ გაეხვენენ ძალი ცათანი. ხოყანა შახარჭუნდებოდა, ცხოველი თესლი შენია, ცხოველი მაცხოვრებაო, შენია დღე და შენია ღა-მე, შენ დაამევისე ბნელი და ნათელი, შენ ეგ კი არა, ყოველმა უფალმა მოგცა დარიგება. ხუთითა ბურითა ხუთათასნი დააძლნა, ანისტითა ერთითა ას თორმეტი აავსნო.

უფალო, აკურთხე მარილი ესე სკანი-სკანარე წყალს თორდანე წყალი ღვინოდ გადასცვალე. უფალო, აკურთხე თესლი ესე, რომ სამნი მანანნი, ყრმანი ისხდეს, პურსა სჭიმდეს, მათ არა შეერგი-ნებოდეს, ტაბლასა მაგათასა, განარა წმინდასა, ბალდა დაბკაზ, დაუარე, არა სჭამე ხორცი მისი, დასთხიე სისხლი მისი. ქრისტია-ნობის მყოფელო, პირველი ჩექარნი, ალამ ცეცხლია, სერებილ-ნია, ქერებილნია, მეურქველისა მაქმედი, უფალო ღმერთო, მო-გვანიჭენ ღოესა ამასა სჯულისასა კურთხევა ცოცხლისა კრავისა, ღირსია მარადისა, ეკურთხა და გამოჩინდა სახიერისი სახიერისით, საკითხავ იყვა წმინდათაგან, საკითხავი პოვლება, გაბრიელია, მრავლითა სიტყვანი გამრავლებითა მაღალთაშიას ჯვარითა, მაშინ მოვიდა უფალი ბევრითა ბევრეულითა, ათასითა გუნდითა, ათას ანგელოზებითა წარიახნა სულნი მიცვალებულთანი, წაუტივნა სტი-ლონი, მახილა უსტმუნოებითა, შატყულისითა გველისითა ან დე-დაკაცისათა, ან მამაკაცისათა ან თვითანა ფიცითა თარგმანისათა.

ღმერთო, არსებაო, ღთებაო, მთავარო მთავარ-ანგელოზო, საფ-

ლავ დაუმარწვილდებოდა, ეგია ჭოვოხეთია, ურლულთია. მაშინ გაეხვნეს ძალი ცათანი, ხოყანა შახარწმუნდებოდა. შენ თუ ხარა, შენ უფალი ღმერთი ჩვენი, ხოლო წმინდა სული შენი აიღეს, მი-იღეს ღმერთთანა პატივისცემითა თაყვანისა ეგია, წმინდა არსე-ბულ-არსებულო, არსებულ-მალებულო, მანამდინ ვიყვენითავ, სახს ვიყვენითავ უფლისასა, მე არ ვიყავ, უფალო, მაირობილისა უხითა, გიორგისითა, მეორე, ნეფ გიორგიო, ბევრნი ჩემნია უს-ჯულობანი. აუტივნეს და იდიანა, ღმერთს ეხვეწებიანა, ავიღეს მალლა, გააცხადეს მაღრანსა ტაძარსა აბჩამისასა. გიკურთხა მამა-მა, ძემა, ჯვარმა და ღმერთმა ყოველმა. ივანე მართლავია, მა თესლის მაკურთხეველი, გიკურთხა მამა, ძემა, ჯვარმა წმიდამა. ეს სამნი სანთელნი მასკარისანი. ტაძარო, ეკლესიაო, შე სანატ-რელო ღვთისაო, თუ რაი შენს ქვედ მოიდა, ქადაგობა ქნაო, დას-ტურობა ქნაო, სულნი ღმერთს შემოგაბარნაო. ეგ სამნი სანთელნი ნათობენ, უფალო, საეკურთხევლის შენს წინა. პირველი სანთელი გაბრიელ მახარობელი, ეგ მეორე სანთელი — ივანე ნათლისმცე-მელი, ეგ მესამე სანთელი — მხმობელი და მგალობელი. გიკურ-თხა მამა, ძემა, ჯვარმა და ღმერთმა ყოველმა. ეშმაქი იკვლოდა, ხიაგი ცხოვრება ზეით გადავარდაო. ასრულდა წირვა უძმისა, წმინ-დისა იაკობილისა. ღღეს გამარჯვებისა შენისა”<sup>1</sup>.

ჯვრის წერის ლოცვას ხუცი ამით გაათავებს: „ბედიანნიმც იქ-ნებით, დავლათიანიმც იქმნებით!“—ო.

ამის შემდეგ ოჩხვენ ერთ კაცს, რომელიც გასინჯავს მეძღვენე-თა არაყს და ის თავ არაყს ნეფეს გადასცემს. ნეფე ამ არაყს ყვე-ლაზე საპატიო პირს შესთავაზებს. შემდეგ მეორე ბოთლს გიაწ-ოდებენ და ახლა ამ ბოთლს ნეფე ქალის უფროს ძმას გადასცემს; ამგვარად, ნეფე ყველა ბოთლს იქ დამსწრე სტუმრებს ჩამოური-გებს. ამის შემდეგ ყველანი დასხდებიან, ბოთლებიდან არაყს ყანწში ჩასხამენ და ნეფეს დალოცავენ. ამას მოყვება ლუდი და სუფრაზე სმა გაჩაღდება.

მაყარს სასმელს უმარჯვებენ და ჩქარ-ჩქარა აწვდიან და, ვინც არ დალევს, მას ზე დამღებები სასმელს ძალად შეასმევენ. ზოგი თავ კმელი დ მღერის და მასპინძლის პურალობას შეაქებს.

<sup>1</sup> ვ ვ ა - ფ შ ი ვ ე ლ ა, ხევსურული ქორწილი, ივერია, 1889 წ., № 81.

მეორე დღეს მყოლებს სოფელი გაიწვევს და მათ არაყითა და კარგი სუფრით უმასპინძლდებიან.

ახალზალს ნეფელისან არ დასვამენ და მას არც ჭერხოში აიყვანენ. პატარძალი ნეფელი არ ეჩვენება, სირცევილია. ქალის მყოლი ხშირად პატარძალთან მიდის, მოიკითხავს მას და დაილოცება. პატარძალი არ სვამს. ქორწილში კაცები ლხინობენ, პატარძალი და დედროვანი ამას მოკლებულია, რადგანაც დედროვანის შუშპრობა (ცეკვა-თამაში) ხევსურის წარმოდგენით, სირცევილია. პატარძალს დალოცვის შემდეგ დედამთილი მოუფონებს და ჩამოუშვებს მანდილს ჩაკეცილ კანჭს (კუთხეს), რომელიც მას ქმართან აძრახებამდე უნდა ჰქონდეს ჩამოშვებული, შემდეგ კასევ ჩაიკეცავს.

ხევსურული ქორწილი სამი დღე გრძელდება; შემდეგ სტუმრები დაიშლებიან. პატარძალი ქმრის ოჯახში ერთ კვირამდე ჩახება და მან კარგი დიასახლისობა უნდა გამოიჩინოს: ის ზურგით ტვირთს ეზიდება, ნეხვს ხვეტავს, საქონელს უვლის და სხვა. მაგრამ პატარძალი ქმარს ვერ დაენახვება და მასთან არ წვება, რაც სირცევილია და პატარძალს ეს ბოზობაში ჩამოერთმევა.

ა ხ ა ლ უ ხ ა ლ ი. პატარძალის გასაჩთობად და პატივსაცემად ნეფის ოჯახში იმართება ლხინი, საღაც საღამოთი იქრიბება იმ სოფლის ახალგაზრდობა და დროს მხიარულად ატარებენ: უკრავენ ფანდურს, მღერიან საგმირო და სატრუდიალო ლექსებს, შაირობენ და სხვა. ზოგს მოსაკითხი ძლვენი მოაქვს და მას შეექცევიან.

მეექვეს თუ მეშვიდე დღეს პატარძალი თავისი მამის ოჯახში ბრუნდება. მას ქმარი ვერ გაპყება. პატარძალი გაიყოლებს ქმრის მახლობელ ორ კაცს. მამის სოფელში შესვლისას პატარძალს ფანდურით მიეგებება ტოლამხანაგობა და მამის სახლში შეიყვანენ. პატარძალი ერთ წლამდის ჩახება აქ, სიძე მასთან ვერ მივა, თუ რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა არ იქნება. განსაკუთრებულ შემთხვევაში კი სიძე სიმამრის ბანზე აღის, იქ მოისაქმიანებს, მაგრამ ოჯახში ვერ შევა და ისევ უკანვე ბრუნდება. პატარძალსაც შეუძლია რაიმე შემთხვევის გამო ქმრის ოჯახში წავიდეს და იქ 3—4 დღე დარჩეს, მაგრამ ქმართან სქესობრივი კავშირის დაჭრა არ შეიძლება, სირცევილია.

ერთი წლის განმავლობაში შესაძლებელია რაიმე შემთხვევით

პატარძალი გარდაიცვალოს. მაშინ ორივე მხარე გაიღებს დასამარჩ  
ხარჯებს. თუ პატარძალი გზაში მოკვდა, ამ შემთხვევაში განვლილ  
მანძილს გაზომავენ და, რომელ მხარეზედაც მოკლე მანძილი აღმო-  
ჩნდება გასავლელი, ის მხარე კისრულობს დამარხვის ხარჯებს. თუ  
ეს მანძილი თანაბარი აღმოჩნდება, მაშინ ხარჯსაც თანაბრად ინა-  
წილებენ.

გაივლის ერთი წელი და პატარძალს ძმა ან ბიძაშვილი წაიყვანს  
ქმრის ოჯახში, სადაც ის მუდმივად ჩაიხება. მაგრამ ხევსურ პატარ-  
ძალს ამ შემთხვევაშიც არ მიაქვს თავისი პირადი ქონება — სა-  
თავნო, რაღვანაც შესაძლებელია ახალ ოჯახს იგი ვერ შეეგუს და  
უკანვე გამობრუნება მოუხდეს. ამიტომ პატარძალს ახლა თან მი-  
აქვს მხოლოდ ორი ხელი ტალვარი, ხელსაქმის იარაღები და ის  
ხელსაჭყო, რაც ყოველდღიურად მას დასჭირდება, დანარჩენს კი  
მამის ოჯახში ტოვებს.

პატარძალს ქმრის ოჯახში სუფრას გაუშლიან, ხუცი ცოლ-ქმარს  
ტაბლას უკურთხებს და კავშირის ნიშნად მათ მხრებს ძაფით გა-  
დაუბამს. შემდეგ დედამთილი საწოლს მოუმზადებს და ცოლ-ქმარს  
შეუძლიათ ერთად წოლა. მაგრამ ხევსური ერთ წლამდე მაინც  
თავს იყავებს და საშვილოდ არ წვება, პატარძალს თვალ-  
ყურს აღევნებს და, თუ მოიწონა და გამოადგა, შემდეგ შვილსაც  
იყოლიებს, თუ არადა დაითხოვს. საზოგადოდ ხევსურებში სამ-ოთხ  
წელზე ადრე შვილის გაჩენა სათავილოა: იტყვიან, რად გასწარ-  
ორაო.

სასიძოდ მისვლა. გაივლის რამდენიმე დღე და ახლა სი-  
ძე ძღვნით მიღის ცოლის ოჯახში; იქ სუფრას გაშლიან და ყველა-  
ნი ახალ შეურილებზე დაილოცებინ.

ჭვარში ზღვნობა. ახალ პატარძალს საწირ-საკლავით პირ-  
ველად ქმრის ხატში გაიყვანენ, შემდეგ კი მამის სალოცავ ხატში  
და იქ შევეცლებიან მის წულიანობაზე.

ხევსურეთში ქალის მზითევი არ იციან და პატარძალს მხოლოდ  
თავისი სათავი გნო მიაქვს. ოჯახში ქალს სათავნოს პატარაობიდან  
მიუჩენენ და ამ მიზნით მას ეძლევა ერთი ან ორი ძროხა, რომლის  
ნამრავლი და შემოსავალიც ქალისაა: ამით ქალი ტანისამოსს იშვა-  
დებს და საჭირო საგნებსაც იძენს. ვინც გამრჩე ქალია და გვიანაც  
თხოვდება, მას მიაქვს კარგი სათავნოც, რომლითაც პატარძალს

თავი მოაქცეს. სათავნო ქალის საკუთრებაა და ქმარს და მის ოჯახს არ შეუძლია სათავნოს დასაკუთრება. ქმარს შეუძლია ცოლის სა-  
თავნოთი სარგებლობა, მაგრამ ისევე უნდა აუნაზღაუროს. სიკვდი-  
ლის შემდეგ სათავნო ვაჟიშვილებს რჩებათ, ქალს კი დედის ტალა-  
გარი ერგება. თუ ქალი უშვილოა, მისი სათავნო იმას რჩება, ვინც  
მას მოუვლის და დამარხავს. ამის უფლება კი ქმრის საგვარეულოს  
ეძლევა და სათავნოც მას რჩება.

ხევსურული ადათით ცოლ-ქმარი ერთმანეთს სახელს არ  
ეტყვიან. ცოლი ქმარს ეტყვის: „არ მოგდის ა“, ქმარი  
ცოლს — „დიაცო!“, „შე ენ!“. პატარძალი, სანამ მას ქმრის  
ოჯახში არ მიიყვანენ, ქმრის მშობლებს ვერ აუძრახდება. რძალი  
მამამთილს და დედამთილს სახელს ვერ ეტყვის, მათ მულის მამო-  
ბით იხსენიებს, მაგალითად: ნინოს მამა, ნინოს დედი, ან ისე და-  
უძახებს, როგორც მისი მულ-მაზლი ეძახის. მამამთილის რძალს 2—3  
წლამდე არ აუძრახდება: რძალი არც მაზლს დაუძახებს სახელს,  
ეტყვის: „ვაჟავ!“—ო.

ხევსურეთში სიძე-სიდედრიც ერთმანეთს არ აუძრახდებიან,  
სანამ ქალ-სიძეს შვილი არ ეყოლებათ, და ისინიც მესამე პირის  
მეშვეობით საუბრობენ. ვერც სიდედრი ეტყვის თავის სიძეს სა-  
ხელს, უძახის: „სიძევ!“—ო.

ხევსური ქალი შრომისა და გარჯილობის მიხედვით ფასდება  
და ახალმა პატარძალმა სიმარდე და შრომისმოყვარეობა უნდა გა-  
მოიჩინოს საქონლის მოვლაში, მკაში და საოჯახო მუშაობაში.  
ამისთანავე, მას მოეთხოვება ქმრის მორჩილება, უფროსების პა-  
ტივისცემა და მოკრძალება. ყველა ამ წესს, ხევსურულ ადათებს,  
ქალი პატარძალიდან შეჩვეულია და ყოველგვარ ოჯახურ სიდუხ-  
ჭირეს დედროვანი მოთმინებით იტანს. ხევსური ცოლს მკაცრად  
ეკიდება, ზოგჯერ კიდეც სცემს, მაგრამ ქმრისა და ოჯახის მოყვა-  
რული ქალი ამას ითმებს და იგი თავის ბედს ურიგდება, თუ  
არადა, ქალი იძულებულია უხეშ ქმარს გაეყაროს.

საზოგადოდ ხევსური ქალი რჩენისა და შენახვის მიზნით არ  
თხოვდება. ის ეკონომიურად ქმრისაგან ნაკლებად არის დამოკი-  
დებული. ამიტომ ოჯახური უსიამოვნების დროს ქალი იდვილად  
ტოვებს ქმარს და მის ოჯახს, ბრუნდება მამის სახლში და ხელ-  
მეორედ თხოვდება. აქ გათხოვებაც იოლი საქმეა, ქალს მთხოვნე-

ლი მუდამ ჰყავს, და ზოგი ქალი 5-6-ჯერ თხოვდება. მაგრამ ქალს ხევსურული რჩულით ქმრის დაწუნება არ შეუძლია და, თუ ქმრის სურვილი არ იქნება, ქალი ქმარს თავს ვერ გაანებებს. ქმარს კი ყოველთვის შეუძლია ცოლი დაიწუნოს და ოჯახიდან დაითხოვოს. ამიტომ ქმრის დამწუნებელი ქალი ოჯახში ანჩხლობს, არ შრომობს, ყველაფერს აფუჭებს, რომ თავისი უხასიათობით ქმარს თავი მოაბეჭროს და ამით ქმარი აიძულოს, იგი ოჯახიდან დაითხოვოს. ბოლოს ქმარი ქალის მშობლებს შეუთვლის, ამა და ამ ღამეს მოდით და ვირჩულოთ. ქალის პატრონი მოვა, ბჭეებს დასვამენ და ცოლ-ქმრის საქმესაც ისინი გააკანონებენ.

ხევსურული რჩულით ქალმა ქმარი ჯვრისწერის შემდეგ თუ დაიწუნა და მამის სახლში გაიქცა, მაშინ ქალის მშობლებმა სიძის ოჯახს ქორწილის ხარჯი უნდა აუნაზღაუროს და 16 ძროხა ჯარიმად გადაიხადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ შორის მტრობა და შუღლი ჩამოვარდება. შემდეგ ვინც ამ თავგანებებულ ქალს შეიჩრთავს, მან უნდა ეს ჯარიმა და ხარჯი ქალის მშობლებს აუნაზღაუროს.

თუ ქმარმა იცის, რომ მისი ცოლი სხვას ყვარობს და ამის გამო მას წუნობს, მაშინ ის ცოლს გაყრის ნებას არ აძლევს, ტან-ჯავს და სცემს. მაგრამ ბოლოს ქმარი იძულებული ხდება, ჭირვეული ცოლი მოიშოროს და რჩულის მიხედვით გაეყაროს, მხოლოდ ნებას არ აძლევს მას, თავის მოწონებულ კაცზე გათხოვდეს; ამას კვეთილში ჩასმა ეწოდება. ვინც ამ წესს დაარღვევს, მასზე შურს იძიებენ. კვეთილში ჩასმა დღეს თანდათანობით ისპობა და ამაზეა ეს ლექსიც გამოთქმული:

„ცხენ აქით ჩამავლო თაქალთუნაგრიანი,  
 ზედ ქალი გადმოგიჯდები, ღარალა, ყვათელმიანი,  
 საცოლედ გამოგვევებოდი, არ ვიუვა კვეთილიანი,  
 კვეთილობასაც არ დავსდევ, გზა მეშორება ტიალი“.

წინათ ქმრის დაწუნება ქალისათვის სამძიმო საქმე იყო და პატივმოყვარე ხევსური ცოლის გაქცევას დიდ შეურაცხყოფად თვლითა, სამწუნობროს არ იღებდა და ქალის მშობლებს მტრობდა. ხშირი იყო ცოლის დასახიჩრებაც: გაქცეულ ცოლს ქმარი ცხვირს მოჰკვეთდა ან ბერა თითს მოაჭრიდა, რომ მას ხელსაჭმობა არ შესძლებოდა.

თუ ქმარმა ცოლი შერთვის წლის დამლევს დაითხოვა, ხევსუ-  
რული რჯულით, მას საუ პატი იუ რო ეძლევა 3 ძროხა და ტალა-  
ვარი. ცოლ-ქმრის გაყრის დროს შეილები მამას რჩება, დედა წა-  
იყვანს მხოლოდ მაწოვარს, რომელსაც საზრდოდ მიუჩენენ ერთ  
ძროხას ან ორ ცხვარს, როცა ბავშვი წამოიზრდება, დედა ვალდე-  
ბულია, ბავშვი მამას დაუბრუნოს.

ქმარმა თუ დიდი ხნის შეულლებული ცოლი დაითხოვა, მას  
ნამაშვრალში ქალს იმდენი ძროხა ეძ-  
ლევა, რამდენ წელსაც მას ქმართან უცხოვრია, პირველი უა  
უქანასკნელი წლის გამოკლებით. მაგალითად, ცოლს თუ ქმართან  
ათი წელიწადი უცხოვრია მას 8 ძროხას მისცემენ. შინუაბრუ-  
ნებულ ქალს ახალგაზრდა ხევსური იშვიათად შეირთავს და  
ასეთი ქალი იძულებულია, ხანში შესულ ხევსურზე გათხოვდეს ან  
ვინმეს მეორე ცოლად გაჰყვეს. თუ შინუაბრუნებული ქალი  
ოჯახში დარჩა და არ გათხოვდა, მას ყველანი პატივსა სცემენ და  
ის ოჯახში ერთგვარი გავლენით სარგებლობს.

უშეილო ცოლს მარტო უშეილობისათვის ქმარი ოჯახიდან ვერ  
დაითხოვს და, თუ ძალით გააგდო, ქმარმა მას უნდა მისცეს სამ-  
წუნობრო 16 ძროხა და ნამაშვრალც. მეორე ცოლის მოყვანა  
პირველი ცოლის ნათესავებისათვის სათავილოა და პირველი ცო-  
ლის ოჯახის ქმარმა 5 ძროხა ჯარიმა უნდა გადაუხადოს. ეს, რა-  
საკირველია, ხევსურისათვის მძიმე გადასახადია; ამიტომ უშეილო  
ხევსური, ან ვისაც ვაჟი არ ებადება, პირველ ცოლთან შეთანხმე-  
ბით და ნებართვით მეორე ცოლს ირთავს და ორივე ცოლი ერთად  
ცხოვრობს.

თუ ხევსურს ორივე ცოლთან შეილები ჰყავს, მათ ხშირად  
განცალკევებით აცხოვრებს. მაგრამ ცოლებს ერთმანეთში მაინც  
ჩხუბი და უსიამოვნება მოსდით და დღეს აქ ორცოლიანობა იშვი-  
ათია.

ქვრივ ქალს, მკვდრის ცოლს, სულ ერთია, დანიშნულია  
იგი თუ შინ მოყვანილი, არ შეუძლია წლისთავის გათავებამდე  
გათხოვდეს და, ვინც ამ წესს დაარღვევს, უმტრობენ. საზოგადოდ,  
ქმარმომქვდარ ქალს ხევსურეთში არ ეტანებიან, რაღაც ის  
იღბალგატე ხილია.

მაგრამ ქვრივი ქალი, თუ იგი ვაჟის პატრონია, ვერ გათხოვ-

დება, სირცხვილია და ქალს ეს ბოზობაში ჩამოერთმევა. ქალის პატრონ ახალგაზრდა ქვრივს კი, რომ ის უწილესერძო არ დარჩეს, ხევსურული აღათით, გათხოვება შეუძლია, მხოლოდ ბავშვს ბიძები წაიყვანენ და ისინი გაზრდიან. უპატრონობ ბავშვი დედას მიჰყავს მეორე ქმრის ოჯახში, ზრდის და იქიდან ათხოვებს.

ქვრივი კაცი მეორე ცოლს ირთავს, რადგანაც უქალოდ ხევსურის ოჯახი ვერ იარსებებს. დედინაცვალს აქ მამის ცოლს უწოდებენ, გერს კი გარეთ დმას და გარეთ დას.

ცოლ-ქმარს ხევსურეთში თავიანთი საკუთრება აქვთ და ისინი ერთმანეთის ქონებას ვერ დაისაკუთრებენ. ქალის საკუთრებას მისი სათავონ შეადგენს და ცოლის ნებადართველად ქმარს არ შეუძლია სათავონთი სარგებლობა. არც ცოლს შეუძლია ქმრის ქონებას შეეხოს, როგორიც არის საქონელი, იარალი და სხვა. ქმრის სიკვდილის შემდეგ ეს ქონება საოჯახო ხდება და მაშინ ცოლს შეუძლია მისი მოხმარება.

ქმარმა ცოლი თავისი ხარჯით უნდა დამარხოს; ქმარს თუ თავისი სამარხი არა აქვს, მაშინ ცოლი ვალდებულია, ქმარი თავისი სათავონთი დამარხოს. ქმარს არ შეუძლია თავისი ქონება ცოლს სიცოცხლეში აჩუქოს ან სიკვდილის წინ უანდერძოს.

ერთი სიტყვით, ხევსურული ადათით ცოლი ქმრის მორჩილი უნდა იყოს და მისი ოჯახის ერთგული მსახური. თვითნება და ჯიუტი ცოლი ქმრისაგან ცემითაც ისჭება, მაგრამ ქალს კრძალება ქმარს ხელი შეუბრუნოს. ქმრის ცემა დიდი სირცხვილია, ქმარს შეუძლია ცოლი ხელის შებრუნებისათვის სასიკვდილოთ დაჭრას. მყაცრი და გორჩიში ქმარი ხევსურის ქალებსაც მოსწონთ. მათი აზრით, ვაუკაცის სიტყვა და სურგილი დიაცისათვის კანონია და დიაცის ამყოლი და ვამგონე ქმარი ლაჩარია. ამიტომაც მამაც ქმარს ცოლი სიტყვას ვერ შეუბრუნებს და ქმრის სიმყაცრესაც ცოლი მოთმინებით იტანს.

მშობიარობა. ხევსურები, როგორც აღვნიშნეთ, სამ წლამდე თავს იკავებენ და შვილს არ იჩენენ. ეს სამი წელი პატარძლის გამოცდის ხანია. თუ ქალი კარგია და ოჯახისათვის თავდადებული, მესამე წელს შვილს გაიჩენენ და ეს იმის ნიშანია, რომ ცოლ-ქმრობა უკვე დაკანონებულია, მით უმეტეს, შვილნი ქალის დაწუნება და დათხოვნა ხევსურული ადათით ოჯახისათვის სამძიმოა.

მაგრამ სამი წლის შემდეგ კი შვილი უკველად უნდა გაიჩინონ.

უშვილო და უძეო ოჯახი ხევსურეთში უბედურია და სამი წლის შემდეგ ჯარდაწერილებმა შვილის გაჩენაზე უნდა იჩრუნონ. თუ ქალს შვილი არ უჩნდება ან ვაჟი არ ებადება, მაშინ პირველი ცოლის თანხმობით ქმარს მეორე ცოლი მოჰყავს. მაგრამ ცოლ-ქმრისათვის 3-4 შვილზე მეტის გაჩენა სირცხვილია. შვილების ზედიზედ გაჩენაც არ არის მიღებული. ამიტომ ვიდრე ბავშვი ფეხს არ აიდგამს და აკენიდან არ ამოვა, მეორეს არ გაიჩენენ.

სანამ ჩვენ ქალის მოლოგინებაზე გადავიდოდეთ, საჭიროა გავეცნოთ ხევსურულ სამრელოს ან კარობას, რომელთანაც დაკავშირებულია ხევსურული ქალის თვიურისა და მშობიარობის წესები.

ხევსურები თვიურიან და მშობიარე ქალებს ნარევებს, უწმინდურს უწოდებენ და მათ ამ დროს ათავსებენ განცალკევებულ ქოხში, რომელსაც სამრელოს უწოდებენ. სამრელო ან ბოსელი პირაქით ხევსურეთში სახლის მახლობლადაა გამართული და სიბი ქვით არის მშრალად ნაგები. იგი დაბალია და პატარა, მასში ორი ადამიანი ძლიერ მოთავსდება. მეკომურებს აქ თავიანთი სამრელოები აქვთ გამართული. პირიქით ხევსურეთში, არხოტის თემში, აქვთ საერთო სამრელოები, საღაც რამდენიმე თვიურიანი ქალი დგება. ამ საერთო სამრელოებს აქ მთელი სოფელი აშენებს, და ვინც აშენებაში მონაწილეობას არ მიიღებს, იმ მეკომურს უფლება ეკარგება. სამრელოში იდგილი დაიკავოს. სამრელოში მებოსლე ქალებს თვიანთი კუთხე და ლოგინი აქვთ მიჩნილი.

სამრელოს წინ შემოზღუდული აქვს პატარა ეზო — შანაქო, საღაც მებოსლე ქალი ჯდება და ხელსაქმობს. თვიურის მოახლოებისას ხევსური დედაკაცი თავს მაშიშს უწოდებს და ეს დროც მას ზეღმიწევნით აქვს გამოანგარიშებული. ამ დროისათვის ის წინასწარ ემზადება, ოჯახისათვის აცხობს ერთი კვირის სამყოფ პურს, რეცხავს, ალაგებს და სხვა. სამრელოსაც გაასუფთავებს, შიგ შეიტანს საჭირო ხელსაქმეს, საფენ-საგებს, საჭმელს და სხვა. და რომელის საჭირო ხელსაქმეს, საფენ-საგებს, საჭმელს და სხვა. და როცა მაშიში გახდება, ქალი სამრელოში გადადის. სამრელოდან მებოსლე ოჯახს თვალყურს ადევნებს და შეკითხვაზე იქიდანვე პასუხობს.

სამრელოდან მებოსლე ქალი ოჯახში ვერ შევა, რაც უნდა ღი-  
ლი გასაჭირი იყოს, თუნდ სახლს ცეცხლი წაეკიდოს, ან დედას  
შვილი უკვდებოდეს, მებოსლე ვერ შეეშველება, რაღანაც, მისი  
რწმენით, ამაზე ხევსურეთის ხატ-ანგელოზები გაფავრდებიან და  
მის ოჯახსაც გაანადგურებენ.

როცა ახალგაზრდა ქალი სამრელოში პირველად გავა, მას მე-  
ზობლები ს ა კ ვ ლ ე ვ ძლევით მოიკითხავენ და მასთან ქადისკვერუ-  
ბი მიაქვს.

ხევსურული სამრელო ზაფხულში შედარებით ასატანია, ზაბ-  
თარში კი 6-7 დღე სამრელოში ყოფნა ჭოჭოხეთია. თვიურიანი  
ქალი სამრელოში ფიზიურად ისვენებს, ის მხოლოდ ხელსაქმობს  
და ამით ერთობა. თვიურის შეწყვეტის შემდეგ, მეხუთე თუ მე-  
ექვსე დღეს, მირე ული ქალი შეუდგება სამრელოდან გასვლის  
თადარიგს. მოასუფთავებს თავის კუთხეს, ტანს იბანს, ძველ ტანი-  
სამოსს იქვე ტოვებს და შინიდან მოწოდებულ სუფთა ტალავისს  
ჩაიცვამს. ამასთანავე, რაც შინ წასაღებია, ყველაფერს გამოიტანს,  
გარეცხავს და გაბერტყავს; ამას გა წ კ ე პ ა ეწოდება.

ამის შემდეგ ის სამრელოდან გამოდის, მაგრამ საღამომდე, სა-  
ნამ ცაზე ვარსკვლავები არ ვამოჩნდება, შინ ვერ შევა და არც საქ-  
მობს, მხოლოდ საქონელს აძოვებს. საღამოს კი სახლში შევა და  
მეორე დღეს მას შეუძლია სიოჯახო საქმეები აქეთოს. მაგრამ მე-  
ცხრე დღემდე იგი მაინც ვერ ივა სახლის ჭერხოში და ბანზე და  
ვერც ხატის მამულში ვაივლის. მაშიშობის მთახლოვების დროს  
ხევსური ქალი შიშობს და მას არ შეუძლია ხატში, ქორწილში და  
რიგებში წასვლა, ამიტომ ასეთი შემთხვევის დროს ის თვიურის  
შესახერხებლად სხვადასხვა ხელოვნურ საშუალებას მიმართავს. ამ  
მიზნით ქალები სვამენ შაბს, კირწყალს; ზოგი მირონსაც ხმარობს,  
რასაც ს ა რ ე ც ხ ი ს . გ ა წ ი რ ვ ა ეწოდება.

მაგრამ სამრელოში ყველაზე მძიმე პირობებში მშობიარე ქალია  
მოქცეული, მისი ტანჯვა და წიმება უფრო მწვავე და ხანგრძლივია.  
მშობიარეს ხევსურული ადათით არ შეუძლია სამრელოში მოლო-  
გინება, მან შვილი სოფლის გარეთ უნდა შობოს, ამ მიზნით აშენე-  
ბენ ფარლალალა ქოხს — ს ა ჩ ე ს ; ან არადა მშობიარე სანეხვეზე  
იკეთებს ქოხს და იქ მოიშობიარებს; შემდეგ მას შეუძლია სამ-  
რელოში გადასვლა.

მშობიარე საჩეხში გასასვლელად აღრევე ემზადება. ყველა სა-  
ჭირო ჭურჭელს, საგებ-საცმელს და საჭმელს ის წინდაწინ შეიტანს  
და, როცა მუცელი ასტყივა, უფროსი დედაკაცი ქოხამდე გააცი-  
ლებს; შემდევ მშობიარეს, როგორც „მირეულს“ და „უწმინდურს“,  
არავინ გაეკარება.

მშობიარე საწოლს თვითონვე გაიმართავს, თავქვეშ ხანჯალს  
დაიდებს, რომ მავნე არ გაეკაროს და ბავშვი არ დააზიანოს. მშო-  
ბიარეს არავინ შეელის, ბავშვს თვითონვე იყვანს და ჭიპჭორას  
დუქარდით მოსჭრის. შემდევ მშობიარე საშვილეს მიწაში ჩა-  
ფლავს. სისხლიან ჩალას მოხვეტს და გადაყრის. რაც უნდა მძიმე  
მშობიარე იყოს, ხევსურის ქალი არ დაიკვნესებს, ეს ქალისათვის  
სირცხვილია. ხევსურის თქმით: „ვაყკაცსა ხმალი გამოცდის,  
დიაცსა ქოხ-სამრელოთ“.

მაგრამ ქალს თუ მშობიარობა გაუძნელდა, გამოცდილ მოხუც  
დიაცს — „ღმბემარე დედაკაცს“ მიიყვანენ და ის შეეშველება.  
ღმბემარე დედაკაციც მირეულია და გაუნათლავი ის ოჯახში ვერ  
შევა; მას ჭელებზე ასას ხმელ ქადასა და საკვირა თ  
კვერს გამოუტხობენ, ზედ სანთლებს დაარჭობენ და მისცემენ.  
შემდევ ოჯახის უფროსი დაილოცება. დამბემარე დედაკაცს ეძლე-  
ვა ერთი ძროხის საფასური და გასანათლავად ხატში ერთ საკ-  
ლავსაც დაუკლავენ.

თუ მელოგინე ძლიერ შეწუხებულია, ხახმატის ჯვარს შეევედ-  
რებიან და იტყვიან: „უშველე კავმატის ჯვარო, წმ. გიორგი, ხე-  
ლო სამძიმარო!“ თუ ამ ლოცვის შემდევ მელოგინე მშვიდობით  
გადარჩა, ხახმატში წავლენ და მას სამაღლობელ საკლავს დაუკ-  
ლავენ.

მძიმე მშობიარეს ერბოსა და რძეს შეახვრეპენ, ვისაც გველ-  
ბაყაყი გაუშველებია, ის მშობიარეს მუჭით მიწას გადაყრის და  
იტყვის:

„გველ-მყვარნ (ბაყაყი) გამიყრიან რო დედაშვილნ ვერ გაგ-  
ყარნათ!“ -ო. ამასთანავე, მშობიარეს მიეპარება ახლობელი მამა-  
კაცი, თოფს გაისერის, რომ ამით ავი და მავნე სულები გაფანტოს  
და მელოგინეს მშობიარობა შეუმსუბუქდეს.

მწერელთ ნაძახინარი. ხევსურების რწმენით, როცა  
ქოხში ბავშვი დაიბადება, მწერლები ბეჭს დაუძახებენ. ერთ დე-

დაქაცს შვილი რო გასჩენია, მწერლები ერთმანეთს შესცილებიან,  
 უნდა მოვკლათო. დედას შეშინებია, თავისი ტანისამოსი ცეცხლში  
 დაუწვევს და შვილიც ამით გამოუხსნია. ამიტომაც, ვისაც ქოხში  
 შეილები ეხოცება, დედაკაცები ეტყვიან, ტანისამოსი დაწვიო.  
 შემდეგ მას ახალ ტანისამოსს მიუტანენ.

ახალ დაბადებულ ბავშვს დედა კაბის კალთის ქვეშ გამოატა-  
 რებს და ფარაგიდან ამოიყანს. ბავშვს ტანს ერბოთი გაუპოხავენ,  
 შალის ხი ნში ახვევენ და დედა გვერდში მიიწვენს. მაგრამ  
 თუ მშობიარე მოკვდა, ნარევები მას გაბანენ, გასულრავენ და  
 თავისი სახლის მახლობლად დასვენებენ. იქ იგი ორი თუ სამი  
 დღე ასვენია, ყველა წესს შეუსრულებენ, დაიტირებენ და შემ-  
 დეგ განცალკევებით დასაფლავებენ.

კინც მშობიარობს ქოხში გადაიტანს, ის იქ რჩება ოთხი დღე  
 და შემდეგ გადადის სამრელოში, სადაც ოთხი კვირა უნდა და-  
 ყოს. მშობიარე სამრელოში ირეცხება და სუფთავდება. ოჯახიდან  
 მას არავინ ეკარება და სასმელ-საჭმელს შორიდან აწვდიან. საჭ-  
 მელს გრძელ ჯოხზე ჩამოკიდებენ და კარებიდან ისე მიაწოდებენ,  
 სასმელს კი სამრელოს ბანიდან ჯამში ჩაუსხამენ. თუ მშობი-  
 არეს ვაჟი გაუჩნდა, ეს ოჯახის სიხარულია და მშობიარეს პატივის-  
 ცემითა და ყურადღებით ეპყრობიან. მას ხავიწიან ქადას უზიდავენ  
 და ალერსიანად მოიკითხავენ. მელოგინეს რომ არ შეეშინდეს ან ეშ-  
 მაქმა და მავნე სულებმა ვაჟი არ მოხიბლონ, სამრელოს მახ-  
 ლობლად ხელში თოფით ქმარი ან სხვა ვინმე მახლობელი მიმა-  
 კაცი წვება და ყარაულობს. ქალის გაჩენით კი ოჯახი ლონდება  
 და მშობიარესაც უგულოდ ექცევიან; მას არც მოიკითხავენ და  
 გამხმარი ქერის პურით კვებავენ.

ხევსურის შეხედულებით, მშობიარესთან ერთად მისი ოჯახიც  
 უწმინდური ხდება და ერთი თვე ოჯახიდან ხატში ვერ წავლენ,  
 ხატი დაგვმიზეზავსო. მირეულისაგან გაწმენდა შეიძლება მხოლოდ  
 ოჯახის განათვლით. ამ მიზნით მშობიარობის შემდეგ ორი კვირა  
 რომ გაივლის, ხუცს დაიწვევენ, იგი სახლის ბანზე საკლავს და-  
 კლავს და მისი სისხლით სახლს „განათლავენ“. სისხლს ჯამში ჩა-  
 ასხამენ და მას მოასურებენ ყველა იმ აღვილზე, სადაც მშობია-  
 რეს გაუვლია და უსაქმია.

გაივლის ოთხი კვირა და მშობიარე შინ წასასვლელად შეემზა-

დება. იგი იჩეცხავს, ყველაფერს იცვლის და სუფთავდება. აჩვე  
 დროს ოჯახში ხუცს დაიწვევენ და ის ქალის სათავნოდან ერთ  
 საკლავს, ცხვარი იქნება თუ ხბო, დაკლავს. თხის დაკვლა არ შე-  
 იძლება, ეშმაკისაა. საკლავის სისხლს სახლის ბოძებსა და კედ-  
 ლებს ასხურებენ. ამის შემდეგ მშობიარეს შეუძლია ოჯახში და-  
 ბრუნება და სახლობაც ხატიან შერიგებულად ითვლება: მაგრამ  
 ოჯახში მშობიარეს პურის გამოცხობა მაინც არ შეუძლია, სხვა  
 საქმეებს კი აკეთებს. პირველად მშობიარის ხმის გაცემაც ცოდვაა  
 და ორი კვირა მას არც კაცი და არც ქალი ხმას არ გაცემს: ხუ-  
 ცი და ხატის მსახურნი კი მელოგინეს ერთ თვესაც არ დაელაპა-  
 რაკებიან.

ორი თვის შემდეგ მშობიარე უნდა გაინათლოს. დაიწვე-  
 ვენ ხუცს, რომელიც სახლის ბანზე ავა და იქ დაილოცება. შემდეგ  
 ცხვარს დაკლავს, მშობიარე საკლავის სისხლს ხელს შეუშვერს და  
 ამ სისხლით ხელს გაიბანს. ხუცი მშობიარეს საკლავის სისხლს  
 შუბლზე და გულ-მხარზე ჯვარულად წასცხებს. ცხრა კვირისა და  
 ცხრა დღის შემდეგ მშობიარეს ყველაგან შეუძლია სიარული;  
 ხატში გასცლისას კი სამაღლობელი საცლავიც უნდა დაკლის.

ბოსლობის ეს მავნე წესები ხევსურებში დღესაც მძინვარებს  
 და მდედროვანის ტანგვაც იქ განუსაზღვრელია. მართალია, ხევ-  
 სური ქალის მაგარი ბუნება და მტკიცე ნებისყოფა ყველაფერ ამას  
 მოთმინებით და გმირულად იტანს, მაგრამ არის მძიმე დაავადებისა  
 და სიკედილის შემთხვევებიც. და ამ ბარბაროსულ წესებს ეწირება  
 არა ერთი ახალგაზრდა, სიცოცხლით საესე დედა.

ხევსურეთში სამრელო-ბოსლობის მავნებლობას მოსახლეობა  
 კარგად გრძნობს. მაგრამ ხატის შიშით ვერ ბედავენ ამ წესების  
 გადალახვას. ხევსური ქალი დარწმუნებულია, რომ სამრელოს წე-  
 სების დარღვევა ხატს გაარისხებს და მას შეუძლია მისი ოჯახის  
 დამიზეზება და ამოწყვეტა. ამ ცრუმორწმუნეობას მოსახლეობას  
 მკითხვები და ხატის მსახურნი უნერგავენ, ამიტომ ბოსლობის  
 მოსასპობად სამშობიაროს გახსნასთან ერთად საჭიროა მკითხვე-  
 ბისა და ხუცების ალაგმვა და მათ მიერ ჩანერგილი ცრუმორ-  
 წმუნეობის ხალხში აღმოფხვრა.

სამრელო-ბოსლობის ეს წესები აღამიანის საზოგადოებრივი  
 განვითარების განსაზღვრულ პერიოდში ყველაგან გავრცელებული

იყო. ბოსლობა, როგორც სოციალური მოვლენა, ახასიათებდა წინაჯალასობრივ საზოგადოებას და ბოსლობის წესები გამომდინარებდა გაუთვითცნობირებელი აღამიანის მაგიზმის პრიმიტიული რწმენიდან. ამ რწმენის მთელი სისტემა კი მიზნად ისახავდა, ჩაღლისნერი საშუალებებით მოეპოვა აღამიანისათვის გარემომცველ მოვლენათა კეთილგანწყობილება და, მეორეს მხრივ, მთელი რივი ტაბუაციით (აკრძალვით) აღამიანს აუცდინა ყოველგვარი ბორიტება. ამ ტაბუს ქვეშ, სხვათა შორის, მოექცა დედათა სქესიც მენტრუაციისა და მშობიარობის მძიმე მომენტში. ეს ტაბუ კი გამოწვეული იყო ცრუმორწმუნე აღამიანის ერთგვარი შიშით მენტრუალური სისხლის წინაშე.

ამიტომ კულტურულად ჩამორჩენილ ხალხებში თვიურიანი და მშობიარე ქალი დღესაც უწმინდურად ითვლება და მას ცალკე ქობში ათავსებენ, რადგანაც, მათი რწმენით, მებოსლე ქალი ამ მომენტში ისეთ მდგომარეობაშია მოქცეული, რომ მას ყველაფრის მოხადოება შეუძლია. თავდაცვის მიზნით კი საჭიროა მებოსლე ქალის განცალკევებულ ქობში მოთავსება, სანამ ეს მოჩვენებითი საშიშროება არ გაივლის და ქალს თავისი ჭანი და ძალა არ დაუბრუნდება.

ამ მხრივ ხევსურული ბოსლობა-სამრევლო არ წარმოადგენს რაიმე იშვიათ გამონაჯლისს. მას მრავალი ანალოგიები და პარალელები აქვს როგორც ჩვენში, ისე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში.

ჩვენს მთიელებში, რომელთა საზოგადოებრივი ყოფა თემურ წყობილებას არ გასცილებია, ბოსლობის წესები მეტ-ნაკლებობით გველგან გავრცელებული იყო. დღეს ბოსლობის წესები დაცულია გუდამაყარში<sup>1</sup>, ფშავში<sup>2</sup> და განსაკუთრებით ხევსურეთში.

წინათ ბოსლობის მდგვარი წესები გავრცელებული იყო ძეველ კულტურულ ერებში: ებრაელებში, რომაელებში, გერმანელებში და სხვა. ეს წესები დღესაც ცოცხალია აფრიკისა და ამერიკის კულტურულად ჩამორჩენილ ტომებში. ხევსურული სამრელოს სრული ანალოგია ჩვენ გვაძეს კუნძულ კოდიაზე (ალიასკა), სადაც

<sup>1</sup> სერ. მაკილითი, მთიელეთი, ტფილისი, 1930 წ., გვ. 119—124.

<sup>2</sup> სერ. მაკილითი, ფშავი, ტფილისი, 1934 წ., გვ. 144—148.

მშობიარე ქალს ცალკე ქოხში ათავსებენ და მან ვანმარტოებით უნდა მოილოგინოს, მშობიარეს აქ არავინ ეყარება, საჭმელსაც შორიდან ჯოხით აწედიან და მშობიარეც ქოხში ოცი დღე უნდა დარჩეს. კუნძულ ტაიტზე მშობიარე ქოხში სამი კვირით იხიზნება და შემდეგ სახლში ბრუნდება და სხვა<sup>1</sup>.

ბოსლობის ეს მავნე წესები ხევსურეთის სოციალ-ეკონომიკური პირობების გარდაქმნისა და კულტურულ დაწინაურებასთან ერთად, რასაკვირველია, თანდათანობით შეიცვლება და იგი მაღა მოისპობა.

ბავშვის იოზის იოზის ბავშვის ხევსურეთში აკვანში ზრდიან. აკვანი ხისაა და დაბალი, იგი ხის ყუთს წააგავს. აკვანში ჩაგებულია ჩალა და ბავშვის ზირდი შიგ გადის. სეველ ჩალას ხშირად უცვლიან. საშარდე შიბაქი არ იციან. აკვანიდან ბავშვი რომ არ ამოვარდეს, ზედ არტახს გადაუჭერება. ბავშვის თბილი წყლით ბანენ და ერბოს უსვამენ. თუ ბავშვი ტანზე შეწითლებულია ან მუწუკი იყრია, მაშინ მას დედის რძეს წაუსვამენ და ამით წყლულს უშუშებენ. ერთი თვე ჩვილ ბავშვს დედა ფარაგის უბეში იწვენს, შემდეგ კი აკვანში აწევენს. ბავშვი დედის ძუძუს სამ წლამდე წოვს, იშვიათად ოთხ წლამდე, შემდეგ მას ფაფას და დედის ნერწყვით დალეჭილ ერბოიან საჭმელს აჭმევენ.

ავი თვალის წინააღმდეგ აკვანზე ჩამოჰკიდებენ არწივის ბრჭყალს, ღორის ჯაგარს და ეშვს. აკვანს აგრეთვე ხმალს შეაბამენ, „თვალი“ არ შევარდეს და უფერმა (ეშმაქმა) არ მოიპაროს.

წინათ ხევსურები ბავშვებს ნათლავდნენ. ნათლიად ნათესავი არ შეიძლებოდა, ის შორეული, მაგრამ ოჯახის კარგი მეგობარი უნდა ყოფილიყო. ნათლიას მოპქონდა ვაჟისათვის საახალუხე, ქალისათვის კი საქათიბე. სახელს საეკლესიო კალენდრის მიხედვით მღვდელი არქმევდა. მაგრამ, ამასთანავე, მშობლები ბავშვს ხევსურულსა და ხატის სახელსაც არქმევდნენ. მაგალითად, ვისაც ვაჟი არ ებადება და შემდეგ გაუჩნდება, ხშირად მას დათვიას ამ მგელიკს არქმევენ, რადგანაც, ხალხის რწმენით, ამ ნადირების სახელის მატარებლებს ავი და მავნე არ მიუღებაო.

<sup>1</sup> Джеймс Фрэзер, Табу, налагаемые на женщин во время менструации и родов (Золотая ветвь, вып. II, Москва, 1928 г., гл. 50—53).

ხევსური მამაკაცის სახელებია: ახალა, აშშებულებური, ისე, აღუა, აბა, აფშინა, ახვა, ალექა, ალექმიმა, ალუდი, აბარეკა, ალუდაური, ბაბუტი, ბერლია, ბაბუა, ბაიჭაური, ბათირა, აბიკა, ბეჭინა, ბაბო, ბაბუქური, ბაბუკი, ბეკია, ბაჭია, ბაჭირია, ბაჩაყაური, ბაღათერა, ბაჯურა, ბაბურაული, გუგუა, გრანჯა, გამახელა, გოგოთური, გარსია, გიგიტა, გიგია.

დია, დათვია, ქუქუა, გირჩლა, ჩუა, თორლვა, თათია, თათუა, ოქია, მგელა, ჩაჩაური, ჯურკა, უშიშა, მინდია, კრუა, ნისლოური, კურდლელა, ნათელისძე, ცისკარა, ძუნძულა, უნახეა, მოქლია, თოთია, ბეჭინტური, ხთისო, წვრილა, კვირიკა, მარტია, ჯლუნა, ისილო, ჯულო, ფიცხელა, უნცრუა, ქორია, ლერენა, გადელი, სიხარულა, მამუკა, კვირია.

თამარიძე, თოთარიქა, თათარა, მარაისძე, უთურვი, ხიზანა, ძაღლიკა, მგელიკა, ჩალხა, წიქა, ჯლანა, ქერქა, სამუკა, ჯარია, ომიკა, შიშია, ზვიადა, შარუმა, ქასა, უა, საჩინა, ივანეური, ციცქა, კიბალაური, მამასწვერა, ლომია, იმედა, წიკლაური, საღარა, საყურა.

ქალის სახელები: აშექალი, აგუნდა, დედიკა, ლელა, თუთი, სანდუა, თარუა, ნათელა, მზექალა, დედაქალი, მუშტარა, ხოშექა, ნანა, ქაქია, ძილო, სამძმარი, განძა, მზია, შუქია, კმარა, მინდა, ნანუა, გუდა, ქალობა, ზექუა, ხორა, ქაქალა, ხოშია, საძილა, ძიძილი, ძიმარი, მძიმია, ნანუკა, მამიდა, მექო, ბუბიკა, ჩიკრიკა, მინანი, ბერდედა, ნათულა, ნათუა, თიურა, თამ-თინა, სანათა, მაია, ბებერი, ბუბია.

ხევსურები თავუნ (ხედმეტ). სახელებსაც ატარებენ: გოძლა, არბატა, ჯინქარა, შიშნია, შოთელა, პოლოსა, წრუტა და სხვა.

სულის სახელი. როდესაც ბავშვი აკვანში ანჩხლობს და ტირის, იტყვიან, ბავშვს აწუხებს მიცვალებულის სულიო, რომელსაც სურს ბავშვი თავის მოსახელედ დააყენოსო. ზოგჯერ დედა სიზმარში ნახავს, რომ მიცვალებული ბავშვის აკვანს არწევს. მაშინ მშობლები მესულთანესთან მივლენ და სთხოვენ მიცვალებულის სულის გამოცნობას. მესულთანესთან ოჯახის მიცვალებულის სუფრას დასდგამენ, სანთლებს აანთებენ და მესულ-თნე დაიწყებს სულების ჩამოვლას. ბოლოს ის ერთზე შეჩერ-დება და იტყვის იმ მიცვალებულის სახელს, რომელიც ბავშვს

ატირებს. ამის შემდეგ შშობლები ბავშვები ამ მიცვალებულის მიერ არქმევენ.

ამასთანავე, ბავშვი რომ კარგად გაიზარდოს და ხატმა არ და-  
ამიზეზოს, ხშირად მას ხატის სახელსაც არქმევენ, როგორიცაა,  
მაგალითად: ღვთისო, გოორგი, აშექალი, სამძიმარი და მზექალა-  
სე რომ, ჩვეულებრივად ხევსური სამ სახელს ატარებს. ამას თუ  
იმასაც დავუშატებთ, რომ ხევსურეთში რძალი მაზლს სხვა სა-  
ხელს არქმევს, ბიცოლა კი ძმისწულს სახელს შეუცვლის, თუ ის  
მისი ქრისტიანული მოსახელეა, მაშინ ხევსური რამდენიმე სახელის მატა-  
რებელი გამოვა. მაგალითად, დავით ბალიაური რამდენიმე სახელს  
ატარებს: მღვდლისა — პეტრე, სულის სახელი — დავითი, რძლი-  
სა — კირჩლა, ხატისა — გოორგი, დედის ძმის ცოლისა — ბეჭი-  
ძეა.

ქალებსაც ორ-სამ სახელს არქმევენ.


და ა ჩ ვ ნ ე ბ ა. ბავშვი რომ ერთი წლისა შესრულდება, მას  
საფეხზე დასვამენ და, თუ ქალია, გარშემო შემოუმწერივებენ  
საქსოვ-საკერავს, ტალავარს, საგარცხელს, სართავ-საჩეჩს, პურ-  
სატანს და სხვა. ვაჟს კი — ქამარ-ხანჯალს, თოფს, მშვილდ-ისარს,  
პურს და, რომელ მათვანსაც ბავშვი ხელს წაავლებს, იმისადმი  
ექნება სურვილი და ინტერესით.

ვინც ბავშვის პირველ კბილის ამოსვლას შეამჩნევს, მას უცხო-  
ბენ მოგრძო ხავიწიან პურს კუ ბატს, რომელიც მან უნდა შე-  
ჭამოს. ხუთ წლამდე ვაჟს თავს არ მოჰპარსავენ, მხოლოდ მაკ-  
რატლით თმის „წასწორება“ იციან. მეხუთე წელს ლუდს იაღუ-  
ლებენ. საყლავს დაკლავენ და სამღვთოს იხდიან. აქ ხუცი იხუ-  
ლებს და ბავშვს „ჯვროლმერთებს“ იგი ასე შეავეღრებს: „ღმერ-  
თო დალოცვილო, აუშვი ეს ბალლი, მოლაშქრენო ღვთის შვილ-  
ნო, მშობლები გეხვეწებიან ამის გაზრდის; ყველა დღე დაბე-  
რებამდე, მშვიდობით აპარსვიეთ თავ“—ო. ყველანი იტყვიან: „ამინ,  
ღმერთო, გაზარდე, უშველეთ, ხევსურეთის სალოცავებო, აუშვით  
ეს ბალლი, ამშვიდობიანეთ და დედ-მამას გაუზარდეთ“.

შემდეგ ერთი ვინმე ბავშვს კალთაში ჩაისვამს, თავზე დანას  
მოუსვამს და თმის გადაპარსავს.

ბავშვების აღზრდაზე, განსაკუთრებით ვაჟებზე, უფრო მამა  
ზრუნავს, რადგანაც, ხევსურის გაგებით, შვილი მამას ეკუთვნის.

ამიტომ პატარაობიდან შეიღები მამას უფრო ეტრიან და მასთან წევებიან. ვაჟებს უფრო ყურადღებით ზრდიან და კარგად კვებავენ, რათა მაგარი და გულადი ვაჟკაცი გამოვიდეს და ამასთანავე ხევსურული რჯულისა და ადაოების კარგი მცოდნე და აღმსრულებელი. ვაჟებს ხევსურეთში პატარაობიდან ავარჯიშებენ



ხევსურული ჭავშანი.

ფარიგაობაში და მშევილდ-ისრობაში და, მეგვარად, ხევსურები ბავ-შვილიდან ემზადებიან შულლისა და კეჭნაობისათვის.

ხევსურეთში ვაჟებს პატარაობიდანვე ხანჭლებს ჰქილებენ და 10-12 წლის ყმაწვილი იარაღს ზოგჯერ თავისუფლად ხმარობს. ვაჟებს პატარაობიდან უნერგავენ ხევსურულ გორიზობას, სიმკაცრეს და გამძლეობას. მამები ვაჟებს დიდთა წრეში ზრდიან, აჩვევენ საუბარს და ასწავლიან ხევსურულ აღათ-ჩვევებს. ამასთანავე, მოზარდ თაობას უფროსები ერთგვარი პატივით ექცევიან, ფეხზე უდგებიან და ხელის ჩამორთმევით მოიკითხავენ.

საბავშვო სათამაშოებში აქ იციან: კოჭაობა, რომელსაც ჩეცულებრივი წესით თამაშობენ.

შუდგანაობა ან ქუდმოურაობა. აევთებენ წრეს, რომლის შუაში ქუდს დებენ. ამ ქუდს მცველი უდგას. სხევები ქუდს ეპარებიან და ცდილობენ, ფეხი გაჰკრან მას და გააგორონ, ზაგრამ მცველი მას წიხლებით იცავს და, ვისაც მისი წიხლი მოხვდება, ახლა მან უნდა ჩადგას თავისი ქუდი და თვითონვე მცველად დაუდგეს.

თვალჭირაობა. ერთს თვალს აუხვევენ, ის ხელებს უკან გაიშვერს, სხევები მიელენ და ხელზე ხელს დაკრავენ; ვისაც თვალჭირა გამოიცნობს, ახლა თვალს მას აუხვევენ.

წიწკაობა. დებენ სამ წიწქს (ჩხირს). ერთი ზურგშექცევით დადგება და მან უნდა გამოიცნოს, თუ რომელ წიწქს დაადო ხელი წიწკან მჯდომმა. თუ ვერ გამოიცნო, წიწკან უნდა თვითონ დავდეს.

ჯართმოვლა. მოთამაშენი დასხდებიან. ერთი მათგანი ხელში ქუდით მათ ჩამოუვლის და ქუდს ერთ ვინმეს ზურგს უკან ჩუმად დაუგდებს; თუ მჯდომმა ვერ გაიგო, უნდა აღგეს და ახლა მან ხელში ქუდით უნდა ჩამოიაროს.

ტამფაობა. მიწაზე წრეს შემოხაზავენ და ტამფას (მოკლე ჯოხია) დადგამენ. ტამფასთან დადგება ერთი მოთამაშე, რომელსაც ხელში კეკია (მოკლე ჯოხი) უჭირას; მეორეს კი გრძელი ჯოხი იქვეს. ერთი კეკიას ესვრის ტამფას და გააგორებს, მეორე კი ტამფას დაიჭირს და პირველს გამოეკიდება; ვინც გაიტანს, ის გამარჯვებულია.

კეკიაობას რამდენიმე ბავშვი თამაშობს. ამოთხრიან კვაფს (ორმოს) და ყველანი ცდილობენ კეკია კვაფში ჩააგდონ. ერთი მოთამაშე კვაფთან დგას ჯოხით და კეკიას გაუქნებს. თუ მოარტყა, მას შორს გაისურის და კვაფს ააცლებს. ხელჯოხიანმა თუ ვერ იმარჯვა და კეკია კვაფში ჩავარდა, ის მოიხსნება და ახლა სხვა დადგება.

ცოლტკეციაობა. ერთი მოთამაშე ჯდება, მეორე მას მცველად დაუდგება და, ვინც მას ეპარება, ყველას წიხლით იგერიებს. ვისაც წიხლი მოხვდება, ახლა მცველად ის უნდა დადგეს.



ფანდურშე დაკვრა.


იციან აგრეთვე: ღორაობა, წიპნაობა, ბურთაობა, ფერქისული, ზურგოკიდება, მოკაჭვრა, ჩილება და სხვა.

მიცვალებულის გასვენება, ტირილისა და გლოვის წესები. ხევსური სიკვდილის წინ სულმდაბლობას არ იჩენს და მწუხარების დროს მან ცრემლი არ იცის. ვაჟაარს სიკვდილს უსაყვედურებენ და ეტყვიან: „არ გრცენისა, რაად მოხ-ძვედო“. აქ ვაჟაცის სიკვდილი სათაკილოდ მიაჩნიათ: ხალხის წარმოდგენით იგი საიქიოში ცოცხლობს და მას იქ გასამგზავრებლიდ საგანგებოდ ამზადებენ.

მავდრის დაკრეფა. მომაკვდავ იდამიანს ხევსურეთში

ხელში ანთებულ სანთელს ჩაუდებენ. ვაჟკაცს კი მარჯვენა ხელში ხმალს მისცემენ, მარცხნაში ანთებულ სანთელს და ეტყვიან:

„იალიმც შეხვალ, იალში გზაიმც ხსნილ გაქვ, სულიმც იალი, გზათამც ინათებ, ბნელაშიამც ნუ დასჩები, ნუმცრა დაგაშინებს, ქმლითამც ილალიო, მტერსამც იბრუნებო, გულ მაგარადამც ხარო. თავისებსამც შეეყრები, ცნობა-ნდობითა, განათლებითა, ერთადამც ხართო, ძმა-ბიძაშვილნიო“. ამ სიტყვების შემდეგ დამწერ სანთელს ართმევენ და ხმალს გვერდში დაუდებენ.



სავარჩიშო იარალები.

წინათ ხევსურეთში მომაკვდავი სახლში სულს ვერ დალევდა: მას კირში გამოასვენებდნენ და აქ ცისქვეშ კვდებოდა. მიცვალებული უწმინდურად ითვლებოდა და მას ოჯახში არ შეასვენებდნენ. აღამიანი თუ სულს სახლში დალევდა, სახლი უნდა გაენათლათ.

აღამიანი რომ სულს დალევს, მაშინვე ნარევებს დაუძახებენ. ნარევები უფრო უცოლო ახალგაზრდებია, რაღანაც, ხალხის რწმენით, მათში მეტია მადლიანობა და უწმინდურებაც ნაკლებად ეკარებათ. ნარევები მიცვალებულს ტანს დაბანენ, თავ-წვერს შეუსწორებენ და კარში დასვენებენ, რაღანაც მკვდრის სხეული უწმინდერია. ნარევები შეიძლება ათიც იყოს. ისინი ჯერ გაბანილ მიცვალებულს ერბოთი გაპოხავენ, ხოლო შემდეგ მას სამარხს ტალავარს ჩააცვამენ.

წინათ ხევსურები თავიანთ მიცვალებულს სუდარს აცმევდნენ. ივი შელგებოდა სამი გრძელი პერანგისაგან: პირველად აცმევდნენ



თეთრ პერანგს, მასზე ლურჯ ან ჭრელს, ხოლო ზემოთ წითელ ფარფაცია  
ს კლატის პერანგს, რომელიც მაუდისა ან ფარჩისა უნდა ყო-  
ფილიყო. სასუდარო პერანგი ბამბის ქსოვილისა ყოფილა. დღეს  
სასუდარო პერანგები არ იციან და მიცვალებულს ხევსურული ტა-  
ლავარით მოსავენ.

არხოტში, მიცვალებული სულს დალევს თუ არა, მაშინვე ლო-  
გინს გამოუცვლიან და სხვა კუთხეში გადასცვენებენ. ლოგინის ჩა-  
ლას ცაცხლს წაუკიდებენ; იტყვიან, სალო გინე იწვისო; ამით  
ყველანი იგებენ, რომ ადამიანი მიიცვალა.

ნარევები მიცვალებულს ყარაულობენ და, თუ ავდარია, მას დე-  
რეუანში დაასცვენებენ. ნარევები მიცვალებულის დასაფლავებამდე  
სახლში ვერ შევლენ და მათ საჭმელს მეზობლები უზიდავენ.

ჯვარიონნი და ჯვარის მსახურნი მიცვალებულს ვერ მიეკარე-  
ბიან და სამძიმრის (ჭირის წყენის) დროს ბანზე, სადაც მი-  
ცვალებული ასვენია, ვერ ავლენ და ჭირისუფალს შორიდან მიუსამ-  
ძიმრებენ.

პირაქეთ ხევსურეთში მიცვალებულს მესამე დღეს ასაფლავებენ.  
პირიქითში კი — მეორე დღეს. ამ ხნის განმავლობაში მთელმა სო-  
ფელმა უნდა იგლოვოს, იმარხულოს, თოფი არ ისროლოს, იუქმო  
და ამით პატივი სცეს მიცვალებულის ჭირისუფალს. მისამძიმრება:  
(ჭირის წყენა) ყველასაოვის სავალდებულო. კაცები ერთად  
შეჯგუფდებიან, პირზე ტალავარის კალთას აიფარებენ და მიცვალე-  
ბულს ისე დაიტირებენ.

მამროვანის ხმამაღლა ტირილი სირცევილია და ხევსური მამა-  
კაცი მიცვალებულს ხმით არ დაიტირებს.

ჭირის წყენის დროს მიცვალებულის პატრონს (მაგალითად, ვა-  
გას) ჭირის მწყენელი (მაგ. ხთისო) ასე მიუსამძიმრებს:

ხთისო. გაგავ, ვერ გექნას ჩემ თავი, მანამ ეგეთას გნახევდი  
ბრალი-ას, დიდ ღმერთის წყენა-ას, რომ შენ გულ დაწუხ-

დებოდას, შენ შვილ დაგაყლდებოდას (იტყვის მიცვალებულის  
სახელს), ჩემკვალ კაც მზეს იარებოდას, სიტყვას გეტყოდას.

გაგა. შენის მტრისაა დუშმანისა! ბრალ აისითაისაა რო თქვენ  
დაგითმავისთ, თქვენ მოგვდომიგათ. მავსჩებით შიმშილ  
წყურვილსა' ბეჩაობას.



ს თ ი ს ო. სიბეჩავე კი არაში გეკადრებისთა' არც გეჭირებსთ დან სადედუფლონ ხართ, ამამან — საბატონონი. კა მჭაბერის დაგცდებისთა' კა ცხენ-აბჯარი.

გ ა გ ა. მზე დაგვცდების კაცთ სწორი, კაის ნაცნობ-მაკეთის თავი. მისალოცავა-ას, ჩვენ სიკვდილი დასამადლებრ: მახვეთაო' მა-ისვენეთავ.

ს თ ი ს ო. ვისაც შენდ გაესვენებოდას, ღმერთმა შინით ნუ დაული-ვას, თავის და-ძმისა რო აისრ არ სწყინდას! გამოსაღებნ ხართ ძმისანი' მამი-ძმისანი, მტრის გამჯავრენა-ხართა' მაკეთის გამ-ლალენი.

გ ა გ ა. ღმერთმ საწყენ ნურა მიმიცას თქვენს თავს! თქვენ რო თავს დაიწყევთ, არც მთელნ ორთ იმის ფასნი' არც მკვდარნი.

ს თ ი ს ო. ღმერთმა შენ გულ კაით გაკურნას, მარქე ნუღარა მაგ-ცას, ავ კაით დაგაცილას, ვერ გექნას ჩემ თავ, გაგავ, რა გუ-ლის ღონობაში ჩაღვარდი!

გ ა გ ა. რაის კაისად ორთი? მთელნიცა' მკვდარნიც ბეჩაობისად ორთ. სრუ არ ას სატეხი ჩვენ სიკვდილი, მღონენა-ორთ ყველა-ისანი" და სხვა.

სევსურეთში ცოლ-ქმარნი ერთმანეთს ვერ დაიტირებენ და ხმა-მოთქმით ვერც თავიანთ შვილებს დაიტირებენ. ეს მათში სირცხვი-ლია და მშობლებს სულმდაბლობაში ჩამოერთმევათ. მხოლოდ დას შეუძლია ძმის დატირება.

კმით ტირილი დიაცების საქმეა. კმით მოტირალი ერთი ან შე-იძლება რამდენიმეც იყოს, თუ მიცვალებული სახელვანია. ხმით მოტირალს ჰირისუფალი დაიწვევს და, რამდენიც ხმით მოტირალია სოფელში და ოემში, იმდენ ს აჯ მით მატირლო კვერს გამო-აცხობენ. თუ რომელიმე მათგანი არ მივა, კვერს თავისი სარგოთი შინ უგზავნიან. სხვა თემიდან შემთხვევით მოსულ ხმით მატირალს კი არაფერი ეძლევა.

სევსურების წარმოდგენით, ხმით მოტირალს მიცვალებულის სული ირჩევს. ხმით მოტირალი პირველად ტირილს იტეს ახალ მიცვალებულის ტალავარზე. ის ჯერ დაიწყებს ბორგვას და კან-კალს. შემდეგ გაიქცევა; დედაცაცები იშერენ მას და ისევ ტალა-გართან სვამენ. ბოლოს ქალი კანკალით ტირილს დაიწყებს, მაგ-რამ გულს იღონებს და ქალები სულს ეხვეწებიან: „ნუ აწვალებ,

ცოდვა არის და ნუ უძალიანდებიო“. თუ ის ძალიან დატიანგავისამინებული გადასცემი ასასე მელს მოუმზადებენ და დალოცავენ. ამის შემდეგ სული მას აუხსნის და ხმით მოტირალი ტირილს დაიწყებს.

ტირილის დღეს აქ სამარხს ან ცრემლობის დღეს უწოდებენ. სატირლად გამართულ მიცვალებულს დასვენებენ ფარდაგზე. მიცვალებული მორთულია ახალი ტალავარით, ქამარხანჯლით და ოთფით, იქვე უწყვია თამბაქო, ახაყი და სამი მრვალი კვერი. მიცვალებულის გასვენების დღეს დაიწვევენ ნათესავმოყეთებს და მათ მოსაწვევად მტყობიერს აგზავნიან.

შეის გადახრისას ერთი ვინმე სოფელს გადასძახებს: „მოტირალთ უძახეთ“. სოფლის დედაკაცები შეგროვდებიან და მიცვალებულს მოუსხდებიან.

მიცვალებულთან დააყენებენ მის სულის ცხენს, რომლის აღვირი მიცვალებულს მარცხენა ხელში აქვს გამობმული. ხევსურის წარმოდგენით, ვაჟაკაცს საიქიოში სჭირდება ცხენი, რომლითაც ის ეგებება საჟიოში მიმავალ სულებს და მათ სააქაოს ამბებს გამოკითხავს. ამიტომ კარგ ვაჟაკაცს ოჯახმა სულის ცხენი უნდა დაუყენოს. თუ ცხენი მიცვალებულს არა ჰყავს და სიზმარში მკვდარმა თავისიანებს შესჩივლა, ცხენი არა მყავს და სულების მიგებებაში ჩემს ტოლ-ამხანაგებს უკან ვრჩებით, მაშინ ჭირისუფალი, შეწუხებული მიცვალებულის შიშით, იძულებულია, ცხენი იყიდოს და მას სულის ცხენად დაუყენოს.

ცრემლობის დღეს სულის ცხენს კარგად შეკაზმავენ და მის უნაგირზე გადაკიდებენ ხურჯინს, რომელშიაც ალაგია არაყი და ქადები. მოტირალი იიღებს მიცვალებულის ხანჯალს, დაეყუდება მასზე და დაიწყებს ხმამალო მოთქმით ტირილს. მოტირალი მიცვალებულის დედის, ცოლის ან დის პირით დაიტირებს ცხედარს მგრძნობიარე და მწარე სიტყვებით, სხვები კი ქვითინებენ.

ხმით მოტირალი დედის მაგირ შვილს ასე დაიტირებს:

„ქაის დედაო, გამიკვირდიო,  
ქას შვილს კი არცად გაუტევდიო,  
საც წავიდოდა, გაეხყვებოდიო!  
დღისით თუ არ გამიტევდესაო,

შე ღმისთ გავიძარებოდიო,  
 იყვიდიდი სიბრა საბურავსაო,  
 შვილს დედა გაუეხურებოდიო“.

„ვინ მოხკევ, ვის გაგიწყრა ღმერთიო,  
 ცა და რვალს პირი ვინ მასტეხო?!

შე კი არ ვიყავ მაცნაურიო,  
 კევსულ გნანობდეს კევსურეთაო:  
 „მამკვდარა მარაისძის შვილიო!“

გაგიტყდა ჭმაი სუყველეანაო,  
 გაგიგა მტერმა, მაკეთემაო...  
 შე შენი ცოლი გამიკვირდაო,  
 მთა-წვერთკე მიუდიან თვალნიო, —  
 არ ვიც, შენ უფრო ებრაულებიო,  
 თუ შვილ კალთათით გადუმცდარიო...“

„დედანი, ჩემის ნაცნაურსაო  
 სოფლელნიმც ნუ მოგიკვლენთ შვილსაო  
 იძანდის მეშველობითაო:  
 «მებო, ალარას მიშველთაეო? —  
 ჩვეც ვავდები, ღონე დამელივაო!»“

და თავის ძმას ასე დაიტირებს:

ჩემის გიჟაის ტალავაროო,  
 ფერწი ჩაყრილო, კრილიანოო,  
 დანა-სარტყელო სეედანოო,  
 პატრინის ნდობამოუქლავოო.  
 თოფი ჩიოდა სიათაო  
 გილდების ჩაგრიალებასაო,  
 ნაღირთად კვალის ჩამაქრასაო...  
 და შაგენაცვლას, თაგურო,  
 სუსტი ხარ, კლდები ვერ იდარგებო  
 ვინ-რა ახარებს ტერლის-წვერაო  
 ჯიქვთ ი სიმაგრეს დამალულთაო:  
 ზალახ მაძოვეთ უშიშრადაო,  
 მზეზედა შაიშარით ტანიო.  
 მომკვდარა ბაქალაურაიო,  
 ძმისადა მოუტეხავ მჯარიო...  
 და მზეს არ ივლის შენს უკენაო,  
 ვივლი, სრუ შავში ღავბერდებიო...  
 ნეტავ ლილველთვინ მამკვდარიყავო,  
 მტერ მისაყოლი ექნებოდაო.  
 გილირდეს მჯარი სათოფრადაო,

თორპილი საიარალედაო...  
 ნეტა ამაში(ნ) რა იგონეო,  
 ძმაო, რომ დაიმწუხენ თვალნიო,  
 დედის ცნობაა დაგეკარგაო?  
 ნეტა ის მაიგონიაეო:  
 „ცოლი ლამაზი დამჩა შინაო,  
 წივა და ობოლს გამიწირავსო“...  
 შენ ცოლ თუგინდა შინ წავიდასო,  
 ქელ ძმისწულს გაუზღი შვილივითაო...  
 თუგინდა გამამიმბა ქელსაო,  
 სადაც შენ წახვალ, წამიყვანეო,  
 თუნდა წავიდათ დედულთასაო  
 და თუგინდ შენ ცოლეულთასაო.

მაგრამ გამწარებულ დედ-მამასაც შეუძლია შვილი უცრემლოდ  
 დაიტიროს და ამას აქ და თვლას უწოდებენ. დედის „დათვლა“:

„დედო... რაად დამეწერე? რაად გზარდე, რადარ დედა დალ-  
 მარე? რაკელ ბეჩავ გამწირ... შენ ისა-გვინავა, რომ ჩემ დედა  
 ჩემ სახლჩი დადგებისავ?

დედოო... გაოკრებულს სახლჩი დედ-მამანიც ოქერნ მავრჩით,  
 სუყველა გაოკრებული... დებზე რას ხფიქრობ, დედო.

დედოო... ან იარაღზე რას ხფიქრობ? საისკე მიხოლ, დედულ-  
 თას მიხოლა? მიაც იქისკე წამაოლ... ან თავის თოფ-ოქერს რას  
 უზამ, ან თავის ცხენ-ოქერს რას უზამ? შენ ბიძას უთხრიდი: „არა  
 გცხვენისა, ერთარ-მყვანდ, რადარ შეეცადე, რადარ მიეშველე?“  
 წავალ, დედილამ, დავიკარგები! დაიცა! დამღონე კია, მიაც დაგა-  
 ლონებ: წავალ, თავს მოვიკლავ! მეედითა(ლ), თქვენი ჭირიმეთ,  
 თოფი(ლ) დამკარით!

დედოო... წავალ, წავიღებ ნამაშერალს; ვერ ვიჭერ შენ ოქერ  
 მამას თვალითა შენ ოქერთ სახლოთ...

დედოო... ალარ დაგიდგამ ტაბლათ, წავალ და ჩემ წილ-ნაწილს  
 მივიღება აიმით შავენახვიები...

დედოო... ლოდ შენ დედასა' მიწაი ლოგინზე ვერ გეჩერობდი  
 დასაწილად, მიწაჩი როგორ გიგონ? შენ სწორ-ამხანაგებს ვინ გა-  
 ხენებს?

დედო... ჯვარში ვერ წახვა, ვერ მეემზადები? მიაც არ გამა-  
 გარებიხარ...

დედო... ამძრახდი(ლ), რამთვენს გეუბნები...

დედოო... დედოო... ვერ გავიძლებ! გამატეხივ სირცხვილ-ზამუ-  
სი...

დედოო... ნუ დალონდები, არა გინდ, ჩვენ ნუ გვიგდებ ყურს.  
თიბის შამშაბათ მოგვიხვედი' სხვა არა გინდ, თორე არვინ მოგვი-  
თიბს, მამაშენ თიბაზე ვერ წა. რახან ცხენ-მკედრებ ემზადებო-  
დან, მაშინ მოგვიხიდი, ცხენს დაგიმზადებ. გაჭირებაში დევშველ  
თავის სწორებს.

დედოო... ის მაინც არ გარცხნისა, ბიძაი, რო იმის ანაბარას  
მოვრჩით? ვის მიგვაძარე? თავის ქალ-ზალ გხედავს, ადე, ნუ  
სწევხარ, სირცხვილ! ვერ გამოვიყსნი შენ თავს, რომ შავეხვერ  
ჯვართ?

დედოო... დღეს დავიმალნათ დედა-შვილნი, თორე თავ-თავად  
გაგვყრიან! დედოო... დღეს სამუდამო სახლს გიმზადებენ.

დედოო... სახლს ბოძნი(ლ) შამაშტრენით, თქვენიჭირიშეთ, და  
სახლნ დაგვცენით, სანამ ეს შინ ას!

დედოო... რადარ სახლნ დაგვეცნეს, ქეთ გატყდ! ვერ გავიძლებ,  
თავს მოვიკლავ!

დედოო... შენს წინ გამავალ სახლშიით!

დედოო... მიწანიმც კსნილნა-გქონ, გზან — იალნი, ნუმცარა  
შაგაშინებს! მშვიდობით! ჯვარი გეწერას! ჩემ ამაგი ალალ იყოს  
შენზედ, ჩემ უბე-კალთი' ჩემ ძუძუ!“

მტირალი როცა იღლება, მას ახლა მეორე მოტირალი შენაც-  
ვლება, ზოგჯერ მოტირალს მა ა ა ხ ი ნ ა ლ ი პასუხობს სხვა კილ-  
ზე, მაძახინალი რადალი ან მკედრის ბიძაშვილია. ტირილის დასას-  
რულს მიცვალებულს ფარდაგიანად. ნარევები ასწევენ, სულის  
ცხენს ცოლი დაიჭერს, იგი ცხენს მათრახს სამჯერ გადაპრავს და  
ხმამაღლა იტყვის:

„შენამც გეჭმარებისა შენიმც საფერჩე იქნების, ტალავარიც  
შენიმც საგმარი იქნებისა, ძალითამც ნურავინ გამოგეყიდების“. ნარევები მიცვალებულს სამარისაენ წაასვენებენ. ჭირისუფალი  
შუაგზამდე გაჰყვება. აქ ცხედარს დაასვენებენ, დაიტირებენ და  
ჭირისუფალი შინ გამობრუნდება. ნარევები მიცვალებულს ფარ-  
დაგში შეახვევენ და მას სამარისაენ წაასვენებენ.

მესაფლავები სამარეს გასჭრიან და მას სიპებით ამოაგებენ.  
მიცვალებულს ამ სიპის ყუთში ფარდაგიანად ჩაასვენებენ და ზედ

ქეჩას ან რამე ფალასს დახურავენ. სამარეში ატანენ საგ გ ა ლ ს: სამ მრგვალ კვერს, სათუთუნეს, ასანთს და ბოთლით არაყს. ამას-თანავე, ჯიბეში თეორ ფულსაც ჩაუყრიან. ზოგი ქამარ-ხანგალსა და ვერცხლის სამკაულებსაც ჩაატანს. წინათ გაუთხოვარი ქალი ნიშნად დიდი მწუხარებისა ნაჭაპნს (ნაწნაეს) იჭრიდა და ძმას სამარეში ჩაატანდა.

სამარეს სიპებით დახურავენ, მესაფლავეები და ნარევები მას შეუჭით მიწას მიაყრიან და თან იტყვიან: „იალიმც შახოლ იაღმის გზაიმც ხსნილ გაქვის, სულიმც იალრ-გაქვის, ნუმცარა მოგვეგბების ნათქომი ან ნაქნირ ცული!“ შემდეგ მიწას მიაყრიან და სამარეს ფეხებით დატკეპნიან.

მიცვალებულის საფლავზე შეძლებულები აგებენ კოშკს, მაგრამ ზედ წარწერა და რაიმე ნიშნის დადება არ იციან. კოშკი პირამიდულ-თავიანია და გარშემო თეორი ქვებია გამწერივებული. ნარევები და მესაფლავეები მიცვალებულის ოჯახში ბრუნდებიან, მაგრამ სახლში მეექვსე დღემდე ვერ შევლენ, სანამ არ გაინათლებიან. არხოტში სასაფლაოდან დაბრუნებული ნარევები ხელ-პირს იბანენ და შემდეგ ასრულებენ თოფის გატეხას. ამისათვის სახლის ბანზე სათოფეს (მრგვალ პურს) დააყენებენ, ზედ მას ფარჩას გადააფარებენ და თოფს ესვრიან. ამის შემდეგ სოფელში ყველას შეუძლია თოფის სროლა.

მიცვალებულის ოჯახში ამ დღეს იმართება პირველი რიგი, რომელსაც სამარეს ან ცრემლობას უწოდებენ. წინათ ცრემლობა დღეს პირიქით ხევსურეთში ყველა ოჯახს შესაწევარი უნდა მიეტანა ერთი ლიტრა ქერი; ვინც არ მიიტანდა, ძალით ართმევ-დნენ. ნათესავებში კი ყოველ კომლს თუ არა, ორ კომლს მაინც უნდა გამოეხადა ერთი ქვები არაყი მქვდრის პატრონისათვის; შეიძლებოდა ლუდიც მოეხარშა. თუ მეშაბათე (ნათესავი მე-შეიდე თაობამდე მეშაბათე იყო) რიგში არ მოვიდოდა და ჭირი-სუფალს ლუდით და არაყით არ შეეწეოდა, ეს სირცხვილი იყო. ხევსურული ადათით მეშაბათემ ჭირში თუ ლხინში თავის ნათე-სავს მხარი უნდა დაუჭიროს.

ცრემლობის დღეს გაიშლება სამარხის სუფრა. ჭირისუფალს პირი უნდა აეხსნას და ამ მიზნით ასრულებენ საპირი იჯ ს ნოს და პირი ს ჭერის წესებს. ამისათვის საყლავის ღვიძლს შე-

სწვავენ; ჭირისუფალი და ნარევები ამ ღვიძლს სამჯერ მოკვეთებულია და ისევ გამოაფურთხოებენ. შემდეგ ჭირისუფალი საგვარეულოდან პირის მჭერს, ორ კაცს და ერთ ქალს ირჩევს, მათ ქვემო სართულში ჩაიყვანს, დასვამს ყვერფთან, სადაც ცეცხლი ანთია, და თითო ქადას მისცემს. პირისმჭერნი ხმას არ იღებენ და პირდადუმებულნი სხედან. სულის ხუცი იქ ჩავა და ქადებს აკურთხებს. ამ დროს პირისმჭერნი ქადებს სამჯერ შემოატრიალებენ და შემდეგ უჩუმრად ამ ქადებს თავიანთ სახლში წაიღებენ. პირისმჭერნი ისევ უკანვე ბრუნდებიან, შევლენ მიცვალებულის სახლში და სარქმელს ფიცარს მიაფარებენ. ამის შემდეგ მათ ნება ეძლევათ ილაპარაკონ და ქელებში მონაწილეობა მიიღონ.

რიგის სუფრაზე პირველად ქალები სხდებიან, მათ ჩამოურიგებენ პურს, ყველს და ხავიწიან ჯამებს. ქალებს შეასმევენ შესანდობარ არაყსა და ლუდს. ქალები ჩქარა იშლებიან და შემდეგ ქელების სუფრას მამაკაცებს გაუშლიან. ახლა ისინი დაიწყებენ მიცვალებულის შესანდობრის სმას.

წასვლისს მოკეთებს ეძლევა წილბურკვი ერთი კვერი და ერთი გირგანქა ერბო. ხმით მატირალს კი ეძლევა საკმითმატირალო — ერბო, ქადა, მატყლი და ცხვრის ღუმა.

მიცვალებულის ტალავარს ოთახის ერთ კუთხეში ტახტზე გაშლიან, სანთელს უნთებენ და საჭმელსაც დაუდგამენ. მოკეთები სატირლად რომ მოვლენ, ამ ტალავარს სახლის ბანზე გაიტანენ და დაიტირებენ. ტალავარი გაშლილია წელთავებამდე, შემდეგ მას აიღებენ.

ცრემლობის ამ რიგით არ თავდება ხევსურეთში მიცვალებულზე ზრუნვა: ამას ჩქარა მოჰყვება მეორე რიგი — სანთლობა. ამ დღისათვის საკლავებს დახოცავენ, ლუდსა და არაყს მოამზადებენ და დაიწვევენ ნათესავ-მოკეთებს, რომლებსაც თან მიაქვთ შესაწევარი არაყი და პური. სანთლობას სახლის კარზე ტალავარს გაშლიან და მოტირალს დაიწვევენ. ყველას სანთლებს ჩამოურიგებენ, ორსულ დიაცს ორ სანთელს მისცემენ. გოდება-ტირილის შემდეგ სულის ხუცი მიცვალებულის ტაბლის სახელს შესდებს და ქურთხევას პირქარით დაიწყებს:

„ლმერთო, დიდება შენდა, ლმერთო, მადლი შენდა, ლმერთო, დიდებისა“ მადლის მეტ შენ არა მოგევსენების! ლმერთო, გეძას



(იტყვის მიცვალებულის ჭირისუფლის სახელს), ღმერთო, გეხვევიშვილის, წების, ღმერთო, შაიხვეწე, ღმერთო, იხვაიშნე, ნაცემად აქმა' ნაცემისად აადგინე! ატირდა' ატირდომისად გააცინე! ღმერთო, ნუ დაღლევ შენად საკსენებად, სულის საგონებად! ღმერთო, ახვალ კელი და კმალ მტრისა, კმა სიკვდილისა! უზუბუქეთ, წმიდა ხეთიშობელო, თავნო-დ' მთავარნო, ცისა ნათელნო, სულთ ამბოვარნო, სულთ წინამძღვარნო, თქვენ მიუთვალეთ, თქვენ მიუჩინეთ მანდიურ რიგითა, მანდიურ წესით, წირვა-მწირველთა უამითა, ერუშმალეთის ნათლით, ქრისტის გარიგებით!

საცა ქრისტიან პურობენ, ანგელოზნ უამობენ, ცოდვიანნ ნანობენ, მადლიანნ გაისვენებენ, სულმიდა მოიგსენების — საცა შენ ხარ (იტყვის მიცვალებულის სახელს), სული შენი მოიგსენების, სულს შენსამც მეექმარების დადგმულ ტაბლა, დაკრულ სანთელი, დაჭვრეთილ ხოთის წესი, ყანწი-დ'; ჰურჭელი, საძაოს გამოქჩერებული სამანდაოს შენიმც საჯმარა, შენიმც საგძალრ, ცოდვისამც იაღად მქნელა! მჟყელსა' მჯავრესამც გარიდებს, სამძიმარსამც გიზუბუქებს, ცოდვასამც გნდის წინ მაგებებულს, უკენ მაწეულს, სიკვდილის დღეს დამწყვდეულს, კელით ნაქნარს, ენით ნათქვამს, თვალით ნანახს, ყურით განაგონარს!

შამოვიდა ანგელოზი ფექითა ქრისტესითა, ქრისტეო ღმერთო, დასწერე ჭვარი სულსა ამასა, სუფრასა ამასა, კარსა ამას, სარქმელსა ამას! შენ, დედაო დიღის ღვთისაო, დიღის სახარებისაო ცაო ქერებისაო, ღურბელო ნათლისაო, მფარველო სულისაო, მხევეწეო კაცისაო. სამართალო ღთისაო, იყავ ბრძანებისაო! ალალ უყავ, მრავალთა მოწყალეო!“.

იქ დამსწრენი იტყვიან: „შაუნდნას, ალნალ მააწმარას ღმერთმ!“ და ყანწით სასმელს შესვმენ.

ამას ხუცი მოაყოლებს კურთხევას:

„ცია ღმერთი თიკუნი კურთხევა ჩენენდა ღირსია მარადისადმი. კურთხევა ცეცხლის კრავისა აბრამისათა, ზესით მსხვერპლი მოდიოდა პურუმთა თუ პურმატყველთა, დაუტოვნა სიონელმა ასი ვაცი, ასი ვერდი წაიღეს და წამოიღეს აიმ მთათა თავისათა სახარებო მურკოზითა, რომელიც გამოჩნდებოდა ქებითა შენითა მიხიელ სარჩევლისითა ან დედაკაცისითა ან მამაკაცისითა. გამოჩნდა შაბათს დღეს მარიამ მაგავდანელია იესო ქოროზმანელია მაიკითხნა

მოძებარნი ჩვენდა, ჩვენი მწევრისანი, წავიდეს და უფლებულებელი გადასახლება და აღგომა რეამთა მოგეწიენით კაცი მდიდარნი ცხომალთა ამპარტიონთა. უფალო, შენია დღე და შენია ღამე. შენ დააკვისე ბნელი და ნათელი, შენდა გიარა ერმა ყოველმა. უფალო, აკურთხე პური და მარილი სკანი სკანალე წყალს იორდანე, ღვინო გადმოსცვალე. აკურთხე, უფალო, წინ დაგებულითა ხუთითა ხუდაბურითა, რომელმაც ას თორმეტნი აავსო, არ მისითა ნესტითა, ხუთ ათასნი დააძლნა. უფალო, წასვლითა შენითა პავლე მოვიდა, მოკვდა ცოდვათა მისა წილთა განაიმნა ასთორმეტნი მოციქულთა, ხოლო ღმერთსა მაღლი მისა მე გინათო. ლოლნი ვინ გადააგორნა, კარნი გადააღანა, მისანი შიგ ნაწოლნი შააშინნა, უდედონი მგვლევარენი. სიხარულია სიტყვა ურწყისა, უკვდავის მარიამისა.

ქრისტემა სთქვა წმინდა ვორ გამოველ გამორიბული, გამდი გამოვეცხადენი, თუ ვინიე ხართ ბნელეთშია, ან ბერი ან უძლური ჭორუნი მოქსდევენ უფლისანი სისხლნი მაცხოვებისანი, რომელნიც დუღდა და გადმოდიოდა, გადმევეცხებოდა თმასა და წვერსა დავითინონი შენისა. უფალო, თესლი ევია, რომელნიც სამნი ყარმანი, მარმანი სმენ და ჭამენ მაგათ ტაბლისაგან არას შეგვერვენებოდა მთიალო ამალლებოდა სული წმიდა გადადაბლდებორა. ამინ.

ყველანი იტყვიან: „შაუნდენ, მრავალთა მოწყალე ღმერთო!“ და შესანდობარს შესვამენ.

ამ დღიდან გლოვის ნიშნად მამროვნმა „თავი უნდა გამოუშვას“ და თმა-წვერი დაიყენოს, ტალავარიც გადაბრუნებულად უნდა ატაროს და ჭრელი საბეჭური თალხი ნაჭრით დაიფაროს. მგლოვიარე ქალები მოქარგულ ფარაგა-სამწყვეტლოზე შავ ნაჭერს დაიკრებენ და მანდლის კანჭს გლოვის ნიშნად ჩამოუშვებენ.

ახალმიცვალებულს ხევსურეთში ერთი თვის განმავლობაში წყარო უნდა აუგონ. ხევსურის რწმენით, მიცვალებულს წყალი სჭირია, გამვლელი დალევს და შენდობას ეტყვისო. ამ მიზნით სოფლის მახლობლად ნაკადულს მოძებნიან და აქ სიბი ქვისაგან აუგებენ სულის წყაროს, რომლის ლულიდან გადმოდის ან-კარა და ცივი წყარო. სულის წყარო ხუცმა უნდა აკურთხოს. წყაროსთან მიიტანენ მიცვალებულის ტაბლას და იქ დასდგამენ.

ამ ტაბლაზე აღაგია კეცეული, ქადის-კვერები, პური, ერბოიანი რძე, არაყი და სხვა.

ხუცი იხუცებს, ტაბლას ეურთხებს, მიცვალებულს შენდობას ეტყვის და წყაროს წყალს შესვამს. წყაროს ნიშის თახჩაში კვერებსა და ყველს შესდებენ. შემდეგ ყველანი ტაბლას მოუსხდებიან და მიცვალებულს შენდობას ეტყვიან.

დოლი ხევსურეტში ჩვეულებრივად სანთლობას იციან, თუ ეს ღრო ზაფხულია, ზამთარში კი ხევსურეთის პირობებში ცხენების კვერება შეუძლებელია, ამიტომ დოლს უკავშირებენ ზაფხულის ერთ რომელიმე რიგს, მხოლოდ ეს დღე მარხვა არ უნდა იყოს. დოლი აქვთ კაცუალის მოსაგონად იციან, მაგრამ შეიძლება დოლი აგრეთვე საპატიო დედაქაცსაც გაუმართონ.

ამ დღეს ჭირისუფალი სადოლე სუფრას დადგამს და მიცვალებულის ტალავარსაც იქვე გაშლის. სადოლე სუფრა ზოგჯერ ოჩ-სამ ნათესავის სოფელში დაიდგმის: დედისძმისას, მამიდისას და ცოლეურში, სადაც ლუდს აღუდებენ და მედოლეებს გაშლილი სუფრით შეხვდებიან. დოლში მედოლეთა რიცხვიც განსაზღვრულია 4-13, ეს რიცხვი კენტი უნდა იყოს. დოლში მონაწილეობაც ყველას არ შეუძლია: ნარევები და მიცვალებულის სოფელი წილს ყრიან და, ვისაც წილი ერგება, დოლში ის გადის. მეგდრის ბიძაშვილები რიგით მიღიან, მხოლოდ დედისძმებს, მამისახლს, დეიდაშვილებსა და მამიდაშვილებს მუღამ შეუძლიათ მონაწილეობის მიღება.

დოლში მიცვალებულის სულის ცხენს პირველი ადგილი უკავია: შემდეგ მას რიგით მისდევს: დედის ძმის ცხენი, მამიდის, მიცვალებულის გვარის, ცოლეურის, დების, მეგობრების და სხვა. ორ კაცს მედოლეს ირჩევენ, მათ ევალება დოლის შესრულების თვალყურის დევნება, სისწორის დაცვა და საჩუქრის განაწილება.

სადოლე მანძილისათვის ირჩევენ იმ სოფელს, სადაც მიცვალებულის სადოლე სუფრაა დადგმული. მხედრებიც მოგროვდებიან, ცხენებს ფარდაგზე ქერს დაუყრიან და შეაჭმევენ. ამ უბელო ცხენებს ფაფარი ლოლუებად აქვთ დაწნული და თეთრ-წითელ ნაჭრებით შემუშავებენ. მიცვალებულის ცხენიც შეკაზმულია და იქვე ცოლს უჭირავს.

ხუცი მიცვალებულის ტაბლას აკუროხებს, შემდეგ მეღოღე  
ჭირისუფლის პირით მხედრებს ეტყვის:

„იყურეთ, მჯედრებო, მე რასაც გეტყვით, საცა გზას მოგცემთ!  
მე არაფერს დავაყენებ ისეთს, რო თქვენ სახლში არ გქონდასთ,  
ან არ გეშოვებოდასთ. ნუც მკედარს გამიჯდით საკრულავად, ნუც  
ცოცხალს გამიჯდით ცოდვათ საყრელად, — ნურაით დაზიანდებით!  
მე გთხოვთ, მშვიდობიან გზაზე იდინეთ. წახვალთ აქითა’ დედის-  
ძმათ ტაბლაზე მიხოლთ, მემრ დის ტაბლასთან, იმ ტაბლასთანით  
დაღბრუნდებითა’ ცოლეულთ ტაბლაზე მიხვალთ, ცხენიც იქ დგას,  
ცოლეულთ ტაბლაზე. მიხვალთ, თითო ყანწ არას შასომთ, მემრ  
დაღბრუნდებით თქვენი ნებით — გამამქუც გამაიქუცით, დამ-  
ბრუნავ დაღბრუნდებით. გზით არავინ დაღბრუნდათ, თორემ არ  
მოგცემთ ჭაჭანს დოლვისას, საჭინაო დოლვ ცოლეულთ დასჩების.  
თქვენ იცით, ნურავინ გამალაპარაკებთ!“

ამის შემდეგ მათრახს მისცემენ იმას, ვინც სულის ცხენზე ზის,  
და ის მხედრებს წინ მიუძღვება. ცხენოსნები მოტირალ დედა/ა-  
ცებს სამჯერ შემოუვლიან და სადოლედ დანიშნულ სოფლისკენ  
გაჰენდებიან.

მხედრები დანიშნულ სოფელში მივლენ და სადოლე სუფრას  
მოუსხდებიან: მიცვალებულს შენდობას ეტყვიან და შემდეგ იქი-  
დან ყველანი ერთბაშად მიცვალებულის ოჯახისაკენ გამოკენდე-  
ბიან. მხედრები დაწინაურებას ცდილობენ. სადოლე მიჯნაზე ჭი-  
რისუფალს მედოლე უყენია, რომელიც მხედრების გამარჯვებას  
თვალყურს ადევნებს. ვინც მიჯნას პირველად გადმოლახავს. მას  
ეძლევა პირველი საჩუქარიც. ზოგჯერ, თუ მხედარი სადოლე მიჯ-  
ნას მიუახლოვდა, მას ნება ეძლევა ცხენიდან ჩამოხტეს, ცხენს  
აღვირი წაჭყაროს და ხელში აღვირით გამოიქცეს, მიჯნის ხაზზე  
გადახტეს და პირველი საჩუქარიც მიიღოს.

ეს ხევსურული დოლი გულშემზარვია: პირველობის მაძიებელი  
მხედრები ციცაბო და დადალუდა ბილიკებზე დგრიალით მიპქრი-  
ან. მოელი სოფელი ღელავს და ელის დაწინაურებულ მხედარს და  
გლოვას ჩქარა გამარჯვებულთა ყუინა ცვლის.

შეძლებული მიცვალებულის დოლზე პირველი საჩუქარი ფეხითი  
ძროხაა, მეორე სამი ცხვარია, მესამე ორი ცხვარია, მეოთხე კი

ერთი ცხვარი. დანარჩენს უნაშილებენ მიცვალებულის ჩაჩქანს, სამკლავეს, ცხვრის ტყავს და სხვა.

ღ ა ბ ა გ ი. ახალ მიცვალებულს სულთაკრეფა დიდმარხევის მეორე კვირას, შაბათ დღეს იციან. ხევსურები ამ დღეს თავიანთი მიცვალებულების შესახვედრად ემზადებიან და მათთვის სხვადასხვა სახის კვერებს აცილებენ: ოთხყურას, მთვრისებურს, რქიანს და სხვა. ამ კვერებს დანიშნულ ადგილზე წაიღებენ და იქ ნიშანში დგამენ. თითოეულ კვერს გვერდში დაუდებენ ზოგს მარილს ან წინდას, ზოგს თამბაქოს, მატყლს და სხვა. ქალის ღაბაზზე ქალის ტალავარის ნაწილებს დებენ. მეღაბაგები ამ პურს ნიშანში ესვრიან, დიდები თოფებს, მცირეშლოვანები კი მშვილ-ისრებს და, ვინც პურს მოახვედრებს, მის გვერდზე მდებარე საჩუქარიც იმისია. თუ ღაბას სტუმარი დაესწრო, პირველად ნიშანში მან უნდა ესროლოს. ყველას ყანწით არაყს სთავაზობენ. დამლოცავი იტყვის: „არაყის პატრონო (იტყვის სახელს), ღმერთმა აგაშენას, მშვიდობით გამყოფას; სულის გონებად ნუ დაგლივას. ბარაქა მაგცას სულმაც, ჯვარმაც“.

წელთავება იციან მიცვალებულის წლისთავზე. ამ დღისათვის ლუდს ადულებენ და არაყს გამოხდიან. დაიწვევენ მოკეთებს და მოელს სოფელს. ჭირისუფალი ტალავარს გამოიტანს და ხმით მოტირალი მიცვალებულს ამ ნიშანზე ჩვეულებრივ წესით საჭერ დაიტირებს. ტალავართან სულის ცხენი უყენიათ, რომელიც სამზაგროდ არის შეკაზმული. სულის ცხენი მიცვალებულის ცოლს უჭირავს.

მიცვალებულის ტალავრის დატირების შემდეგ სულის ხუცი გაშლილ ტაბლას სახელს შესდებს და ლუდს აკურთხებს, შემდეგ ტაბლას დასდგამენ და ქელებს შეექცევიან, სვამენ სასმელს და მიცვალებულს შენდობას ეტყვიან.

ამავე დღეს მიცვალებულის ტალავარი აიბერტყება და ეს ტალავარი და მასზე დალაგებული სამეკაულები დედისძმებს ეძლევა, ზოგჯერ კიდევ მკვდრის ტოლ-ამხანაგებს. პირიქით ხევსურეთში ტალავარის აბერტყის დროს ტალავარზე სამი კვერი და ყველი უნდა ეწყოს, რადგანაც, ხალხის რწმენით, სანამ მიცვალებული საიქიოში დაბინავდება, მას საგძალი სჭირია და ის ამის

შინ დადის. ტალავარის აღების შემდეგ კი მიცვალებული შინ არ დადის და მას საგძილიც არ უნდაო.

სულის ცხენს წინათ დედისძმის და ბიძაშვილს აძლევდნენ, ამათ შემდეგ ცოლეულს, დისტულებს და ძმობილსაც აჩუქებდნენ. სულის ცხენი თუ სიზმრით იყო დაყენებული, ის ეძლეოდა მიცვალებულის მეგობარს ან ძმობილს. სულის ცხენი სახელი და ებულია და საიქიოში ის მიცვალებულს უნდა ემსახუროს, ამიტომ მისი კარგი მოვლა და შენახვა საჭიროა. ამ დაკურთხულ ცხენზე ტვირთის აკიდება არ შეიძლება: მხოლოდ საჯდომად ხმარობენ, მაგრამ ქალი ამ ცხენზე ვერ შევდება.

სულის ცხენს კარგი შენახვა უნდა და, თუ ის გახდა და დაკარდა, პატრონი მხედარს ცხენს გამოართმევს: „მკვდარი დამიღონე, საიქიოში ტოლ-ამხანაგებს ჩამორჩაო“. როცა სულის ცხენი დაბერდება, მკვდრის პატრონის ნებართვით შეიძლება მისი გაყიდვა, ის მხოლოდ ნახევარ ფასად იყიდება. წინათ მყიდველი ეტყოდა: „მთელ ფასს ვერ მოგცემ, საიქიოში ცხენი მე არ დამრჩება, მიცვალებული წამართმევსო“. გამყიდველს კი მიცვალებულის სახელზე ხატისათვის ერთი თასი უნდა შეეწირა. თუ სულის ცხენი დაბერებამდე გაიყიდებოდა, წინათ ეს სათაკილო საქმე იყო და მხედარს მიცვალებულისათვის სხვა ცხენი უნდა ეყიდა, რომ ის საიქიოში უცხენოდ არ დარჩენილიყო. დღეს სულის ცხენს აქ იშვიათად გაასაჩუქრებენ. იგი შინ რჩება და ორი-სამი წლის შემდეგ შეიძლება მისი გაყიდვაც.

თავ მო საპარსაო იციან წელთავება სალამოს. ეს ძაბის ახდისა და თავ-პირის მოპარსევის რიგია. ზოგჯერ რამდენიმე მიცვალებულის პატრონი ამ რიგს ერთად იხდის, რადგან მას მთელი სოფელი ესწრება და ხარჯიც საერთოა. მგლოვიარებმა ახლა თავ-პირი უნდა მოიპარსონ. ამას დიდის ამბით ასრულებენ: ლხინობენ, ფანდურზე უქრავენ და მღერიან. თავმოპარსულები ერთმანეთს ასე ულოცავენ: „სამგლოვიარო ღმერთმა აგვადას! მარქე ნულარ მოგცას ნურც თავის სახლში და ნურც და-ძმა-მოკეთეში!“

მეორე დღეს იმართება სანაყრო დილა: მიპატიჟებულებმა ახლა თავმოპარსულებს სამ-სამი ქადა უნდა მიუტანონ და იქვე დანაყრდნენ.

წელთავებით თავდება მიცვალებულის რიგი, მაგრამ ხევსუ-

რეთში თავიანთ მიცვალებულებს არც შემდეგ ივიწყებენ და, როცა ბეღნიერ დღეებში კარგ სუფრას გაშლიან, მას მიცვალებულისთვის „სახელს შესდებენ“ და იტყვიან:

„ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მადლი შენდა! ღმერთო, შენი დიდებითა, ღმერთო შენი მიცემითა, აქ ნათქვამ თუ იქ მიღიღდას, მკვდართ შანდობა ერგებოდას, სადაც შენ ხარ, დედას-ჩემო, მამას-ჩემო, სულ თქვენ მაისენების, სულსამც თქვენს მეექმარების ტაბლა-საპოხი, ყანწი' ჭურჭელი! როგორც ჩვენს წინ ას, ეგრამც თქვენს წინ ას ფერუჟცევლად, წაუქცევლად! ცოტაიმც დიდად მოგივალისთ, რიოშიმც წბიდად მოგივალით! ბარაქით შამე-ედითა, ბარაქით გამეედით, ჩვენ ჯერ დაგვიწერეთ ჯარის ნაჯნავს, ფურის ნაწველს! თქვენიმც საჯმარი! შაგინდნასთ, მოგაქმარასთ ღმერთმა!“

მკვდრის რიგის შესრულებას ხევსურეთში დიდი მნიშვნელობა ეძლევა და ურიგოდ მიცვალებულის დატოვება დიდ ცოდვად ითვლება. ამიტომ ხევსური რიგისათვის არაფერს იშურებს და თავის უკანასკნელ სარჩინსაც ამაზე ანიივებს. რიგის ხარჯები დიდია: იხოცება რამდენიმე საკლავი: პური, ერბო და სასმელი ქელებში ჭარბად იხარჯება. ახლო ნათესავებს წილ-ბურკვში თან ერბო და პურებიც მიაქვთ.

ხარჯს გარდა ამ რიგის გადახდისათვის საჭიროა მზრუნველი ჭირისუფალი, რომელიც მიცვალებულს ყველა რიგებს დროზე და უკლებლივ შეუსრულებს, რათა სული საიჭიოში არ დაიტანგოს.

ამიტომ, ვინც მატოხელია და უმემკვიდრეო, ის ყველა რიგებს სიცოცხლეშივე იხდის, რასაც აქ თავის დამარხვას უწოდებენ.

თვითდამარხვის დღეს დიდ ქელებს გამართავენ და ნათესავებსა და მთელს სოფელს დაიწვევენ. სულის ხუცი ტაბლას აკურთხებს და შესანდობარს იტყვის. თვითდამმარხველი რიგის ასრულების დროს კარებს უკან იმაღება, თვალებს ხუჭავს, ვითომ მკვდარია, და თავის შესანდობარს ყურს უგდებს. იგი რიგის ტაბლას არ შეჭამს და არც მატირალს დაუძახებს. როცა კი მოკვდება, მაშინ მატირალს დაიწვევენ, დაკლავენ საკლავს და მას შენდობას ეტყვიან.

თავის დამარხვის დღეს სრულდება დოლი და ღაბახიც და მხე-

დარ-მშვილდოსნები ყველაფერს წესის მიხედვით იღებენ. დღეს თავის დამარხვა უკვე იშვიათი შემთხვევაა, წინათ კი ეს ხევსურეთში გავრცელებული ყოფილა.

მიცვალებული ხევსურეთში საგვარეულო სასაფლაოზე უნდა დაიმარხოს. ჭირისუფალი ცდილობს, სხვაგან გარდაცვლილი გადმოასვენოს, რომ მიცვალებულის სული უცხოებში არ დაიტანჯოს. ამიტომ, თუ ადამიანი წყალში დაიხრიო, მაშინ ლიქოის სულთ ამჯსნელ ხატში წავლენ და იქიდან მეღრო შაე წამოიყვანენ. მეღროშაეს ერთი ხატის მსახურიც წამოჰყება და დროშას წამოიღებს. ორივე მივლენ იქ, სადაც მიცვალებული დამხრჩალა. მეღროშე შიგ მდინარეში იწევს, უნდა გადავარდეს, მაგრამ მას მეორე ამხანაგი იქვერს. მეღროშე დაიძიხებს: „ეშმაკებისათვის ამირთვია სული და ჩამიბარებია მორიგე ლმერთისათვის“—ო. ეშმაკს ციკანს დაუკლავენ და ხორცს იქვე დაპყრიან, შემდეგ მეღროშე მიცვალებულის ოჯახში მიგა, ბანზე ივა და იქ დროშას დაბერტყავს. მიცვალებულის პატრონი მას აძლევს ერთ ქვაბს და ერთ ცხვარს.

ვისაც ზვავი დაიტანს, მკვდრის სულის საპოვნელად კარატის მენდროშეს დაიწვევენ. ის წვავ იქ, სადაც მიცვალებული ზეავს დაუტანია, დროშას ჩასვამენ, შემდეგ წამოვლენ და დროშას სახლის ბანზე დაბერტყავენ. თუ ხევსური ომშია მოქლული და მისი გადმოსვენება შეუძლებელია, მის საფლავის ადგილს წრით შემოხავენ, ზედ ქვას დაყულებენ და მას ყველა რიგებს გადაუხდიან.

ხევსურები ცდილობენ მიცვალებულის სულის კეთილგანწყობილების მოპოვებას, რაღგანაც, მათი რწმენით, უქმაყოფილო სულს შეუძლია ოჯახის ვნება და დაზარალება. ამიტომ სულის ნების გასავებად ხევსურეთში მესულთან ნების მიმართავენ. მესულთან ქალია. ის ოც წელზე ნაკლები ხნისა არ უნდა იყოს. მას სულთან ლაპარაკი ევალება. ჩვეულებრივ, ხმით მოტირალი ხდება მესულთანედ. მიცვალებულის რიგის დროს სასმელდალეული ქმით მოტირალი დაიწყებს ბორგვასა და შოთოებას. ბოლოს დაწვება, ცრემლებს ყრის, ვითომც სული სტინჯავს. დედაკაცები მიცვალებულს შენდობას ეტყვიან და ეხვეწებან, ნუ სტანჯავო. შემდეგ დედაკაცი მობრუნდება, დაიწყებს სულის პირით ბუტბუტს და იტყვის, თუ რას მოითხოვს სული ოჯახისაგან.

მესულთანეს სულთან ლაპარაკი უფრო ემარჯვება, როცა სოფელში ერთი წლის მკვდარია და მისი ტალვარი გაშლილია. სულთან საუბრის დროს მესულთანე არაყს დალევს, მიწაზე წვება და თავს მოიმკვდარუნებს, თან კი ბუტბუტებს, ვითომც სულებს ესაუბრება. შემდევ აღგება და მიცვალებულის პატრონს გადასცემს სულის მოთხოვნებს.

მესულთანეს ევალება აგრეთვე მიცვალებულის ტაბლის სახელის და დება. მესულთანე წმინდა უნდა იყოს და ის ვალდებულია წელიწადში ხატს ორი-სამი საყლავი დაუკლას. მას გასამრჯელო არ ეძღვავა, მაგრამ მიცვალებულის სულის შიშით მესულთანეს ყველანი პატივსა სცემენ, ცდილობენ მისი გულის მოგებას და ცუდს არავინ შეჰქალრებს. ქელებში მესულთანეს პირველი ადგილი უჭირავს, სუფრაზე თავში დასვამენ და სასმელ-საჭმელსაც უხვად სთავაზობენ.

ხევსურების წარმოდგენით, საიქიონ სააქაოს გაგრძელებაა და ყველაფერი, რაც ადამიანს ამ ქვეყნად სჭირია, საიქიონშიც არ უნდა მოაკლდეს. ასეთია, მათი აზრით, ანკარა წყარო, კარვი ცეცხლი, თუთუნი, საგდალი კვერები და შეკაზმული ცხენი. ამიტომ ხევსურეთში ცეცხლს მიცვალებულის სახელს შესდებენ, თამბაქოს უკურთხებენ და სამ კვერს საფლავშიც ჩაუწყობენ, გზაში მოუნდებათ.

საიქიონში მიმავალმა სულმა, ხევსურის წარმოდგენით, უნდა გაიაროს ბეჭვის ხილი, საღაც ბჟენი სხედან და ცოდო-მართალს ასამართლებენ:

„სულეთში ბეჭვის ჭიდი ძეს,  
 ზედ გასავალად ძნელია,  
 ბჟენი სხენ ჭიდის პირზედა,  
 რომელნიც მართლის მთქმელნია“.

ბეჭვის ხილთან ცეცხლიანი ქვაბებია, რომელშიც კუპრი ლუოს. ცოდვილიანები ბეჭვის ხილიდან ამ კუპრის ქვაბში ვარდებიანოს:

„ჯანაბეთს, ჯოჯოზეთშია,  
 კუპრის ამოდის ალები....  
 ქვაბებ შემოდგეს ცეცხლზედა,  
 დუღსა, გადმოდის ცხელია,

ცოდვის მოქმედს პირზედ დაასხეს:  
 «ნამ, როგორ გემრიელია!  
 რად არასწორად ასძრიად,  
 ენა დაგიხვდა მტერია».

საიქიოში სულის ბჭენი ცოდვილებს სხვადასხვა სასჯელსაც მიუსჯიან:

„ძმას, ძმისა მოღალატესა  
 ჟანჭაბში უდგის ფეხი.  
 ობოლთ შვილთ დედას დამშირავს,  
 უბეს ჩაუსხნეს გველნია.  
 სამან-სამზღვრისა ამრევსა  
 ზურგზე აქიდნეს კლდენია:  
 «ეგ გინდა, ჭრ ეგა ზიღნე,  
 მემრ გოჭოხეთი ბნელია».

სამოთხე სევსურის წარმოდგენით მრავალსართულიანი კოშკია და ის მზის შუებით არის განათებული. ამ კოშკის გარშემო ალვის ხეივანია, რომელსაც ვეშა-წყარო ჩამოუდისო. თავმადლიანები ამ კოშკის ზემო სართულში ცხოვრობენ, ცოტა მადლიანები კი ქვემო სართულშიო. მადლიანები მხიარულობენ, შუშპრობენ და ანკარა წყალს სვამენ:

„ოთხრი ციხე დგა სულეთში  
 წვერი ცას მიმდინარია,  
 იქ ისეთ ალვის ხეი დგის,  
 ცაში მიუდის წვერია;  
 ბოლოზე ვეშა-წყარო დის,  
 სასმელად გემრიელია;  
 მადლიანი მივლენ, წყალსა სმენ,  
 ცოდვიანნ მწყურევიელნია“.

მადლიანები თურმე არაფერს არ სჭამენ, მაგრამ კვირაობით ღვთისაგან სუფრა მაინც ეძლევათ და ისინი მხოლოდ ამის აქერთა ტქბებიან. ამიტომ სევსურეთში კვირაობით მიცვალებულს რიგს არ გადაუხდიან, ღვთის სუფრა აქვთო.

მიცვალებულის კულტიან პირიებით ხევსურეთში დაკავშირებულია იქ დღემდის დაცული აკლდამები, რომელსაც ხევსურები ეკალდა მას უწოდებენ. ეს აკლდამები დღეს დაცულია შატილის თემში, ანატორში და მუცუში. აკლდამა მიწის ზემოთ არის

ნაგები სიმი ქვისაგან, მისი სიგრძე 5 მეტრია, განი — 3 მეტრი, უსიმაღლე კი — 2 მეტრი. აკლდამას წინ გამოჭრილი აქვს პატარა სარკმელი  $44 \times 40$  სანტ.; სიმი ქვით არის გადახურული. სახურავი ორფარდულიანია. აკლდამაში გამართულია ქვის ტახტები, რომელზედაც უწესრიგოდ ასვენია მიცვალებულთა მუმიფიცირებული ჩინჩხები. მიცვალებულთა ნეშტს შერჩენია ბამბის ქსოვილის სუდარა, იშვიათად ზალიც ურევია. ზოგი სუდარა ფერადია და უჯრიანი. სუდარა გრძელია და პერანგიგით გამოჭრილი. აკლდამაში არის აგრეთვე ბავშვის აკვნები, ხის თასები, ჭამები და სხვა. აკლდამის აშენების დრო აქ არავის ახსოვს, ამბობენ, რომ ისინი უამბობის დროს უშენებიათ, სახალიანები ამ აკლდამაში შედიოდნენ და იქვე იხოცებოდნენ.

ასეთივე სახის აკლდამები ბევრია დაცული ჩრდილოეთ კავკასიაში, განსაკუთრებით ოსეთში ქისტეთში და ჩაჩნდები<sup>1</sup>.

საქართველოს მთიელებში ასეთივე აკლდამები დაცულია თუშეთში, მისი ნანგრევები მოიპოვება აგრეთვე ხევში, ყაზბეგის მახლობლად.

აკლდამები უთარიღოა და ამიტომ ძნელია მათი წარმოშობის დროის განსაზღვრა. მაგრამ ანატორისა და მუცუს აკლდამები თავიანთ ნაგებობის ტექნიკით და კონსტრუქციით მე-17 საუკუნეზე დრინდელი არ უნდა იყოს. აკლდამა საგვარეულო სამარხია, თითოეულ აკლდამაში ერთი რომელიმე გვარი იმარხებოდა.

აკლდამაში მოთავსებული მიცვალებულთა ნეშტის მუმიფიკაცია ბუნებრივი პირობების შედეგია, მაღალი მთის მშრალი ჰავა და ქარი ხელს უწყობდა აღმიანის ნეშტის გამოშრობას და მუმიად გადაქცევას<sup>2</sup>.

ასეთი აკლდამების აგება, უმცველია, აღამიანის სულის რწმენასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ხალხის წარმოდგენით, საიქიონ სააქაოს გაგრძელებაა: მიცვალებულს უშენებდნენ ქვიტკირის ოთახს და საჭირო ინვენტარით მას იქ ათავსებდნენ. კლი-

<sup>1</sup> П. Уварова, Могильники Северного Кавказа, Мат. по Археол. Кавказа, т. VIII, Москва, 1900 г.; Всев. Миллер, Терская область, Археологич. Экскурсии, Мат. по Археол. Кавказа, т. I, Москва, 1888 г.

<sup>2</sup> Др. Иосифов, Мумификация в горах Кавказа, Владикав. 1928 г., 23. 6.

მატური პირობების გამო მიცვალებულის სხეული ამ აკლდამაში არ იხრჩნებოდა და, ცრუმორწმუნე აღამიანის წარმოდგენით, სულს შეეძლო სხეულთან უწყვეტი კავშირი პქონოდა.

დღეს ჩრდილოეთის მთიელები და ჩვენი ხევსურებიც თავიანთ მიცვალებულებს ამ აკლდამებში უკვე არ ათავსებენ და პირდაპირ მიწაში მარხავენ. საინტერესოა იმის დადგენაც, თუ ვის ეკუთვნის ეს აკლდამები. სამწუხაროდ, აკლდამები და მათი ინვენტარი სა-თანადო შესწავლილი არ არის და ამიტომ ამაზე გარკვეული პა-სუხის გაცემა ჯერჯერობით ძნელია, მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ მიცვალებულთა სულარის ფორმა და ქსოვილი უკელა აკლდა-მაში თითქმის ერთგვარია. რაც შეეხება, კერძოდ, შატილში, ანა-ტორისა და მუცუს აკლდამაში დაცულ სასულრო ტანისამოსს, თითქმის უკელა ბაბის ქსოვილია; ზოგი სახიანია და ფერადი. სა-სულრო პერანგი გრძელია და გახუნებული, მაგრამ ეტყობა წი-თელი და ლურჯი ფერის სიჭარბე. დღევანდელი ხევსურული ტა-ლავარი თავისი დამახასიათებელი შემქულობით ამ აკლდამებში არ გვხვდება და ეს გარემოება იწვევდა ეჭვს, რომ აკლდამებში ხევსურების წინაპრები ყოფილიყვნენ მოთავსებულნი.

მაგრამ, თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ, რომ წინათ ხევ-სურები თავიანთ მიცვალებულებს სუდრად სამფერ პერანგს აც-მევდნენ — ჯერ თეთრ პერანგს, შემდეგ ლურჯს ან ჭრელს და ზემოთ კი წითელს და ამ სამ პერანგზე მას „სკლატიც“ (წითელი მაუდი) ეჭირვებოდა<sup>1</sup>, მაშინ შესაძლებელია ვითიქროთ, რომ ამ აკლდამებს კავშირი ჰქონდეს მიცვალებულის გასულრვის ამ ძველ ხევსურულ წესებთან. ამ ბაბის ქსოვილის სასულრო პერანგებს ხევსურებიში წინათ აღრევე იძენდნენ და სამარხად ინახავდნენ თურმე. ანატორისა და მუცუს აკლდამებში დღესაც დაცულია ეს გრძელი სასულრო პერანგები, რომელთა შორის ურევია წითელი და ლურჯი ფერის გახუნებული ქსოვილები.

ამასთანავე, ანატორის აკლდამაში დაცულია ხის ჭურჭელი და აკვნები, რომელთა მაგვარი ხევსურეთში დღესაც მრავალია. ინ-გვენტარისა და ქსოვილის მიხედვით შატილის თემის აკლდამები თარიღდება დაახლოებით მე-17—მე-18 საუკუნეებით.

<sup>1</sup> ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, ეტნოგრაფიული წერილები, ივერია, 1887 წ., № 170.

## 7. ც ლ უ მ ღ რ დ მ უ ნ ე ღ ა

ხევსურების აზროვნება ჯერ კიდევ ცრუმორწმუნეობით არის გაფლენთილი. ხევსურს სწამს უჩინარი და საიდუმლო ძალის არსებობა, რომელსაც შეუძლია კეთილისა და ბოროტის მიყენება. ამიტომ, მისი რწმენით, ამ უხილავ არსებათა კეთილგანწყობილების მოპოვების მიზნით საჭიროა სხვადასხვა ჯადოსნური წესების შესრულება, რათა აღამიანმა ამით მოიპოვოს ჯანმრთელობა და საქონლისა და ჭირნახულის დოკუმენტის.

ასეთი წესების შესრულებას ხევსურეთში იწყებენ ახალი წლის<sup>1</sup> შეხვედრით; ისინი ახალწელს წელწადს უწოდებენ.

წელწადს ხევსურები დიდის სამზადისით ეგებებიან. წინა დღით სახლსა და მის კარმიდამოს ასუფთავებენ და ყველანი ახალი ტალავარით იმსებიან. ოჯახებში საახალწლო არაყს ხდიან, ხატში დასტურები ლუდს ხარშავენ.

დიასახლისი საახალწლო კვერებს აცხობს: ერთს დიდს ს ამ კვლეო კვერს იცხობენ, რომელზედაც გამოსახულია ჯვარი, კაცი, სახნისი, ხარი, ძროხა, ცხენი, ქერის თავთავი და სხვა. სამეკვლეო კვერს გამოცხობის ღროს უცემრიან და, რომელი გამოსახულებაც აიწევს, იმ წელიწადს ის იქნება მრავალი და დოკუმენტიანი. შემდეგ დიასახლისი ოჯახის ყველა წევრთათვის აცხობს ბედის კვერებს: თვითუულ ბედისკვერს თავისი ნიშანი აზის და, გამოცხობის ღროს ვისიც აფუვდება, ის ბედიანი და ყისმათიანი იქნებათ.

ახალწლის სალამოს ოჯახიდან ხატში გზავნიან მეკვლეს, რომელსაც მიაქვს არაყი და წულის სანთლები, რამდენიც ოჯახში ქუდოსანია. მეკვლეს დაბრუნებამდე ოჯახიდან არავინ გავა. ხატში მისულ მეკვლეს ასე მიესალმებიან: „მოგვიხველ მშვიდობითა, ბეგრს ამას ახალს წელსამც ილოცავო, ერთს ამასაო, ათი ათას სხვასაო, პურიანსაო, წულიანსაო, სახელ-სარგებლიანსაო“. მეკვლე დარბაზში შედის და ღამე იქ რჩება. აქ ხუცი მეკვლეების

<sup>1</sup> სერგი მაკალათია, ახალწელიწადი საქართველოში, სახელგამი,  
 1927 წ.



ဗမာစီဒေသပြည်

მიტანილ არაყს სინგავს და, ვისიც თავი არაყია, მას ხუცი სანა-  
მეტნაოდ ამწყალობებს.

გათენებისას ხუცი კვალის დასაჭრად დარბაზიდან კარში გადის, შემოტანს თოვლს. ყველანი ფეხზე დგებიან, ხუცი მათ თოვლს გადააყრის და იტყვის:

„ესრ თეთრად აყვავდით! წელიმც კისა გამოვეცლებისთ,

პურიან-წულიანი, სახელ-სარგებლიანი, შშვილობისა და კარგად ყოფისა!“ ამაზე დარბაზში მყოფნი უბასუხებენ: „აგრემც შენ გა-  
მოგეცვლების ბევრ ახალი წელი, შშვილობისა, კარგა ყოფისა,  
პურიან-წულიანი!“ ყველანი ერთმანეთს დალოცავენ და არაუს შე-  
სვამენ.

მზის ამოსვლისას ხუცი დარბაზიდან ისევ გავა და დილის  
ზარს დარეკავს. დარბაზში მყოფი მეკვლენი გამწერივდებიან,  
წილს ყრიან და, ვისაც წილი ერგება, პირველად ის გამოვა და  
სხვები მას რიგით მოჰყვებიან. დარბაზის გარეთ ლუდიანი ქვაბი  
დგას და ხუცი იხუცებს; შემდეგ ხუცი მეკვლეებს თითო თასს  
ლუდს შეასმევს და ბოთლებში საფუარ ლუდს ჩაუსხამს; ამის  
შემდეგ ყველანი თავიანთ ოჯახებში ბრუნდებიან.

ხატიდან დაბრუნებულ მეკვლეს სახლის კარებში დიასახლისი  
შეეგებება, მას ხმის გაუცემლად საფუარს ჩამოართმევს და სა-  
მეკვლეო კვერს გადასცემს; ამ კვერს მეკვლე სამჯერ სახლში შე-  
აგორებს და იტყვის: „ჩემიმც კვალ კაზე დაგიჯდებისთ! პურიანი,  
წულიანი, სახელ-სარგებლიანი, ერთ ეს წელი, ათიათას სხვაი, კარ-  
გად ყოფისა, კაცისა და საქონისაი!“ თუ კვერი ჯვარწალმა დაეცა,  
ეს კარგი ნიშანია, თუ არადა ცუდია. ამ პურს დიასახლისი აიღებს  
და ცალკე შეინახავს. მეკვლე კერასთან მიერ, მუგუზალს შეუჩინ-  
ხლებს და, ნაპერწკლები რომ გასცეივა, აღამიანისა და საქონის  
გამრავლებაზე დაილოცება, ბოლოს მეკვლე პირში საფუარს ჩა-  
ყენებს, მას ადამიანსა და საქონელს შეასხამს და იტყვის: „აგრემც  
ახყავდებით, აგრემც ახფუვდებით!“ ყველას თავიანთ ბედის კვე-  
რებსაც დაურიგებენ.

ამის შემდეგ შინაურებისათვის კარები ლიაა და ოჯახის წევ-  
რებს შეუძლიათ კარში გამოსვლა, მაგრამ მესამე დლემდე მეზობ-  
ლებთან მაინც ვერ მივლენ. მხოლოდ მეგობრის მოკითხვა შეიძ-  
ლება; ამ მიზნით ოჯახის პატრონი მოიკაზმება ახალი ტალავარით,  
ხანჭლით, საცერულს თითზე იყეოებს, აიღებს არაუს და მივა მე-  
გობრის ოჯახში. ის კარებს დაუკაუნებს, მასპინძელი კარებშივე  
მიეკვებება და ახალწლის მილოცვის შემდეგ იქვე სუფრას დაუდ-  
გამს; შინ კი ვერ შევლენ.

ახალწელიწადს მამაკაცები ხატში იქრიბებიან და აქ ხატის დარ-  
ბაზში დროს სმასა და მოლხენაში ატარებენ.




### შიცვალებულის დატირება

წელიწდობას ხევსურეთში დარბევა იციან. ამ მიზნით ხუცი ღამისმთეველ დასტურებში სამს ან ორ კაცს ჩუმად აირჩევს და რომელიმე ოჯახის გასაქურდად აგზავნის. დასტურები ოჯახში შეიპარებიან და, რასაც იქ მოხელავენ: ხორცს, არაყს, ქიდას და სხვას, გამოიტანენ და ხატში წაიღებენ. მეორე დღეს ხატში სუფრა გაიშლება და ამ ნადავლზე დაიწვევენ ოჯახის პატრონსაც, რომელმაც დარბევის არგავებისათვის ჯარიმად არაყი და ლუდი უნდა მიიტანოს, მაგრამ, ოჯახის პატრონი თუ ფხიზელია და მან ქურდებს მოასწრო, დაიჭერს, ჯერ არაყით დაათრობს, შემდეგ თოკით დააბამს და ხატში ხუცს შეუთვლის: სახსარი მოიტანეთ და ტყვე წაიყვანეთო. მეორე დღეს აგზავნიან არაყით და ლუდით ორ დასტურს, ისინი მივლენ და დამშულებს ახსნიან, მათ უკან რამე ჭრელ ნაჭერს შეაბამენ და სიცილ-ხარხარით ხატში წაიყვანენ.

წელწად დილას არხოტში იციან ხატიდან საკლავის გატაცება.

მომტაცებელმა ხატის ლობეზე გადახტომა თუ მოასწრო, საკლავი გას ჩეხება, თუ არა და, საკლავს წაართმევენ და ჯარიმაც გადახდება. ნაშუადღევს გაიმართება ხატიონისა და ხალხის შებრძოლება. შეიარაღებულები ხატიონს თავს ესხმიან და ემუქრებიან: გამოდით, თუ ბიჭები ხართ, ვინც ჩვენი სახლები დაარბიყოთ, და ვიბრძოლოთო. ხატიონიც გამოვა და ორივე მხარე ერთმანეთს ხმლებით შეებრძოლება, ზოგი თოფსაც გაისურის; რამდენიც გავაჩდება, იმდენიც



აკლდამის ფასალი.

კაცი გაგორდება, ვითომც დაჭრილია. გამოვა ხუცი და დაჭრილებს სინჯვას დაუწყებს, ზოგს ჭრილობას შეუხვევს, ზოგს არაყს შეასმევს და გააცოცხლებს და სხვა. შემდეგ ერთი ვინმე მოხუც ქალს გაიტაცებს, მარხილზე შესვამს და გააქცევს. სხვები მას დაედევნებიან, გაიმართება ხელჩართული ბრძოლა და, ვინც დაძლევს, მოხუცი მას ჩეხება.

მეორე დღე კუ მეტია. ამ დღეს კაცისა და საქონლის უზარალოდ ყოფნისათვის მარხულობენ. მესამე დღეს იციან კვალის შეტანა. მექვლედ დაიწვევენ, ვინც ყისმათინია და კარგი ფეხისად არის დაცდილი. მექვლე ოჯახში შევა და ჩვეულებრივ დაილოცება. მას მისცემენ ხმიაღს, რომელზედაც ალაგია ყველი და

ერბო. სადაც ერთი წლის მიცვალებულია, ყველანი იქ მიდინდ და მიცვალებულს შენდობას ეტყვიან.

5 იანვარს განცხადების (გამცხადება) დღეა: ამ დღეს კაცები შინ შემოიტანენ ორ მყოვან ჯოხს ვაშლისას ან მსხლისას, ვაჟები მასზე შესხდებიან და ზედ თავიანთ ბედის კვერებს გასტეხენ. ამ ჯოხებს შემდეგ კერის ცეცხლს დაუდებენ. სუფრა დაიღმის და ოჯახის წევრები მოუსხდებიან. დიასახლისი სამეცვლეო კვერს გაუნაშილებს, ბედის კვერებს კი სათითაოდ ჩამოურიგებს. ბედის კვერის შეცვლა და სხვისი ბედის კვერის შეჭმა არ შეიძლება, იტყვიან: „ჩემს ბედს სხვა წამართმევს. ბედის კვერის შეჭმის დროს ასე დაილოცებიან: „შენ გვიშველე, გავმატის ჯვარო, კარგ ბედი და დავლათი გამოგვიცვალე! სამღვთო გუდანის-ჯვარო, შენც გვიშველე, ბევრ ახალწელი-კვალი, დრო მშვიდობისა გმომგვიცვალე!“ ერთუცის სიმთელისა!“ ამით თავდება ახალწლის წესები.


გაზაფხულის პირზე, როდესაც ბუნება იღვიძებს და იწყება ბუნების განაყოფიერების პროცესები, ხევსურები ცდილობენ მავნე და ბოროტი სულების განდევნას და ამ მიზნით ასრულებენ კუდიანთწუხრას (ჭიაკოკონა). ოთხშაბათს ღამე ბინდისას დედაკაცები ბუნაგს დაღბეჭდიან, რაც სახლში აქვთ, ყველაფერს ნახშირს ჯვარულად გაუსვამენ და იტყვიან: „ქრისტემ დაგრას ბეჭედი, ქრისტის დედამ მარიამმა!“ მერმე ბავშვებს გაგზავნიან, ესკალას (ასკილი) მოატანინებენ, ერთ ცალს ნეხვზე დაარჭობენ და იტყვიან: „კუდიან ფეხ შეკრული!“ ერთ ცალს კარის თავზე და საკვმის თავზე შესდებენ და იტყვიან: „კუდიან შახვამას ფეხი!“

შემდეგ სახლის წინ დიდ ცეცხლს დაანთებენ, რომ ამით მავნე სულები დააფრთხონ. ბავშვები ეკალს ისარივით დამზადებულ ფრთებს — ოჯს გაუკეთებენ, მას ცეცხლს წაუკიდებენ, შორს გაისვრიან და იტყვიან: „ჩვენს ნურას წაიღებთ, თავისა შასვითა‘ შაჭამეთ!“ ოჯახის უფროსი სამ მუგუზალს აიღებს, სახლის ბანზე ავა, მირგვალ წრეებს შემოხაზავს, ამ მუგუზლებს სამივე მხრივ გაისვრის, უფრო იქით, სადაც სამრევლოა მოთავსებული, და იტყვის:

„რიტი, რიტი, კუდიანნო, ნუმცრა მიგაქვისთ ჩემი სახლისა  
 ქვის მეტი, ხის მეტი. რკინის მეტი! თავისა შასვით და შაჭამეთ,  
 თავისა შაიოთხშაბათეთ! დაგურასთ ლახტი კოპალმ გულჩიო, გა-  
 გაგდებიასთ გულჩი“. ბოლოს ცეცხლზე გადახტებიან, ცეცხლს ფე-  
 ხით სრესენ და იტყვიან: ესემც დაიწვებით ცეცხლშიო.

ხევსურების რწმენით, კუდიანები ხუთშაბათს ციცაზე ან ცო-  
 ცხზე გადაჭდებიან, აჩხორში (ხევში) მიღიან, აქ ყაზბეგის მახლობ-  
 ლად დგებიან და სწყვეტენ იმ წლის განმავლობაში ვინ უნდა  
 მოკვდეს და ვისი ოჯახი გაუბედურდებაო.

ხუთშაბათ ღამეს ხევსურეთში სამი კაცი მე სმინაე წავა და  
 გზა-გასამყრელოზე ჩუმად და ზურგშექცევით ჭდება. თუ ერთი



აკლდამის ჭრილი

წავა დასაჭდომად, ის თან ორ თითისტარს წაიღებს და ისე ჭდება.  
 გარშემო ნახშირის წრეს შემოხაზავენ და შიგ წრეში განაბულები  
 სხდებიან. ჩქირა მავნე სულებიც გამოჩნდებიან, ზვავს გამოაგო-  
 რებენ, ქვებს ისვრიან და მყრალ ნეხვისაც გადმოყრიან, მაგრამ  
 მჯდომი არ უნდა შეშინდეს და არც გაინძრესო. მაშინ მავნე სუ-  
 ლები დაიწყებენ ძახილს, სოფელში ვინ უნდა მოკვდეს, ან წყალ-

ში და ზვავში დაიხრჩოს, ვის რა უბედურება შეემთხვევაო და  
სხვა.

მარა სურა რა ხევსურების თქმით სოფელში ღამე ჩამოივლის  
და მძინარე ოჯახს საკომიდან შესძახებს. მაძახურა ოჯახის რო-  
მელიმე წევრის სახელს ორჯერ დაიძახებსო. თუ მძინარემ პასუხი  
გასცა, „რაიავ“, მაძახურა მას დასწყევლის და ის კაციც მოკვდე-  
ბათ. მაძახურას მხოლოდ ორჯერ შეუძლია დაძახებათ, მესამედ  
დაძახების ნება მას არა აქვსო. ამიტომ ღამე სტუმარმა ხევსურს  
სამჯერ უნდა უძახოს, თორემ, ხევსური, მაძახურას შიშით, მას  
ხმას კერ გასცემს.

მარიამწინ დობას ხევსურეთში პატარა ვაჟები ასრულე-  
ბენ აღდგომის წინა საღამოს. წინა ღლით დასთხრიან ხიფეხოლს;  
თითო ტყვიასაც ხატში ხუცს მიუტანენ და მას ლუდზე გაუც-  
ლიან, შემდეგ ცომისაგან აცხობენ ვაცს, კვერებს და პურს. ბავ-  
შვები წილის ყრით ირჩევენ დასტურსა და კელოსანს. ბოლოს მო-  
იტანენ აცდაათ წნელს და დაწნავენ გუჯინას (გოლორს), რო-  
მელსაც ჩალით ავსებენ. ამ გუჯინას საღამოს საჩალიერო გა-  
რანენ, გათენებისას მას ცეცხლს წაუკიდებენ და დაღმართხე და-  
აგორებენ.

ანთებულ გუჯინას ბაუშვები მისდევენ და ცდილობენ ზედ გა-  
დახტომას. ვინც გადახტება, მას ეძლევა სახელ საკოვარი  
9 ხინჯალი.

წყალზე რომ მიაგორებენ, გუჯინას ქვებს დაუშენენ და და-  
არისხებენ: ვინც ამ გუჯინას წაიღებს, დედამარიამი რისხავდესო.  
ბავშვები ჩქარა ბრუნდებიან და სახლის ბანზე ადიან, საღაც მა-  
რიამწმინდის ღროშა და ჯვარი ასევნია.

არხოტში მარიამწმინდის ჯვარი ერთ ძეელ ქვიტკირშია მოთავსე-  
ბული. მარიამწმინდობას ეს ჯვარი ბავშვებს გამოაქვს და დედაკაცებს  
ამწყალობებენ. მარიამწმინდის ჯვარზე ახვევია სათ მე, რომელიც  
ფერადი შალის ძაფის გრეხილია და ფოჩიც აქვს გამობმული.  
როდესაც დეკეული პირველად ხბოს მოიგებს, მაღლობის ნიშნად  
დედაკაცები ამ სათმეს მარიამწმინდის ჯვარს შეაბამენ, მარიამ-  
წმინდის ღროშა კი შემოსილია ხელსახოცით და მძივებგაყრილ  
სათმეთი და ზედ ორი ზარიც ჰქიდა.

მარიამწინდობას ბავშვები რომ ბანზე ავლენ, ღროშას აიღ-

შენ და პირველად სოფელს დამწყალობებენ: შენ დაატანე, დედა მარიამო, ძალი ახიელელთა ძალის დამტანესა' სოფლის მოღალატესაო. დედაკაცებს მიაქვთ სამი ხინკალი, ზედ „სათმეთი“ და მათ ასე ამწყალობებენ: „სწყალობდი, დედა მარიამო, ჯარსა, ფურსა და გუთანასა, ჯარის ნაჯნავსა, ფურის ნაწველსა, წინ მომავალსა, უკენ წამავალსა, ხათრიანსა, ყამიანსა, ვინც დილის თივას მოსთიბს ნამიანსა!“ ვინც ქადებს არ მიიტანს, ბაეშვები მას რისხავენ: დედა მარიამო, შენ რისხავდე, ძროხით აზარალე და ბარაქა გამოულიერ.

გაზაფხულის პირზე, რათა დამშეულმა მგელმა საქონელი არ დააზიანოს, ხევსურეთში დიდმარხების შაბათს საღამოს მ გ ე ლ თუ ქმს უქმობენ. ამ მიზნით ოჯახში დიასახლისი აიღებს ქვას და მას ყორეზე დასდებს, შემდევ ქვას ცულის ტარით სცემს და იტყვის: „მგელო, მაგის მეტიმც ნურა მიგაქვ ჩემის სახლისა, ქვისაი და ხის მეტი!“ დიასახლისი სახლში შევა, ბიჭონს მოხალავს, მგელს კბილები დაეწვიოს: „მგელო, პირიმც გეწვება! ჩემ საქონისკე მოსული სხვის საქონისკე გაბრუნდი, თვალებითამც დაობრმები!“ ბიჭონს შესჭამენ და, ვინც ამ დღეს იმუშავებს, იმის საქონელს მგელი შესჭამსო.

კარში დარჩენილი საქონელი მგელმა რომ არ დააზიანოს, შეკრავენ გურჩისა და დუქარდს და იტყვიან: მგელო, პირიმც შაგეკვრის, ჩემს საქონს ნუმც აზარალებო. ამ სიტყვებით შეკრულ ქვასა და დუქარდს იქვე ბნელ კუნძულში მიაყუდებენ.

დადგება თუ არა გაზაფხული, ხევსურები ხენა-თესვის თაღარიგს შეუდგებიან და, როცა სამუშაოდ ხარებს პირველად გაიყვანენ, აცხობენ ქადას. პირველი ქადას გავლებისას კარგ მოსავლიანობაზე დაილოცებიან და ამ ქადასაც ხარის უღელზე ორად გასტეხენ. ერთ ნატეხს თვითონვე შეკამენ, მეორეს კი ხარებს იქვე შეაჭმევენ.

ხენა-თესვის რომ მორჩებიან, გუთნის ს ამ ღთოს იხდიან. ამ დღეს მთავარ ხატში წავლენ, საქლავს დაკლავენ, სასმელსა და კვერებს ოჯახები მოიტანენ და აქ წმ. გიორგი ჭაჭველს შეუვერებიან: ჭირნახულის კარგი მოსავალი და ზომიერი დარღვევარი მოგვეციო.

ამასთანავე, დარ-ავდრისა და სეტყვის წინააღმდეგ სოფელი

ნაკვეთ დღედ პარასკევისა და შაბათს აწესებს. გუთანს რომ გამოუშვებენ, მივლენ ხატში, დაუკლავენ სასოფლო საკლავს და შეეცემებიან, სეტყვამ ყანები არ დასეტყოს და ზომიერი დარავდარი მისცეს. ვინც ამ უქმეს გასტეხს, მას სოფელი აჯარიმებს 5-25 მანეთამდე. ეს უქმე სოფელმა ჭირნახულის აღებამდე უნდა შეინახოს, მაგრამ, ვისაც საშური საქმე და სამუშაო აქვს, შეუძლია ამ უქმის დანათვლა. ის ამ მიზნით ხატს საკლავს დაუკლავს, შემდეგ შეპყრის მუშას და ამუშავებს, სულერთია, სათიბი იქნება ეს, თუ სამკალი.

ხევსურეთში ამასთანავე ორშაბათსაც უქმობენ. ორშაბათის დაუქმების შესახებ აქ ასეთი თქმულება არსებობს: ერთხელ ხევსურეთი დაუსეტყვია და ხალხი დამშეულა, ხევსურებს თავიანთი გასაჭირი ერეკლე მეფისათვის შეუჩიელიათ და დახმარება უთხოვიათ. მეფეს უკითხავს: რომელ დღეებს იჭეროთ? შაბათსა და კვირასაო, უპასუხიათ ხევსურებს. მაში, ღმერთს ორშაბათიც აპატიეთ და ჭირნახულის დოვლათიც გექნებათო, უთქვამს მეფეს. მეფის ეს რჩევა ხევსურებს მიუღიათ და ორშაბათიც უქმად დაუწესებიათ; მას კვირაის საპატიო დღეს უწოდებენ.

სეტყვა ხევსურეთში ხშირი მოვლენაა და ჭირის ოფლით ნათეს ყანას სეტყვა ანალგურებს, ამიტომ ცურმორჩმუნე იძულებულია სეტყვის წინაღმდეგ ს აუქმო დღეები მტკიცელ დაიცვას და მაშინ არ ისაგმოს. საუქმო დღედ წელიწადში ორბაშათია დაწესებული: დიღმარხევის პირველი და მეორე ორშაბათი და ათენგონბის პირველი და მეორე ორშაბათი. ამ დღეებში ყველანი უქმობენ და შინ ვერ საქმობენ. ვისაც საშური საქმე აქვს, განსაკუთრებით დედაკაცები, ამ დღეებში სოფლის მიჯნაზე წყლის გაღმა გადიან, აქ სხდებიან და ხელსაქმობენ.

მაგრამ დათესილ ყანას ხშირად ვვალვა შეკრავს და მას ზრდისა და დაპურების საშუალებას უსპობს. მაშინ ვვალვის წინაღმდეგ ხევსურები სხვადასხვა მაგიურ საშუალებებს მიმართავენ.

ვვალვის დროს დედაკაცები წელსზემოთ დატიტვლდებიან, სახნის-ულელს წაიღებენ და წყალზე კვალს გაავლებენ. ორი ქალი ულელს შეებმის, მა ჯნავი (გუთნის დედა) უკან მიჰყვება, მწაფავი წინ მიუძღვის და „ხაჩებს“ ერეკება. გუთანს წყალში სამჯერ გაატარებენ, წყალს ერთმანეთს შეასხამენ და იძახია:



„ალარ გვინდა გორახიო, ღმერთო, მოგვეც ტალახიო“. შემდეგ იშლებიან.

ზოგჯერ გვალვის დროს მოსანთო იციან. ამ მიზნით ხახმატის ჯვარში მიაქვთ ორი ხავიშიანი ქვერი, რომელზედაც სამ ფეხა სანთელს დაკრავენ და ხატს ავდიას შეევედრებიან. გვალვის დროს იგრეთვე იციან მიცვალებულის ძვალის წყალში გაბანა. ბლოელები გვალვის დროს ქმოსტის მინდვრის ჯვარს საკლავს დაუკლავენ და მას ავდას შესთხოვენ.

ჭირნახულის მოსავლიანობას და დარ-ავდარს ლიქოკელები ევედრებიან მინდვრის ჯვარს — თეთრ გიორგის. წინათ ხევსურეთში თეთრი გიორგის ბეგარასაც იხდიდნენ თურმე. თეთრი გიორგის ჯვარს სამღვდელოება კახეთიდან მოაბრანებდა თურმე და მას ხევსურები ჭირნახულის ღალის ღალის ბეგარაში კომლზე აძლევდნენ. ერთ სტილ ერბოს და ორ გირვანქა ყველს. ამასთანავე, მთელს ხევსურეთში კომლზე შაურს აგროვებდნენ, ამ ფულით ნიშა ხარს ყიდულობდნენ და მას ჯვარს წინ მიაგებებდნენ. თუ ნიშა ხარს ვერ მოძებნიდნენ, მაშინ ხარს შუბლზე თეთრ ქაღალდს მიაგრავდნენ და ისე ჩაბარებდნენ. სამღვდელოება თეთრი გიორგის ჯვრით ხევსურეთს დაივლიდა, ხალხი მას უმასპინძლდებოდა, მიპქონდათ საწირი, ხოცავდნენ საკლავებს და ჯვარს ასაჩქრებდნენ, რათა თეთრი გიორგის ხევსურეთის ყანები გვალვისაგან დაცვა.

მაგრამ, ავდარი სეტყვით რომ არ მოვიდეს, ხევსურები ეხვეწებიან ელიას, რომლის ნიში მაღალ მთის წვერზეა, და, როცა სოფელი სათიბავად გავა, ელიას ნიშზე ციქანს დაკლავს და იქვე გადააგდებენ, რომ სეტყვა არ მოვიდესო. ზოგჯერ ლიქოკელები ციქანს სხვა სოფლის მხარეზე გადააგდებენ და იტყვიან: სეტყვა ჩვენ აგვაშორე და იქ დასეტყვო.

დამწიფებულ ყანას ზოგჯერ მინდვრის თაგვები და ჩიტები ანადგურებენ და ახლა ცრუმორწმუნე ხევსური იძულებულია შეასრულოს თაგვ-ჩიტთ უკმი. ეს უქმე გაზაფხულზე იციან, ხევსურები ამ დღეს კიდეც მარხულობენ. სჭამენ დოხანს, ლობიოს და მოხარშულ სიმინდს.

ჩქარა თიბვაც დადგება და ახლა გლეხობა თიბვის სამზადისს შეუდგება. ამისათვის ხევსურეთში თიბის თავს იხდიან: სა-

სოფლოდ ყიდულობენ სამ საკლავს და ხატში შაბათს ან ციხის  
დაქლავენ, ამის მომდევნო სამშაბათს კი ყველანი სათიბად გა-  
დიან.

კალის ნათავარი. პირველ კალის გალეწვის დროს ოჯახ-  
ში ორ ლიტრა ჭირნახულს ხატისათვის იღებენ: ახალ წელიწადს  
ამ კალის ნათავარით ხატში დასტურები ლუდს აღუღებენ და  
ხალხს უმასპინძლდებიან.

სთვლის ნათავარი. კალიობის შემდეგ ხევსურები არაუს  
გამოხდიან, ცხრა კვერს გამოაცხობენ და საკლავსაც დაპეკლავენ,  
შემდეგ სანთლებს აანთებენ და თავიანთ ხატებს შეეხვეწებიან,  
მოწეული ჭირნახული კეთილად მოგვახმარეთო.

ხევსურის საოჯახო მეურნეობაში რძის ნაწარმს და განსაკუთ-  
რებით ერბოს მთავარი საარსებო მნიშვნელობა ეძლევა; ამიტომ  
ხევსური ქალები ერბო-ყველის გაბევრებას იღებილის დედას  
შესთხოვენ. ადგილის დედის ნიში სოფ. გუროშია: ათენეებინაბას  
დედაკაცები აქ მიღიან ერბო-ხინკლებით და ლოცულობენ. ამ  
ხატში დედაკაცები ხუცობენ; აქ ღევს ერთი დიდი ლოდი, რომ-  
ლის ქვეშ, ხალხის წარმოდგენით, ადგილის დედის ღობილია და-  
სადგურებული და, თუ ის გაჯავრდა, ერბოსა და ყველს ბარაქა  
არ ექნება და ჭირნახულიც შემცირდება. ქალები საწირით მივლენ  
ადგილის დედის ამ ქვასთან, ისე რომ მას ფეხი არ მიაკარონ, რაღ-  
განაც, მათი რწმენით, დამნაშავე მაშინვე მოკვდება. ქადასა და  
ხინკალს ფრჩხისილით ცოტას მოსტეხენ და ამ ქვას წაუსვამენ, შემ-  
დეგ ქვას ერბოთი გაპოხევენ და იტყვიან: „ბარაქა მოგვიტან ერ-  
ბოსა და ყველისა, ადგილის დედო, ჩვენ ნაშრომ-ნამუშევარი  
მშვიდობიანად მოგვაწმარე!“ ერბოს იმდენს ღასსხამენ, რომ ის  
ჰუმიშუმით სიბირან მიწაზე იღვრება. ხალხს ჰეონია, ამ ერბოთი  
ქვის ქვეშ მჯდომი ღობილი იკვებებათ.

ძროხა რომ ხბოს მოიგებს, დედაკაცები მისი რძისაგან პირველ  
ნაღებს ადგილის დედის ნიშში წაიღებენ და იქ ბროლის ქვას  
წაუსვამენ, ბროლის ქვა კი აქ სიწმინდის ნიშანია.

ხევსურები სახადს ბატონებს ეძახიან. ყვავილს არ წამლო-  
ბენ, ბატონები გაჯავრდებიან და სახადიანი მოკვდებათ. ყვავილი-  
ანი ავადმყოფი თუ შეწუხდა, მას მხოლოდ არაუს შეასმევენ. ოჯახ-  
ში სიმშვიდესა და სისუფთავეს იცავენ, სახლში არ საქმობენ,



ნემსის აღებისა ეშინიათ, ბატონები გაჭავრდებიანო. ავადმყოფებულიანო, წინ გაუშლიან თეთრ სუფრას და ძლევნაც დაუდგამენ, ბატონებს ესიამოვნებათო. ავადმყოფი თუ შეწუხებულია, თავშე მოვლა იციან, დედა ან მახლობელი ავადმყოფს შემოუვლის და იტყვის: „ღმერთო, ჩემი თავი ააფარე და ეს აუშვი!“

აგრეთვე იციან ბალლის საჯსარი: მძიმე ავადმყოფთან მიიყვანენ ორ ხარს და ზედ ულელს დასდგამენ. ულელზე ქვაბს ჩამოჰკიდებენ და შიგ ბალლს ჩასვამენ. ვისაც ემეტება, ხარს რქაზე ვერცხლის ქამარ-ხანგალსა და შიბს შეაბამს და თავის სალოცავ ხატს შეეველრება ავადმყოფის განკურნებას. ამის შემდეგ ასახელებულ ჭარებს აუშვებენ და, ავადმყოფი განიკურნება თუ მოკვდება, ორივე შემთხვევაში ხარს მაინც დაკლავენ.

სამხვერი როს ასრულებენ, როდესაც სოფელში ვინმე სახელოვანი ვაჟკაცია მძიმე ავადმყოფი. მაშინ სოფელი ერთ ხარს გაილებს და ხატს შეეველრება ავადმყოფის განკურნებას. ამასთანავე ღედაკაცები ფარავიდან ვერცხლის ფულებს აიხსნიან და ხატს შესწირავენ; აგრეთვე მანდილსაც აიხდიან და ხატს ისე შესთხოვენ ავადმყოფის განკურნებას. ავადმყოფი მორჩება თუ არ მორჩება, ხარი მაინც დაიკვლის.

ხევსურებს სწამთ უფროი თვალი და მათი წარმოდგენით ავთვალს შეუძლია ადამიანისა და საქონლის დაზარალება, ამიტომ უფრის თვალის წინააღმდეგ ხევსურები მიმართავენ სხვადასხვა ჭალისნურ წესებს. ამ მიზნით ღიღ ხუთშაბათს ახალგაზრდები პურს არ შექამენ. ქალები წყალს უმძრახად მოიტანენ და ცეცხლის პირას დადგამენ. შემდეგ კერიდან ნაკვერჩხალს იღებენ, წყალში აგდებენ და იტყვიან: „ჩაიშანთას ჩემდ ავით თვალითა‘ გულითა შემომხედავი! ჩეეშრიტას თვალი!“ ამ სიტყვებით დიდისა და პატარის სახელზე ნაკვერჩხალს წყალში აგდებენ და, ვის სახელზეც ნაკვერჩხალი მეტხანს დაიშხივლებს, ის თვალის ნაენები იქნება. შემდეგ ამ წყლით სახეს მოიბანენ და ოჯახ-საქონსაც „გადააწინ-წლებენ“.

უფრის თვალის წინააღმდეგ ურძნის ხის ნატეხს გახვრეტენ, შემდეგ მას შეულოცვენ და იღამიანსა თუ საქონელს ყელზე შეაბამენ.

უფრის თვალის შემლოცავი დედაკაცია, რომელსაც ხელში ნახშირი და დანა უჭირავს და იგი ასე შეულოცავს:

„შეგილოცავ თვალისასა, გულისასა, შინაურისასა, კარულისას, უნაუროსას, ნანაუროსას. შაგილოცავ კაცისასა, დედაკაცისას, დიდისას, ცოტაისას, მგზავრისას.

შაგილოცავ თმაშავისას, თვალშავისას, თვალსისვისას, თმაყვითლისას, ფერმქრთალისას, ფერწითლისას.

შაგილოცავ ორშაბათისას, სამშაბათისას, ოთხშაბათისას, ხუთშაბათისას, პარსკევისას, შაბათისას, დიდი კვირაისას.

გაიხია შავი კლდე, გამოვიდა შავი ცხენი, შავდა შავი მკედარი, ჩაუყენ შავს მტკვარს, ამოხქრა მათრავის წვერი, ამიღმა შავი გველი. ჩადგა სინის ქვაბში, ჩაუგზა ეკლის ცეცხლი, ჩაწვა უფრის თვალისა, უფრის გულისა, თვალთა ნაცარი, გულსა ლახვარი, სიკვდილის ლუსმარი.

ვინ არ დაგწერა ჯვარი? ვინ შამოგაგდო თვალი? ნუ დეეწერა ჯვარი, მიწად შაიღეს სულამაის დღეს, ნუ აუყივლდას მამალი, ნუ გაუვიდას გუთანი!

გაქრას მთის ქარივითა, გაიარას თოვლის წყალივითა, ჩაუკიდას საქმისას მეხი, კარისას ცეცხლი! დედათ ღვთისაო მარიამო, შენია ხსენება, შენ დასწერე ჯვარი! ისრემც მალ გეშველების, ცულს რო ტარი დეეგების, ჩალას ცეცხლი დეენთების! ბლავანს დედის რძე ერგების! ჯვარი გეწერას! ლოცვა — ჩემი, რგება — ღვთისა!”

ვისაც თავი ასტევია, მას შეულოცვენ სულის შეუქცევლად საკეკის ქარის შელოცვას: „საკეკი კნავს ყანასა ჩვენის სათიბის ძირასაო, ეგრე ხრავდა რკინასა, ეგრო კარი თივასა, გაუწყრას დამბადებელი, გაიპარა დილასა“.

წითელი ქარის ლოცვა: „მოვიდა წითელ ქარი. მახოხევდა დათვივითა, მაცოცევდა მაჩვივითა, წითელი კაბით, წითელი თავშლით, წითელი ჩაქმით. შეყარა ქრისტე ღმერთი: სად მიხოლ, წითელ ქარო?

— შაოლ კაცის ტანში, კორცის დავაღნობ, სისხლს დავადენ, გალოს დავნაყ, ტვინს დავლოყ.

— არ შაგიტევ კაცის ტანში, არ დაგაღნობიებ კორცისა, არ დაგდენიებ სისხლსა, არ დაგანაყიებ გალოსა, არ დაგალოიებ ტვინსა,

აგიყენებ აღმას, ჩაგიყენებ დაღმას, აგჭრი ყელ-ყურს, ჩაგაგრუბ კევთა-კევბნელთა. არ მოგდიოდას კარის ყვირილი, არ მოგდიოდას ცხენის ჭყივილი, არ მოგდიოდას კაცის კივილი, არ მოგდიოდას მამლის ყივილი. ცულის მოჭრილი ცულის ტარად აეგების, ჩემი პირის ნათქვამი შენ კარგად შაგერგების! გამაე, თორემ გამოგიყვან შავი კარის ყვირილითა, გამაე, თორემ გამოგიყვან შავი ლორის ულმუილითა, გამაე, თორემ გამოგიყვან შავი ძალის ყმუილითა, გამაე, თორემ გამოგიყვან შავი ძალის ყივილითა, გამაე, თორემ გამოგიყვან შავის მამლის ყივილითა!

— მა რაია შენი წამალი? — წითელ შაქარი, წითელის ფურის რძეი, ბალბა ბალახი, დიკის ფქვილი, ირმის თასმა, თიკნის ტყავზე ენდრო წაყრილი. გამაე კაცის ტანშიგით, დაცხერ-დაჭკნი, გენდრე ცას რეალს, მიწის მყარს, გენდრე დედის ძუძუს, მამის ხონჯარს“.

შელოცვის დროს ხელში უჭირავთ წითელი შაქარი (ყინვარ-შაქარი) და ურძნის ნაჭერი.

პირქვეთის ლოცვა: „დასხდეს დედანი, მამანი კარსა სამოთხისასა, ლთითა, ლთის წესითა. ჩვენ სამნი ძმანი ვიყვენითა: მათე, ივანე, მარკოზი. წავედით ნადირობად, ვინადირეთ. ზღვას იქით გადვიყარენით, ზღვას ქით გადმოვიყარენით, ქვალ ვკვლიერთა გავდგლიერთა: წითელ ქარისა, ყვითელ ქარისა, პირქვეთისა, ხავრისა-ხავრეჯისა. ოჩი იყავ თრბისა, წიწილ თრბისა, ლარი დავაგო; ლარი აბრაშუნისა. ქალს ყმას მოვხვდი, ვაჟს ყმას მოვხვდი, ქორცს დავადნობ, სისხლს დავადენ, გალოს დავნაყ, ტვინს დავლოკ. მოვიდოდა ქრისტე ლერთი ცხრი მღვდელითა ცხრი ლიაკვნითა, ერთი ღალადობითა: „არც კორცს დაგადნობიებ, არც სისხლს დაგადენიებ, არც გალოს დაგანაყიებ, არც ტვინს დაგალოკიებ“.

ცხრან ლეწევდეს, ათნი ანიავებდეს ოქროს ფიწლითა, ოქროს კელვარცლითა. შეს ჭირსა, შეს სატკივარსა, გამაედ, თორე გამაგიყვან ღვთითაც და კვირაის ძალითაც“.

ნაწილიანობა. ხევსურების რწმენით ზოგჯერ ბავშვს დაბადების დროს პერანგი დაჲყება. ეს იშვიათი შემთხვევა არის და პერანგი დედამ უნდა აიღოს და შვილს ის უბის მასრებში უნდა შეუნახოს, ნაწილიანი იქნებაო. ნაწილი ძილის დროს პატ-

რომს შუქასა ჰელისო და ამით მას ყოველგვარი განსაცდელი მიზანი იცავსო.

ნაწილიანი კაცი ველზე არ დაიძინებს, მას გველისა ეშინია, რომ გველმა მას ნაწილი არ ამოაცალოს და არ მოკლასო.

ნაწილიანს გველი ემტერება თურმე და ის უნდა ფრთხილობდეს. ნაწილიანობა ცოლის შერთვამდეა საშიში, შემდეგ კი თავისუფალიათ.

ორსულ დედაკაცს ხევსურეთში გარეთ დაწოლისა ეშინია: ვაი თუ ბავშვი ნაწილიანი იყოს და გველი ჩამიგიღესო. ამიტომ გველის წინააღმდეგ აქ ზოგიერთები გველის ბეჭედსაც კი ატარებენ. ეს ბეჭედი ერტელისაა, ოთხად არის დახევული და ზედ მოსევადებულია, მას უზის ცისფერი თვლები. ამ ბეჭედს ხევსურები ოქრომჭედლებს უკვეთავენ და აქ გველის ბეჭედი ძვირადაც ფასობს.

როცა ბავშვი მიწასა სჭამს, გაზაფხულზე გველს რომ დაინახავენ, ჯოხს მოუღერებენ და ეტყვიან: „გველო, ყმაწვილი მიწას ჭამს, შენ გაელებს, იმას კი არას ღმატებს“.

ბეჭი მკითხაობა ხევსურეთში გავრცელებულია და ცრუმორწმუნე ხევსური საკლავის ბეჭს გულისფანცალით სინგავს, რომ გაიგოს თავისი ოჯახის ბეჭი თუ უბედობა: გამჭვირვალე ბეჭი ოჯახის იღბლიანობას ნიშავს. თუ ბეჭს საღმე სისხლიანი ხალი აღმოაჩნდა, გვარში ახლობელი მოკვდებაო. უღელმოზნექილი ბეჭი ვაჟის შეძენის ნიშანია, განწორებული კი — ქალისაო. ლაქიანი ბეჭი ძროხის ზარალია, ბეჭის ფრთის მოხრილობა კი ჭირნანულის დოვლათია და სხვა.

ასოთს ამღერელი. როცა ხევსურს მარცხენა თვალი ექავება, ეს წყენის ნიშანია, მარჯვენა თვალის ქავილი კი — სიხარულისა. ნიჟაპის მოტხანა ერბოს ჭამას ნიშანებს, თვალის კილოს მოტხანა კი ტირილის ნიშანია. სხეულის (იოვის) შეთამაშებაზე იტყვიან, ახლობელი მოკვდებაო. საწვერე (ულვაშის შუა ნაწილი) რო ექავება: ჭაშნიკ მეუბნების, სასმელს დავლევ ან ავდარი იქნებაო. თუ ხელის გული გიმლერის (გექავება), მარჯვენა მაილებს (მოიტანს), მარცხენა კი გაიღებსო (გაიტანსო). „თუ კართ (მუხლის ქვეშ ნაწილი) გეფხანების, გაჭირდების რაიმ“. თავის მოტხანა სტუმრის მოსვლას ნიშავს. თუ შუბლს მოშორებით მოიტხან, სტუმარი შორს არის, თუ ახლოს, სტუმარიც ახლოს არისო.

## 8. საკულტო აღგილ-სამლოცველოები და მათთან დაკავშირებული რიტუალი

სარწმუნოებით ხევსურები ქრისტიანული იოვლებიან და ისტო-  
რიულ წარსულში ხევსურეთი შედიოდა ხარჭაშის საეპისკოპოსოს  
სამწყსოში<sup>1</sup>. მაგრამ ქრისტიანულ მოძღვრებას აქ ფეხი ვერ მოუკი-  
დებია და ხევსურები დღესაც წარმართულ წესებს ასრულებენ.

ხევსურეთი ამასთანავე ქრისტიანული ძეგლებითაც ღირიბია. მხო-  
ლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში რუსთის ოვითმყპრობელო-  
ბამ განიჩრახა „ურწმუნო“ ხევსურეთში ქრისტიანობის აღდგენა და  
ამ მიზნით აქ დაიწყეს ეკლესიების შენება<sup>2</sup> და მღვდლების განწე-  
სება: ბარისახოში, ხახმატში, ბაცალიგოში, ახიელში და შატილში.  
ხევსურები ებრძოდნენ მეფის ხელისუფლების მიერ გამწესებულ  
სამღვდელოებას, ეკლესიებში არ შედიოდნენ და არც მათ ლოცვა-  
კურთხევას ისმენდნენ.

ამავე დროს ხევსურები თავიანთ წარმართულ ხატ-სამლოცვე-  
ლოებს და მათ სამსახურს იცავდნენ და ძველ კერპულ წესებს  
ასრულებდნენ. ამ ნიადაგზე ხშირად აღგილი ჰქონდა სამღვდელო-  
ებასა და ხატის მსახურთა შორის შეტაკებას, მაგრამ მეფის ხე-  
ლისუფლების შიშით ხევსურები ვერ ბედავდნენ აშკარა ბრძო-  
ლას. მხოლოდ რევოლუციის პერიოდში შესძლეს ხევსურებმა  
სამღვდელოების განდევნა და ეკლესიები დახურეს.

მგვარად, ხევსურეთმა ვერ აითვისა ქრისტიანული მოძღვრე-  
ბის განყენებული დოგმატიკა, რომელსაც მან ზურგი შეაქცია და  
ის დღემდის ძველ „კერპულ“ რწმენაზე დგას.

ხევსურებს სწამო მრავალი ხატ-ანგელოზები, რომელთა ს აუ-  
მოს მოელი ხევსურეთი წარმოადგენს. თავიანთ თავსაც ხევსურე-  
ბი ამ ხატების ყცებად თვლიან. მაგრამ ამ წარმართულ პანთეონში  
ღვთაებები დაჯგუფებულია იერარქიული კიბისა და მათი ფუნქცი-  
ონალობის მიხედვით. თვითეულ ღვთაებას უფროს-უმცროსობის

<sup>1</sup> ვახუშტი, საქართველოს გოგრაფია, ტფილისი, 1904 წ., გვ. 137.

<sup>2</sup> Антоний, епископ Горийский, Религиозно-этнографический очерк Пшаво-Тушини-Хевсуретии, Тиф., 1914 г.



მიხედვით მიჩნილი აქვს თავისი სამოღვაწეო ასპარეზი, რომელიც საც მხოლოდ ის განავებს.

ამასთანავე თვითეულ ღვთაებას ჰყავს ხელვეეითი და დამხმარე მწევრები და იასაულები, რომლებიც მათ ნებასა და ბრძანებას ასრულებენ. ამ ღვთაებათა მოღვაწეობა დაკავშირებულია ხევსუ-რეთის სოციალ-ეკონომიკურ მოთხოვნებთან და ცრუმორწმუნე ხევ-სურს თვითეული მათგანისათვის მიუჩნია გარკვეული ფუნქცია.

ხევსურის წარმოდგენით, ღვთაებებში პირველია მორი ღე ღმერთი. რომელიც ყველაზე ძლიერი და უფროსია. მორიგე ქვე-ყანას რიგს აძლევს და ყველანი მის ბრძანებას ემორჩილებიანო.

მორიგეს შემდეგ მეორე ადგილი უკირავს კვირაეს ან კვირიას, რომელსაც კმელთმოურავს უწოდებენ. კვირია მორი-გეს კარზეა და სამწერლო აქვს აგმართულიო. ხმელეთზე ყველა საქმეს კვირია განაგებს და, სანამ კვირის არ შეეკითხებიან, ანგე-ლოზები ვერაფერს გააკეთებენო. მორიგესა და კვირის ხევსურები ერთად იხსენიებენ და შესთხოვენ კარგად ყოფნას, ადამიანისა და საქონლის ვამრავლებას.

ვისაც ვაუი გაუჩნდება, ის კურატს ან ჭედილას დაკლავს და მორიგესა და კვირის ს ამ ღვთოს გადუხდის. კვირია მორიგეს პირად ბრძანდება და მას თავისი იასაული სოფ. ატაბეში უყენიაო, სადაც დღეს მისი საბრძანისი ხატია გამართული.

ამ ორი ღვთაების შემდეგ ძლიერ და მნიშვნელოვან ხატად მოელს ხევსურეთში ითვლება გუდანის-ჯვარი, რომელსაც „სამღვარო“ იხსენიებენ და წმ. გორგობობით ლოცულობენ. თე-მურ ხევსურეთში თავდაცვას და ლაშქრობას დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა და ლაშქრობის საქმეც გუდანის-ჯვარს ეკითხებოდა თურმე. ამ მიზნით ლაშქრობის წინ ხევსურები გუდანში ქადაგს დას-ვამდნენ და მისი მეშვეობით გუდანის-ჯვარს შეეკითხებოდნენ ლაშქრობის საქმეს. როგორც ეს ხატი ბრძანებდა, ხევსურები ისე მოქმედებდნენ. თუ ლაშქრობაში გუდანის-ჯვარს გაუჭირდებოდა, მორიგეს ბრძანებით მას თურმე შეეშველებოდნენ: კოპალ კარატის წვერისა, პირქუში და სანება ცრო-ლის წვერისა, რომლებსაც თავიანთი ცალკე სამოღვაწეო დარგიც ჰქონიათ მიჩნილი.

თე თრი სანება ცროლის გორისა ითვლებოდა მეკობრეთა



და მონაცირეთა ღვთაებად, რომლის ხატი უკენ-ჯალუშია. მექობ-აკოვაცია  
რეთა ეს მუარველი ხატი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ხევ-  
სურეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სადაც მექობრეობას და  
ნადირობას თემისათვის საარსებო მნიშვნელობა ჰქონდა. მექობ-  
რობას ნადავლის მოპოვების მიზნით თემის შეძლებული და გავ-  
ლენიანი ნაწილი აწყობდა და ნადავლიც მას რჩებოდა, ამიტომ  
მექობრენი თეთრ სანებას ევეფრებოდნენ გამარჯვებას და ნადავ-  
ლის მოპოვებას. ამ ხატს ძლვენ-საწირით მონაცირებიც ლოცვ-  
ლობდნენ და მას ნადირობაში ხელის მომართვას შესთხოვდნენ.  
ხევსურების თქმით, ნადირობის საქმე თეთრ სანებას თვით მორი-  
გემ ჩააბარა და მას თავისი ხელით სისხლიანი ხმალიც შემოარ-  
ტყა. ამიტომ თეთრ სანებას შეუძლია თავისი ყმის მტრის თოვ-  
იარილის შეკერა და გალახვა.

კოპალა კარატის წვერისა მებრძოლია და გვირი  
ღვთაება, რომლის საბრძანისი სოფ. გურიოშია, წვერი კი კარატე-  
ში — ლიქოდის ხეობაში. ხევსურების წარმოდგენით კოპალა  
ებრძების აესა და ბოროტ სულებს და მის სამეუფლოს ექვემდებარე-  
ბან: ალები, ქაჯები, და მაჯლაჭუნები, რომლებიც წარმოდგენილი  
ჰყავთ ღორისა, ხელიკისა და ჭოჭოს სახით.

ხევსური ყოველგვარ უბედურებას მიაწერს ამ აესულებსა და  
მაცილ-ეშმაკებს, რომლებიც, მისი რწმენით, იდამიანსა და საქო-  
ნელს მტრობენ, ხიბლავენ, ივად ხდიან და ბოლოს სიცოცხლეს  
ასაღმებენ.

მაცილ-ეშმაკებს ხევსურების წარმოდგენით ჰყავთ თავიანთი  
დედაც, რომელსაც დევთ-დეას უწოდებენ. მისი სალოცავი  
კოშეი ციხურა როშეაშია, სადაც დედაკაცები საწირ-საკლავით  
მიდიან და ლოცულობენ. ვისაც დევთ-დედა დამიზეხებს, მას  
იყი ეშმაკებს მიუსეეს და დაააგადებსო. ეშმაკები აგრეთვე მის  
ბალდებსა და ბოროლებს მტრობენ, ივად ხდიან და ხოცავენ. ეშ-  
მაკებისაგან დაზარალებული ხევსური საწირ-საკლავით მიდის  
დევთ-დედის ნიშთან და შეელას ეხვეწება. დევთ-დედის მახვე-  
წარი ციქანს დაუკლავს, რომელსაც გაგლეჩენ და იქვე გაღააგდე-  
ბენ, ამასთანავე სანთლებსაც უნთებენ; ზოგი კი საღობილო-  
ებს უცხობს, რომ მაცილ-ეშმაკებისაგან დაიცვას.

მაცილ-ეშმაკებისაგან თავდაცვა ხევსურს კოპალასათვის მიუნ-



დვია. კოპალა ლაბტითა და მშვილდ-ისრით არის შეიარაღებული და დევ-ეშმაკებს მუსრავსო. ამ ბრძოლაში კოპალას შველის პირ-ქუშიც, რომლის საბრანისი ბაცალიგოშია; მას ცეცხლისალიან ანგელოზად იხსენიებენ. კოპალას ფშაველთა იაკსარიც შველისო, იგი კოპალას ძმადნაფიცად ითვლება.

ხალხური თქმულებით, ერთხელ ფშავ-ხევსურეთში დევები მოგროვილან და მათ ფშავ-ხევსურეთის არაგვის დაგუბება განუზრახავთ. ეს რომ ფშავის იაკსარს და ხევსურეთის კოპალას გაუგიათ, მაშინვე ერთმანეთისათვის ძმობა შეუფიცავთ და საომრად ფშავის ჭალაზე ჩასულან. აქ დევები ქვებს აგროვებდნენ თურმე, რომ არაგვი დაეგუბებინათ და ფშავ-ხევსურეთი წაელეკათ. ამტყდარა ბრძოლა და დახოცილი დევებისაგან არაგვის წყალი წითლად შეღებილა. მაგრამ ერთი დიდი დევის მოკვლა გაძნელებულა, მას ზურგზე დიდი ქვა ეკიდა თურმე და ამით წყლის დაგუბებას ცდილობდა. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ კოპალას დევისათვის ლახტი მაგრა დაუკრავს და იქვე გაუგორებია. მაგრამ მეორე ცალ-თვალა დევი ხევსურეთისაკენ გაქცეულა და აქ როშეის ხორხის ტბაში, აბუდელაურის ტბაში ჩავარდნილა, იაკსარი ამ დევს დას-დევნებია და იგი შიგ ტბაში მოჟკლავს.

დევის სისხლით ტბა შელებილა და ამ უშმინდური სისხლიდან იაკსარი ვერ ამოსულა. ეს ამბავი გაუგიათ იაკსარის ყმებს, მიუ-ვანიათ ოთხერქიანი და ოთხყურიანი ცხვარი და ტბასთან დაუკ-ლავთ, მისი სისხლით ტბა გაწმენდილა, ამის შემდეგ იახსარი ტბილან ამოსულა და იქვე ქვაზე დამჭდარა.

„ლვოის კარზე შევიყარენით ლვთისნაბადადებნი ცხრანია დევებს ხენიყო ქორწილი, ეჩევიფა სიმურ-წყალია.  
საქმისას ლახტი შევლირე, ზე გამოვხურე ბანია.  
ერთ დევ კა გამომივარდა, ქვას მაატოლა თავია.  
კლდე ოთხად გავანაყიე, დევს ამოქსოთხარე თვალია.  
კარგა სცოლნიყო თხერსა აბუდელაურთ ტბანიო.  
დევი ჩავიდ მორევთა, თან ჩავხყევ მეომარიო,  
ბევრი იჯელიეს ჩემ ყმათა ოთხერ-ოთხყური ცხვარიო.  
მოვიდეს ისიც ჩამოკლეს, კვირავ, დასწერე ჭვარიო.  
ზამოვჭედ ტრედის სახითა, სისხლს გაებნეს მჯარნიო.  
აიქით კარატემდინა საშიბით გასხვალოო,  
მე აგრე გავიარიდი, ვერ მომეიდიან თვალიო“.

კარატის-ჯვარის თავდღეობა ახალწელიწადს იცინ. თვით კუპალა ხალხს წარმოლგენილი ჰყავს, როგორც ეშმაქებისა და ბოროტი ძალების მმუსრავი ღვთავბა, რომელიც ფარ-ლახტით არის შეიარაღებული. განსაკუდელის დროს ხევსური მას ასე მიმართავს: „კარატის-ჯვარო, დახვარ ლახტი!“ ან „კოპალა კარატის-ჯვარო, გვიშველე!“ კარატეში მახვეჭარს საწირად მიაქვს ხავიწიანი დიდი ქადა, რომელზედაც ანთებულ სანთლებსაც დააკრავენ; ვისაც საქლავი აქვს შეთქმული, ის ცხვარს დაუკლავს.

ზევისა და წყლისაგან დამხრჩვალის სულის გამოკვენა მხოლოდ კარატის ჯვარს შეუძლია. თვის მოკვლა, ხევსურების წარმოლგენით, ეშმაკის საქმეა, ამიტომ მისი სულის გამოსახსნელად ხევსურეთში კარატის ხუცს მიმართავენ. ხუცი წამოიღებს კარატის დროშას, მივა იქ, სადაც უბელური შემთხვევა მომხდარა, დროშის ტარს დაპერავს და იტყვის: „კარატის ჯვარო, უშველესულთა კაცისათა, ღმერთსთან წასხენ იმის სულნი, ეშმაკს დაართვენი, ეშმაკ მოკალ, ლახტ დახვარი!“—ო. ამ სიტყვების დროს ხუცი ლელავს და შფოთავს, მაგრამ მას დასტური იჭერს და ამშვიდებს. ბოლოს ხუცი იქვე ხელუკუღმა შავ ციკანს დაკლავს და იტყვის: „ეგ სულნ ქვე დაართვენ, თიკან შენ იყვას!“—ო.

მაცილ-ეშმაკისაგან მოხიბლულს ხევსურები კარატის დროშით აკოჭვინებენ. მოხიბლული გულმავიწყი ხდება თურმე, ხშირად ავადმყოფობს. კარატის დროშის წინ ავადმყოფს დააჩინებენ და იქვე საკლავ ცხვარსაც დააყენებენ. ხუცი აიღებს დროშას, სამჯერ ავადმყოფ ქალს დროშის ეღარუნით შემოუვლის და იტყვის:

„გმირო კოპალავ, ლალო — ლახტიანო, დახვარ ლახტი, იჯმარე შენი ძალი, უშველე ამ ქალს შემოხვეჭილსა, მოაშორე მაცილი და ეშმაკი!“.

ხევსურების თქმით, თუ მოხიბლული ქალი დროზე არ დააკოჭვინეს, ეშმაკები მას აუცილებლად შეაცდენენ, თავს მოაკვლევინებენო და მის სულსაც ეშმაკები დაეპატრონებიანო.

თუ ავადმყოფი გაგიდა, ისიც კოპალას ხატში მიპყავთ და იქ აკოჭვინებენ.

კარატის ჯვარს წინათ თუშებიც ლოცულობდნენ, ათენენობას კარატის ჯვარიონნი თუშეთში გადადიოდნენ და კარატის ჯვარი

ხარგებს კრეფდა, ავადმყოფს აკოჭვინებლნენ და სხვა. კარატის ნიშები დღესაც დაცულია თუშეთში, საღაც კარატიონი დგებოდა და თუშ მახვეწარს ამწყალობნებდა<sup>1</sup>.

პირი მზე ს აბარია ცა-ლრუბლის საქმე. ამ ღვთაებას წმ. გორგიობით ლოცულობენ, როგორც მაღალ საჩალეზედ მდგომს, „სამ კბილის მეარსეს და მურყვანოსელს“ ამ ხატის საბრძანისი სოფ. ჩირლილშია. გვალვისა და ავღრობის დროს მას მორიგე ღმერთთან შუამდგომლობასა და დახმარებას შესთხოვენ.

ხალხური თქმულებით, პირიმზეს დევი მონად ჰყავს და, თუ ყმებმა გაავავრეს, მაშინვე ზღვისაკენ გაეშურებაო, იქ დევს სეტყვასა და ხორხოშელას აჰკიდებს და ყანებს გაანდგურებს. ამიტომ პირიმზეს ხევსურები განსაკუთრებული პატივით ეპყრობიან და, როცა ხვანა-თესვის მორჩებიან, სეტყვის წინააღმდეგ პარასკევსა და შაბაოს ნაკვეთ დღედ დაწესებდენ და, სანამ ჭირნახულს არ აიღებენ, ნაკვეთი დღის გატეხა და მუშაობა აქრძალულია.

კაჭმატის-ჯვარიც ხევსურეთში ძლიერ ხატად ითვლება და მასაც წმ. გიორგიობით ლოცულობენ. ხახმატის-ჯვარი უფრო ქალების მფარველ ღვთაებად არის მიჩნეული, მას ქალები შეილა-ერობასა და ვაჟიანობას შესთხოვენ. ამ მიზნით ქალები მას მწევრის საფლავზე ციკანს. სწირავენ. ხახმატის-ჯვარს ერთი მწევარი ჰყოლია და ციკანი მას მოუნდებაო. მშობიარე. ქალი ხახმატის-ჯვარს ევეღრება მშვიდობიან მოლოგინებას და მის დობილებს — აშე ქალს, მზე ქალს ა და სამძიმარს სადობილო კვირებს უცხობს.

ხახმატის-ჯვარი აგრეთვე ითვლება საქონლის მფარველ ღვთაებად, რომელსაც ქალები ძროხების გმრავლებას ეხვეწებიან და მას ახლად მოგებული დეკეულის კარაქის ნათავარს საწირში მოართმევენ.

ხევსურების თქმით, ხახმატის-ჯვარი საქონელს იცავს ქურდისა და მავნე ნაღირისაგან. თუ არა ხახმატის-ჯვარის ნებით, ქურდი ხაქონელს ვერ მოიპარავსო, ამიტომ ქისტებიც თურმე ლოცულობენ ხახმატის-ჯვარს, რომ ხევსურეთის ამ ხატმა მათ ხელი მოუმართოს საქონლის ქურდობაში.

<sup>1</sup> ს ე რ გ ი მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, 1933 წ., გვ. 209.

ხალხური თქმულებით ერთხელ ხევსურეთის საქონლი ეშმაკებს გაურეკიათ; ამაზე ხატის ყმები შეწუხებულან და ხახმატისათვის შევლა უთხოვიათ. ხახმატის-ჯვარს მაშინვე თავისი მწევარი დაუდევნებია, ეშმაკებისათვის საქონლი წაურომევია და ამ მწევარისათვის ჩაუბარებია საქონლის მეთვალყურეობა. ამ მწევრის ნიშიც ხახმატის ჯვარშია მოთავსებული.

ვინც ხახმატის ჯვარს ცხენების მომრავლებას შესთხოვს, მან ხატში სარე მაო ბატყანი ან ციკანი უნდა დაკლას.

ერთი სიტყვით, ხახმატის-ჯვარი ქალებისა და საქონლის მფარელია და, როცა დიაცი გაგიუდება, მას ხახმატში ალოცებენ და შევლას შესთხოვენ. ხალხის რწმენით, ვისაც ხახმატის-ჯვარი სწყალობს, მის საქონლს ქურდი და ნაღირი ვერ გაეკარება, ამ უკანასკნელთ ხატი მაშინვე დააბრმავებს.

ამიტომ მგზავრობის დროს ხევსურს ხახმატის მოსანთო, სამი ხავიწყანი კვერი და სანთელი მიაქვს და, საღაც დაუღამდება, იქვე დადგება, სანთლებს აანთებს და იტყვის: „კამატის ჯვარი, ხელო სამძიმარო, გვიშველე და დაგვიფარე!“ კვერებს იქვე შეჭამს. ამის შემდეგ მგზავრი ხევსური დარწმუნებულია, რომ ხახმატის-ჯვარის შიშით მას ქურდი და მავნე ნაღირი ახლოს ვერ მაეკარება.

ამ დიდ და ძლიერ ხატებთან ერთად ხევსურებს სწამო მცირე ხატებიც. ასეთია ანატორის-ჯვარი, რომელიც მორიგეომერთთან მეშველია და იმისაგან ქაღალდი გამოაქვს. ანატორის-ჯვარი თავის ყმებს მორიგესთან შუამდგომლობას უწევს და მფარელელობსო.

ფუძის-ანგელოზი არის ოჯახის მფარველი ღვთაება, რომლის საბრძანისი ნიში უკან-აჯოშია. ფუძის-ანგელოზს ევედრებაან ოჯახის კარგად ყოფნას და იდამიანისა და საქონლის უჭირველობას. ფუძის-ანგელოზს დიასახლისი კვერებს უცხობს, სანთლებს უნთებს და ისე ლოცულობენ.

ადგილის-დედას ხევსურეთში ყველგან თაყვანსა სცემენ. მისი ნიში თითქმის ყველა სოფელშია, მას აგრეთვე ღვთისმშობლობით ლოცულობენ. მაგრამ მთავარი აღგილის დედის საბრძანისი ხატი სოფ. აჭეშია, საღაც მახვეწარი საწირ-საკლავით მიღის და ლოცულობს. აღგილის დედის საქონლის გამრავლებას შე-

სოხოვენ და, როცა დეკეული პირველ ხბოს მოიგებს, მას ადგილის დედას დაუკლავენ და ძროხების გამრავლებას შეეხვეწებიან. თავიანთი ხატები ხევსურებს ანგელოზების სახით ჰყავთ წარმოდგენილი: თვითეულ მათგანს იასაულები ჰყავთ, რომლებიც ხატის განკარგულებებს ასრულებენ. იასაულების კრებულს ლაშქარი ეწოდება, ამ ლაშქარში ბოროტი და კეთილი სულები ურევიან.

ხევსურის ჩრდილი, იასაული ანგელოზის მოენეა და ყმის ყოველგვარ შეცოდებას ხატს აცნობებსო. ერთგულ ყმას ხატის კეთილი იასაულები იცავენ და მფარველობენ, ორგულსა და ურწმუნო ყმას ხატი ბოროტ იასაულებს მიუსევს და ოჯახს გაუნადგურებსო.

ამასთანავე ზოგიერთ ხატს მწევარი<sup>1</sup> ან დამხმარე თანაშემწე ჰყავს, რომელიც ხატის ყმას გასაჭირში შეეშველება და მფარველობსო. ასეთი მწევარი ჰყავს ახიელის მთავარ ანგელოზსა და ხახმატის ჯვარს და მათ თავიანთი სამლოცველო ნიშიც აქვთ აგებული გაჭირვების დროს ცრუმორწმუნე ხევსური ამ ლაშქარ-მწევრებს შველია და დამხმარებას შესთხოვს.

ხატის ლაშქარში დობილებიც ურევიან; მათ შორის ცნობილია ხახმატის-ჯვრის დობილები: აშევალი, მწევალი და სამძიმარი, რომლებსაც ხახმატში თავიანთი ნიში აქვს აგებული. ხალხური თქმულებით, ხახმატის-ჯვარს თავისი დობილები ქაჯეთიდან მოუყვანია და მათ სახელებს, როგორც ხატის დობილებისას, ხევსური ქალები ხშირად ატარებენ.

ხატის დობილები ხევსურების წარმოდგენით პატარა აღამიანების სახისანი არიან. დობილები ხატის ორგულ ყმებს ბავშვებს უსხეულებენ, ძროხებს უშრობენ, ჭირნახულს უფუჭებენ და სხვა. ამიტომ ოჯახის დიასახლისი ხატის დობილების კეთილგანწყობილების მოპოვების მიზნით მათ პატარა საღობილო კვერებს უკრიბს. ოჯახში თუ ვინმეს ხატის დობილის მიზეზი გამოუვიდა, დობილს ხატში ციკანს დაუკლავენ და შეეხვეწებიან: „ჯვართ დო-

<sup>1</sup> ზოგი მცველევარი ხატის ამ მწევრის შემცდიდა ახსნას იძლევა და ის მწევარი ძალით ჰგონია. სიტყვა მ-წევ-არ-ი მ-წე-საგან არის წარმომდგარი, რაც ამ შემთხვევაში დამხარეს ნიშნავს და არა მწევარ ძალის.

ბილნო, წაღმ მაუარეთ, ბარაქა მიეცით კარის ნაკნავსა და ფურის ნაწველს, ეშმაკებისაგან გვიშველეთ!“ და სხვა.

ხევსურების თქმით, ხატი თავის დობილთან წვება და დობილი ჩნდება, დობილებიც ერთმანეთთან წვებიან და მათაც დობილები უჩნდებათ; მაგრამ ხატის გაჩენილი დობილი უფრო დიდია, ვიდრე დობილისაგან გაჩენილი. ხატის დობილს დიდ ქადას უცხობენ, დობილები ხშირად ხატში ხელოსანთან და დასტურთან წვებიან. ხატის მსახურს დობილი ლამაზ ქალად მოეჩვენება ძილში და მასთან სქესობრივ კავშირს იჭერს. ამ შემთხვევის შემდეგ ხატის მსახურს სამი დღე არ შეუძლია ხატის დარბაზში შევიდეს, თას-დროშას ხელი ახლოს, სანამ ის სამჯერ არ გაიბანება, შემდეგ კი შეუძლია დარბაზში შესვლა და საქმობა. ხატის მსახურთან გაჩენილ დობილს ხატის დობილები მოკლავენ, რათა ის ბოროტ სულად არ იქცეს.

ზოგჯერ დობილი ვითომ ხევსურს ოგახშიც ესტუმრება, მამაკაცს ძილში ის ტიტველ ქალად ეჩვენება, ქალს კი მამაკაცად და მასთან სქესობრივ კავშირს იჭერენ. ამ შემთხვევაში გაჩენილი დობილი მავნე სულად, წყლის ქაჯად იქცევა, ეშმაკის თანაზიარი ხდება და აღამიანსა და მის ოჯახს მტრობსო. თუ ქალს დობილი ძილში მოეჩვენა და მასთან დაწვა, ეს ცუდი ნიშანია და ასეთი ქალი უნდა წავიდეს ლიქოში და თავი ხუცს დააკოშვინოს.

ამ მთავარ ხატებსა და მათ მწევარ-მოლაშქრე და დობილთა გარდა ხევსურეთის სოფლებს თავიანთი ადგილობრივი სასოფლო ხატებიც ჰყავთ, რომელთა ძალა-უფლება იმავე სოფლის ფარგლებით განისაზღვრება: ასეთია დიდგორის-ჭვარი, მთავარინგელოზი კარის მეზობელი, მიქელ ჭიშველი, მიქელ წყალთშუისა, წმ. გიორგი დიდგორის-ჭვარი და სხვა.

ამგვარად, ხევსურეთის ღვთავებათა უფროს-უმცროსობის იერარქიული კიბე ასეთია: ყველაზე მაღლა სდგას მორიგე და მისი თანაშემწე კვირია, მათი ხელქვეითი მოხელეები სათემო ხატებია, რომელთა შორის სამოღვაწეო ასპარეზი განაწილებულია და თვითეულ მათგანს მორიგესაგან მიჩენილი აქვს ბუნების მოვლენისა თუ საზოგადოებრივი ყოფის ერთი რომელიმე დარგის მართვა-გმევებლობა. ამ სათემო ხატების ხელქვეითია სასოფლო ხატები და მწევარ-იასაულთა ლაშქარი.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ლეთაება ჟენერაცია  
წარმართული სახელი დღემდე შერჩენია: მორიგე, კვირია, კობალთი,  
იაკსარი, პირიმზე და პირქუში. უმრავლესი მათვანი კი ნაწილობ-  
რივად გაქრისტიანებულა და დღეს ჯვარობით იხსენიება; როგორც  
მაგალითად: გაკმატის-ჯვარი, გუდანის-ჯვარი, კარატის-ჯვარი,  
ბლოს-ჯვარი და სხვა. ამ ხატების ნაწილი უკვე ქრისტიანულ სა-  
ხელსაც ატარებს: არხორის მთავარანგელოზი, შატილისა და ბა-  
რისახოს მთავარანგელოზი, მიქელ ჭიშველი, პეტრე ამლისა, წმ.  
გიორგი ჭაველი და სხვა. რაც შეეხება აღვილის დედას, მას  
თითქმის ყველგან ღვთისებრობით ლოცულობენ.

ხევსურეთის ამ წარმართ ლოთაებებს თანდათანობით ქრისტიანული წმინდანები ცვლიან: წმ. გიორგი, მთავარანგელოზი და ლვისი მშობელი. წმ. გიორგის ცალკე კულტი აქ არსებობს და მისი სახელი დაკავშირებულია რომელიმე ძლიერ წარმართულ ხატთან: მაგალითად, გუდანისა და ხახმატის ჯვარს და აგრძელებ კოპალის აქ წმ. გიორგიობით ღლულობენ. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს საქრისტიანო ეკლესიის ცდასთან, რომ ხევსურეთის ეს წარმართული ხატები ჯერ ჯვარის სახელთან და-ეკავშირებინა და შემდეგ ქრისტიანი წმინდანების სახელებით მოენათლა. მაგრამ, ამისდამიუხედავად, ამ ხატებმა ქველი წარმართული სახელები დღემდე შეინარჩუნეს, მათი კულტიც წარმართულია და მათი კავშირი ქრისტიანობასთან გარეგნულია.

ამ ხატებში დღეს ყველაზე ძლიერია გუდანისა და ვაკეთის ჯვარი და აგრეთვე კვირია და კოპალა, რომელთა ჩწმენა ხალხში ჯერ კიდევ არ შენელებულა. გუდანი და ხახმატი მთელი ხევსურეთის სათემო და რელიგიურ-პოლიტიკური ცენტრი იყო, სადაც სათემო და სალაშქრო საქმეები წყდებოდა, და, ამიტომ, გუდანის ჯვარს და მის დროშას უაღრესი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ეძლეოდა.

ჩემთვის ჯერ გაურკევეველია, გუდანი და კავშატი ამ ღვთაება-  
თა წარმართული სახელია, თუ იმ ადგილის სახელი, საღაც მათი  
საბრძანისი აშენდა. შესაბლებელია ვითიქროთ, რომ გუდა ან ღუ-  
და და კავშატი ამ ღვთაებათა წარმართული სახელი ყოფილიყო,  
რომლებიც დღეს წმ. გორგიდ იხსენიებიან, მით უმეტეს, რომ

მთიულეთშიც არის ღუდას ყოვლადწმინდის კულტი, რომელიც  
იქაც ძლიერ ხატად ითვლება<sup>1</sup>.

ხევსურეთის ამ ხატ-ანგელოზებს აქვთ თავიანთი საბრძანისი  
ნიშები, რომლებსაც აქ ჯვრებს უწოდებენ, თუშები და ფშავლები  
კი — ხატებს. თვითეულ თემს ხევსურეთში თავისი სამლოცველო  
ჯვარი აქვს, თემში შემავალ სოფლებს კი ამ ჯვრის ნიში აქვთ ოლ-  
მართული. მაგალითად, ხახმატის ყმების სოფლებში ხახმატის ნი-  
შებია აგებული, კარატის ჯვარისაში კი — კარატის კოშკი და სხვა.  
ამასთანავე, თვითეულ თემში თუ სოფელში არის კვირის და ად-  
გილისდედის სამლოცველო კოშკი.

სასოფლო ხატებში იხდიან სასოფლო და საოჯახო ხატობას, სა-  
თემოში კი — სათემო ხატობას, მხოლოდ გუდანისა და ხახმატის  
ხატობაში თითქმის ხევსურეთის ყველა თემი იღებს მონაწილეო-  
ბას.

ჯვარები ხევსურეთში სოფლის მახლობლად, ერთ რომელიმე  
ვანაპირია უბანშია მოთავსებული და მთავარ ხატებს აქ აქვს ორი  
საბრძანისი, დავაკებაზე და მთის წვერზე. ჯვარის ანუ ხატის აღ-  
ვილი, ჩვეულებრივ, ყორის გალვანით არის შემოზღუდული და  
წმინდად და დედაკაცისათვის შეუვალად ითვლება. ხატში რამდე-  
ნიმე საკულტო ხასიათის ნაგებობაა. მათ შორის მთავარია ხატის  
ნიში ან კოშკი, რომელიც წარმოადგენს მთაში გავრცელე-  
ბული ჩვეულებრივი ტიპის სამლოცველოს. ხატის კოშკი ოთხ-  
კუთხედია, მისი სიმაღლე აღწევს ორ მეტრამდე; ხატის ნიშს და-  
ტანებული აქვს თახჩა, საღაც საწირ-სანთლებსა და სახუცო კო-  
ჭობასა სდებენ.

ხატის კოშკზე ხატობას დროშა ასევნია. ხატის კოშკის თავი,  
ჩვეულებრივ, შემკულია ორმისა და ჯიხვის რქებით. ზოგან ხევსუ-  
რეთში გვხვდება პირამიდული და გუმბათიანი ხატის კოშკიც.

შემდეგ არის ხატის დარბაზი, რომელიც წარმოადგენს მო-  
ზრდილ ოთახს. დარბაზში ხუცი წმინდობს, ხატობას კი ჯვარითნი  
დგებიან. აქვე ინახება ხატის დროშა და მისი თას-განძი. ხატის  
განძს შეაღევნს: ვერცხლის თასები, სახუცო კოჭობები, რომლე-  
ბიც ვერცხლის შიბებითა და ფულებით არის შემკული, აგრეთვე

<sup>1</sup> სერ. მაკალათია, მთიულეთი, სახელგამი, 1930, გვ. 176—178.

ვერცხლის ხატ-ჯრები და სხვა. დარბაზში ხევსურები უცხოს არ უშევებენ და ხატის განძსაც ძნელად თუ ვინმეს უჩვენებენ, ამიტომ გაძნელებულია ხატის ამ განძის აღნუსხვა. ამ განძის ნაწილი ხუცებს აქვთ გადამალული და ხევსურებმაც არ იციან, თუ ეს განძი რას წარმოადგენს. ხევსურეთის ზოგიერთი ხატის საგანძურო აღწერილი აქვს უვაროვას<sup>1</sup>.

დარბაზის მახლობლად ხატის საჭარეა, რომელშიც ზარები ჰქილია. ხატობას ამ ზარებს მეზარე რეკავს. იქვე აგებულია ხატის საქვაბე ან სალუდე, სადაც ხატის ლუდი იხარშება. აქ ინახება სალუდე ქვაბები, ლათბი, ჩხუტი, ჩამა და სხვა ჭურჭელი. საქვაბის ერთ განყოფილებას ეწოდება სადიასახლისი სეფე-პურებს აცხობს.

ხევსურეთში ხატებს თავიანთი საყუთარი მამულიც ჸონდათ. მამულის რაოდენობა ხატის ძლიერებაზეა დამოკიდებული. წინათ ხატის ტყეში დაკარგულ საქონელს ხატის შიშით პატრონი ვერ გამოიყვანდა და ისიც იქ იღუპებოდა თურმე.

ზოგიერთ ძლიერ ხატს, როგორც გუდინის-ჯვარს, წინათ ჭყუთნებია ანდაქის საძოვარიც, რომელსაც გუდანის მეგანძურები იგრით ძლევდნენ და წლიურად ამაში 1000 ცხვარს იღებდნენ. გუდანის ჯვარს ჸეონდა აგრეთვე ვენახი კახეთში, სოფ. ახმეტაში.

ხევსურეთის ამ ხატ-ჯრებს ჸყავთ თავიანთი კულტის მსახურნიც, რომლებსაც ევალებათ სახატო რიტუალის შესრულება, ხატის საგანძუროს დაცვა-პატრონობა. კულტის მსახურთა შორის პირველია ხუცი ან ხუცესი. ხალხის წარმოდგენით, ხუცს თვითონ ხატი იჩჩევს და, ვინც ამ არჩევანს არ მიიღებს, მას ხატი დაამიზეზებს და ავად გახდისო.

სახუცო კანდიდატი ჯერ უგუნებოდ ხდება თურმე, ხშირად ბოლავს და ძილში მას ხატები ელანდება. ბოლოს ის მკითხავთან მიდის მიზეზის გასაგებად; მას მკითხავი ეტყვის, ხატმა ხუცად გინდომაო. ზოგჯერ სახუცო პირს ხატი გააქადაგებს და ამით ხალხი რწმუნდება, რომ ის ხატის მიერ არის არჩეული. სახუცო პირი

<sup>1</sup> Уварова, Поездка в Пшавлию, Хевсурнию и Сванетию (Мат. по археол. Кавказа, вып. X, 1904 г., гл. 14—230).

თავისი თანამდებობისათვის ემზადება. მან უნდა იცოდეს დამწყალობნების წესები და ლოცვა, აგრეთვე კურთხევა, დაკოშვა, სულის მოყვანა და სხვა. ახლად არჩეულმა ხუცმა ხატში უნდა დაკლას ზღუბლის სამლაჯაო — ერთი წლის კურატი და ერთი ცხვარიც და მათი სისხლით დიდმა ხუცესმა მას ჭელმჯარი უნდა გაუნათლოს. ამასთანავე, ხუცს ყოველწლიურად ევალება, ხატს საქლავი დაუკლას და მისი სისხლით ხელმხარი გაინათლოს.

ხევსურეთში ხუცესი ორგვარია: სულის ხუცი და ხატის ხუცი. სულის ხუცს მოვალეობას შეაღეს მიცვალებულის რიგის წესების შესრულება, ტაბლების კურთხევა, სულის წყაროს დალოცვა და სხვა. ეს არ შეუძლია ხატის ხუცს, რომელსაც ეკრძალება მიცვალებულის ოჯახში შესკლა, რადგანაც ხევსურები ფიქტობენ, მიცვალებული უშმინდურია და ხატი დაგვმიზებავსო. ამიტომ ხატის ხუცს ევალება მხოლოდ ხატის სამსახური და მისი წესების უმტკიცლო შესრულება, ის ხატში ხალხს ამწყალობნებს, საქლავებს ხოცავს, სამღვთოს იხდის და სხვა.

ხატის ხუცი ზოგჯერ მკითხაობს; ამ მიზნით სამკითხაოდ მოსული პირის რაიმე ნივთს ხუცი თავ-ქვეშ დაიდებს; ღამე სიზმარში დაინახავს იმ კაცის თავ-ბედის გადასავალსო.

ხატის საქმე ხუცს ეკითხება და მას აქ დიდი გავლენა აქვს. ხატობას წესრიგს ხუცი იცავს: ვინც მშვიდობიანობას დაარღვევს, მას ხუცი აჯურუმებს და ამაში საკლავს ან ფულს ახდევინებს.

ხატის დროშის გამოტანა მხოლოდ ხუცს შეუძლია. ხუცივე დაკლავს სასოფლო საკლავს და თემს დაამწყალობნებს. ავისა და ცუდის ჩამდენს, ქურდა და თემის მოღალატეს ხუცი და არ ისხებს, თასით ლუდს დაღვრის და ისე დაიწყევლება. ხუცს თემში საზოგადოებრივი გავლენაც აქვს, მის რჩევა-დარიგებას ხატის ყმისათვის სავალდებულო ხასიათი ეძლევა. ხუცს ცუდა და საწყებს ვერავინ შეჰქალრებს: მას მუდამ სუფრის თავში სვამენ.

ამასთანავე, ხუცმა უნდა იშმინდოს, ხატის დარბაზი და საკულტო ნივთებიც წმინდად დაიცვას, რათა ხატმა თემი არ დაამიზებოს. ამიტომ ხატობის წინ ექვსი კვირა ხუცი წმინდობს და მარხულობს. ამ დროს ის დიაცს არ გაეკარება, მებოსლე ქალთან არ გაივლის და მას არც დაელაპარაკება. თუ წმინდობის

დროს ხუცს ძილში ცოლი ან სხვა ვინმე ქალი დაესიზმრა, მაშინ, რაც უნდა ცივი ზამთარი იყოს, მან მდინარე წყალში უნდა იბანაოს. ყოველდღე ხუცი ხელპირს იბანს და ისე წმინდობს, დიდ ხატობას კი მან მთელი ტანი უნდა დაიბანოს.

ხუცობა ხატის არჩევანზეა დამოკიდებული და იგი მემკვიდრეობით არ გადადის. ერთხელ არჩეული ხუცი ამ თანამდებობაზე ბერდება და, თუ ხატი აირჩევს, მის შეილს შეუძლია ხუცობის მიღება. ხუცს ხევსურეთში გასამრჩელო არ ეძლევა, ის მხოლოდ საკლავის ფეშხოსა და ტყავს იღებს.

საგულისხმოა, რომ ხუცის სახელშოდება ხევსურეთში დროთა ვითარებაში იცვლებოდა და ხუცს წინათ დეკანოზსა და ხევისბერს უწოდებდნენ. ეს გარემოება დაკავშირებული იყო ხევსურეთის ისტორიულ წარსულთან: იქ წინათ სამოქალაქო საქმეებს ვანაგებდნენ მეფის ხელისუფლების მიერ გამწერებული ხევისბერები, რომლებიც ერისთავებს ემორჩილებოდნენ, ხევისბერს მთაში კვითხებოდა ხარჯის აკრეფა, ლაშქრის წვევა და ნაწილობრივად სამართლის საქმეც.

ხატისა და კულტის საქმეებს აქ დეკანოზები განაგებდნენ, მიცვალებულის გასვენება და მისი წესების ასრულება კი ხუცებს ეკითხებოდათ. ხშირად ხევისბერი და დეკანოზი ერთიდაიგივე პირიც ყოფილა და მე-18 საუკუნეში როდესაც მთაში ხევისბერობა მოისპო, მათი ფუნქცია გადასულა დეკანოზებზე და ისინი ხევისბერებადაც იხსენიებოდნენ და დეკანოზებადაც. ასეთსავე აღრევს დეკანოზსა და ხუცს შორის უკვე მე-19 საუკუნის მეორე ნახევარშიც ჰქონია აღილი. რაფიელ ერისთავის თქმით, ხუცესსა და დეკანოზს შორის განსხვავება იმაში მღვომარეობულა, რომ ხუცესები დეკანოზებთან ერთად ხატობაში მონაწილეობას იღებდნენ, მაგრამ ხუცებს უფლება არ ჰქონდათ საკლავი დაეკლათ, სამაგიეროდ, მათ უფლებას შეაღებენ მიცვალებულის დასაფლავება, რაშიც დეკანოზები არ ერევიანო. ყველა ხუცესი დეკანოზს ემორჩილება, მაგრამ არიან ისეთი ხუცებიც, რომლებიც დეკანოზობას ასრულებენ!

<sup>1</sup> Р. Эристави, О Тушино-Пшаво-Хевсурском Округе (Зап. Қав. Отд. Имп. Георг. о-ва) Тиф., 1855 г., Кн. III, გვ. 102).

ამგვარად, დროთა ვითარებაში ჯერ ხევისბერისა და დეკანოზის სახელწოდებათა და ფუნქციების აღრევა მომხდარა, შემდეგ კი დეკანოზობა თანდათანობით ხუცობად შეცვლილა.

დღეს ხევსურეთში ხატის მთავარ მსახურს ხუცესს უწოდებენ და დეკანოზს აქ იშევიათად თუ ახსენებენ. მაგრამ ხუცებს შორისაც არსებობს განსხვავება. სახატო საქმეებს ხატის ხუცესი ასრულებს, მიცვალებულისას კი სულის ხუცესი.

ხუცესის თანაშემწე დასტურია, რომელიც ხატის კაცად ითვლება და კიდეც უნდა იწმინდოს. დასტურს გვარში შემავალი მეკომურები მორიგეობით ირჩევენ. დასტური ჩვეულებრივ ორი კაცია და მათ ყოველ ახალწელიწადს ირჩევენ. დასტურებს ევალებათ ხატში ერთი წლის სამსახური. დასტური ხატის მზარეულია, ხატში ის ლუდს ხარშავს და ძურებს აცხობს. დასტურობა ხატის ყმისათვის სავალდებულო სამსახურია და ამაზე უარის თქმა არავის შეუძლია. ხატობის წინ დასტური ჩანჩხისაგან ქერს იღებს და ლუდის მოხარშვის თადარიგს შეუდგება. კომლზე კაცი მას წყალს უზიდავს, ლუდისათვის სვე კი თვითონ უნდა მოიტანოს.

ხატში დასტური წმინდობს და დარბაზში სამსახურის დროს მას არ შეუძლია ქალს გაეკაროს ან მებოსლეს დაელაპარაკოს. ხატობას დასტურმაც ტანი უნდა დაიბანოს. ხატების მიხედვით დასტურებიც სხვადებიან და დიდი ხატის დასტურები მაღლა დგანან ბატარა ხატის დასტურებზე. დასტურს შეუძლია დარბაზში შესვლა, მას ადგილი აქვს ხუცის გვერდით და დარბაზის სტუმრებს დასტური ლუდით უმასპინძლდება. დასტურს ხატის დროშაზე დაზეარაზედაც ხელი მიუწვდება. დროშის ტარებაში ხუცს დასტური შეეველება, საკლავს ფეხებს დაუჭერს და მის სისხლს მხვეწიას ასხურებს.

შეიძინად გამოცდილ დასტურს მკითხავ-ქადაგის მითითებით ხუცად ირჩევენ.

დასტურები ირჩევენ ჩანჩხს ან შულტას. მათი არჩევანიც მეკომურთა შორის რიგით ხდება, მხოლოდ ობლები თავისუფლდებიან. ჩანჩხი ხატში ორი ან სამია და ისინი ხატობის დროს დასტურებს ლუდის მოხარშვაში შველიან. ჩანჩხებს ევალებათ ხატის მამულის დამუშავება და ჭირნახულის დაბინავება. ამ

მუშაობაში მათ სოფელი ეხმარება. ხატის ყანის მოსახნავად შაბათ დღეს ხარ-გუთნით მთელი სოფელი გამოდის. მოხნული მიწა შემდეგ ჩანჩხმა უნდა დათესოს. მკაშიაც ჩანჩხს სოფელი შეეშველება და ხატის ჭირნახულს ჩანჩხის ჭვარის კალოზე გალეწავს. ჩანჩხის ხატის მებელლეა: გალეწილ ჭირნახულს ხატის ბელელში დააბინავებს და, როცა საჭირო იქნება, აქედან ჭირნახულს დასტურებს აძლევს. ამ გასამრჯველოში ჩანჩხს მხოლოდ ქერის ბურღო ეძლევა.

ჩანჩხს ხატის კარზე ყველაზე დაბალი აღგილი უჭირავს. მას არ შეუძლია ხატის დარბაზში შევიდეს ან ხატის დროშას მიეკაროს.

ხატის მსახურთა რიცხვს ეკუთვნის აგრეთვე მედროშავ, მეგანდური და ხატის დიასახლის, რომლებსაც ერთი წლით იჩივევნ.

მედროშავს ევალება ხატის დროშის ტარება და თვალყურის გდება: სადაც ჯვარიონნი წავლენ, მათ წინ მხარზე დროშით მედროშავ მიუძღვის.

მეგანდური აბარია ხატის განძი: ვერცხლის თასები, სახუცო კოჭობები, ხატის შარნები, სამკაულები, ჯვრები და სხვა. მეგანდური ვალდებულია დარბაზის ჭურჭელი წმინდად შეინახოს და საიმედო აღგილას დაიცეს.

დიასახლის დასტური იჩივეს თავის ნათესავებში. დიასახლისი ხანშიშესული და უთვიურო დედაკაცი უნდა იყოს, მას ევალება ხატში სეფეპურის გამოცხობა. ხატობის წინ დიასახლისი სუფთავდება და იცვამს ახალ ტალავარს; მას ხატში დასტური წაიყვანს. დიასახლის წინ დასტური გაუძღვება; გზაში ხატის ნიშტან შეჩერდებიან, იქ სანთელს ან ცაცხვის ქერქს აანთებენ და დაილოცებიან. დიასახლისი გულიდან ამოიღებს სამ პატარა კვერს — მოსანთო ბოჭოლებს და იქვე ყორეზე დასდებს. შემდეგ, ხატის დარბაზის კართან მისვლისას, ისევე გაიმეორებენ და ბოჭოლებსაც იქვე, დარბაზის ზღურბლზე დასდებენ. ბოლოს დასტური დიასახლის საღიასახლისოში შეიყვანს.

საღიასახლისო ხევსურეთში მხოლოდ ახიელისა და გუდანის ხატშია. ამას გარდა, ხატში არიან ჭვარის ნები ან მაწმიდან ნი, რომლებიც ხატის მსახურ შევლიან: ეზიდებიან შეშას, წყალს და სხვა. ისინი აგრეთვე ვალდებული არიან, ხატის

ყოველ წელიწადს საკლავი მიართვან. ხატში მაწმიდრად შედგომა ხდება მკითხავის მითითებით. როცა ხევსურს ოჯახში საქონელი ეხოცება და ზარალი მოსდის, მას მკითხავი ეტყვის: ორი თუ მეტი წლის განმავლობაში ამა და ამ ხატის მაწმიდრად უნდა შედგე და მას საკლავიც დაუკლაო. ხატის დამიზეზების ში-შით ცრუმორწმუნე ხევსური ხატში მაწმიდრად დგება. ზოგიერთ ხატში ოცამდე ასეთი მაწმიდარია შემდგარი.

ხატში მეზარე საც ირჩევენ. მისი სამსახური წლიურია, მაგრამ ზოგან მეზარეს მუღმივალ ირჩევენ. მეზარემ ხატში უნდა იწმინდოს, მას ევალება ზარის წესისამებრ რეკა და საწირის მე-თვალყურეობა.



ხატის მსახურთა ჯვუფს უნდა მიეკუთვნოს ქადაგიც, რომე-ლიც, ხალხის თქმით, ხატისაგან არის დაჭრილი და ხატის პირით წინასწარმეტყველებს. ქადაგებში აქ ქალები სცარბობენ. ქადაგიც წმინდობს. მებოსლე ქალთან ქადაგი არ გაიკლის და არც ხმას გასცემს. გაქადაგება ხალწელიწადს დილას ხდება. ქადაგი ჯერ გაშტერდება, შემდეგ მას კანქალი იტრანს, შფოთავს, ხელებს თავპირში იცემს, ზოგი მიწაზე დაემხობა და დორბლებსა ყრის. ამას ჩქარა მოჰყვება ხატის სურვილის თქმა და ქადაგი ხატისათვის ამა თუ იმ სამსახურს მოითხოვს. ქადაგს ხალში გაელენა აქვს და მას პატივით ეპყრობიან. ზოგი ქადაგი შემდეგ ხუცად ხდება.

ხატთან კავშირი აქვს მკითხავის რჩევა-დარი-გებას აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა: ცრუმორწმუნე ხევ-სური მკითხავის რჩევით საწირ-საკლავით ხატში მიდის და ხუცს თავს ამწყალობებინებს. მკითხავთან მიაქვს კვერები, სანთელი და ვერცხლის ფულები. მკითხავიც ხევსურს არწმუნებს, რომ ის ამა თუ იმ ხატის მიერ დამიზეზებულია და მას ურჩევს იქ საწირ-საკლავი წაიღოს და ხუცისაგან დამწყალობნება მიიღოს.

ამ შემთხვევაში მკითხავსა და ხატის მსახურთა შორის, უეჭ-ველია, ფარული კავშირი არსებობს: რომელ ხუცსაც მკითხავი სწყალობს, მის ხატს საკლავ-საწირი არ გამოელევა. ამასთანავე, ხატის მსახურთა არჩევანიც მკითხავ-ქადაგზეა დამოკიდებული და, ვისაც ესენი სწყალობენ, იგი ხუცობასაც ადვილად მიიღებს. ამი-ტომ ხატის მსახურნი ქადაგსა და მკითხავს პატივისცემით ეპყრო-ბიან და თავიანთი ხატის ყმებს სამკითხაოდ მათ უგზავნიან. ამით

კი მკითხავი და ხუცესი თავიანთ შემოსავლის წყაროს იღიღებენ.

მთელს ხევსურეთში ყველაზე ღიღი ხატობა ათენე ნეკობას იციან. ათენენა იწყება ძველი სტილით ივლისის პირველ შაბათს, გრძელდება კვირას და ორშაბათს თავდება. ათენენას დღესაწაულობენ პატარა ხატებშიც, მაგრამ მახვეჭარი უფრო მთავარ სათემო ხატებს ეტანება. პირაქეთ ხევსურეთში ათენენბას ღიღი ხატობას იხდიან გუდან-ხახმატში, პირიქითში კი — ახილის მთავარანგელოზის ხატში.



ხახმატის დარბაზი და მისი გეგმა

ხახმატის-ჯვარი მოთავსებულია სოფ. ბისონა და ხახმატის შუა დავაკებაზე, საღაც რამდენიმე კოშკია აგებული. ზოგი კოშკი ირმისა და ჯიხვის რქებით არის შემკული. აქვეა ხატის დარბაზი, სალუდე და საზარე. გეგრდით მთის ქედზე თავმორლვეული კოშკია, ჯვარის ციხედ ან თამარის ნაციხე რაღ წოდებული.

ხახმატის ხატის კოშკში აღსანიშნავია ხახმატის ღობილების ნიში, რომელსაც ხელის კოშკს უწოდებენ, და მწევრის საფლავის კოშკი. ათენენბას ხახმატში მახვეჭარი ფშავიდან და თუშეთიდან მიღის და ხახმატის ჯვრის მინდორი მლოცვებით ივსება. ხატობადღეს ხუცები გამოაბრძანებენ ხახმატის დროშებს, რომლე-

ბიც შემოსილია ფერადი ნაჭრებით, ზედ მას წამოცმული აქვს  
 ჯვრიანი სფერო და ზარზალაკიც ჰქიდია.

ხატში დაიღგმის რამდენიმე ლუდიანი თასი: პირველი თასი  
 ხახმატის-ჯვრისაა, სხვები კი მისი მომყოლი ხატებისა არის უმც-  
 როს-უფროსობის მიხედვით; ბოლოს ხახმატის დობილების თასე-  
 ბი დაიდგმის. შეხვეწილებს ხატის დარბაზში მიაქვთ საწირი,  
 ვისაც შეთქმული აქვს, საკლავიც მიპყავს და მათ აქ ხუცები ამწყა-  
 ლობნებენ. დამწყალობნების დროს მახვეწარი ცალ მუხლზე იჩო-  
 ქებს, ხუცი სანთელს აანთებს, ხატის პირველ თასს აიღებს და  
 დაილოცება:

ვაკმატის ჯვარო, შენ გადიდას, გაგიმარჯოს! სანთელ-კელაპ-  
 ტრით გეხვეწებ, შენ ლაშქარ ადიდას, აძლიერას! შენ ლაშქარ  
 შენ კარს, შენ კამალს დაიყენენ უამსა' უჯამოსა, ბნელსა' სისკარს!  
 თუ რა შაგაწყინეთა' შეგეცოდვენით, ნაწყენ შაგვინდევ, ნათლი(თ)  
 გვარიდე!“-ო და სხვა.

ამ ლოცვის შემდეგ მხვეწარი საწირის ქადას ფრჩხილით ცო-  
 ტას მოსტეს და ხუცს ხელზე დაუყრის, მას ხუცი ხატის ეზოში  
 გადაყრის და იტყვის: „ვაკმატის ჯვრის ლაშქარნო, თავი' ნათავა-  
 რი თქვენ იყალრეთ, იტანეთ! მარცხი' ზიან მოაშორეთ (იტყვიან  
 მახვეწრის სახელს) კაცისა და საქონისა!“-ო.

შემდეგ ხუცი საკლავს დაკლავს და მახვეწარი მისი სისხლით  
 ხელ-მხარს გაინათლავს. მახვეწარს ხატში მყოფნი დალოცავენ:  
 „მოეგემარას, დანამაღლებ ნუ დაგიყარგას, მარცხი' ზიან ჩამო-  
 გესნას, კაცისა' საქონის მაკლე!“ ყველანი ყანწით სასმელს შესვა-  
 მენ და ხუცს ეტყვიან: „შენ გწყალობდას ბედი' დავლათ დაგა-  
 ვმარას, შაუწყინ-შეუცოდრა შაგინახას, დიღხანს გაგიყოლას, ენა-  
 პირ გიკურთხას!“-ო და სხვა.

ვინც ხახმატის-ჯვარს ცხენ-ჯოვის გამრავლებას შესთხოვს, ის  
 ხუცთან მიღის და თან სარემაო ბატყანი ან ციქანი მიპყავს.  
 ხუცი დროშას დააეღარუნებს და ახლა ხახმატის ჯვარს ამაზე შე-  
 ევედრება. ბოლოს ხუცი საკლავს იქვე დაკლავს და მახვეწარი მი-  
 სი სისხლით ხელებს დაიბას.

შეხვეწილი ქალები სანთელ-საწირს მიართმევენ ხახმატის დო-  
 ბილების ხელის კოშკან და შეევედრებიან ხახმატის-ჯვრის ხელ  
 სამძიმარს და იმის მოდე-მოძმეს. ზოგჯერ ბაჟშვებიც მიპყავთ და

ხელთან ალოცებენ. ხუცის დამწყალობნების შემდეგ რომ საკლავი დაიყვლის, შეხვეწილი მას ხელს შეუშვერს, გასისხლიანებულ ხელს სახეზე და ტანზე წაისვამს და იტყვის: „ვაკმატის ჯვარო, ხელო სამძიმარო, დაილოცას შენ ძალ, შენ სამართალი!“-ო. ამ კოშკთან მიჰყავთ სულით ავადმყოფი ქალები და ხახმატის დობილებს მათ განკურნებას შესთხოვენ.

უშვილო და ვაჟის მოსურნე ქალები მწევრის კოშკთან მიღიან, თან მიაქვთ საწირ-საკლავი და მას შვილიერობას ეხვეწებიან: ს ვ ე-ტის ზღუდის ანგელოზო, ვაჟი მოგვეციო. მწევრის საფლავზე ციკანს დაკლავენ და ზედ საფლავის ქვაზე ხტებიან.

ხატობას ძლვის გაწირვა მახვეწარის ნებაზეა დამოკიდებული. ზოგიერთი შეხვეწილი საკლავის ნახევარს ხატში ტოვებს, ზოგიერთი კი უფრო ნაკლებს, მხოლოდ ხუცს კი უნდა მისცეს საკლავის მხარი და თავი.


ამ საწირ-საკლავს შემდეგ ხუცი და დასტურები იყოფენ.

ხატობას ხევსურეთში მამროვანი და დედროვანი ცალ-ცალკე დგებიან. ქალს არ შეუძლია ხატის დარბაზშა და მის ზღუდეს მიუახლოვდეს. ქალები მოშორებით დაბანაკდებიან და იქიდან ისმენენ ხუცის ლოცვა-დამწყალობნებას. მამაკაცები კი ხატის დარბაზის წინ გროვდებიან და დროს ლუდის სმაში ატარებენ. ხატში მოსულებს ესალმებიან: „გამარჯვება ბატონ-ყმათ!“, „გწყალობდასთ ვაკმატის-ჯვარი!“ და სხვა.

სიმღერა და ცეკვა-თამაში ხევსურულ ხატობას არ ახასიათებს. ხატში უზომოდ სვამენ; ნასვამებმა იციან ერთმანეთის შარის მოდება, რასაც მოპყვება ჩხუბი, კეჭნაბა და ზოგჯერ მკვლელობაც, მაგრამ ყველაფერი ეს შეიძლება მოხდეს ხატიდან მოშორებით.

მეორე დიდი ხატობა აქ იციან ლოქოების ხეობაში, სადაც კოპალას ხატია. ათენგვნობას ფშავ-ხევსურები აქ ციხე-გორობას დღე-სასწაულობენ.

ხატის კოშკი სიპი ქვით არის ნაგები და მას ზედ ახურია თუ-ნუქის გუმბათი, რომელსაც გარშემო რკალები და ჯვრები აქებს ამოჭრილი. ხატის წინ მისი ბოვრაყი ან დროშა აყუდია. დროშა შემოსილია ფერადი ხილაბანდებით. აქვე გამართულია ქვის ტა-



### სახუცო კოჭობი და ვერცხლის გველი

ტები, სადაც ხატის მსახურნი სხდებიან. ხატის ეზოშია დარბაზი და საზარე.

ათენეუნობას აქ ხატობას ჯერ ფშავლები იხდიან, შემდეგ კი ხევსურები. წინათ ამ ხატობას ორივენი ერთად იხდიდნენ თურმე, მაგრამ ჩხუბისა და მტრობის შიშით დღეს ცალკე დღესასწაულობენ.

ხუცი დგება კოპალას ნიშთან, მახვეჭარს მიჰყავს საკლავი და დასტური ეტყვის ხუცს, თუ ვისია საკლავი და რა მიზეზითა სწირავს ხატს. ხუცი საკლავს პირს აღმოსავლეთით უბრუნებს და ასეთ სადიდებელს იტყვის:

„ა დიდება ღმერთსა, მაღლი ღმერთსა, დიდება მზესა, იმის მყოლს ანგელოზსა! ძალო ღვთისაო, ძალო წმიდა გიორგი კოპა-

ლაისაო, შენ გეხვეწებიან, დიდება შენდა, გმირო კოპალავჭე შეზე  
გეძახიან ე სამსახურის პატრონები, ქუდოსან-მანდილოსანნი. და-  
ეკმარიდი ავის დღისად, ლალის მტრისად, მწარის სიკვდილისად.  
წულ ვის ხყვანდას, გაუზარდიდი, არ ხყვანდას და, თუ ვინ გეხვე-  
წებოდას, ღმერთისა და კვირაეს გამაუთხოვიდი! სნეულ ვის ხყვან-  
დას, ულხინე და ლხინის წამალ დააყარე! მაცილ დააშორე' დაი-  
ფარე.

ველთ ვინ გავიდოდას ამათ სახლშით შეველე-მენადირე,  
გახყვიდ, გაუმარჯვიდი! მტერზე სახელ მისციდ, მაგათად შამო-  
ქცეულს ლალს მტერსა და მწარეს სიკვდილს გზა უკუღმ უქციიდი!  
წმიდაო გმირო კოპალავ, მაცილ ბარსა და მთას დააშორიდი! თუ  
სხვან ანგელოზზ უჩიოდან, მადლ დაუთხოიდი; ანგელოზებს სამ-  
სახურ აართვიდი და ლთის კარზე საქრთამოდ შაართვიდი! სხვან  
ლომშვილნ თუ რას უწყირებოდან, მადლ დაუთხოიდი, თავად პირ-  
წალმა და გულწალმ დაუბრუნდიდი, უშველიდი' სახლის სამსახურ  
ხთის კარს შიატანიდი! ლთის კარით თუ რა იასაულ ხთის ბრძა-  
ნებით გამავიდოდას, გმირო კოპალაო, შენით სარდლობით ჭორცი-  
ელზე ბრუნდებოდას, ამათ ჭალაფობას უშველიდი, ივ საქმე კაზე-  
და' კეთილზე მაუქცივიდი, დაწუხებულს უშველიდი, შენთ ზღვენ-  
თა და ულუფათ მეემატების! თქვენ თქვენის მეხვეწურისა ამათ თავ-  
ჯალაფობისა კაცისა, საქონისა, ორფექ-ოთხევისა, ქუდოსან-მან-  
დილოსნისა, მეშველი' მწყალობელი' წალმამდეგიმც იქნები!"

ექ ხუცესი შეისვენებს და ახალ კუ რთხევანს-ს დაიწყებს  
და იტყვის:

„სახარება ვიკითხავთ მარკოზის თავითაო“ და დაიწყებს გრძელ  
ლოცვას, რომელიც შეთხსულია საღმრთო წაბაძულობით  
და ამ ლოცვას თავი და ბოლო არ უჩანს. ტექსტი არეულია  
და გაუგებარი, იგი ხუცს მექანიკურად აქვს გაზეპირებული და  
სხაპა-სხუპით ამბობს: „ღმერთო დიდება შენდა, ღმერთო მადლი  
შენდა, ღმერთო რომელიც გარდამოხდა მარიამის შაბათსაო, მა-  
რიამ მაგდანელია, იესო კოლოზმნელი. ვინ იყვენით ნაზლო  
ჯვართი მცემართანი. წავიდეს და მოახსენეს: ქრისტემ მისცა მო-  
წაფეთა, ეგენი შეშინებულან, ეგენი შეკვირებულან; იტყვიან გა-  
ლილისა ესე შენ ღექნ უფალო ცხოვრება შურისა, პოვლე მოვიდა  
და მოკვდა. ას თორმეტი მოციქული; ხოლო ღმერთსა მადლი  
სოხოვეს.



ამლის ხატი

ეს ლოდი ვინ გადააგორა, კარი მათი ვინ გაალა, კაი დედათა  
მგლოვიარეთა; იხარებენ პირველი დიდება ოლდგომასა უფლისასა,  
რომელი იწვა და ეძინა, უთხრა ქრისტემ მოციქულთა: მაცხო  
ადგა, რაღა გძინავს? ჩამოდგომილა უფალი, სამოთხეს დამშვე-  
ნებულა, ქაღალდობენ ანგელოზები; ბერი და ღვდელი გალობსა“  
და სხვა.

ბოლოს იტყვის: „დასრულდა წირვა უამის თქმისა უფლისა;  
მთავრობა ეპისკოპოზისა, სანამდე ვიყვნეთ, სანამდე ვიღეთ, სა-

ნამდე მსახური ვართ უფლისანი, მაიტანდი სასმელი სახლისა ცხოვრებულზედ, რაც უნდა ცუდათ შრომა იყოს ჩვენი, შაგვინდევ, მამა, შაგვინდევ, ძეო და შაგვინდევ, ჯვარო წმინდაო, მკოთხავ საიდუმლოსაო, ბეჭედო უკვდავებისაო. მე ვიყავ მეარობითა, შენა ღქენ ითანე ოქროპირისაო, რქასა გაფიცებ მოვარისასა, ბრწყინვალებას ანგელოზისასა, დიდება ღმერთს“.


ამის შემდეგ ხუცი შეუდგება საკლავების დამწყალობნებას და მათ დახოცეს. მხვეწარს მიჰყავს საკლავი, ხუცი სანთელს აანთებს და იტყვის:

„ქრისტე უფალო, აქურთხე სამართალი ღვთისაო აშ და მარადის უკუნის-უკუნამდე შაგვიწყალენ ჩვენ ყოველნი. სამებაო წმინდაო, გვაცხონე და გვაკურთხე ურჯულობაო ჩვენო, ვეხვეწოთ მამასა და მოწყალესა, მამაო და ღმერთო ჩვენო, რომენი ხარ ცათა შინა; აგრე ქოყანათა შიგა, პური შენი აჩსობისა, უფალო აქურთხე თესლი ესე, უფალო, აქურთხენ მარილი ესე. რომენი მონანი, ყმანი სჭამენ და არა სჭამენ, ხორცას მისივითა არ დასთხვევნ, სისხლივითა არც დასთხვევნ. შაიწირე შეწირულნი სახელითა ღთისათა, საკლავის პატრონო, მოგცასთავ ამ წმინდა კოპალამ წყალობაი“.

დასასრულს ხუცი საკლავს დაკლავს და მახვეწარი მისი სისხლით გაინათლება. შემდეგ ხატში სუფრა გაიშლება და ყველანი თავიანთ სუფრებს მოუსხდებიან. სუფრაზე ხუცსა და ხატიონს დაიწვევენ და ხუცი ქქაც დაილოცება:

„დიდება და გამარჯვება ძალს ხთისასა სამართალს კვირაისას! ძალ ხთისა გწყალობთასთ, სამართალ კვირაისა ამ ჯვარის მლოცვათ, ქუდოსან-მნიდილოსანთ! პურს მოგიმატასთ, წულს მოგიმატასთ, ღონე-ქონეს მოგიმატასთ კაცასა საქონს! დაგიფარნასთ, კლოვ კეთილი გულით მოგიყვანნასთ ჯვარმ თავის კარზედ! დიდება და გამარჯვება გმირ კოპალას! რომენიც ამის ნათავარზედ აქსენდ, იმის წყალობა თქვენ გქონდასთ, მეღამისთევენო, მამაშვილებო, ძმანო! კაითამც დაილოცებით! ამ ჯვარს დიდება, თქვენს თავს წყალობა!“-ო და სხვა.

კოპალას ხატობაში, ვისაც შეთქმული აქვს, საყეინოს დასდგამს. თუ ხევსური ავადმყოფობს და მას კოპალას მიზეზი გამოუვიდა, ის მეტითხვის რჩევით კოპალას საყეინოს შეუთქვამს და



### შემცული ყარწი

ამ - მიზნით ხატში მიიტანს ერთ ტიპ ლუდს. ხატის კოშკის წინ დაღგამენ ვერცხლის დიდ ჯამს, საყეინოს გაღამხდელი ჯამზე ლუდს ასხამს და დაიძახებს საყეინო დაილოცეთო. ხატში მყოფნი ჯამთან რიგით მიღიან და დაოთხილები ამ ლუდს შესვამენ და ფულსაც, ვისაც რამდენი ემეტება, იქვე დებენ. ეს საყეინო გრძელდება ტიკის დაცლამდე.

მეორე დღეს მეხატენი სალოცავად კარატის წვერზე კოპალას

სალოცავში აღიან და აქაც ხატობას განაგრძობენ; კარატის წვერზე, სხვათაშორის, ცხენების ჭირითიც იციან.

კოპალის ხატი წინათ ცნობილი ყოფილა თავისი საგანძიურით; ხატობას გამოჰქონდათ ოურმე მდიდრულად შემცული ვერცხლის კოჭობები, თასები, ფიალები და სხვა, რომლებითაც მეხატენი სასმელს მიირთმევდნენ. ღღეს ამ ხატის დარბაზში დარჩენილია მხოლოდ უბრალო და სადა ჭურჭელი.

ამასთანავე უნდა ოღნიშნოთ, რომ ზოგიერთი რიტუალური ჭურჭელი ხევსურეთის ხატებიდან გატანილია. მათ შორის ცნობილია ლომის სახის ჭურჭელი, რომელსაც მიაწერენ კოპალას ხატს. ლომის ეს ჭურჭელი ღღეს საქართველოს მუზეუმში ინახება. ჭურჭელი წარმოადგენს ლომის ქანდაკებას და იგი ბრინჯაოსა-გან არის ჩამოსხმული. თავისი დანიშნულებით ეს წყლის ჭურჭელია. მისი სიგრძე უდრის 32 სანტ., სიმაღლე კი 31 სანტ. ლომს თავზე ამოჭრილი აქვს წყლის ჩასასხმელი პირი, რომელიც პატარა სარჩეველით იხურება, ტუჩებში მას უკეთია ლულა, საიდანაც წყალი გამოდის.

ლომს თავ-პირის გარშემო ასეთი მხედრული წარწერა აქვს ამოჭრილი: „ქ. შემოგწირე: მარაულმა: საღირამ: კმალას და მთავარანგელოზსა: შვილსა და:“

ეს ჭურჭელი პირველად ექვ. თაყაიშვილმა გამოსცა და აღნიშნული წარწერა მას ასე აქვს ამოკითხული: „ქ. შემოგწირე: მარაულმა: საღირამ: კობალას და მთავარანგელოზსა შვილსა და...“<sup>1</sup>

თაყაიშვილს ამ წარწერაში სიტყვა „ხმალა“ შეცდომით „კობალად“ ამოუკითხავს და თავის განმარტებაში ასეთ შემცდარ დასკვნასაც იძლევა: „ჩვენი წარწერა უეჭველად მოწმობს ხევსურულ წარმართული კულტის ქრისტიანულთან აღრევას და კერძოდ კი წარმართულ კოპალას მთავარანგელოზთან დაკავშირებას, რომლის სამლოცველო ნიში ლიქოქშია“-ო.

მაგრამ, როგორც ჩვენ აღნიშნეთ, ლომის წარწერაში მოხსე-

<sup>1</sup> Е. Т а к а й ш в и л и, Грузинские надписи на археол. предметах, языч. в Кав. Музее в Тифлисе (Изв. Кав. отд. И. М. Арх. о-ва вып. I, Тиф., 1904 г., гл. 66—68).

ნებულია არა კოპალა, არამედ კმალას მთავარანგელოზი, რომელი სახელითაც ხევსურეთში დღემდე ცნობილია ბარისაჭოს კმალას მთავარანგელოზი. ამ ხატის საბრძანისი კოშკი უკვე დანგრეულია. წინათ კი ეს ხატი ყოფილა არაგვის პირას, სადაც დღეს ბარისახოს სკოლაა აშენებული, და ამ ადგილს ხევსურები ახლაც ხმალას უწოდებენ.

ხმალას ხატში დარჩაზი და სალუდე ყოფილა გამართული: იქვე მდგარა ნახევრად დაშლილი ციხეც. ხალხური გადმოცემით ხმალას ხატი და ციხე თამარ მეფეს აუშენებია და ამ ციხეში თვითონ თამარსაც უცხოვრია. ხმალაზე აგრეთვე მდგარა მირგნის ხე, რომელსაც წელიწადში ერთი წვეთი მირონი ჩამოსდიოდათ. ამ ხის ფოთოლი წყალს გაუტაცნია და იგი ურჯულოებში წაულია. ურჯულოებს გაჰკვირვებიათ ფოთლის სიდიდე და იმ მდინარის მიმართულებით ბარისახოში თურმე ამოსულან და მირონის ხის მოკრას შესდგომიან. თქმულების მეორე ვარიანტით კი ბარისახოს ზურაბ ერისთავი შემოსევია, მაგრამ ორივე შემთხვევაში მტრის მოქნეულ ცულს ხე ვერ მოუჭრია. მაშინ ერთ ღულელ არიშაულს მტრისათვის ურჩევია, კატა ან ვირმუტრუქა (ჩოჩორი) დაეკლა და სისხლი მირონის ხეზე წაეცხო. მტრი ასეც მოქცეულა და მირვნის ხეც მოუჭრიათ.

შემდეგ ამ ადგილზე მეფის ხელისუფლებას აუშენებია მთავარანგელოზის სახლობის ეკლესია, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ დაუშლიათ. ამასთანავე დაუნგრევიათ აქ მდგარი ძველი ციხე და ხატის კოშკიც და დღეს ხმალაზე დგის ბარისახოს სკოლის შენობა.

ამგვარად, ირკვევა, რომ ეს ლომის ჭურჭელი თავისი წარწერის მიხედვით შეწირული ყოფილა ბარისახოს ამ ხმალას მთავარანგელოზისადმი და ის იქიდან არის გატანილი და არა კოპალას ნიშიდან. ამ ჭურჭლის შემომწირველი მარაულიც ხევსური არ არის, იგი ფშაველია, მარაულები დღესაც შარახევში ცხოვრობენ.

რაც შეეხება ამ ჭურჭლის სადაურობისა და დათარილების საკითხს, უნდა აღინიშნოს, რომ მისი ქართული წარწერა თავისი პალეოგრაფიული მოხაზულობით XVII—XVIII საუკ. უნდა მიეკუთვნოს.

მხოლოდ თვით ჭურჭელი კი უფრო ძველია და ის უცხოეთი-

დან არის ჩვენში შემოსული, სახელდობრ, დასავლეთ ევროპიდან, საღაც იძგარი ჭურჭელი XII—XVI საუკ. ბლომად იყო გავრცელებული. ამ რიტუალურ ჭურჭელს aquamanile (ხელის საბანი) ეწოდებოდა.

თავისი მხატვრული გაფორმებით და ხელოვნებით ხმალას ეს ლომი აკვამ ან ილეთა შორის კარგ ნიმუშად უნდა ჩაითვალოს. ფშაველ მარაულს რაღაც შემთხვევით ეს ჭურჭელი შეუძენია და ბარისახოს ხმალას მთავარანგელოზისათვის შეუწირავს.

ათენების ხატობა არხოტშიც იციან. მთავარი ხატი სოფ. ახიელშია მოთავსებული და ხატობაც აქ იმართება. მაგრამ ათენების წინა დღით ყველა საგვარეულო თავიანზ ხატებში საღმრთოს იხდიან და შემდეგ ახიელის მთავარანგელოზის სათემო ხატში იკრიბებიან.

ოჩიაურები სამღვთოს იხდიან ჯაჭველის წმ. გიორგის კოშკან, საღაც ამ ხატის საბრძანისია. იქვეა ხატის დარბაზი, სალუდე და საზარე. ათენების ოჩიაურების გვარს მათივე ხუცესი ამწყალობნებს, შემდეგ საკლავებს ხოცავენ და სამღვთოს იხდიან.

ცისკარაულების გვარი ლოცულობს მთის ვეზაგ მთავარან გელოზ გაბრიელს, რომლის ნიში მაღალ გორაკზეა მოთავსებული. ცისკარაულები აქ ღამე დგებიან. ხატში ხუცობს ცისკარაული, საკლავს ის კლავს და მახვეწარს ამწყალობნებს. საკლავებს დასტურები ატყავებენ და იქვე ხარშავენ. ვისაც სანათლავი საკლავი მოჰყავს, მას ხუცი ამწყალობნებს, საკლავსაც ყველს გიმოსჭრის, მაგრამ სანათლავი პატრიონს შინ მიაქვს და ხატში ის მხოლოდ საკლავის თავს ტოვებს. სანათლავი ხატში სხავადასხვა მიზეზის გამო იკვლის: როცა მებოსლე ქალისაგან ოჯახი წაიბილება, ნარევისა და მიცვალებულისაგან გაუწმინდურება ან ხატის რაიმე მიზეზი გამოიუვათ და სხვა.

მაგრამ, თუ ხატის მეძღვნეს საკლავი ხატში აღთქმით მიჰყავს, მას დამწყალობნების შემდეგ ხუცესი დაკლავს და მეძღვნეს ამ საკლავის წალება არ შეუძლია. დასტური საკლავს იქვე ატყავებს, შემდეგ ხორცს მოხარშავენ, ჯვარის კარზე სუფრას დაღვიმენ და ამით ხატში მეძღვნესა და სტუმრებს უმასპინძლდებიან. ჯვარის კარზე მეძღვნეს არ შეუძლია ხორცი მოხარშოს და შინ წაიღოს.

არხოტის მთავარანგელოზის საბრძანისი სოფ. ახელშია მო-  
 თავებული. ხატის აღვილი შემოფარგლულია; მისავალში ხატის  
 ბეღელია აშენებული, შემდეგ დარბაზია და საქვაბე. ამ ხატის  
 დარბაზში წინათ განძეული ბლომად ყოფილა, მაგრამ ნაწილი და-  
 კარგულა, ხოლო ზოგი რამ ხუცებსაც უნდა ჰქონდეთ გადამალუ-  
 ლი. დღეს აქ ინახება ვერცხლის უბრალო სასმისები. მათში აღსა-  
 ნიშავია მხოლოდ სახუცო კოჭობი, რომელიც შემქულია  
 ვერცხლის შიბებით, ფულებით და ჯვრებით. არის აგრეთვე ლამა-  
 ზი ხელობის ვერცხლის გველი. გველი კარგი ნამუშევარია  
 და იყლავნება; მისი სიგრძე 58 სანტ. უდრის.

ხატის დარბაზის სვეტები ჯიხვის ჩერებით არის შემქული. იქვე  
 გამართულია დროშის საბრძანისი ქვის ტახტი, რომელზედაც და-  
 ყუდებულია ხატის დროშა. დროშა შემოსილია ფერადი თავშეუ-  
 ბით. დროშის შესამოსს ქალები სწირავენ ან ზოგჯერ მას ხუცესი  
 შემოსავს. დროშას წევრზე წიმოცმული აქვს სფეროიანი ჯვარი,  
 რომელზედაც მთავარანგელოზია გამოსახული. ხატის დარბაზის  
 მარჯვნივ თავმორლვეული ძველი ქვითკირია. აქ ხატის დროშა  
 ინახება, სადაც ხუცის გარდა, ხატის დამიზეზების შიშით, ვერავინ  
 შედის.

ხატის გალავანში მოთავსებულია სამი კოშკი: პირველი კვი-  
 რიას კოშკია, მეორე მთურისა (მიქეელ წყაროს თავისა),  
 მესამე ჯაჭველისა (წმ. გიორგისა). ეს აღვილი შეუვალია და,  
 თუ მტრისაგან დევნილი ამ ყორეში გადახტა, მას მტერი ხატის  
 შიშით ხელს ვერ ახლებს.

ხატის გალავნის ქვემოთ მთავარანგელოზის შევრის საფლავია,  
 რომელსაც მიქეელის მწევარს უწოდებენ. ხევსურების წარმოდ-  
 გენით, მიქეელის მწევარი თავის ყმას ქისტებთან ბრძოლაში ეხსა-  
 რება და, როცა ხევსური მტერზე შურის საძიებლად მიდის, მწევ-  
 რის საფლავზე მან ციდანი ან ბატუანი უნდა დაკლას და მას მუხლს  
 ქვემო ფეხი მოსჭრის და იქვე დააგლოს. ვისაც ღამის თევა აქვს  
 შეთქმული, იგი მწევრის საფლავზე მიიტანს ლუდს, დაიწვევს რამ-  
 დენიმე პირს და მიქეელის მწევარს მტერზე გამარჯვებას შე-  
 სთხოეს.

არხოტის მთავარანგელოზში ლოცულობენ ჯაბუშანურები და  
 ხუცესაც ამ გვარიდან ირჩევენ. მათი წინაპარი მგელა წმინდანი

ყოფილა და მას ხატები თურმე ეცხადებოდნენ. მგელა დიდად გავ-  
 ლენიანი ხუცი ყოფილა და მისი სულის მოსახსენიებლად გაბუშა-  
 ნურები ფურთვაჲშე მიღიან და აქ მგელას საფლავზე საღმრთოს  
 იხდიან.

არხოტის ხატში დასტური სამია: ორი დასტური ახიელიდან  
 არის არჩეული, მესამე კი ჭიმლიდან ან ამლიდან.

ათენგენობის პირველ დღეს ახიელში სალოცავად ამღელები მი-  
 დიან, მეორე დღეს კი ჭიმლელები. ათენგენობას ახიელში სალოცა-  
 ვად კახეთში გასახლებული ხევსურებიც მოღიან. შეზღვნენ მო-  
 ჰყავს საკლავი, ზოგს საკლავის სანაცვლოდ მოაქვს სანთელ-პატრუ-  
 ქი და ვერცხლის ფულები.

მახვეწარი ხატის დროშის წინ იჩიქებს და პირჯვარს იშერს; ზო-  
 გი დროშის საბრძანისის ქვის ტახტსაც ემთხვევა. ხუცი დროშისათან  
 დგება, მას ხელში ანთებული სანთელი და ყანწი უჭირავს, პირით  
 იგი აღმოსავლეთისაკენა მიბრუნებული. მახვეწარი ცალ მუხლზეა  
 დაჩიქილი და ხელში საკლავი უჭირავს. ხუცი მახვეწრის დამ-  
 წყალობებას შეუდგება. იგი იტყვის ხუცობის პირველ ნაწილს, რო-  
 მელსაც აქ მოგვს ნება-ს-ეტყვიან:

„ღმერთმა ადიდას შენი ძალი, შენი სახელ-სამართალი, მიქეელ  
 მთავარო-ანგელოზო, შენა სამთავრო, შენა გასამრჯვოდ მაიჯმარი  
 ე სამსახური, პირისაბანი, საშველა-სახოიშნოდ, სამწყალობნოდ  
 მაიჯმარი (იტყვის მხვეწარის სახელს. მინდიაისად, მამაშვილები-  
 სად), შენდ სამსახურ არ დაუკლავა“ შენ შენს წყალობას ნუ და-  
 აკლებ, ღმერთ შენს ბატონობას გაუმარჯვებს.“

ამას მოჰყვება დამწყალობნების მეორე ნაწილი — ხუცობა:

„ა დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება დღეს დღეინ-  
 დელსა, ძალს კვირაისას.

ა დიდება-დ“ გამარჯვება შენდა, მიქეელ მთავარიანგელოზო,  
 ღმერთმა გადიდას ამ სამსახურზე, პირის-სპამზე, ღმერთმა გაძრი-  
 ელას.

ღმერთმა მოგცას ცამლინ სიმალლე, ზლვამდინ სიმაგრე, შველა,  
 რეგბა, ხოიშნობა შენის მეხვეწურისად.

გეძახან შენ მეხვეწური, გეძვეწებიან, შაიხვეწნიდი, რასაც  
 მჯარზედა“ გულზედ გეძახდან, იმ მჯარ-იმ გულზე გაუგონიდი, რა-  
 საც წყალობას გეთხოებოდან, გამჩენ ღმერთს დაუთხოიდი სხო



ხთისნაბადებ თუ რას უწყორებოდას, უმრუდდებოდას, მადლ ფაქტობოდას, უთხოიდი, თაოდ უშველიდი, სხვასთან უშუიდი, შენ კაბის კალთა ჩაუფარიდი, ხთის იასულნი გამავიდოდან ხთისაგან გამაშობილნი, ჭორციელთ ბეგრევდან, ყალანს იღებდან, შენ მეხვეწურს ნუ მახერძებ, ეკერძებოდას, ნებით აჯდივიდი, ნების ბეგარ გაატანიერდი, [იასულთ] ხხო ყუდრო-შარა გაასწავლიდი.

ა, მიქელ მთავარანგელოზო, იხვივნიდი შენ მეხვეწურნი, იხვეწნიდი ავის დღისა, ლალის მტრისა, მწარის სიკვდილისად, საზიანის საქმისად, ჩემგნივ რაც ძახილსა კსენებას გაკლდებოდას, შენ შენს წყალობას მაუმატიდი შენის მეხვეწურისად, მაგათ თავისად, ჯალაფობისად, კაცისად, საქონისად, ქუდოსან-მანდილოსნისად! მუველელი, მლხენელი, მხომნებელი' წალმამდგომიმც ხარ! შეველდი, სწყალობდი, სცევდი, ხფარევდი, გამარჯვება შენდა და შენის გამჩენის ხთისად".

ამით ამთავრებს დამწყალობნებას ხუცი. ორხოტში კურთხევანი არ იციან. დალოცვის შემდეგ ხუცი საკლავს ყელს გამოსჭრის და ყველანი იქ მყოფნი იტყვიან: „გწყალობდასთ, თქვენი გამარჯვებისა იყოს!“ მეძღვნე მით ყანწით სასმელს ჩამოურიგებს.

ხატის დარბაზის წინ ქვის ტახტებია გამართული და მამაკაცებიც ამაზე სხდებიან. დასტურები გამოიტანენ სახუცო კოჭობებით ლუდს და მეხატეთ ასმევენ. სასმელზე უარის თქმა არ შეიძლება. იციან დაძალებაც, ხატში მისულ საპატიო სტუმარს დასტური ლუდს ცალ მუხლზე დაჩოქვით მიართმევს და, სანამ ის თასს არ დაცლის, დასტური არ ადგება, ამიტომ სტუმარი იძულებულია სასმელი დასცალოს.

სმა ხატში ორი დღე გრძელდება და ნასვამთა შორის უსიამოვნო შეტაცებაც ხშირია, მაგრამ ხატის საბრძანისში ჩეუბი აკრძალულია და, ვინც ამ წესს დაარღვევეს, მას ხუცი დაარისხებს.

ამიტომ მეშულლენი ხატიდან მოშორებით გადიან, დედაკაცები მათ უკან მისდევენ და აშველებენ.

ათენგენობას ქალები ხატიდან მოშორებით და ცალკე იმყოფებიან, ხუცობის დროს ფეხზე დგებიან და პირჯვარს იწერენ. ხუცი ზოგჯერ დიაცებსაც გადასძახებს: „დიაცებო, გწყალობდასთ მთავარანგელოზი!“-ო. ხევსურული ხატობა საზოგადოდ მოქლებულია იმ საერთო მხიარულებას, რომელიც ხატობას ჩვეულებრივ ახა-

სიათებს: თამაშობა, ცეკვა და სიმღერა ხევსურებმა ხატურ გაიცან და ამიტომ ხევსურული ხატობაც უფერულია.

ათენგენობას თავიანთ სამღლოცველო ხატში ამღლებიც დღე-სასწაულობენ. ამღაში რამდენიმე ხატია: პირველია იაკვსარის ხატი, რომელსაც გველისფერ წმ. გიორგიობით ლო-ცულობენ, მეორე სვეტის ანგელოზია, მესამე ხატს კი პეტრეს უწოდებენ.

ამღის ხატის კოშკი თავისი ფორმით განსხვავდება ხევსურეთის ჩვეულებრივი ხატებისაგან. ამღის ხატებს პირი დასავლეთისაკენ ძევთ მიქცეული. ხატის კოშკი მოგრძოა თავისი ფორმით. სახურავი ორფარდულიანია და კიბური, ხატის ფასადი ჭიხვის რქებით არის შემკული და ზედ ზარი ჰქიდია. ხატის საბრძანისი შემოზღუდულია ყორით და შიგ ხუცისა და დასტურის გარდა არავის უშვებენ.

ამღაში ხუცესს წიკლაურის გვარიდან ირჩევენ და ხატობას მახ-ვეწარს ის ამწყალობნებს. იახსარის ხატში ათენგენობას წინათ ქისტებიც მოღიოდნენ თურმე. ქისტები ამ ხატს კვიცებს უკლავ-დნენ და იახსარს ცხენების გამრავლებას შესთხოვდნენ. დღეს კი იახსარის ხატს ამღლები სარე მათ-ს უხდიან. ამ მიზნით, რო-დესაც ცხენი კვიცს მოიგებს, ცხენის პატრიონმა კვიცის მაგიერ იახსარს ციქანი ან ბატკანი უნდა დაუკლას, თორემ, ხალხის რწმენით, კვიცი არ გაიზრდება.

იახსრის ხატს ლოცულობენ აგრეთვე გველისფერ წმ. გიორ-გიობით. ხევსურების თქმით, ვისაც ამ ხატის მიზეზი გამოუვა, მას იახსარი გველის სახით მოეჩვენება და დამიზეზებულმა მას საკლავ-საწირი უნდა მიართვას და ილოცოს. თუ დამიზეზებულმა ამას ყურადღება არ მიაქცია და გველმა მას სიზმარში მოჩვენე-ბით უქბინა, მაშინ მას იახსარი ვერ უშველის და იგი მოკვდებათ.

ხატობის დასასრულს ზოგჯერ ჯვარიონთ ღამისთვი ვაში გაიწვევენ. ღამის თევას ხევსური მაშინ აწყობს, როცა მეოთხავის მითითებით მას რაიმე მიზეზი გამოუვა და ხატიც მის ოჯახს ვნებს და ზარალს აყენებს. ამ მიზნით იმართება ღამის თევა, შეიძლება რამდენიმე ჯვარიონთ დაწვევა, ეს ოჯახის შეძლებაზე და აღთქმა-ზე დამოკიდებული. რამდენი ჯვარიონიცაა მოწვეული, იმდენი საკლავი უნდა დაიკლას. ჯვარიონნი სახლის ბანზე დგებიან, დრო-

შებსაც იქვე დააყუდებენ. საკლავს ბანზე აიყვანენ, ხუცი სანთელს აანთებს, ოჯახის პატრონები იჩიქებენ და მათ ხუცი წესისამებრ დაამწყალობნებს. შემდეგ დახოცვენ საკლავებს, რომლის სისხლით ოჯახის პატრონი ხელს დაიბანს. ღამე ჯვარიონნი რჩება ოჯახში, სადაც იმართება ვაშშამი და ღროს მხიარულად ატარებენ. ღამის-თევაში ჯვარიონთ საკლავის ტყავი ეძლევა.

შატილის თემში რამდენიმე ხატია: წმ. გიორგი, მთავარ-ანგელოზი ან ანატოლის ჯვარი და ადგილი ს დედა. მათში ძლიერ ხატად აქ ითვლება ანატორის ჯვარი, რომელსაც მთავარანგელოზობით ლოცულობენ. ანატორის ჯვარი ნასოფლარ ანატორშია, რომელიც შატილიდან სამი კილომეტრით არის დაშორებული და ქისტების საზღვარზეა მოთავსებული.

გადმოცემით ანატორის ჯვარი ალავერდიდან გადმოფრენილა ანატორში. ამ ხატის მეტადრე ბერი ყოფილა, რომელსაც ეს ხატი სიწმინდით ვერ შეუნახავს; ამიტომ ხატი აქედან მითხოში გადაფრენილა. მითხოში ერთ მჭედელს ამ ხატის დაბმა განუზრახავს და მასზე ოქროს ლურსმანი დაუკრავს. ამაზე ეს ხატი გაჯავრებულა, უამი გაჩენილა და ანატორელები ამოუხოციაო. ანატორში დღესაც დაცულია ამ ხატის საბრძანისი ნიში და ხატის ტყე. ხატობა იციან ამაღლებას და მახვეწარი ანატორის ჯვარს ღმერთთან შუამდგომლობასა და დახმარებას შესთხოვს.

ხალხის რწმენით, ანატორის ჯვარი ღმერთთან მეშველია, მისგან ქაღალდი გმირაქეს და ბრძანებებს გადმოგვცემსო.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ხევსურეთში ამ ხატების რწმენა დღეს უკვე საგრძნობლად შერყეულა და წინანდელი პატივი და სათხოება გამეტალია. ზოგი ხატი დაცულილა და გაპარტახებულა, ხატობებიც მცირერიცხოვანია, მახვეწარი მოქლებულია გულუხვეობას და ხატისათვის საკლავს ძნელად იმეტებს. ხუცებისა და ჯვარიონთა საზოგადოებრივი წონა და გავლენა შესუსტებულია.

ხევსურეთის მოსახლეობის შეგნებული ნაწილი დღეს კარგად გრძნობს ხატისა და ხუცების მავნებლობას, მაგრამ ბევრი მათგანი ჯერ კიდევ შებოჭილია თემური აღათებით და ისინი ვერ ბედავენ მათ წინააღმდეგ აშეარა ბრძოლას.

ბ 0 8 5 0 0 9 8 6 1 3 0 1

ხევსურეთშე საქმაო ლატერატურა შთანთვება; ამ მხრივ ხევსურეთი ჩვენს მთიალებში ერთგვარ გამონაბრლის წარმოადგენს.

ეს გარემობა იმით ასახება, რომ ხელშურეთი თავისი ბუმბურაში ბუნებით და დამასხადით უძლებდა კოფიათ თავიდანევ იზიდავდა მოგზაურებს და ეს გატაცება დღემდეა არ ხერედებულა.

— გრეთვე იქნებულიდა ცალკე გამოკლებებიც, რომლებიც შინაად იხსხავდნენ ხელისურების სოციალ-ეკონომიკური შხარების და მათი ყოფა-ცხოვრების გა-შექმნას. მათ შორის ხაყურადღება: ა. ურბნ კლის ეთნოგრაფიული წერი-ლები, რ. კრისტაგიბ, ხუდოოვნის, მ. კომპლექსისა და რაფ-დეს ნარკოვები.

"ხევსურეთის" ბაბლონგრაფიაში ჩეცნ ვათაგვებთ მხოლოდ იმ შრომება და  
ნარკევებს, რომლებსაც თავიანთი შინაარხისა და მასალის მხრივ ხევსურეთის  
შეხწავლისათვის მნიშვნელობა ღლებდის არ დაუკარგავთ. რაც შევხება ხევსუ-  
რეთის შესახებ პერიოდულ გამოცემებში გაფარტულ წერილებას და კორეპონ-  
დენციებს, მკითხველს შეუძლია მათი მოქმება ქართულა და რუსულ ბიბლიო-  
გრაფიულ კრებულებში (იხ. ქართული ბიბლიოგრაფია, პეტროგრადი, 1916 წ.  
გვ. 155, ხევსურები და ხევსურეთი; Д. Д. Пагирев, Перечень некоторых  
книг, статей и заметок о Кавказе. Зап. Кав. отд. Р. Г. о-ва кн. XXX,  
Тифлис. 1913 г. Хевсуретия и Хевсуры, стр. 527).

1. უ რ ბ ნ ე ლ ი 6. — ე თ ნ ი გ რ ა ფ ი უ ლ ი წ ე რ ი ლ ე ბ ი (ხ ე გ ს უ რ ე თ ზ ე): გ ა ს. ღ რ ი მ ე ბ ა, 1884 წ., № 241; 1885 წ., № 165, 166; ი ვ ე რ ი ა, 1886 წ., №№ 267, 268, 269; 1887 წ., № 8, 14, 15, 71, 74, 158, 170, 171, 209; ხ ე გ ს უ რ ე ლ ი ხ ი მ დ ლ ე ბ ი: ი ვ ე რ ი ა — 1887 წ., № 264; 1888, № 27, 32, 41, 44, 57, 78, 79, 80, 84, 120, 121, 135, 136; 1891 წ., № 90.
  2. პ ა კ ლ ი ა ბ ვ ი ლ ი ღ დ. — ხ ც ე ნ ე ბ ი ხ ე გ ს უ რ ი თ ა ხ ტ ი კ რ ე ბ ი დ ა ნ: ი ვ ე რ ი ა — 1903 წ., № 135; 1903 წ. № 145, 149; ც ნ ი ბ ი ს ფ უ რ ც ე ლ ი — 1902 წ., № 1687; 1904 წ., № 2506, 2509, 2656, 2660.



საქართველოს  
ეროვნული ბიბლიოთეკი

3. გაფაფ შაველა — ხევსურები, ივერია — 1886 წ., № 199, 200; 1889 წ., № 81.
4. გაბურია ბესარიონი — ხევსურული მახალები (ქართ. ხატიათმეცნ. ხას. „წელიაწდეული“ I-II, 1923—1924, ტფილისი, 1924 წ., გვ. 119—330).
5. განიძე აგანი — ქართული ხალხური პოეზია, I ხევსურული, ტყილავა, 1931 წ.
6. თემოთაძე გიორგი — ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტყილისი, 1930 წ.
7. ყამარაულია. — ხევსურეთი, ხახელგამი, 1932 წ.
8. Эристов Р. — О Тушине-Пшаво-Хевсурском округе (Зап. Кав. отд. И. Р. Г. о-ва кн. III, Тиф. 1835 г., стр. 75—145).
9. Радде Г. — Хевсурия и Хевсуры, Тиф., 1881 г.
10. Мачабели М. В. — Экономический быт крестьян Тионетского уезда, Тиф. Губ. (Мат. Экон. быта государст. крест., т. V, Тифлис, 1887 г.).
11. Худадов Н. А. — Заметки о Хевсурии (Зап. К. О. Р. Г. о-ва, т. XIV, в. I, Тифлис; 1890 г.).
12. Ковалевский М. — Народное право Хевсур и Тушин (Закон и обычай на Кавказе, Москва, 1890 г., т. II, стр. 102).
13. Первосвященник Антоний, Епископ Гор., — Религиозно-Этнографич. очерк Пшаво-Тушине-Хевсуретии, Тифлис, 1914 г.
14. П. Уварова, — Поездка в Пшавию, Хевсуретию и Сванетию (Мат. по археологии Кавказа, Москва, 1904 г., вып. X).
15. Зиссерман А. — Двадцать пять лет на Кавказе (1842—1867 г.), часть I, СПБ, 1879 г., стр. 206—227; Очерки Хевсурини, газ. «Кавказ», 1851 г., № 22—24.
16. Гурко-Кряжин В. — Хевсуры, Москва, 1928 г.
17. Буш — По горам и ущельям Хевсуретии и Тушетии (Труды Имп. СПБ Ботанич. сада XXIII. 3).
18. Niogadze G.—Begräbnis und Fotenkultus bei den Chewssuren, Stuttgart, 1931.
19. Dechy M.—Kaukasus, Reisen und Forschungen im Kaukasischen Hochgebirge. Bd. II, Berlin, 1906.
20. Merzbacher G.—Aus den Hochregionen des Kaukasus, S. 93—106, Bd. II, Leipzig, 1901.

Макалатия Серги Иосифович

Х Е В С У Р И Я  
(На грузинском языке)  
Детюниздат Грузинской ССР  
«Накадули», Тбилиси, 1984

ს. ბ. № 752

რედაქტორი მარინე სოხაძე  
მხატვარი შ. ღოლიძე  
მხატვრული რედაქტორი გ. ლლონტი  
ტექნიკური რექატორი ნ. შველიძე  
კონტრ.-კორექტორი თ. შინდაგორიძე  
კორექტორი ი. უშვერიძე  
გამოშეკები ნ. მელიშვილი

გადაეცა ასაწყობად 20. 07. 83 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად  
18. 05. 84 წ. ინაწყობის ზომა 6×9. ქაღალდის ზომა 60×84<sup>1/16</sup>.  
ნაბეჭდი თაბახი 15,34. ბეჭდვა მაღლი. გარნიტურა ვენა. სალებავ-  
გატარება 16,28. საბეჭდი ქაღალდი № 1. სააღრ-საგამომცემლო  
თაბახი 13,57.

ტირაჟი 20,0, შეკვ. № 417.

ფასი 75 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, მარჯანიშვილის 5.  
Издательство «Накадули», Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის  
გატონბის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის  
კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Государственного комитета Грузинской ССР  
по делам издательств, полиграфии и книжной торговли,  
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

